


652

999

ISSN 0134 3459



Հայաստանի Հանրապետության
Կառավարության

7
1999

ඡෙනෝ නිෂ්පාදනය

මූල්‍ය මේ දාන්ත්‍යවාචකයා

හිඟා මේ ප්‍රතිඵාරිත්‍යාලුවා, ගුරු එගුලුතමින් ත්‍රිත්වී,
 තුළපාත්‍රීන් කේතී ප්‍රැගිත්තා, සෙක්ලම්-මුදුලා රා ප්‍රාලාර.
 මුදුලුවාර්බ ප්‍රතිඵාලුවාට යොරු ම්‍යාලාත්‍යාලින් ප්‍රැගිත්තා,
 ඇත්තේ ප්‍රාලාම්හ්‍රිත්‍යාර්බ රා ත්‍රිම්කුවාර්බ ම්‍යාලියා.

- හොය, මින්නේ, - ප්‍රාදාම්ත්‍රී...

මාතක්ත්‍රී: උපලාරා තුළාය,

වැඩ ලෙස සෙක්ලිත්‍යාලුවා, වැඩ ප්‍රාතිඵාරි ප්‍රැම්ඛ්‍යාය...
 මේ තුළායේ ප්‍රාදාම්ත්‍රී, - තුළායේ යාම්හිත්තා මිනුව්‍යාත්ත්ල.
 ගුරු රා ප්‍රාම්ඛ්‍යාලා, රුවාත්‍රාවාන් ප්‍රැගිත්තාවා උත්ත්ල.
 ප්‍රාදාම්ත්‍රී ප්‍රැගිත්ත්ල,

මාතලාල සෙක්ලිත්‍යාලුවා ගුළුව්

- රුදා උපලාය, ප්‍රාතිඵාරී, තැන්ත්‍රි ප්‍රැගිත්තා රා ත්‍රිත්වීය...
 මේ ප්‍රාතිඵාරී උපලා, ගෙෂන්ත්‍රීවා, එහි මොඩුව්‍යාත්ත්ල තුළාය,
 මැත්ත්‍රීත්ත් මේ ප්‍රාතිඵාර්බ ප්‍රාතිඵාරී, ප්‍රාතිඵාරී මැත්ත්‍රීත්ත්.
 මුදුලාම්ත්‍රීය, තුළා මුදුලාම්ත්‍රී, මුදුලා ප්‍රැගිත්තාවා තුළාවා,
 ඇත්තේ ප්‍රාතිඵාර්බින් රා මුළුව්‍යාත්ත්ල තුළාම්ත්‍රී මැත්ත්‍රී.
 තුළාය ප්‍රාතිඵාර්බින් ප්‍රැගිත්තාවා රා ප්‍රාතිඵාර්බින් උත්ත්වා
 තුළා ප්‍රැගිත්තාව්‍යාත්ත්ල ගෙෂන්ත්‍රීය,

තුළා තුළාත්ත්ල රා තුළාම්ත්‍රීත්ත්ත්ල.

හිඟා මේ ප්‍රාතිඵාරිත්‍යාලුවා, වැඩ උපලාව්‍යාලා මුදුලාව්‍යා,

තුළා ප්‍රාතිඵාරී රා සෙක්ලාරා ප්‍රාතිඵාරී ප්‍රැගිත්තා රුදාව්‍යා,

ප්‍රැගිත්තා, තුළා ප්‍රාතිඵාරී,

සැම්ප්‍රාත්ත් රා මුදුලාව්‍යා,


ප්‍රාතිඵාරීය රා මුදුලාව්‍යා මැත්ත්‍රී...

652
1999
N 7,8

(49)

კულტურული აზარა

დასებულია 1958 წელს



შ. რ. რ.

ბათუმი

03700, №7

1999

საქართველოს მფრინავთა კაზშირისა და აზარის
ორგანიზაციის სალიტერატურო-საზოგადოებრივი
შერნალი

მთავარი რედაქტორი

სანდო ბერიძე

სარედაქციო საბჭო:

გურაბ გორგილაძე

ანგორ კულაძე

გენრიეტა ქუთათელაძე
(პასუხისმგებელი მდივანი)

ხათუნა შუშანიძე
(მხატვრული რედაქტორი)

ტასრ ცხოვიძე
(ტექნიკური რედაქტორი)

საკონსულტაციო საბჭო:

ვახტანგ ახვლევიანი

ნერი ვერძაძე

შოთა გოიძე

დავით თელორაძე

ოფია იოსელიანი

დავით მჭედლური

ალექსანდრე სამსონია

რამაზ სურმანიძე

თამაზ წივწივაძე

ამირან ხაბაგი

ვრიღონ ხალვაში

ჯემალ ჯაფელი

პოეზია, პროზა

დავით მახადუშვილი

ის. რაც გადარჩა



— წყაროსთვალი!
— წყაროსთვალი!
კოშკში წყალი შემწყდარა,
გაბარულა ამორძალი,
სიყვარულით შემცდარა.

არცა ვინა ციხოვანი,
ცარიელი ზღურბლია,
მოსდებია მწვანე ხავსი,
ლიბო მოულრუბლია.

— ციხისთავი? — ციხისთავი —
თუკი კითხვას შეჰქედავ,
ჩურჩულებენ: წასულია
საქართველოს მეფესთან.

— როდინდელი ამბავია,
ანუ ვისთან წავიდა?
ფარნაგაზთან, მირიანთან,
იქნებ მეფე დავითთან.

... გალავანი დარღვეულა,
ჩამომდნარა ცრემლებად,
— ციხე? — ციხე კიდევ არის
ერთი თვალის შევლება!

დიალოგი

— ეს საუკუნეც წარსულს ჩაბარდა!
— ტანჯვით და ცრემლით გამოგვიგლია!
— რას, რას გვპირდება ნეტავ ახალი?
— ცუდ ნიშნებს ვხედავ, — ამბობს ილია.

— იმ საუკუნეს სისხლით ვაშენეთ!
— ხიდი კი უფრო ჩატეხილია!
— ვაკ, რო დრომ უფრო განყო ქართველნი!
— ცუდ ნიშნებს ვხედავ, — ამბობს ილია.

- მოედო ქვეყნად ლიზლი და ბეზლი!
- ქვეყნა ერთობ აწეშილია!
- ვაჲ, თუ უკუღმა დაბრუნდეს ჩარხი!
- ცუდ ნიშნებს ვხედავ, — ამბობს ილია.

- დღეს ნუ ინებებთ წიწამურისკენ...
- შიში არ არის, ეს სიფრთხილეა!
- მსახურს უბრახანა — ეტლი შემიბით,
- მე ჩემი გზა მაქვს! — ამბობს ილია.

ვერ მოგნედებიან

ტიციან ტამიშის ხმაზე

ისევ მწყურვალი ღნავის ვამპირი,
 გადაეფარა ქვეყანას ჩრდილი,
 და ერთხელ, მოსვლა რომ დააპირა,
 შენც ამ ძალლებმა მოგპარეს ძილი.

იცხოვრე, როგორც ცოტამ იცხოვრა,
 ღამენიადაგ ქვესკნელს ჩახდომით,
 და ცაში კვალი დატოვა თოვლმა,
 რომელსაც ჰქვია ირმის ნახტომი.

ან თუ სულეთი, იქ მიწიერთა
 მზეს დაღალული სხივი უქრება,
 და შენც მოგელის ეგზომ მტანჯველი
 სხეულისაგან განმსუბუქება.

ვერ მოგწვდებიან იქ ვამპირები,
 ცარგვალზე კენტად მომდგარა ვერძი,
 ვერც მიძინებას ვერ დააპირებ
 ვერც ეს ძალლები მოგპარავენ ძილს!

ისევ

წარსულად, აწმყოდ და მომავალად
 დრო იმსხვრევა და დრო ნაწილდება,
 რახან ამქვეყნად არის ბატონი,
 რაღა თქმა უნდა, მონაც იქნება.

ისევ ისეა, როგორც ყოფილა,
 ისევ ის ხდება, რასაც ვშიშობდი,
 რახან ამ ქვეყნად არის ბატონი,
 რაღა თქმა უნდა, მონაც იშოგის.

აგერ, მლიქვნელთა ხორო იჩქარის,
მათმა გაღობამ უწია ცამდე,
და ისევ კხედავ მონას და ბატონს,
კხედავ მსხვერპლსა და მტაცებლის ჭანგებს.

ჩინს და სავარძელს კვლავ ეტოქება,
მდაბალს მდაბალი, რიგითს — რიგითი,
ვინ დაუდგება, ბატონმა მონა
თუ ვერ იშოვა, მაშინ იყიდის.

ისევ დამფრთხალი კუთავს დემოსი,
ისევ უტყვი და ისევ მორჩილი,
ისევ პრიალებს ბატონის ლახტი,
ისევ ულრიალებს მონის ბორკილი...

კვიში

თეთრი კვიცი მყავს, ამაყი კვიცი,
შუა ქალაქში დამდევს ჭიხვინით,
თუმც ყოფნა მისი არავინ იცის,
და ვერც ვერასდროს ვერვინ იხილა.

ვისაც გავანდე მეგობართაგანს,
და გავუმხილე შეგრძნება მისი,
შოპუვა ყოველი ურწმუნო ხარხარს,
ზოგმა მიწოდა შლეგი და გიური.

მაგრამ ის ცოცხლობს, ცოცხლობს ნამდვილად,
სულაც არ არის ფიტული ყალბი,
გაეღვიძება შუალამისას
და მთებისაკენ ჭიხვინით გარბის...

დევნა

წარწერა წიგნზე ”მობი დიკი“

მუდამ ფხიზლად მყოფელი და ეჭვებით საჭსე,
დღენიადაგ ვნადირობ მე ჩემს თეთრ ვეშაპზე.

გაქრა, გადაიხვეწა, სიღრმეს მისცა თავი,
ვრჩები ხელმოცარული, მისი უნახავი.

სული ზღვათა ქარებში იხარჯება უქმად,
წელსაც აღარ იელვა მისმა თეთრმა ზურგმა.

მარადიულ დევნისთვის რადგან განიშირა,
 ალბათ დაქანცულია, საღმე სკრელში სძინავს.

მეც იქ უნდა ჩავიდე, ზღვები ავამდვრიო,
 განვეშორო ამ ქვეყნის წალკოტსა და ხრიოკს.

ვდიო ზღვათა სტომაქში უსასრულოდ შეჭრილს,
 ან კოსმოსის მღვრიე ნისლში გადახვეწილს.

ერთხელ უნდა გავბედო თეთრ ვეშაპთან შეყრა,
 ოკეანეს ცისფერი სისხლი გადაეკრას...

...მუდამ ფხიზლად მყოფელი და ეჭვებით სავსე,
 დღენიადაგ ვნადირობ მე ჩემს თეთრ ვეშაპზე.

დანაპარები


ხალხურ მოტივზე

მიტირებდე და მიგლოვდე,
 იტყოდე ვაი-ვაისა,
 მიხვდოდე — დაჭკნა საშენო
 ყვავილი, აღარ ყვავისა.
 არ აწკრიალო ვერცხლები,
 არც გულისპირი აისხა,
 მიტირებდე და მიგლოვდე,
 იტყოდე ვაი-ვაისა...



დარჩენილი მუსიკის მეცნიერება

ლადო სეიდიშვილი



განსარდა

ღმერთის საფგომზე მაღალია მხატვრის მანსარდა.
კიბე მაღლდება... ძარღვი უფრო ფეთქავს ძალუმად,
ყოველ ნაბიჭვი ისმის რიდი და მოკრძალება ——
ო, რა გრძელია ეს წამები... უამი გასმდა.
რაღაც ამაღლდა და კედლები უფრო გაზარდა:
იყო მხატვარი, მარტოობა... ფიქრი, ძება...
სურათებიდან თუ ინება გადმობრძანება ——
სახელოსნოში ფეხაკრეფით დადის კასანდრა.
გადადგა ჩრდილი — სიცხადეში გადამესიზმრე
თუ ვნების კარი შემთაღო სიცრუის სიბრძნემ ——
დაემხო შიში სიყვარულის და სისასტიკე.
ფერები ფერში აირია... რაფრად გავყარო ——
იმისი ტანის სიმსუბუქე, ხაზის პლასტიკა
უცხო მხარეში მიაქანებს მხატვრის სამყაროს.

* * *

უფრო რთულდება უსაშეველოდ ფიქრები კაცის,
როცა ექცევა დავიწყების ჩრდილში სახელი;
და იგი, ვინაც წარმოადგენს სამყაროს ნაწილს —
აზრს ცხოვრებისას, არს უმაღლესს, გრძნობას გამხელილს —

მსხვერპლია შურის... რა სიმდამბლე მართავს გონებას?!
იზრდება ჩრდილი ჩვენთან ერთად და — საფიქრალიც;
რა საჭიროა ტკივილების გამოგონება,
ოდეს თვით ტანჯვა სიმღერაა სამყაროს ქნარის.

რარიგ იგრძნობა მისი ფრთების ნაზი შეხება;
მაღლდება სული და სიხარულს ელტვის რიდებით...
(ო, ამ რთულ გზაზე ადვილია თვალის ახვევა)

ყურდახში მიკრული ვარ ანძაზე გემის
და ბრმად მივყები სწრაფვას ჩემი ცნობიერების,
ვიდრე სხვა ფორმად მოხდებოდეს გარდასახება.

კონცერტის პიდრე დაწყებამდე

აღარ მეგონა, თუ სიყვარულს ჰქონდა ასაკი,
 თუ ჭეშმარიტად ლამაზია ყველა მართალი...
 ვზივარ პარტერში და ყურს ვუგდებ, როგორ მართავენ
 ორკესტრანტები კონცერტის წინ თავიანთ საკრაქს.

კვნესის ვიოლო... ხმას ისინჯავს თითქოს ვასაკა —
 ინსტრუმენტები მოშლილ სიმებს უწყობენ მთავარს.
 სხვადასხვა ხმაზე გამოვცემდით ჰანგებს ორთავე...
 შენი არ ვიცი, მე კი უკვე გავურბი სარკეს.

რაღაცნაირად გაუგრძელდა ორკესტრის აწყობა.
 ამოვიკითხე შენს თვალებში ბავშვური წყრომა —
 სიფრთხილისათვის ჩვენი სკამი იდგა შორიშორ.

ჩანს, სიყვარულის ასაკისთვის უკვე გამესწრო...
 მუსიკოსები დარჩენილი უდირისოროდ,
 როგორც მენიშნა, მოელოდნენ ახალ მაესტროს.

სენ-სანსის გედი

თავს ვის აწონებ, თეთრო გედო, ცერზე შემდგარო —
 ფიქრო, სივრცეში შერჩენილო ოცნების ხაზიად;
 წვრილი კისერი გაგიწვდია ინტეგრალივით
 და სიკვდილისთვის ემზადები — თანაც ლამაზად.

(ო, ამნაირი დასასრული არ არის არსად)

ცისკენ მიიწვევ გასაფრენად, სადაც ედგარი უნდობების
 ოცნების ფრთხებით შეელეწა კოშკებს გრაალის...
 ეს არ ყოფილა მოწონება — შეწყდა ანაზღად.

თითქოს ჰაერში გაინასკვა ფრთხების ხატება,
 ლურჯ ცას გაეკრა და ოცნების ტბაში ირხევი...
 ისევ მიბრუნებს შენს სიმღერას თეთრი ხილვები.

ხსოვნაში უფრო ძლიერია გამონათება:

როცა სიმღერით თავს იწონებს სენ-სანსის გედი,
 ო, მაშინ, დგომა ადვილია სიკვდილის გვერდით.

სოცეტის სარკაში

დაღლილი ქალი მოსულა სახლში:

ანთია ჭალი, ანთია გაზეურა...

შემოუბერა ცხელმა ზაფხულმა,

ჩხრიალებს წყალი აბაზანაში,

ჩაქრა სინათლე ღია ზალაში,

თითქოს სარკეში ჩაძრა მზაკვრულად,

ფარდაზე წალმა ჩრდილი გაკრულა —

ამოქარგული უცხო ზარნიშით.

ვით ღამისეულ გამოსხივებამ,

კვლავ გაიზმორა ზანტად სხეულმა...

(თეთრ, მსუქან ხელებს იდაყვში ხრიდა)

იწყება ხორცის სვლა ღიტანით,

სანთლები ანთია ორივე მხრიდან;

სარკეში იხედება კეპლუცი ტანი.

სარკეში იხედება კეპლუცი ტანი.

სანთლები ანთია ორივე მხრიდან;

იწყება ხორცის სვლა ღიტანით,

(თეთრ, მსუქან ხელებს იდაყვში ხრიდა)

კვლავ გაიზმორა ზანტად სხეულმა...

ვით ღამისეულ გამოსხივებამ,

ამოქარგული უცხო ზარნიშით.

ფარდაზე უცხო ჩრდილი გაკრულა —

თითქოს სარკეში ჩაძრა მზაკვრულად.

ჩაქრა სინათლე ღია ზალაში,

ჩხრიალებს წყალი აბაზანაში.

შემოუბერა ცხელმა ზაფხულმა,

ანთია ჭალი, ანთია გაზეურა...

დაღლილი ქალი მოსულა სახლში.

გაკეანალია

მოაცილებენ დიონისეს ბაქეის ქალები,

მოაგელვებენ გათვირებულ ვნებიან სხეულს

და ძუძუები იგსებული ნოყიერ ხსენით

ხტიან შლეგური როგორთა და თავშეკავებით.

შუბლს უმკობთ სუროს გვირგვინი და დალალკავები...

ნადირის ტყავი სხვათა შორის ფარავს სარცხვინელს,

უკან წაწეულ გავითა და ურა ცხენივით

ყალყზე შემდგარ მკერდს შებოჭავენ მსხვილი მკლავები.

ძირს ინტელექტი, რაც ამძიმებს ყოფიერებას...

სექსი და გონი ერთმანეთში ნუ აგერევათ

და ეზიარეთ უზენაეს თამაშის წესებს.

შეწებებული ერთმანეთზე ლაშების დორბლით

შთანთქმული ვნება ღვინოსავით სხვა ექსტაზის იქენს

და აგხორცობა შესაჭმელად თვალისკენ მორბის.

ტრიოლეტები

მერწყულის ნიშნით დაბადებულს იშის მოგებით
გენიოსობას მპირდებოდა ბედის მწერალი.

წინ მიმიძღვდა ღონკიხოტი და სხვა მოგვები
მერწყულის ნიშნით დაბადებულს იშის მოგებით.

მშვიდად მივდევდი დანდობილი... და რაც მოგველის —
თურმე კალდაკვალ მომჩხაოდნენ ყვავნი, ძერანი...

მერწყულის ნიშნით დაბადებულს იშის მოგებით
გენიოსობას მპირდებოდა ბედის მწერალი.

ცხოვრებამ სილა გითავაზა მარცხენა ყბაში,
როცა მეორე მიუშვირე, არც იქ დაგინდო...

ვეღარ მოერგე, ვერ მოთავსდი სხვის ამალაში —
ცხოვრებამ სილა გითავაზა მარცხენა ყბაში.

და თურმე ერთ დროს შენც ყოფილხარ ოცნების ბავშვი...
ფრთხები მოისხი სხვათა მსგავსად — ალბათ ამიტომ

ცხოვრებამ სილა გითავაზა მარცხენა ყბაში,
როცა მეორე მიუშვირე, არც აქ დაგინდო.

არც წასული, არც მომავალი... აწმყოც არ აწმყობს.
ვის უნდა ენდო, ან სად არის ორიენტირი?

ვინ უპატრონოს უსასრულოდ განფენილ სამწესოს —
არც წარსული, არც მომავალი... აწმყოც არ აწმყობს.

ფეხი გიდგია იმ მიწაზე, რაც უნდა ლანძღო,
თავი რაც უნდა დაიყრუო — მოგძებნის სტვირი.

არც წარსული, არც მომავალი... აწმყოც არ აწმყობს
ვის უნდა ენდო, ან სად არის ორიენტირი?

გამარჯობა თქვენ, ინდოეთის მაძიებლებო:

პიედრო, ჩიკო, ქრისტეფორე ანუ კოლუმბო!

ძროხას ექებდით, ცოლი ჰპოვეთ — ნაყოფიც გერგოთ,
გამარჯობა, თქვენ, ინდოეთის მაძიებლებო.

მე კიდევ ძროხის ძიებაში წინ დამხვდნენ მგლები.

„ეძიებდე და ჰპოვებდეო“ — ამაოდ უბნობს.

გამარჯობა, თქვენ, ინდოეთის მაძიებლებო:

პიედრო, ჩიკო, ქრისტეფორე ანუ კოლუმბო!

დედამიწაზე წავიძინე გუშინ საღამოს

და უნებლიერ ოტარიღზე გამოვილვიძე.

არ ვიცი, როგორ ვუშველო თავს, ან რას ვახალო —
დედამიწაზე წავიძინე გუშინ საღამოს.

უკიდეგანო სავანეა ჩემი სამყარო...
 ყველა სიბრტყეში არსებობის უფლებას ვიძენ.
 დედამიწაზე წავიძინე გუშინ საღამოს
 და უნებლიერ ოტარიდზე გამოვიღვიძე.

ამჟამად ვცხოვრობ შორეული ცის ვარსკვლავებზე,
 მაგრამ არ ვიცი არაფერი ამის შესახებ
 და რომც ვიცოდე ყველაფერი — აღარ დავეძებ,
 ამჟამად ვცხოვრობ შორეული ცის ვარსკვლავებზე.
 მიჭიჭეული ვარ უსაშველოდ საკუთარ „მეზე“
 ყოველდღიური საზრუნავით სხვის სასახელოდ.
 ამჟამად ვცხოვრობ შორეული ცის ვარსკვლავებზე,
 მაგრამ არ ვიცი არაფერი ამის შესახებ.

ალბათ მიყვარხარ, თორემ რაა ეს ამჩატება,
 ყმაწვილურ ჟინით შენი ხატის წინაშე თრთოლა.
 რამ გამახსენა მშვენიერი მერი ჩატერტონ...
 ალბათ მიყვარხარ, თორემ რაა ეს ამჩატება.
 შემოაძარცვეს ღამეს ტანზე კვართი კატებმა
 და მე ვიხილე შენი თეთრი სხეულის თოვა.
 ალბათ მიყვარხარ, თორემ რაა ეს ამჩატება,
 ყმაწვილურ ჟინით შენი ხატის წინაშე თრთოლა.

ვინ ჩაიბარა შენი თეთრი პირველი ღამე,
 თავდავიწყებით გადაეშვა უმანქო ზღვაში.
 მოდის უგულოდ სინანაული და მოაბლავლებს —
 ვინ ჩაიბარა შენი თეთრი პირველი ღამე.
 ვეღარ იზრუნა თავისთავზე უმწეო ხვალემ —
 განხეთქილების უკვე ფერხთით დაგორდა ვაშლი.
 ვინ ჩაიბარა შენი თეთრი პირველი ღამე,
 გაუმაძღრობით გადაეშვა უმანქო ზღვაში.


გოგონა უკრავს ვიოლინოს ნელი ანდანტით,
 დაგვანებულ სიყვარულზე ის ჩემთვის უკრავს.
 და კაეშანი მღელვარების ნაპირს გადადის...
 გოგონა უკრავს ვიოლინოს ნელი ანდანტით.
 მიმაცილებენ უკანასკნელ გზაზე თანდათან —
 არ შეგვიძლია დაბრუნება წარსულის უკან.
 გოგონა უკრავს ვიოლინოს ნელი ანდანტით,
 დაგვანებულ სიყვარულზე ის ჩემთვის უკრავს.

ახლა ღამეა და სიბნელე ექებს სალოცავს,
 მოვა სინათლე და წყვდიაღი სადღაც ჩაკვდება.
 ო, რა გრძელია მოლოდინი ხელმოცარულთა...

ახლა ღამეა და სიბნელე ეძებს სალოცავს.
 უიმედობას ღამეები გარემოუცავს
 და სადაც ჭერ არსს ეკითხება არანაკლებად.
 ახლა ღამეა და სიბნელე ეძებს სალოცავს,
 მოგა სინათლე და წყვდიადი სადღაც ჩაკვდება.

საკუთარ თავზე საუბარი მიჭირს და რა ვქნა
 გადაგიხადე დიდი ომი, ომი ცალმხრივი —
 პროკრუსტეს ცნობილ სარეცელზე ამქნეს და ჩამქნეს,
 საკუთარ თავზე საუბარი მიჭირს და რა ვქნა.
 გამზადებული ქარონისთვის, ჭერ კიდევ აქ ვარ,
 მაგრამ საცაა მოაბლავლებს ლეთეს ნახირი.
 საკუთარ თავზე საუბარი მიჭირს და რა ვქნა.
 გადაგიხადე დიდი ომი, ომი ცალმხრივი.





ცურავები ცურავები

პრაღა



გურამ ფუტკარაძე

აჭარული სახლი

ლეონიძე ბერიძე

სისხლის სარდაფები

ნაწყვეტი რომანიდან

ეძინა დამაშვრალ სოფელს. მოღრუბლული ცის უზარმაზარ გულში, ძლიერს ძლიერობით ბეჭტავდნენ დაბინდული ვარსკვლავები და გულის გამაშვირილებელ სიჩურეში გატრუნული ტყის თავზე მოწყენილი მზეთუნახავიერთ წამომჯდარი დაღლილი მთვარე, მაგრამ არ ეძინათ ავ სულებს — კომეგ-შირული მოძრაობის აქტივისტებს. ისინი აჩრდილებივით დაძრშოდნენ სოფელ-სოფელ და ახალ-ახალ ცნობებს აგროვებდნენ ყველა იმათზე, ვინც მიწების ჩამორთმევის გამო აუგად მოიხსენიებდა მთავრობას და არც სალანდლავ სიტყვას იშურებდა ახლადშექმნილ კოლმეურნეობაზე. ბევრ ავსულს შეიძლება არც აწუხებდა, ვინ რას იტყოდა მთავრობაზე, მაგრამ ჯავრი კი ნამდვილად უნდოდა ამოეყარა თავის თანასოფლელებზე. კომკავშირელი აქტივისტები უღმრთოთა ორგანიზაციის წევრებად ირიცხებოდნენ და უღმრთოდაც უსწორდებოდნენ გაჭირვებულ, წელში გაწყვეტილ გლეხებს. აბა, ვინ იცის ხვალ რომელი სახლიდან გამოიყვანდნენ ხელფეხებულ გლეხებს და მოუსავლეთის გზას გაუყენებდნენ.

— დალახვროს ეშმაქმა. ეს მთვარეც თითქოს იმათ მხარეზეა! როდის დაბრელდება ნეტა? — ნერვიულად იკვნეტდა ტუჩებს მაღალი მამაკაცი.

— მართლა ეშმაკის მაშხალასავით არ კიდია ეს მთვარე ამ ჩვენი ტყის თავზე? ჩამეგდო ერთი ხელში და რა სიამოვნებით ჩავაგორებდი ეგერ იმ ხრამში, ანდა, ერთი ფეხვეშ

მომაგდებინა და... რას გაცოცელავდი ფეხებით?

— ოჟ, რას დავკეჩხვავდი — კბილები გაახრციალა მეორემ, ტანდაბალი რომ იყო და ნამდვილ ავ სულს მოგაგონებდათ.

უკუნი ღამე ჩამოწეა. აფი სულები სოფელში შევიდნენ.

დიდმარხვის დღეები იდგა. მორწმუნენი მალულად, მაგრამ მაინც ასრულებდნენ ღვთის სამსახურს, მარხულობდნენ და ლოცულობდნენ. ოფიციალური ხელისუფლება კი კრძალავდა ამას, მაგრამ მაინც ერიებოდა ხალხის განაწყენებას. ამიტომ იყო, რომ ასე ჩუმად და შენიღბულად უთვალთვალებდნენ საეჭვო ოჯახებს. ცნობები შინსახუმში მიპქონდათ. შემჩნეულებს აპატიმრებდნენ. ბრალდებასაც წაუყენებდნენ და სასტიკად ნაწამები აღამიანებიც აღიარებდნენ, რომ ტროცკისტები იყვნენ, თუმცა გლეხობამ არც კი იცოდა ტროცკიზმის მნიშვნელობა, ან ვინ იყო თვითონ ტროცკი. ღამით სოფელს ლამპის ანთებისაც კი ეშინოდა. და თუ კი მაინც გაბედავდა, ვაი მისი ბრალი მაშინ!

ამ ღამითაც გამოსულიყვნენ გარეთ ახალი დროის ბოროტი მსახურნი და მართლაც რომ ავი სულებივით მოსდებოდნენ სოფელს. ისე ბნელოდა, რომ თვალთანაც ვერ მიიტანდი თითს. მხოლოდ ძალების ყეფა თუ არღვევდა ღამის მყუდროებას.

აი, იმ სახლში შუქი ჩაირთო მოულოდნელად და ავი სულებიც ფეხაკრეფით მიუახლოვდნენ. სახლქვეშ



შეძრნენ და იქ მოითქვეს სული. ცოტა ხნის შემდეგ ერთი მათგანი ფანჯრის პირდაპირ მდგარ თუთის ხეზე აცოცდა. ცდილობდა იქიდან დაენახა, რა ხდებოდა ოთახში. ხეზე ასული კარგად ხედავდა, როგორ ნებივრობდა ხოვა-ეფენდი საწოლში. ქალი საჭმელს ამზადებდა. ცოლი და ქმარი ზოგჯერ გაესაუბრებოდნენ კიდეც ერთმანეთს. საწოლთან ჩავლილ ქალს ხოვა კაბის კალთაზე წაავლებდა ხელს და თავისკენ მიიზიდავდა. ლამაზი ქალბატონიც ხელებს უჭირდა ქმარს და ვნებიანად კოცნიდა. ვნებამორეული ქმარიც მკლავებში მოიქცევდა თავის მზეთუნახავს და ესიყვარულებოდა. სამწუხაროდ ეს ღამე უკანასკნელი იყო უსაზღვრო ბედნიერებისა, რომ სამუდამოდ დააშორებდნენ მათ ერთმანეთს და აწი ვერც ვერასოდეს იხილავდნენ ისინი ერთი მეორეს... და ამ ღამით ავი სულებიც იმიტომ მოკალათებულიყვნენ ხეებზე და თვალს არ აშორებდნენ ამ მოსიყვარულე ცოლ-ქმარს, რომ ხვალ საშინელი წივილ-კივილი დატრიალებულიყო ამ სახლში, რომ ხვალ თვალაც-რემლებული პატარა დადევნებოდა განწირულ და ხელებშეკრულ მამას, რომელსაც ჭარისკაცი ხიშტით წაუბიძებდა. ისიც წაიბორძიკებდა და წიაქცეოდა. ჭარისკაცი კი წისლს ჩატელდა მიწაზე გაშელართულ ხოჭას. მერე კი დაცინვით წამოაყენებდნენ დამცირებულ ადამიანს. ამის მხილველი ცოლიც წივილ-კივილს მორთავდა და ხმახახლებილს გონებაც დაებინდებოდა. გონს მოსული თვალს შეავლებდა შიშისაგან დამფრთხალ, ტალ ამოგანგლულ დაოსებულ შვილებს და მწარედ აქვითინდებოდა.

ვიღაცამ დააბრახუნა კარზე და ხოჭაც გამოერვა.

— ცუდად არის, ქალო, საქმე! მგონი ჩეკისტები უნდა იყვნენ, — თქვა ეფენდიმ

და ფანჯრიდან გადაიხედა. ეზოში შეიარაღებული ჭარისკაცები იდგნენ...

ცოლმა გუმანით იგრძნო მოსალოდნელი უბედურება. მიგარდა გაშებულ ქმარს და კისერზე ჩამოეკიდა.

კარი ძალით შემოამტვრიეს და შინსახომის უფროსმა თავისი მაუზერი ხოჭას დაუმიზნა, — არ გაინძრე! — დაიღრიალა, შენ დაპატიმრებული ხარ!

ხოჭამ თავი მაღლა აიღო და შინსახომის უფროსს მკაცრად მიმართა:

— თქვენ არღვევთ ადამიანის უფლებებს! თავს ესხმით ღამით და აწიოკებთ ოჯახს.

— ეს ოჯახი არ არის, ეს არამზადების ბუდეა და ჩვენ ცეცხლს წაგუკიდებთ ამ ბუდეს.

— იცი თუ არა, შე არამზადავ, რომ...

— დაიღრიალა შინსახომის უფროსმა და მაუზერის ლულა ახმედ ეფენდის ჯერ ცხვირთან, მერე საფეხულელთან დაუტრიალა.

— არამზადები თვითონ თქვენა ხართ, მხოლოდ არამზადებს თუ შეუძლიათ უდანაშაულო ოჯახი ააწიოკონ ამ ღროს. სტალინთან გიჩივლებთ!

შინსახომის უფროსმა გადაიხარხა და ამოყრანტალა: — ოპო, მაგარია ა?.. სტალინთან მიჩივლებს... ტროცკისთან, რომ გეთქვა, დაგივერებდი, შენ ხომ მისი აგენტი ხარ, ტროცკისტი, მორალატე!

ხოჭა გაშრა, ერთ ხანს იდგა ასე განუძრევლად, მერე წელში გასწორდა და მტკიცედ თქვა: თქვენ გეშლებათ, მე მხოლოდ სტალინი ვიცი. ტროცკის სახელი არც გამიგონია. ეს ცილის წამებაა, მოგონილია, ჭორია, ჭორი, გიჩივლებთ, გიჩივლებთ...

— ჰო, გვიჩივლე, ხოჭავ, გვიჩივლე... მაგრამ სტალინთან საჩიგარის შეტანას ვეღარ მოასწრებ. მალე გაგისტუმრებთ ჭოჭოხეთში და იქ ლენინთან შეგიძლია იჩივლო... — ირონია გაურია ხმაში. მერე

ლეონიძე ბერიძე

გამოერკვაო თითქოს, მიგარდა შიში-საგან იატაკზე განრთხმულ ბავშვებს და ფეხით იქით მიახვეტა ყველა, სადაც მათი დედა ეგდო და საცოდავად კვნესოდა. ნაბოლარა გოგო მყერდზე ააბობდა დედას და ატირებულმა თავისი პაწია თითებით შეწმინდა ცრემლები. ბიჭები იქვე, ტახტის ჰვეშ შემძრალიყვნენ და შიშისაგან თვალებგაფართოებულები ღნაოდნენ.

ამ სურათის მხილველი ხოჯა თვითონაც თავისი შვილებივით თვალებ-გაფართოებული შეჰყურებდა ოჯახის ამწიოკებლებს. უცებ ზამბარასავით დაიჭიმა, უკან გადახტა და მოძალადეს ისეთი სილა გააწნა, რომ შინსახომის უფროსი მოწყვეტით დასკდა იატაკს. მაგრამ მაშინვე წამოვარდა და არც კი დაფიქრებულა, ისე ესროლა ხოჯას, მაგრამ აიცილა. რკინის ურდულიდან ასხლეტილმა ტყვიამ დედის მყერდზე მიხუტებულ პატარა გოგოს გაუარა მკლავში. ითეთქა სისხლმა და შემზარებად შეჰყივლა პატარამ. მერე მყერდს მოწყდა, იატაკზე დაგარდა და თვალები გადაატრიალა. ბავშვს ჯარისკაცი მიეშველა და ტახტზე წამოაწვინა.

შინსახომის უფროსს მეორედ აღარ უსროლია, მაგრამ ჯარისკაცებს კი უბრძანა, ხელები შეეკრათ ხოჯასათვის და სახლიდან გაეყვანათ. ჯარისკაცებიც მიცვიდნენ ხოჯას, ხელები უკან გაუკრეს და ბორკილი დაიდეს. ხოჯამ გაიბრძოლა, მაგრამ ყოველ მის განძრევაზე სულ უფრო და უფრო უჭერდა ბორკილები. თითები სულ გაულურჯდა. ეწამებოდა ხოჯა, მაგრამ არც ეს აკარა შინსახომის უფროსმა, ზურგიდან მოუარა, მაუზერის ლულა მიადო კეფაზე და წიხლი ჩააზილა. ხოჯა წაბარბაცდა, პირქვე ჩაემხო და სახე საშინელმა ტკივილმა დაუმანჭა. მაინც წამოდგა.

— პატაკიდა, ტროცკისტი! გველი!

— ღრიალებდა შინსახომის უფროსი.

ხოჯამაც ვეღარ მოითმინა და იქით შეუტია:

— ღმერთი ყველაფერს ხედავს და იმან გაარჩიოს, ვინ არის არამზადა. იმას, რაც თქვენ ჩაიდინეთ, მხეციც არ ჩაიდენდა, ისტორია სამართლიანია და მკაცრადაც მოგეთხოვება პასუხი. დადგება ღრო და, ალბათ, თქვენც ასევე შეგიკრავენ ხელებს!

ხმაურზე მეზობლები მოცვივდნენ, მაგრამ ჯარისკაცებმა ახლოს არავინ გაიკარეს.

ხოჯა მაინც გამოიყვანეს სახლიდან და დაღმართზე დაეშვნენ. განწირულ ხოჯას ჯარისკაცები მიათრევდნენ.

ჩაილია დაღმართი. ხოჯამ ერთხელ კიდევ მოიხედა უკან და მწარედ ამოიხვნეში, მიხვდა, უკანასკნელი ხედავდა თავის სახლ-კარს, სოფელს, სადაც ბედისანაბარად ტოვებდა ამწიოკებულ ცოლ-შვილს.

როცა მომხვდურები თვალს მიეფარნენ, მეზობლები შეცვივდნენ დაწიოკებულ ოჯაში პატარა ცანცლ ტახტზე ესვენა გასისხლიანებული, გონწასული დედა კი იატაკზე ეგდო. პატარა ბიჭებს დაბნეულობისაგან ადგილი ვერ ეპოვათ და იქეთ-იქეთ აწყდებოდნენ.

მეზობლებმა ექიმბაში მოიყვანეს. გოგონას ჭრილობა შეუხვიეს. საბედნიეროდ, ტყვია ძვალს არც შეხებოდა, ისე გაევლო რბილში.

შინსახომის ორსართულიანი შენობა ქალაქის განაპიროს იდგა. კვიპაროსების ჩრდილში ჩაფლული უღიმდომოდ გამოიყურებოდა. იგი მნახველში უნებლივ შიშს იწვევდა.

პირველ სართულზე სამი-ოთხი საკანია. ხოჯა პირველ საკანში გამოამზუდიეს, საკანში საშინელი შმორის სუნი იდგა, ციოდა და ისე ბნელოდა, თითსაც ვერ მიიტანდით თვალთან. პირველი ეგონა, რომ მის გარდა აქ

თრავინ იყო. ბორკილებისგან დასიებულ მაჯებს წერწყვით ისეელებდა, მაგრამ თითებიც რომ აღარ ემორჩილებოდა! დაღლილ-დაქანცულმა თვალი მოავლო საკანს, იქნებ ჩამოსაჭდომი ადგილი ენახა საღმე. ორი ნაბიჯი ძლიერი გადადგა და რაცალ რჩილ საგანს წამოედო დაიხარა და ხელით შეეხო.

ნაცემ-ნაგეომს ტანში ურუანტელმა დაიხარა. უნდოდა ეყვირა, მაგრამ ხმას მარც არავინ გასცემდა და თავს შეუძახა.

ხოგა სმენად იქცა. იქით, მის მოპირ-დაპირე კუთხეში, მძიმედ სუნთქვავდა ვიღაც. ხოგამ ფრთხილად შემოუარა და მკერდზე დაადო ყური. მერე ხელი სახეზე მოუსვა და თითები ბლანტმა სითხემ შეუწება. მის წინ ნაცემ-ნაგეომი კაცი ლევდა სულს.

ხოგა წელში გასწორდა. კარისაკენ ზიზღით გადააფურთხა და ცოცხალ-მკვდარი ადამიანი შეანჯრია. კაცი ხმას არ იღებდა.

— ვინ ხარ, ჯანუმ, ვინ? გაიღვიძე ეს რა მოგსვლა? — ჩასძახოდა ხოგა.

უცნობი გონს მოვიდა, თვალები გაახილა, მაგრამ ამ სიბნელეში ვერა-ფერი გაარჩია და ისევ მოხუჭა.

აღარც ხოგა მოეშვა.

— ვინ ხარ, ჯანუმ, ვინ, ხმა ამოიღე!

— ვინ ვარ და ახლა მეც არ ვიცი, ვინ ვარ. ვკვდები მგონია. მაწამეს ამ არამზადებმა, ფეხები გადამიმტკრიეს, ფრჩხილები დამაძრეს. ტროცკისტი ხარო, მეუბნებოდნენ. მე კი წარმოდგენაც არ, მაქს, ვინაა ტროცკისტები. ყოველ ორ საათში გავყავარ დაკითხვაზე, უმოწყალოდ მცემენ, მაწამებენ, სკამზე დამაკრავენ და ჯაჭვით მირტყამენ. უსაი დღეა არაფერი მიჭამია. ალბათ, დილამდე ვედარ გავატან.

პატიმარმა წამოდგომა სცადა, მაგრამ არა, ვერ მოერია თავის დასუსტებულ სხეულს, მუხლებშიც ვერ მოიხარა, ტროცკისტისგან შეპკივლა და

ციც იატაქშე დაეხეთქე კელით.

ხოგა შეაძრწუნა ყოველიცე ამან, წამოიწია უწებლიერ — ალბათ, ასევე მცემენ და მაწამებენ, ფრჩხილებს დამაძრობენ. ვინ იცის, ეგებ დამშანოთ კიდეც. მაინც რას გვერჩიან ისეთი რა დაგაშავეთ, რომ ასე გვიმეტებენ. ჩემი დღე და მოსწორება ხალხს ცემსახური და ესენი კი... რატომ ლოცულობომ? მერე და ვის რას უშლის ჩემი ლოცვა. შენ საბჭოთა ხელისუფლების მტერი ხარ, ტროცკისტიო. ეშმაქსაც წაუღია მაგათა თავი — მაგრამ მომაკვდავი გაახსენდა. ისევ. მისკენ დაიხარა და შეარხია.

— მოკვდა ეს უბედური, — ჩაილ-პარაკა ხოგამ და ჩაიჩექა მომაკვდავის წინ. ირგვლივ სამარისებური სიჩუმე გამეფებულიყო. საკუთარი გულის ცემა ესმოდა ხოგა-ეფენდის.

საკანში საშინალად ციოდა. ყარდა იქაურობა, სუნთქვაც ამიტომ ჭირდა. შიოდა და წყუროდა. პირგამომშრალს აუტანელი ტკივილები ტანჯავდა და გულიც ერეოდა.

უცებ კუთხეში ვიღაც შეინძრა. ეგებ ცოცხალი იყოსო, გაიფიქრა ხოგამ და შეეხმიანა, ვინ ხარო. პასუხის მოლოდინში ვაიტრუნა. ხმას არავინ იღებდა, მაგრამ ისევ განმეორდა ის მისუსტებული ხმა და ხოგაც შეეხმიან მეორედ. ახლაც არავინ უპასუხა. მერე ვირთხამაც გადაუარა ფეხზე და საზარელმა ფიქრმა გაუელვა, — ჩანს ვირთხები ბლომადაა და ჭიმენ მკვდრებს. მეც ამ პატიმრების ბედი თუ მელისო, მეც მაწამებენ, მერე აქ შემომაგდებენ და ეს ვირთხები მეც ასევე ამომჭამენ თვალებს. შიშისაგან გააურევოლა და წამოიწია, მაგრამ ფეხზე ვეღარ დადგა და ჩაიკეცა. თვალებზე ბინდი ჩამოეფარა და იატაქზე გაიშხლართა.

გონს რომ მოვიდა, უკვე გათენ-ბულიყო. გისოსებიანი სანათურიდან, რომელიც გზისკენ იყო მიქცეული,

ქრთალი სინათლე გამოსჭვიოდა. ეზოში, მაღლა აშოტილ ნაძვის ტოტებში ჭილყვავები ირეოდნენ.

სინათლემ საკანშიც შემოაღწია. იატავზე ადამიანების გასისხლიანებული გვამები ეყარა.

მზე სულ უფრო და უფრო მაღლა მიწევდა და ათბობდა და ალამაზებდა ირგვლივ ყოველივეს.

ხოჯა ხედავდა, რა ლამაზი იყო ეს ქვეყანა, სიცოცხლეც როგორ ჩქეფდა, მაგრამ იმასაც გრძნობდა, რომ ყველაფერი ეს მისთვის დამთავრებული იყო. ვინ იცის, როგორ აწამებდენ ხვალ დაკითხვისას და ცოცხალ-მკვდარს ჩამოაგდებდნენ ამ აყროლებულ სარდაფში წინდაწინ გრძნობდა, რა სიმწრით ამოხდებოდა სული ამ ჭოჭოხეთში.

„მინც რისთვის დამიჭირეს, რა დავაშავე, რა ჩავიდინე? ხოჯა ვარ, მერე რა, ჩემს დროს ასე იყო. ეს ვისწავლე, ხალხს პატიოსნად ვემსახურებოდი, კოლმეურნეობა ჩამოაყალიბეს და მე პირველი შევედი, ჩავაბარე შთელი ჩემი მამული, მეც თოხი დავიკავე და სხვებთან ერთად ვმუშაობდი კოლმეურნეობაში. ლოცვა აღარ ჩატარო ჭამეშიონ და აღარ ვლოცულობდი, ბავშვებს ქართული წერა-კითხვა და ანგარიში ასწავლეო და მეც ვასწავლიდი. ჩემთვის თუ ვლოცულობდი ჩუმად, ამით ვის რაში ეშლებოდა ხელი?“ — ფიქრობდა ხოჯა და იცრემლებოდა.

უცებ კარის გასაღებმა გაიჩაკუნა და სარდაფში ორი ახმახი შემოვიდა. აქეთ-იქით მიყრილ გვამებს თვალი შეავლეს და გაუდიმეს ერთმანეთს. — ოპო, უცვე ჩაბარებიან ალლაპს. ა, ბატონებო, ილოცეთ რამდენიც გინდათ. სამოთხეში მოხვდებითო... დროს გაატარებთო!... ისე, აქაც კაი დრო გაგიტარებიან, კბილები დაგიკრეჭიან, რა გაცინებენ, თქვე რჯულძაღლებო, რა?

რა ვიცი, კოლექტივში მუშაობა არ გვინდაო, მიწას არ ჩავაბარებთო. ახლა თქვენ თვითონ ჩაბარდებით მიწას! — ხელები დაიკაპიწეს. მკვდრები კუთხეში, ერთი მეორეს მიაყარეს და ხოჯას მიუბრუნდნენ: — ხვალე შენც ასე მიგაგდებთ კუთხეში, ნახე, რაფერია მარხვა! ჭამე ახლა ქათმის ბარკლები! ასეთი წესია აქ, ხალხის მტრებს ასე უმასპინძლდებიან!

ხოჯამ ვეღარ მოითმინა. უკანა-სკნელი ძალა მოიკრიბა, ფეხზე წამოდგა და ჯალათებს მიახალა: — ხალხს, არ მგონია, თქვენზე დიდი მტერი ყავდეს! ასე უღმერთოდ რომ ექცევით ამ საცოდავ ადამიანებს, არ გრცხვენიან?!

— ესენი კულაკები არიან, ბიძია, კულაკები! — ღრეული წაიმლერა ერთმა, თვალები ცოფიანი ძაღლივით რომ ჰქონდა გადმობრეცილი.

— კულაკების რა უგავთ ამათ? დაფხრეწილ-დაფლეთილი კალოშებით არიან კულაკები? — ვერ მოითმინა ხოჯამ.

— არიან, თუ არ არიან, ახლა შეიტყობ, წამობრძანდით შინსახკომის უფროსთან. შენც კულაკი ხარ, ამერიკული კალოშებით რომ იპრანჭვიდი, გაგპრანჭვენ ახლა! წამობრძანდი! უფროსი გელოდება!

ჯალათებმა ხელი ჰქონეს ხოჯას და წინ გაიგდეს. ხოჯა მიბარბაცებდა, ერთ ნაბიჯს წინ რომ გადადგამდა, შეჩერდებოდა და ჯალათებიც ისევ წაუბიძებდნენ. ბოლოს მეორე სართულზე ასასვლელ კიბეს რომ მიაღწია, შედგა, უნდოდა ძალა მოეკრიბა, მაგრამ ვინ აცალა? ხელი ჰქონეს და ხოჯამაც ვერ შეიმაგრა თავი, კიბის საფეხურს დაეხეთქა და ცხვირ-პირიდან სისხლი გადმოსკდა.

ჯალათებიც მიხვდნენ, რომ ხოჯა თავისით ვეღარ ავიღოდა კიბეზე, საყელოში ჩააგდეს ხელტაფლრეცე ერთ გულ გული გადასკდა

ათრიეს ზევით. საცოდავს ყელში მოუჭირა საყელომ, სულიც ვეღარ მოითქვა, საცოდავდა ახრიალდა, მაგრამ ჯალათებს წარბიც არ შეუხრიათ. ერთმა სახეშიც კი შეაფურთხა ხოჯას და დაცინვით მიახალა: — რა გემდერება, შე უბედურო? ფეხი გადმოადგი წინ! — ჯალათებმა, როგორც იქნა, შინსახკომის უფროსის კაბინეტში შეათრიეს ხოჯა, სკამზე ძალით დასვეს და თავიანთ უფროსს საგანგებო დავალების შესრულების შესახებ ანგარიში მოახსენეს. ამას ისიც დაუმატეს, რომ ხოჯა საკანში მყოფ პატიმრებს წაჩინებებია ღამით და სათითაოდ მიუხრჩია ყველა.

ეს ამბავი რომ მოისმინა უფროსმა, ადგილიდან წამოიჭრა და ყელში ეცა ხოჯას: — შენი დანაშაული არ გეყოფოდა ვითომ, აქაც რომ არ დაგემატებია? პატიმრები დაახრჩვე? ჩამოგვიდებ, ჩამოგვიდებ, შე არამზადავ, თუ კაცი ვყოფილვარ! შე მართლა სისხლისმწოდელო! — ყვიროდა უფროსი. ხოჯამ სული მოიბრუნა და შინსახკომის უფროსს მკავედ მიმართა: — ჩამოსაკიდი მე კი არა, შენ ხარ! სად გაასწრებთ ამდენი ხალხის ცოდვის, სად? ამან კიდევ უფრო გაახელა უფროსი. წელში მოიკუზა და ისედაც სულთმობრძავ ხოჯას მუცელში ჩააზილა წიხლი.

დარტყმა ისე ძლიერი იყო, რომ სკამიც გადაბრუნდა და ხოჯა იატაქზე გაიშხლართა. მაგრამ გონს მალე მოიყანეს. სკამზე დასვეს და დაკითხვაც დაიწყო.

შინსახკომის უფროსი მედიდურად გაჯგიმულიყო სავარძელში და ხოჯას ეკითხებოდა: — იცი, რისთვის დაგაბატიმრეს?

— არა!

— ტყუი!

— ნამდვილად არაფერი ვიცი!

არასდროს არავისთვის არაფერი დამი-

შავებია...

— ჩვენ ყველაფერი ვიცით. აი, აგერ მიდევს შენი მეზობლების მიერ მოწოდებული შეტყობინება. გნებავს, წაგიკითხავ.

— წამიკითხე.

შინსახკომის უფროსმა სათვალე გაისწორა და კითხვა დაიწყო: — ხოჯა ეფენდი ტროკისტია. ეწევა ანტისაბჭოთა პრობაგანდას. მოუწოდებს გლეხობას, არ შევიდნენ კოლმეურნეობაში. კავშირი აქვს თურქეთის დაზვერვის აგენტებთან. ჩუმად ხვდება მათ და აწვდის ცნობებს, — შინსახკომის უფროსმა კითხვა დაამთავრა, ხოჯას თვალი თვალში გაუყარა და ჰკითხა: — სწორია?

არაო, იყო პასუხი.

— ტროკისტი ხარ!

— არც ვიცი, რას ნიშნავს ტროკისტობა!

— თურქეთის აგენტებს ხვდები?

— სად უნდა ვნახო თურქეთის აგენტები?

— ტყუი, შე არამზადავ, ტყუი! — იყვირა შინსახკომის უფროსმა და ზეწამოიჭრა. მხეცივით მიგარდა სკამის საზურებეზე ხელებით მიკრულ ხოჯას და ფეხი მთელი ძალით ჩაარტყა მუცელში. ხოჯამ გრძნობა დაკარგა. ერთმა ჯალათმა ვედროთი წყალი შემოიტანა და გონწასულ ხოჯას სახეზე დაასხა. ხოჯამ გაახილა თვალი.

— აღარ გამოტყდები, აღარა? — გავ ყვიროდა გაცოფებული შინსახკომის უფროსი და რეზინის ხელკეტს გამეტებით ურტყამდა საცოდავ ხოჯას. ხოჯამ მეორედაც დაკარგა გრძნობა, მაგრამ სკამიდან აღარ გადმოვარდნილა. წინ წამოიწია როგორლაც და სახე უცნაურად მოექცა. ცხვირ-პირიდან თქრიალით სდიოდა სისხლი. შინსახკომის უფროსი კი მაინც განაგრძობდა თავის საქმეს.

ლენიდე ბერიძე

შე სულ უფრო და უფრო აჭერდა. ქვევით კი თავის ტალღებს ბერიკაცივით, ხვეწით მიაგორებდა აქარისწყალი. ალბათ, გრძნობდა, რომ ამ პატარა ხეობაში, რომელიც ადამიანების გასახარებლად. შეექმნა ღმერთს, საშინელი ტრაგედია უნდა დატრიალებულიყო.

არაო, იყო პასუხი.

ხოჯა გონს მოეგო. წელში გასწორდა. სახეზე ორივე ხელი ჩამოისვა, დახედა თავის გასისხლიანებულ ხელისგულებს, თავი აქეთ-იქით დანანებით გადააქნია, მწარედ ამოიგმინა და ხელი შინსახკომის უფროსისაკენ გაუშვირა: — ა ა, დალიე სისხლი, სისხლისმსელო, დალიე! რაღას მიყურებ? თქვენ გგონიან, კეთილშობილურ საქმეს ემსახურებით, თითქოს დიდ საქმეს აკეთებთო... მე ვიცი, რომ აქ პირველი არ ვარ, სამწუხაოოდ არც — უყანასკნელი. მე ყველაზე უფრო ის მაწუხებს, რომ თქვენ და თქვენისთანები, სანამ „კომუნიზმის“ ცრუ იდეებით გადაგხურებიათ თავები, მალე მიხდებით, რომ ეს ბოროტებაა, ამაზე დიდი ბოროტება არც მოუგონებიან ადამიანებს. შეიძლება აწი მილიონობით ადამიანის სისხლი დეილ-ვაროს, დაობლდებიან მილიონობით ბავშვები, დაქვრივდებიან მილიონობით ქალები... ერთ დროს ალბათ, თქვენც აგებთ პასუხს ყოველივე ამისათვის.

ამან ხომ სულ გააცოფა შინსახკომის უფროსი და ისევ შეუტია თავის მსხვერპლს: — ნუ ფილოსოფოსობ, ხოჯა! გიჯობს დამნაშავედ ცნო თავი და ხელი მოაწერო ამ საბრალდებო დასკვნას.

— არა, ჩემო ბატონო, არაფერი მიქნია ისეთი, რომ საბრალდებო სკამზე დამსვან. ყველაფერი ჭორი და მოგონილია. მე ამას ხელს არ მოვაწერ!

— არ მოაწერ და ნუ მოაწერ, ამას

დიდი მნიშვნელობა არცა აქვს! მაგის გარეშეც ჩამოგკიდებენ!

— ეგ მეც ვიცი, თქვენ ყველაფერი შეგიძლიან, ალბათ, არც იმათ მოუწერიან ხელი, წუხელ თქვენი ნაწამები ადამიანები რომ დეიხოცენ კამერაში.

— არა, ისინი შენ დახოცე! ისინი გუშინწინ დავაპატიმრეთ და ჯერ არც ერთი არ დაგვიკითხია.

— გინდათ თქვენი დანაშაულიც მე გადმომაბრალოთ?

— აქ, საბრალდებო დასკვნაში გიწერია, რომ ღამით საკანში ხოჯამ წაეჩუბა პატიმრებს და დაახრჩო!

— ნუთუ სინდისის ძარღვიც გაგიწყდათ შუბლზე?! — აღმოხდა ხოჯას, როგორ შეიძლება ხელებზე ბორკილდადებულმა ერთმა კაცმა სამი კაცი დაახარჩოს?!

— არხეინად ბრძანდებოდეთ, დიგვიჯერებენ!

— ალბათ, მეც ასევე მომკლავთ და ჩემს სიკვდილს ვინმე ახლადდაჭერილს გადააბრალებთ, მერე იმასაც ასეთივე ღლეში ჩაგდებთ და... ასე გაგრძელდება! ეს მაინც რაფერ გამეიგონეთ?! ნიჭიერი ბრძანებულხართ, ბატონო უფროსო, — თქვა ხოჯამ და შინსახკომის უფროსს თვალებში შეაფურთხა.

შინსახკომის უფროსმა ხელით ჩამოიხოცა ფურთხი, მერე მიუახლოვდა ეს უკეთესობა მერამდენედ, ხოჯას და მუცელში ჩაარტყა ფეხი. საცოდავი ხოჯა სკამიდან გადავარდა და გრძნობა დაკარგა.

შინსახკომის უფროსი შემოტრიალდა. თავის მაგიდასთან მივიდა და ღილაკს დაჭირა თითო.

ოთახში ორი აყლაყუდა შემოვიდა. კარებთან დადგნენ.

— რას გვიბრძანებთ, უფროსო, ხომ არ დავამატოთ?

— მგონი აღარ დაჭირდება. გაათრიეთ! — ძუნწი და არაადამიანური

ზიზღით აღსავსე იყო მისი ბრძანება. ჯალათებმაც ფეხებში ჩავლეს ხელი გულწასულ ხოჯას და კარისკენ წათორიეს.

კართან მისულებს უფროსმა მიაძახა: — ისევ პირველ კამერაში! იქ ახალდაჭერილები იქნებიან... თუ მოკვდა, ამის მმაგსაც იმათ გადავაბრალებთ. ხომ გეიგეთ? თუ არ მოკვდა, დაკითხვას ხვალ გავაგრძელებთ!

შინსახკომის უფროსს სისხლის ლაქები ზედ ტანსაცმელზე შეხმობოდა, პრიალა ჩემებიც გასისხლიანებოდა.

სისხლის ლაქების ჩამოსარეცხად მეორე ოთახში გავიდა. ხელსაბანის გვერდით დადგმულ სარკეში ჩაიხედა. თავის ორეულს თვალი ჩაუკრა და კმაყოფილებით ჩაილაპარაკა: — ყოჩალ შენ, ნიკიფოროვიჩ, ნიკიფორას ბიჭო, ასე უნდა ამ არამზადებს, ტროცკისტებს, მავნებლებს, ხალხის მტრებს...

კიდევ რაღაც უნდოდა ეთქვა ნიკიფოროვიჩს, მაგრამ ვედარ მოიგონა და კეფი მოიფხანა, თავის თავს უკვე მეორედ ჩაუკრა თვალი სარკეში და სისხლის ლაქების ჩამობანას შეუდგა.

ბოლოს, როგორც იქნა, „ასე ნაჯაფიარმა“ ნიკიფოროვიჩმა „წესრიგში მოიყანა თავი“, კაბინეტში შებრუნდა და რბილ სავარჩელში გაიშიმა.

პატიმარი კი ისევ პირველ საკანში შეაგდეს. როცა გონს მოვიდა, უკვე ბნელოდა. წამოიწია, მაგრამ ვეღარ წამოდგა, თავი დამძიმებოდა და უსაშველოდ ტკიოდა, სახსრებშიც ტეხდა, ზურგიც ეწვოდა. უნდოდა ეყვირა, მაგრამ ამაოდ ისევ სცალა წამოდგომა, მაგრამ ვეღარ შეძლო.

საკანში ჭოჭოხეთურად ბნელოდა. ამ სიჩუმეში ისევ ვირთხები თუ გაიზირითებდნენ და ისევ ჩამოწვებოდა ხოლმე ყოვლისმომცველი მყუდროება.

ხოჯამ ნაშუაღამევს გაახილა თვალი. ახლა კი მოერია თავს და წამოდგა სახეზე

ხელი ჩამოისვა და შემხმარი სისხლი ჩამოიფშვნა:

„არამზადები, — ფიქრობდა ხოჯა — რა უნდათ ჩემგან, ვის რა დავუშავე? იმ დროს ასე ასწავლიდნენ და მეც ასე ვისწავლე. ადამიანებს კაცმყვარეობას ვასწავლიდი, გამტანიანობას, წესიერებას. არ მოიპაროს, არავის მიაყენოს შეურაცყოფა, ტანი, ხელფეხი დაიბანოს, ილოცოს დღეში სამჯერ, ეს ხომ სისუფთავეა! ლოცვაც ხომ ადამიანის სხეულისა და სულის თავისებური გარჯიშია!“

ლოცულობს ადამიანი დღეში სამჯერ. დღეში სამჯერ წარდგება ღვთის წინაშე და ლოცვას აღავლენს მის სახელზე, ევედრება, პირობას აღუთქვამს, რომ წმინდად და პატიოსნად იცხოვრებს, არ მოიპარავს, არავის არაფერს დოუშავებს, განა ეს არის ჩემი დანაშაული?“ — ამ ფიქრებში იყო ხოჯა, რომ უცემ გაიღო რკინის კარები და საკანში ორმა აყლაყუდამ შემოალავ. წინას ფარანი ეჭირა ხელში და უშნოდ იღრიჯებოდა, უკანას კი პაწია ჭურჭლით რაღაც სალათავის-ნაირი რამ მოპქონდა.

ისინი შუა საკანში დადგნენ და კედელზე ზურგით მიყრდნობილ ხოჯას პატარა ქვაბი დაუდგეს წინ.

— ავერ, ხოჯა, სამარხულო საჭმელი მოგიტანეთ, კარგად იმარხულე, არა? ესეც ჩახეთქე და პირდაპირ ჯენეტში მოხდები! — ხმამაღლა გაუცინა ერთ-ერთმა აყლაყუდამ.

— მაღლობელი ვარ, — თქვა ხოჯამ, — მე თქვენთვისაც ვიმარხებ, იქნებ ღმერთმა ჭიუაზე მოგიყვანონ და იქნებ თქვენს შთამომავლობას მაინც მისცეს იმდენი ჭიუა, რომ ამისთანა რამე აღარ გეიმოროს და ასეთ ბოროტებაზე ხელი აიღოს.

— კაი ფილოსოფოსი ხარ, ხოჯა, ბრალია, აქ რომ შემოგამწყვდიეს,

მაგრამ რას იზამ?! შენ ეს ჩახეთქე და დანარჩენებზე მერე ვილაპარაკოთ! — ახლა ის აყლაყუდა გაუწყრა ხოჭას, ფარანი რომ ეჭირა ხელში და სალაფავიანი ქვაბი კიდევ უფრო ახლოს მიუჩინა ფეხით.

ხოჭამ უკმაყოფილოდ გააწნია თავი და დასძინა: — შენს უფროსს მიუტანე ეს ქვაბი და კარგად შეინახოს. ერთ დროს შეიძლება მასაც დასჭირდეს! — საჭმელს არ გაკარებია, მაგრამ მცველები აღარ მოეშვნენ:

— მოკდები, შე საცოდავო, მშეერი!

— შეუყვირა მცველმა.

— რაც უფრო აღრე მოხდება ეს, უკეთესია ჩემთვის. თქვენ იკითხეთ, თორემ მე არავისი ცოდვა არ მიმყვება ამ ქვეყნიდან. თქვენ კი მიწაც არ მიგილებთ!

— მაგი, ხოჭავ, შენი სადარდებელი აღარაა, ჩვენ პატიოსნად ვემსახურებით ხელისუფლებას და უხვადაც გვაჯილდოვებს.

— კაცის მოკვლისთვის გაჭილდოებენ?

— ჩვენ კაცებს არ ვერჩით, ჩვენ ტროკისტებს და მაგნებლებს ვანადგურებთ!

— მაინც ვინ იყო ის შეჩვენებული ტროკი, რომ მაგის სახელით ამდენ ხალხს ულიტავთ?

— მცველებმა ერთი მეორეს გაყირდებით გადახედეს, მართლა ვინ უნდა იყოს ეს ტროკიო?

— ჰო, თქვით, ვინ იყო? რას გაჩუქრებულხართ? ენა ხომ არ გადაიყლაპავთ?

— ჰო, მართლაც ვინ იყო, ჰო, — შეესიტყვენ ერთი მეორეს მცველები.

ახლა წადით და თქვენს უფროსს ჰქითხეთ, შეიძლება მანაც არ იცოდეს, — დაარიგა ხოჭამ მცველები და ზურგი შეაქცია მათ. იმათაც აღარ დაახანეს და უხმოდ გაიძურწნენ საკანიდან.

კარის გასაღებმა გაიჩხაკუნა და

საკანში სამარისებური სიჩუმე ჩამოწვა.

ხოჭა ჩაჯდა ძირს და მწარე ფიქრებს მიეცა: — ნუთუ ეს სამართალია, ვიცოდე მაინც, რას მერჩიან? — თვალშინ ისევ დაუდგა თავისი დაწიოკებული ოჯახი, იატაკზე უგონოდ დაგდებული ცოლი, შიშისაგან საწოლქვეშ შემძრალი პატარა ბიჭები და სისხლში მოსვრილი პატარა გოგო, გრძნობადაკარგულ დედას რომ ეკვროდა და დაუბატიუებელ ჯალათებს ზიზლით შეპყურებდა. ვიცი, აქედან ვეღარ გავალწევ, მაგრამ რა ეშველებიან ჩემს შვილებს? არ გაახარებენ „მავნებლების“ შვილებს და ტროკისტის შვილებს დაუბახებენ.

მართლაც რომ საშინელება დატრიალებულიყო დაპატიმრებული ხოჭის ოჯახში: ქალი მოასულიერეს, მაგრამ კივილით აიკლო იქაურობა, თმებს იწეწავდა და სახეს იხოკდა. კედელზე ურთყამდა თაგს. ბიჭებიც გარს შემოხვეოდნენ გამწარებულ დედას და საცოდავად ზლუქუნებდნენ. შიშისაგან აცაცცახებული გოგონა თავის გასისხლიანებულ ხელს დაპყურებდა და უკანკალებდა ხმა.

მეზობლები ქალის დამშვიდებას ცდილობდნენ, მაგრამ ამაოდ. იცოდა ფატიმ, რაც მოელოდა მის ქმარს და შიშობდა, არ გაეციმბირებინათ ისიც, გაუბედურებულმა მართლაც აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო.

უმეტესად ქალები მოდიოდნენ მის სანუგეშებლად. მამაკაცებს ეშინოდათ, ჩვენც არ მოგვდონ რაიმე შარიო და არ გაგვაციმბირონო. იცოდნენ, ხოჭას ოჯახი ახლა განსაკუთრებული კონტროლის ქვეშ იქნებოდა და ამიტომაც გაერიდნენ. დამსმენები კი სოფელში მრავლად იყვნენ, ხალხში დაძვრებოდნენ და „საჭირო“ ინფორმაციებს აგროვებდნენ. ხალხის გასაგონად მთავრობასაც კი აგინებდნენ, იქნებ აუგი, სალანძლაც სიტყვა წამოცდენოდა ვინმეს და ამბავიც

იქ მიტანათ, საღაც ჯერ არს.,

მორწმუნენი კი მარხულობდნენ. ზოგჯერ კომკავშირელი აქტივისტები კოლმეურნეობაში სამუშაოდ გამოსულ გლეხებს კანფეტებსაც ურიგებდნენ, ვნახოთ შეჭამენ თუ არათ და მომარხულეთაც რაღა გზა პქონდათ, არღვევდნენ მარხვის. ბევრმა არც იცოდა, რომ იძულებით გატეხილი მარხვი შარიათის კანონით მარხვის დარღვევად არც ითვლებოდა და ცოდვაც მარხვის გამტებს მიეწერებოდა.

კარი ბრიანუნით გაიღო ამ დროს და საკანში ვიღაც შემოაგდეს, თან მოაყოლეს: — ძაღლის შვილო, შე მართლა არამზადავ, ხალხის მტერონ და ტროკისტო, სული ამოგხდეს შენც!

იმ უბედურმაც თავი ვეღარ შეიმაგრა, კედელს მიენარცხა და ცემენტის ცივ იატავზე მოადინა ზღართანი.

ხოჯა ერთხანს იჯდა და ხმას არ იღებდა, მწარე ტკიფილებით შეწუხებულსა და დაუძლურებულს განძრევის თავიც აღარ პქონდა.

პატიმარი საბრალობლად კვნესოდა და შეელას ითხოვდა, არავინ ხართ, მომეშველეთ, ხალხო. მიშველეთ, მომკლეს ამ არამზადებმათ.

ხოჯამ ვეღარ მოითმინა, გაჭირვებით წამოდგა და საკანის ახალ ბინადართან მივიდა. — ვინ ხარ, შე უბედურო, რაზე დაგიჭირეს? — თანაგრძნობით პქითხა.

— აბა, ჩა ვიცი, რაზე დამიჭირეს, რას მემართლებიან? ბრიგადირად ვმუშაობდი. ყველაფერს სწორად ვაკეთებდი. ბრიგადაში მინერალური სასუქი მივიღეთ, ყველას სწორად გავუნაწილე. ყველა კილოგრამი შეტანილი იქნა ნაკვეთში. ვიღაცამ გამასაჩივრა, რომ მინერალური სასუქი ჩვენ არ მოგვცა და წყოლში გადაყარაო. მავნებელი ხარ, ხელს უშლი საკოლმეურნეო წყობილებასთ და დახვრეტის მუხლი მომიყენეს. მცემეს,

მაწამეს, თავზე რაღაც რკინის სალტე ჩამომაცევს და მომიჭირეს, ტკიფილისაგან გრძნობა დაგვარებე, მაგრამ მომასულიერეს და ისევ მომიჭირეს სალტე. ყურებიდან და ცხვირიდან სისხლის დენა დამეტყო. შემატყველს, კლებაო და აქ შემომაგდეს.

ხოჯა დაიხარა. სახეზე ხელი მოუსვა, კაცი სისხლში ცურავდა და ხოჯას გააქრუოლა. მერე დამშვიდდა თითქო და ფიქრებმა წაიღეს.

გათენდა. პატიმარი ნელ-ნელა მოდიოდა გონს. ბოლოს წამოიწია კიდევ და დიდი წვალებით წამოჭდა, შემხმარი სისხლი ჩამოიცუნა სახიდან და ხოჯას მიაჩერდა: — თქვენ რაზე დაგაპატიმრები?

— გაიგონა ხოჯამ ათრთოლებული ხმა და ფიქრებიდან გამოერკვა:

— ჩა ვიცი, ტროკისტი ხარო, თურქეთის აგენტებთან გქონია კავშირი, გლეხობას საკოლმეურნეო წყობილების წინააღმდეგ ამხედრებო, — უბასუს ხოჯამ და უიმედოდ ჩაიქნია ხელი.

— ისე, შენ სტამბულში სწავლობდი და ვინ იცის, იქნება მართლა გქონდა კავშირი იქაურებთან, ეს არცაა გასაკვირი. ძველ ამხანაგებს კაცმა რომ მიწერონ ხანდახან, რაა ამაში ცუდი?

— ასეთი წერილი ერთ-ორჯერ მართლაც მივწერე ჩემს ყოფილ მეგობრებს, მაგრამ მთაცრობაზე სიტყვაც არ დამცდენია. პოლიტიკა ჩემი საქმე არა! გავრით ვწერდი, ჩვენთან კოლმეურნეობებს აყალიბებენ და გლეხობა უკმაყოფილებას გამოთქვამს.

— თურქეთიდან ჩამოსულ ხოჯებს ხომ ხვდებოდი ბათუმში?

ხოჯას აღარ მოეწონა პატიმრის კითხვები და სახე მოეღრუბლა:

— შენ რა, გამომძიებელივით რომ მეკითხები, გმოგზავნილი ხომ არ ხარ?

— რის მოგზავნილი, მე ჩემი გასჭირო მაქ, მეც შენსავით პატიმარი ვარ და სახრჩობელი არ ამცდება. ტროკ

ლეონიძე ბერიძე

კისტი ხარო, არ ვიცი, რას ნიშნავს ეს...
 — ალბათ თანდათან შეიტყობ,
 რასაც ნიშნავს მაგი, — უთხრა ხოჭამ და
 განზე გადგა.

ცოტა ხნის შემდეგ პატიმარი ისევ შეემიანა ხოჭას, აქედან რომ გეიცე, თურქეთში ნაცნობები გეყოლება შენ და... მე, აქ ერთმა შემბირდა, კარს გაგიხსნიო, მაგრამ მარტო ვერ ვპედავ, არც გზა ვიცი და არც ნაცნობი მყავს ვინმე თურქეთში, რომ შევეცდლო და ხომ არ წამომყებიო. ხოჭა მიხვდა, სინამდვილეში ვინც უნდა ყოფილიყო პატიმარი, მაგრამ არ შეიმჩნია, თავი მოიკატუნა და ისე, სხვათაშორის, უბასუხა: — წამოვალ, სულ ერთია, აქ მაინც მომკლავენ.

— თუ კარი, გაგვიღეს, მართლა გეიპარები ჩემთან ერთად?

— რა თქმა უნდა, მაგრამ ჯობია შევწყვიტოთ ამაზე ლაპარაკი!

— რატომ? გეშინია? ჩვენი ხომ არავის ესმის? ჩვენს ორგანიზაციის მართლაც აქვს კავშირი თურქეთის დაზვერვასთან... იქნება იცნობდეთ ვინმეს ამ ორგანიზაციიდან და...

აქ კი ავსო მოთმინების ფიალა ხოჭას და მკვანედ მიახალა ლაპარაკის ხასიათზე მოსულ პატიმარს: — მე აქ ერთ კაცს ვიცნობ და ის ერთი კაცი შენ ხარ!

ალბათ, მალე ეს საუბარი ჩხეუბშიც შეიძლება გადაზრდილიყო, რომ გაიღო კარი და საკანში ორი აყლაყუდა მცველი შემოიჭრა. არც კი შეუხედავთ ხოჭისთვის, ისე სწვდნენ ქეჩიში იმ ახალ პატიმარს და საკანიდან წაათრიეს. მაგრამ ნახევარი საათის შემდეგ ისევ დაბრუნდნენ და გამოგვყევიო, ანიშნეს ხოჭას.

ხოჭაც წამოდგა და გაჰყვა მცველებს. კიბის თავზე, ხელმარცხნივ, კაბინეტის კარი შეაღეს და ხელი ჰკრეს ხოჭას. ხოჭამ წაიბორძიკა, მაგრამ არ

წაქცეულა. გასწორდა წელში.

ფართო მაგიდას სათვალიანი, შუახნის მამაკაცი დაყრდნობოდა ხელებით. წინ ქალალდების დასტა ელაგა. კედელზე უზარმაზარი რუქა ეკიდა. მისგან, ხელმარცხნივ — სტალინისა და ბერიას სურათები.

დამხვდური თავაზიანად მიესალმა ხოჭას და სკამზე მიუთითა. ხოჭაც დაჯდა და ფანჯარაში დაიწყო ყურება.

მე ცენტრიდან ვარ მოვლინებული საგანგებო საქმეების გამოსაძიებლადო, გამოეცნაურა სათვალიანი კაცი ხოჭას.

— ალბათ საგანგებოდაც იქნებით მომზადებული. ისე იქცევით ერთი შეხედვით, თითქოს ხალხის მეგობარი იყოთ და საყოველთაო ბედნიერების დამკვიდრებას ცდილობდეთ...

— ოჰო... არც ისე უბრალო პატიმარი ბრძანებულხართ თურმე! თქვენ ფილოსოფიურადაც კი აზროვნებთ. მოდით და ჩვენც წავიფილოსიფოსოთ...

— უდანაშაულო ადამიანების მასიური ჟლეტა, გაუგონარი ძალადობა და წამება თქვენი ფილოსოფია. არა მგონია, მარტო ამ თქვენს ფილოსოფიას ცნობდეს ბელადი!

— თქვენ რა, თავი უდანაშაულო გვონიათ?

— მე ტროცკისტობას და თურქეთის აგენტობას მაბრალებენ, ვიღაც-ვიღაცეების ნაჯღაბნს არც კი ამოწმებთ, ისე აგყავთ პატიოსანი ადამიანები პატიმრობაში და წამებით ხდით სულს...

— ჩვენ უკვე შეგმოწმეთ! — თქვა გამომძიებელმა დაცინვით და თითი დააჭირა ლილაკს. კარი იმწამსვე გაიღო და ოთახში ჩეკისტის ფორმაში გამოწყობილი წუხანდელი „პატიმარი“ შემოვიდა. გამომძიებელმა ხელით ანიშნა ხოჭას ამ კაცზე და უთხრა: — ხომ უთხარით ამ „პატიმარს“, რომ თურქეთში მეგობრები გყავს და თუ კარი გაგიხსნეს, თურქეთში გაიქცევითო?

— თურქეთში რომ გსწავლობდი, ეს მართალია, მაგრამ დიდი ხნის წინ იყო ეს. მართალია, მეგობრებიც მყავს იქ — ჩემი თანასკოლელები, მაგრამ იმ ხალხს არავითარი კავშირი არა აქვს პოლიტიკასთან. ისინი რწმენას და სარწმუნოებას ემსახურებიან, როგორც მე.

— ერთ თქვენს მეგობარს ხომ მიწერეთ, ხალხი კოლმეურნეობის შექმნით უკმაყოფილოა?! — იყვირა გამომძიებელმა და მაგიდაზე დაბრახუნა მუშტი.

— აი თქვენი ნამდვილი სახე, თქვენც თამაშობთ კეთილი ჩეკისტის როლს, — გაელიმა ხოჯას, — მართალია, კოლმეურნეობის შექმნას ხალხი უკმაყოფილოდ შეხვდა, მაგრამ განა შეიძლება აჭარელ გლეხს მიწა ჩამოართვა, როცა შიმშილობს? ეს შეცდომა კი არა, დანაშაულია! დადგება დრო და ის არტახები, რომლებშიც ხალხი მოაქციეს ბოლშევიკებმა, სულს ამოხდის გლეხს და ქვეყანაც გაჩინაგდება!

— თქვენ მართლაც მაგარი გაგებული კაცი ბრძანებულხართ, ხოჯავ, — დამცინავად ჩაილაპარაკა გამომძიებელმა.

— გლეხი რომ მიწას შეაქცევს ზურგს, თქვენც გამათხოვრდებით, მაშინ გერგებთ ყველაფერს, მაგრამ გვიანი იქნება უკვე. ამას მომავალი თაობები არ გაპატიებენ და შეგაჩვენებენ! თქვენს ლოზუნგებს კი ხალხი სამარცვინო ბოძებზე გააკრავს! — ხოჯამ სული მოითქვა და თვალი გაუსწორა გამომძიებელს. აქ კი ვეღარ გაუძლო გამომძიებელმა, ნიღაბი ჩამოიხსნა და არაადამიანური ხმით იყვირა:

— გაჩერდი, ხმა ჩაიწყვიტე, თორემ აქვა დაგხვრიტავ!

— რომ დამხვრიტავთ, ეს უკვე ვიცი, განწირული რომ ვარ და რომ ვერავინ მიხსნის, ესეც ცხადია ჩემთვის, რომც ვიტირო, ფეხებზე მოგეხვიოთ და

პატიებაც გთხოვოთ, მაინც გამწირავთ! მაგრამ მაინც ვეცდები, შეგაგნებინოთ, რომ მცდარია თქვენი გზა, ბოროტი გულით სიკეთეს ვერ მოიძიებთ! თქვენ დახვრიტავთ ათასობით ადამიანს, იქნებ მილიონობითაც, ყველას მაინც ვერ მოერევით! ხალხის მეხსიერებაში ოდესმე მაინც ამოტივტივდება იმ უგუნური ხოცა-ულეტის კვალი, თქვენ რომ მოაწყვეთ. ამ თქვენს კვალს დროუმიც ვეღარ წაშლის!

ხმაც არ ამოუღია ამის შემდეგ გამომძიებელს. მაგიდასთან მივიდა და იმ „ცრუ“ პატიმარს ანიშნა, გასულიყო გარეთ. ისიც გავიდა კაბინეტიდან და გამომძიებელიც ჩაჯდა თავის სავაზელში მაგრამ მაშინვე წამოდგა და ხოჯას ჭიქურ ჰკითხა: — რა განათლება გაქვთ, ეფენდი?

— უმაღლესი სასულიერო განათლება!

— ჭივიანი კაცი ხარ, ეფენდი. იქნებ შენ მართლაც მართალი იყო, მაგრამ სამწუხაროდ ვერაფერს გიშველი. ახლა ცენტრში გადაგაგზავნი და იქ ვახოთ...

— ზარის ლილაკს დააჭირა თითი და მცველებიც შემოცვივდნენ. აქ გამომძიებელმაც უცებ იცვალა სახე და ბრძანა: — გაათრიეთ ეს არამზადა!

ხოჯა გაიყვანეს მცველებში. გამომძიებელი დიდ ხანს იდგა ასე გაუნძრევლად და ვინ იცის, როდემდე იქნებოდა ასე, ტელეფონს რომ არ დაერეკა ცენტრიდან, შემდგომი გამომძიებისათვის პატიმრები ცენტრში უნდა გადაეგზავნათ.

ხოჯას ათამდე პატიმარი დახვდა საკანში, მაგრამ ხმა არავისთვის არ გაუცია. დაჯდა კუთხეში თავისთვის და ფიქრებს მიეცა.

ისევ თავისი აწიოკებული ოჯახი დაუდგა თვალწინ.

იმედგადაწყვეტილს მკვდარივით ჩაეძინა. ოჯახი ესიზმრა. ისევ ძველ-

ბურად ეალერსებოდა ცოლი, პატია გოგო მუხლებზე ესვა და ბიჭებიც იქვე თამაშობდნენ, მაგრამ უცებ დაიქუხაოთ თითქოს, მეხი დაეცა ბუხარს, გვერდზე გადაწვა სახლი და ხანძარი მოედო იქაურობას.

ოფლში გაწურული ხოჯა ადგილიდან წამოიჭრა და შემზარავი ხმით იყვირა: — გვიშველეთ, ვიწვით, გვიშველეთ, ხალხო!

საშინელმა სიშმარმა ხოჯა გამოაღვიძა და საკანს გადახედა. ვიღაცა საცოდავად კვნესოდა და გაჩენის დღეს იწყევლიდა.

გათენდა, ნელ-ნელა ამოდიოდა მზე. საკანის კარი უცებ გაიღო და. შინსახკომის უფროსი შემოუძღვა ჭარისკაცებს. კუთხეში მიყუჟულ ხოჯას ნაძალადევად გაუღიმა: — როგორ ხარ, ეფენდი, ხომ იმარხულე სამი დღე? — დამცინავი იყო მისი ხმა, — ახლა ცენტრში გააგზავნი და იქ სულ რბილ-რბილ ფუნთუშებს მოგაროვევნ, იქნებ ქათმის ბარკალიც მოგიწიოს... ვიცი, ქათმის ხორცი გიყვართ ხოჯებს. ჩვენ თქვენზე ყველაფერი ვიცით. კი გამხდარხარ, მაგრამ ერთბაშად მოიკეთებ!

არც ხოჯა მორიდებია შინსახკომის უფროსს და მოურიდებლად უთხრა: — იცი, უფროსო, ქვეყანა ბრუნავს! ვინ იცის, იქნება საქმე ისეც შებრუნდეს,


რომ იმ ფუნთუშების ჭამა შენც მოგიწიოს მალე ცოდვა არავის შერჩენია! შენ კი... მანელა ბოროტმოქმედი ხარ, არამზადა, რომ არ მგონია, დაგინდოს და გაპატიოს ღმერთმა!

შინსახკომის უფროსი უკვე ყურადღებასაც არ აქცევდა ხოჯას და ბრძანებდა: — გაიყვანეთ! ისიც, ისიც გაიყვანეთ!

და ჭარისკაცებსაც ერთი მეორის მიყოლებით გაპყავდათ პატიმრები სატუსალოდან და საპატიმრო მანქანაში ამწყევდნენ. ჭერი ხოჯაზეც მიდგა, ხელი ჩავლეს და ძალლივით გაიგდეს წინ.

გარეთ რომ გამოვიდნენ, ხოჯამ ხელები აღაპყრო მაღლა და ლოცვა აღავლინა ღვთის სახელზე. კი მოასწრო მშობლიური მხარისათვის ერთხელ მაინც შეევლო თვალი და მანქანაშიც შეაგდეს. უცებ რაღაც ჩაწყდა გულში და მწარედ ამოიგმინა. გულმა თუ უთხრა, აწი რომ აღარ ეღირსებოდა მშობლიური მიწის ხილვა და აუტირდა სული.

ტიროდა ყველა, მხოლოდ ხოჯა იკავებდა თავს და არავის აჩვენებდა ცრემლს. მაგრამ დაიძრა მანქანა და ხოჯაც მოეშვა როგორლაც, თვალთაგან წყვილი ცრემლი გადმოსდინდა და ჭალარა წვერში ჩაეკარგა...





შოთა ზობია

ციგნიძე „დოსტები საქართველოსთვის“

სიმღერა სტალინი ან სოსეფოს დაქსის ვარიაცია

„აყვავდი ტურთა ქვეყანავ,“

მეტაფორაა როგორი?!“

„ვარდს გაეფურჩქნა კოკორი“,

მარგალიტია ობოლი!

უძლევი ქვეყნის პატრონი

უყვარლი ქვეყნებს შეძენილს,

ვერ შეძლებს იმპერატორიც,

რაც შენ ამ ლექსით შეძელი.

მტკვარი მხხათაში

თამაზ ჭილაძეს

წარსულს, გულში რომ ტკივილებს მინთებს,
მოულოდნელად გავულე კარი
და შემეფეთა მცხეთაში მტკვარი,
და შევეფეთე ჭალარა ზვირთებს.

ხმელი ქარები ნექნებს მიმტვრევენ,
თითქოს ბუნებამ დამაჯარიმა,

და ვიძირები მტკვარში „ჯვარივით“,
რომ გავაგრილო ცხელი ფილტვები.

როცა ნისლებში ცას ვერ გაარჩევ,
მეც ამოვდივარ მტკვრიდან „ჯვარივით“
გამარჯვებული ვდგავარ ჯარივით
და ველოდები უფლის განახენს.

ჩემი პირადი დაცვა

კლგუჯა ამაშუკელს

გაბტანგ დავითათას

ანზორ ერქომაიშვილს

შროშაში ვარ თუ შინდისში,
მართალი რომ თქვას კაცმა,
ყველგან თან მახლავს სინდისი,
როგორც პირადი დაცვა.

მე პოეზიას შევრჩები,
ქვეყანამ იცის ვინც ვარ...
კანონზე უწინ შენ ჩემი
სუფთა სინდისი გიცავს.

ყველგან თან მახლავს ნამუსი,
ნამუსი ანუ ჯვარცმა,

ჩემს სათაყვანო მამულში
მე არ მჰირდება დაცვა.

დრომ ბევრი ვინმე დალექა,
ბევრიც საცერმა გაცრა,
დაცვა ჭირდება ლამაზ ქალს,
კაცს არ ჭირდება დაცვა.

მე უკვე მზად ვარ იმ დღისთვის,
უფალო, ვიცი, მიცან...
მე ჩემი სუფთა სინდისით
მივებარები მიწას.

რომ

არჩილ მიშველაძის ხსოვნას

ქართულ-აფხაზური კონფლიქტის
ღირიულობიდან მესამე,
ვინც არი ახლა ხომ მიხვდი,
იცანი, შენი კვნესამე!

ეს ყველაფერი ჩვენი ცის
და ჩვენი მიწის გამოა,
აქედან, მტერმა არ იცის,
რომ არაფერი გამოვა.

მათ აფხაზო, დაფიქრდი,
მტრის ნიღაბს ნურდა იკეთებ,
საქართველოსთან კონფლიქტი
არც შენ მოგიტანს სიკეთეს.

აქ ცა მზის პერგამენტია,
აქ მზეა მზეზე ნათელი,
ათასზე ათვერ მეტია
აქ დაცემული ქართველი.

ერთი სჯობია ათასებს,
თუ ის ათასი უქმია,
ქვეყანაც იმას აფასებს
ფიცხელ ომში რომ უქიათ.

მტრები სიცოცხლეს გვართმევენ,
ბრძოლის ცეცხლსა და გვემაში,
ომში მოკლული ქართველი,
ცოცხლდება უკვდავებაში!

როცა სამოგებო მისონ!

ყველას ვახსოვარ, ვინც რომ
ღირსია ჩემი ხსოვნის,
როცა სამშობლომ მიცნო,
უპირველესად ყოვლის,

მტერო, შე მართლა შტერო,,
ამიერიდან მე შენ,
ჩემი ქალამნის მტვერო,
ვერაფრით განუგეშებ.

გაისისინა შურმა,
ორთავიანმა გველმა...
რახან ვახსენე გველი,
უმალ მახსენა მტერმა...

ყველას ვახსოვარ, ვინც რომ
ღირსია ჩემი ხსოვნის,
მე საქართველომ მიცნო,
უპირველესად ყოვლის!..

რითა

რითმა ხანდახან მრუშია,
ხან თეთრი, ხანაც რუხია,
იგი არც ტაში-ტუშია,
არც მუშტის ბრახაბრუხია.

არც ფშავი, არცა თუშია,
არც ბროჭეულის ბუშია,
მეტაფორასაც თუ შია,
ტაების შუაგულშია.

ხანდახან ცათა სწორია,
იქ ექბ, სად ყვარელია...
იგი არც კარგი ცოლია,
არც ცუდი საყვარელია.

არც ისე ბაიყუშია,
და არცა თუთიყუშია,
არც ინა, არცა ნუშია,
ხავერდის ფაიფურშია.

იგი არც თოფის ფალია,
არც ფარი, არცა ხმალია,
არც ღვინო, არცა წყალია,
არც იოლი მოსახმარია.

არც პურია და მარილი,
და არცა ნატერისთვალია, —
ერთი უტვინო ქალია,
იქ მოგა, სადაც არ ელი!

დღემდე რაც მიკათხია

ნახე, რა კარგი წყნეთია,
რა კარგი კიკეთებია,..
დღემდე რაც მიკეთებია,
მგონია, ზღვაში წვეთია.

ზღაპარია თუ მითია,
დღემდე რაც მიჯირითია,
მგონია მუნჯი რითმია,
ღამეები რომ მითია.

იქნება თვალსაც მაკლია,
იქნება გულსაც მაკლია,
ზეგანია თუ ვაკეა,..
ანაკლიაც რომ აქვეა?!.

ღრუბელი წვიმით მაკეა,
მიწად ცაზე დაბალი,
ოქრის წვიმიმ რომ დაბანა,
აფროდიტე და ნიკეა!

კაცის სიცოცხლე მოკლეა,
მაგრამ კანდელი რაკია,
ისეთი ლაპარაკია,
სიტყვას მარილი იყლია.

კოჭორთან ახლოს წყნეთია
და კიდევ კიკეთებია,..
დღემდე, რაც მიკეთებია,
მგონია, ზღვაში წვეთია!

ფერთურაში. ოთია იოსელიანის სახლის ავაზე ე. ზაალ ეგანოვა და თემურ ქარცივაძე

ჰერა მემამულეს, ოლონდ პატარას,
ის თავის სახელზე უფრო დიდია,
თვალმა მიდამო შემომატარა,
ჭიშკარზე ცხენის ნალი ჰერიდია.

მის მაგიდაზე იდო ჰაინე,
პოეზიაშიც არ ვართ მარტონი,
ნანას არაყი მოვატანინეთ
და ვადლეგრძელეთ დიდი ბატონი.

და როცა სეფე სუფრა გაშალა,
ღვინოზე ვარი ვერ ვთქვით ვერავინ,
მერე ამოსდო სიტყვას აქშარა
და გააჭენა, როგორც მერანი.

საძმო ტრაპეზმა გაგვიმთლიანა
სიტყვა სიტყვასთან შენივთებული,
სტუმრად ვიყავით იოსელიანთან
მე, ზაალი და ჩემი თემური.

ასეთ გალაპის ეროვნი

ნადია საბაშვილის ზსოვნას

„სალხინოს“, დარბაზი ივსება მაყრებით,
მაყრებით ივსება „სალხინოს“ დარბაზი.
დედოფალია ძალზე ლამაზი.
მაგრამ არც ნეფეა ნაკლები.

ერთი სიცოცხლეა „ჰორერის“ მოსმენა,
 გუგუნებს ორკესტრი „დილა“ და „ადილა“.
 სად იმაღლებოდა ამდენი მანდილი,
 ამდენი ლამაზი მანდილოსანი?!
 ყრმა შემოიყვანეს სიცოცხლის ბედად...
 ყანწები დაცალეს, გაივსო ბადია.
 აქ არის გადია — ქალბატონი ნადია,
 გადია კი არა და მზრუნველი დედა.
 მე ახლა უმისოდ ძალიან მიჭირს,
 ეს ფრაზა უნდა ვთქვა ხამაღლა,
 გუგუნებს იური, პირველი თამადა,
 თავისი თაობის პირველი ბიჭი.
 და როცა ჰერამ პატარძალი გვიქა,
 მკვდარი მამის სული ამაღლდა მეორედ.
 გუგუნებს თამადა და იმეორებს
 ლევან გელაძის მხურვალე სტრიქონს.
 მე ახლა ტკივილის გახსენებაც არ მსურს.
 მე კიდევ ბევრი ტრიბუნა მომიწევს,
 ასე გადავუხადეთ ლამაზი ქორწილი,
 საყვარელი პოეტის საყვარელ ასულს.

სოხუმი აანაზული გიორგი ლარიშვილი მოგადიურ პატარძეული.

მოხუცი ქალი ახურებს თონეს,
 თონეს ახურებს მოხუცი ქალი,
 მოხუცი-მეთქი გითხარი თორემ,
 ყრ კიდევ ფხიზლად უჭირავს თვალი.

თონეში დედას პურები ცხვება
 პურისცხობაა თუ მირონცხება?!
 თონეში ცხვება დედას პურები
 და მიჭრიალებს გზაზე ურემი.

კუაზლოვაზები. ჩოჭესაც ევითეთს

როგორც კი უკან დაგვრჩა სურამი,
 როგორც კი უკან დაგვრჩა ხაშური,
 ჰაერი ბოლაგს, როგორც სუნამო,
 ფრანგული წესით გამოხარშული.

ნიავი თავის ნაპერწელებს გვიშენს,
 უახლოვდებით, როდესაც ქვიშეთს,
 ჩემი პაწია სოფიკოც მახლავს
 და მელოდება მწერალთა სახლი.

კოჯაის გზაზე

ჟული მაღლუკანუჭი „იქლენი“ შეგვეჭა, —
 ასანთის ღერი და ხმელი თივა...
 და არაფერი მეტი რევანშის...

მე ღმერთი მფარავს, მფარავს და მწყალობს,
 მე ღმერთი მწყალობს მზეში, წვიმაში...
 „ნივა“ აღმართში მიდის და წვალობს...
 მე და ის უკან ვწვალობთ „ნივაში“.


პაზაფინა ქალბატონო!

ისე კარგი გოგონა ხარ, მაინც დაგეყაჩაღები,
 ისევ ისე მენატრები, მაინც გაღაგეზვავები.
 ისევ მოვალ, ისევ გნახავ,
 ისევ დაგეკელაპტრები. — მაინც შეგეთამაშები,
 ვის ნებაზე მინანქარობ, მაინც დაგეგვირისტები,
 ვის მკლავებში კაბადონობ, თავს გიხრიან დანანებით
 ნიავივით გადამქრალო, მარშლები და მინისტრები.
 მშვენიერო ქალბატონო?! მეტს ვერაფერს დაგპირდები,
 როცა დილა მიგაცილებს, დრო წავა და გახუნდება,
 მეც ხომ გეიადონები, ისევ გაგიპრიალდები,
 ჩემი თავი გენაცვალოს, ისევ გაგიზაფხულდები.
 მთელი ქვეყნის ბატონებით. ისევ ისე გოგონა ხარ,
 უენი გულის გასაღები ისევ მოვალ, ისევ გნახავ,
 ვიპოვე და გეზავები, ისევ დაგეკელაპტრები.

ნიმუში

კოკისპირულად წვიმდა,
 კოკისპირულად წვიმს,
 მე კი რატომლაც მწყინს,
 წვიმა სუფთა და წმინდა.

მე კარგი დარი მინდა,
 წვიმა მისველებს წვივს...
 კოკისპირულად წვიმდა...
 კოკისპირულად წვიმს...



ნიმუში

მართვა ერთ მიზანის მიზანი, მართვა ერთ მიზანის მიზანი.
 მართვა ერთ მიზანის მიზანი, მართვა ერთ მიზანის მიზანი.
 მართვა ერთ მიზანის მიზანი, მართვა ერთ მიზანის მიზანი.
 მართვა ერთ მიზანის მიზანი, მართვა ერთ მიზანის მიზანი.

თითქოს ჩემიც დაბრუნებული იყო მარტინ და მარტინი რა
შეაჭირა მეტად ცის მისი და მის ასეთი
ხანდაზმუდა ცის მისი და მის ასეთი

ბაღრი თევზაპე

* * *

მეტი რა გინდა მოხეტიალევ, ხომ დაასვენე ცოტა სხეული,
ხომ ამოიღე მუხლიდან ქარი, ხომ მოგიშუშდა ძველი წყლულები.
საღამოს გრილი ბინდის წრიალი არ გაწუხებდა წინათ სრულებით.
ახლა ხომ არ კრთი და ეს საფარი, ხომ არ გადუნებს, როგორც გრძნეული?

მეტი რა გინდა მოხეტიალევ, ღმერთმა მოგფინა თვისი წყალობა,
გასავათებულს დროზე გიბოძა ჭერი, წვნიანი, ლოგინი თბილი,
ახლაც მის ძახილს ნუ გაიოცებ და როს სხვათათვის დრო დგება ძილის,
უნდა წამოდგე და სანთლის ალი ვიდრე ციალებს, იწყე გალობა.

რა გედარდება, რისთვის წუხდები, ყველაფერი, რაც გეძვირფასება,
იმ გზათა მიღმა გელის აღთქმული და შენც გზათათვის გიხმობს უფალი.
მანანის ბუჩქებს გვანან ღრუბლები და გადიხსნება ზღვა გაუვალი.
სიავე, შენი დევნით გართული, ჩაიკარგება შიგნით საცემით.

მაშ, კვლავ მოირგე ფეხებზე ხამლი, გულით დალოცე სახლი კეთილი,
წა, ყვივილამდე პირველი მამლის და განთიაღი ვიდრე იალებს.
უნდა დალაშქრო პირველი ქედი და გაიხსნება გზა დაკეტილი
და გაგიღიმებს ალერსით ბედი და შენც იარე, მოხეტიალევ!

პოსფორთან

ჰოი, ქმრის მკვლელზე გათხოვილო ისტამბულ ჰანიმ,
ევროპის ძუძუვ, მოგიმწყვდია მუჭში აზიამ,
ახალ რჯულს იცავ, ჩადრს იფარებ ნისლისას, მაგრამ
ისე იფარებ, უფრო ვხედავ, რაც ლამაზია.

ჩვენი ხომალდი რეიდზე დგას, ვეღარ მიცანი
ხამლგაცეთილი, ჭაღარა და გაუპარსავი,
შენ კი კეპლუცობ და მრავალთა ხალხთა მიწანი
ფეხრთით გიგია აღმოსავლურ ხალიჩასავით.

ეს ადრე იყო...წკრიალებდა თითქოს მინაში,
სიცილი შენი, ჭერ ტკვილით დაუკოლეველი.
დედოფლად გხმობდნენ და შენს მაცდურ თვალთა წინაშე
მე წარმადგინეს, ყრმა უბირი და უცოდველი.

ბუდუარებში ჭერ არ იდგა სურნელი ყავის,
გაწვდიდა ნუგბარს შენ ეგვიპტე, ელადა, რომი,

არ მახსოვს დუქას თუ კომნენტს ცოლი იყავი
და გეტრფიალე უფლისწული ქართველთა ტომის.

მანდატურები მოვციგზავნეს ლაციცობისას,
გავასწარ ნავით და ბოსფორი დღესაც ხმაურობს.
კონსტანტინეპოლ, დედოფალო ჩემი ყრმობისა,
მაცდურო ჩემო, მტერო ჩემო და სიყვარულო!

და სიყვარული ჩეკნი იყო, როგორც სიზმარი,
მაგრამ სიზმარი საოცარი, იგი-უებრო.
მოვარდა მერე გრიგალივით იანიჩარი,
მოვიყლა ქმარი, დაგეუფლა და გაგაბრუა.

მაგონდება ძელისძელი
ანდერძთქმული ცამცუმისი
ვერ იტყოდა ის ბერძენი
„ჩემი ცოლი ალალ მისი“...

ჰოი, ქმრის მკვლელზე გათხოვილო ისტამბულ ჰანიმ,
ევროპის ძუძუვ, მოგიწყვდია მუჭში აზიამ.
გათბა ველური, შეიყვარა სალუქი ტანი,
ზედ დაგაყარა, რაც ძვირფასი და ლამაზია.

ვეღარ მიცანი დაღლილი და დაბერებული,
მე ის ბიჭი ვარ, სიყვარულით რომ არ ეძინა,
გამოტაცებულ ცირას გზა-კვალს აღევნებული,
შენს სერალში რომ სულთნის ლომებს დააგლევინე.

ვატყობ მოვწყინდა საუბარი ჩემი უღირსი,
იმშვენებ ჯილის მინარეთთა, მაღლა წვეტილს
ვდგავართ რეიდზე, გემიც გიმჩერს ვით საჭურისი
პარების ტურფას, უღიმღამოდ და გულდაწყვეტით.

ჰა, თურქის ბიჭმა მოაცურა სულ ახლოს ნაეი,
როგორ აშაყობს საკუთარი ამაყი ვერით,
ამღერდა უცებ, გაღაწია ბურძგალა თავი,
არ მესმის ხმა და მეჩვენება ქართულად მღერის:
„არ მომიპარავს, მიპოვნია, ახლა ჩემია!“

აშენვი

აქ ზეთისხილის ჭალებს, როგორც ტურფა ათენას,
სიბრძნის გვირგვინად თავს დაუდგამს აკროპოლისი,
თითქოს მსოფლიო მამხილებლად წყვილებს მომისევს,
რომ გამიჭირდეს მარტოობის მშვიდად ატანა.

თითქოს ჩემს ჯიბრზე... სიყვარული გამომზეურდა,
მოაქვს, ვით დროშა, იაპონურ სიღარბაისლით,
ხანდაზმულ ცოლ-ქმარს და მათ ახლოს ფრანგულ ხალისით
ფრანგი გოგონა აჭიკჭიკდა ბერძენ რჩეულთან.

ასიმეტრიულ პროპორციას პართენონისას
განმარტიას გიდი პოლონელი წინაშე რუსთა,
თავის რუსულში შიგადაშიგ პოლონურს ურთავს,
ჩანს ნიშნისგებაც ძველ ბატონთან ყოფილ მონისა,

ვეწევი უხმოდ, დათრგუნული წყვილების მასით,
მომენატრე და ყოველივემ დაკარგა ფასი.

* * *

როცა მარტო ვარ, ხშირად გეძებ, გპოულობ თანაც.
სულის სიღრმეში მიმალულს და ტკივილით მფეთქავს,
ფოთოლცვენის წინ მოვიგონოთ ვარდობის ხანა
და იქნებ მითხრა, ოცი წლის წინ რაც უნდა გეთქვა.

ახლა არ ვნანობ, ყველაფერი რომ მოხდა ასე.
ავით და კარგით მე დღე ჩემი რადგანაც მიყვარს.
მაგრამ მე მკაფიობას სიჭაბუკე ტკივილით საგსე.
ის ჩემგან — მე კი, შენგან ველი პასუხად სიტყვას.

თუ რამ მჯაბნიდა, სიყვარული მჯაბნიდა შენი,
რომ წამლეკავდა, არც ნაპირი ჩანდა, არც ფონი
და სიყვარული — იგი იყო, როგორც „მზე შინა“
და „მზე გარეთა“ მზესავით ვერ გამოვაფინე.

არ მოგატყუოს ამ თვალების უხმო გოდებამ,
ეჭვებისა და სიამაყის ჩვენის ტარიგი,
ის სიყვარული არ არსებობს, ვერ გაცოცხლდება,
უპანაშვიდო, უაღაბო მკვდარია იგი.

მკვდარი, რომელსაც არ ღებულობს რატომლაც მიწა.
მკვდარი, რომელსაც არ ღებულობს რატომლაც ზეცა.
ძრწის მოჩვენებად, სხვა თამაშის კანონებს იცავს
და შურისგებად გვითვალთვალებს შენცა და მეცა.

თვალებში ცეცხლი უკიაფებს ცივი და უცხო.
ჩვენ ვერძნობთ და ვხედავთ, ვერ მიხვდება ამას მავანი,
ერთადერთ სიტყვას შეუძლია იგი დააცხროს,
დამშვიდდება და ჩაბარდება თავის სავანეს.

მაგრამ შენ ღუმხარ, თითქოს ვერ გრძნობ და ვერცა ხედავ.
 ჩაგმანული გაქვს თითქოს სულის ყოველი ღრიჭო.
 შენს ფერხთით დამჟენარ ყვავილების ჩაეთბე სევდას.
 მოჩვენებათა ქალბატონად დარჩენა გიჯობს.

რადგან ასე თუ შემორჩება ხსოვნას კაცისას,
 (ქალი ხარ შენ და ამას მუდამ გრძნობენ ქალები)
 გრძნობა, რომელმაც ვარდობის უამს ვერ იყვავილა,
 თუ მაინც სუნთქავს, სუნთქავს მხოლოდ იდუმალებით.

* * *

რისი იმედით მოაღექ კარებს
 გადამავიწყო, სჯობდეს, იქნება,
 ო, ოცნებაო, გბერდები, კმარა.
 არ ლირს ჭალარის აფოფინება.

რამდენი აღთქმა ჩამიბულბულე...
 მაცდუნებელით დამბანე სევდით
 და ქარს მოყოლილ ყვითელ ბულულებს
 შზეთუნახავის თმებივით ვდევდი.

ათიათასი დღე შემოგწირე,
 ათიათასი წაიღე ღამეც.
 ვით ქუჩის მტვერში ეცემა მწირი,
 ღავეცი მე და... ხმაც კი არ გამეც.

და მოჩახჩახე კოშკები ბროლის,
 ამოაფარე შორეულ ქედებს.
 ვით გაკოტრებულ დიდგაჭარს ცოლი,
 წამიხველ, უკან არ მომიხედე.

კაცი ყველაფერს ეჩვევა ბოლოს,
 წლებგაფლანგული დღეს უვლის ყოველს,
 შენ, ყველა ჩემი ტკივილის ტოლო,
 რად დაბრუნდი და ჩურჩულებ „მოველ“.

აკი გითხარი, დღეს ვუვლი,
 მაცდუნებს თვალი? დავითხრი თვალებს.
 ეს მოღალატე, სულელი გული
 რად გამორბის და რად გიღებს კარებს.

გამიტყუებ და მწარედ მომკითხავ
 გამწარების უამს ამოთქმულ ქადილს,
 ნუ, ნუ ინებებ, აღარა გიცხავ,
 არას გაყვედრი, ოღონდაც წადი.

თამას

მუსიკას უსმენს და ოცნებობს ხატულა გოგო.
შემაჟვრიტინა მაგ სიზმარში ნეტივი წამით,
თუმცა ისეც ვგრძნობ, სილამაზე ირხევა როგორ
ფერადი ჩქეფის უნაზესი ჩუმით და ჩქამით.

ოცნებობს ის და მე სიცოცხლე კვლავ მიყვარდება.
ფედოფლობს წამი, მოყმესავით მუხლს იყრის დარღი.
რომ უამი მოვა და სიზმარი ესე გაქრება,
ამ სიზმრის დარი მიუბოძე, უფალო, ცხადი.

გატრუნულია. უსათუთეს სხივად ციალებს.
თავად სიზმარი, სიზმარეულ გზებში გართულა.
მე კი მთელი დღე ბედნიერი ვიხეტიალებ
მუსიკას უსმენს და ოცნებობს გოგო ხატულა.

* * *

თუმცა, ნამდვილად არ მრგებია ცხოვრება ჩრჩილის,
არ შეგრჩნილვარ ტანსაცმლის თუ წიგნის კარადებს
და ქვეყანაზე, დაფერილზე მზითა და ჩრდილით,
ვილტვოდი წუთის ვალითა თუ უინით მარადით.

შეშურდებოდათ იმ ძველისძველ დროთა ყარიბებს
ეგვიპტის მტკერი თუ პოლარულ ღამის ციალი,
ნთება პარიზის, ღამე სიდქვეშ და სილარიშე
ან პართენონთან გრილი ჭილა სახეტიალო.
ერუსალემის გოლგოთის გზა ტანჯვის გარეშე
ან გემი, ბზინგა ფოსტორის თუ გრიგალი ზღვაში.
ფათერაკები შორეულ თუ მშობელ მხარეში.

მაინც უშეცრად მიხეტებულს ყველა გზის ბოლოს,
ტრიუმფის ნატკრით და მოჭარბებულ ჭილარით თმაში,
სხვადასხვაგვარად ძეგრდა გული, ეს მახსოვს მხოლოდ.

* * *

ყოფასავით ბნელი ზეცა დამზერს ღამეს,
მიბნეულა, მობნეულა ვარსკვლავები,
ისე, როგორც ბედნიერი წამები.
ამ ცარიელ მძიმე გუდას ვიხსნი შვებით.
ვუცქერი მოციმციმე წამებს,
ამ ვარსკვლავებს ვუცქერ განაწამები.

თურმე საფსე გუდას თავად ასხავ ფრთები,
ცარიელი არის მძიმე,
მათრახივით საყარიბოდ გამდენი,
მუხლში ქარი ამოვილო, ცოტა დავასვენო მხრები,
გუცქერ წამებს მოციმუმეთ,
რა ბევრია, რამდენია... რამდენი...

ჰო, ვიხსენებ, როს ის წამი ახლო იყო,
ის ვარსკვლავი როცა ყელზე მეტიდა.
დრო ბრუნდება, როგორც დიდი ნუგეში.
უნდა ჭავრი ამოვილო,
კვლავაც ვივლი კიდით-კიდე,
ოღონდ ახლა ის წამები—ვარსკვლავები
იმ სიმძაფრით ჩავიხუტო უბეში.

თითქოს ზეცას შეემატა სხვა ფერები,
თითქოს გულიც ამჩატდა და აიგსო.
კვლავ მაშვრალად გეახლები,
ოღონდაც ნუ დამავიწყებ
მე იმ წამებს — იმ ვარსკვლავებს,
აისო!



ზურაბ გილცხალაშვილი

წათისოფლის სონეტი

ვაჲ, ეს ცხოვრება უფერულად მოდის და გადის,
ვერვინ გაიგებს, ვინ ვის ჰკოცნის, ვის ეფერება,
ძველი გავუიდე და ახალი ვიყიდე დარდი,
ვმღერივარ, მაგრამ ამ ოხერ გულს რა ემღერება!

დრომ ყოვლის მჩხრექმა მერამდენედ ამიღო ქირდად,
ჩემი სულის ცა კვლავ ბავშვივით მიამიტია,
გამიწიერდა, გაბალახდა და განახირდა —
განა აბრამი ძველი დროის ძველი ჩიტია?

სულისთვის გვემა აღარ არის ახლა მოდაში,
აღამის მოდგმა პურით ცხოვრობს ერთით მარტოდენ,
ხელში ჩამეფუქვნა ეს არსობა ძალლურ ყოფაში,
ძალლებს ძალლობა აღარ სურთ და მგლობას ნატრობენ...

უფლის საყდარში, ალბათ, მალე არვინ ილოცებს,
ვერ ვპოვე წამი, რომლისთვისაც ღირდეს სიცოცხლე...

გაზაფხულის სონეტი

ალბათ, ბოლო მოეღება უსასრულო ლოდინს,
ხედავ, ჩემო ქალბატონო, გაზაფხული მოდის,
გაზაფხული სურნელოვან ყვავილების ფენით,
მაგრამ იგი არ იქნება არც ჩემი, არც შენი...

სიჭაბუკის სასწაული მთების მიღმა დარჩა,
ცა სიმორცხვით შეფაკლული სხვის სიყვარულს შენის,
ტყემალს ისევ მოუხდება მეწამული ფარჩა,
მაგრამ იგი არ იქნება არც ჩემი, არც შენი...

ხედავ, ჩემო ქალბატონო, შემოდგომა მოდის,
რა ვქნა, ასე მშვენიერი შემოდგომაც მიყვარს,
სხვის ეზოში გაზაფხულის ამღერდება ტოტი,
სხვის ეზოში გათენებას ვერ დაუშლი ცისკარს...

ნუთუ ღმერთი სიყვარულის ბოლო სასმურს გვივსებს,
ისევ მოვა გაზაფხული, ისევ, ისევ, ისევ!

იროვნული სონეტი

თუკი ცხოვრებას ჩაუმუხლე, გაგთელავს, მტრისას,
გულუბრყვილებს ეს საწუთოო ხახამშრალს ტოვებს,
ქალიშვილს მღვდლისას მოასწარი და ხელი სთხოვე,
ვიდრემდის მღვდელი მდიდარია, სავსე აქვს ქისა...

ღვთის გლახად დარჩა, ვინც მოშიში შეიქმნა ღვთისა,
ვისაც სამოთხის განეხვნება ოდესმე კარი,
მის ლამაზ დიაცს, ირმისყელას, დაადგი თვალი,
ვიდრემდი მღვდელი მდიდარია, სავსე აქვს ქისა...

მგლობას რა უშავს, ოღონდ ქურქი ჩაიცვი ცხვრისა,
არაფერია სათაკილო, კარგო, ამაში,
იქნებ თვით მღვდელსაც, სულწაწყმედილს, გაეთამაშო,
ვიდრემდის მღვდელი მდიდარია, სავსე აქვს ქისა...

მაგრამ ამ მღვდელს თუ სიღარიბემ დაუგოს მახე,
წადი, შენი გზით გაიარე, სხვა მღვდელი ნახე...

ერთგულების სონეტი

ბაღრი თევზამენ მის უცონებელ რცე

საშინელია სიღარიბე და უსასობა,
როს ნაღვლიანი მარტოობის ამარა რჩები,
საშინელია შეის დაისთან მწუხარედ ჭკნობა,
როცა დღე კვდება და გგონია, თვითონაც კვდები.

საშინელია როს ვადაში გატყდება ხმალი,
ზურგის ჩვენება დუშმანისთვის უფრორე საშიშ,
როს ვერაგულად მიგატოვებს ლამაზი ქალი
და დრო ბრიყვულად შემოგაფრქვევს სახეში ჰაშიშს.

საშინელია უდაბნოში ყოფნა ეულად
და უფრო მძაფრი, ტკივილამდე მცაცრი და მძაფრი,
როცა არავის არ უყვარ გამორჩეულად,
როცა ვერავის ვერ მიაწვდენ განწირულ ძახილს.

გვედრი, უფალო, გამგებელი შენა ხარ ქვეყნის,
მაცოცხლე სხვისთვის და ნუ მომკლავ მხოლოდღა ჩემთვის...

ღირსების სონეტი

მოვა სეტყვა და, მე შენ გეტყვი, ჯერ არ მოსულა?
 დროის დარჩაჭში გამოვლილი ქვა ვარ სატაძრე...
 რა ვყოთ მერე, თუკი პავლეს ტყავი გააძრეს
 პეტრეს მოსვლამდე, ქედს არ დავხრი თათრულ-სპარსულად.

მეზობლის ღობე გავამაგრე ჩემი მარგილით,
 ღმერთი მაღლაა და ყველაფერს ხედავს უფალი,
 მე ვარ სვანივით ამაყი და თაგისუფალი,
 თუმც ერთი კვნიტა არ მიგდია სახლში მარილი.

როგორც ამბობენ, მდიდარი ვარ მე სიღარიბით,
 ანდა პირიქით — ორჯერ ორი მაინც ოთხია,
 მაღლობა უფალს, რომ მუხლებით არ მიფორთხია,
 ღირსების გარდა არ მქონია მე სხვა ალიბი.

ღმერთმა უშველოს, ვინც შესცოდა კაი გაყოლა,
 ხელს უნებურად ვერცხლის ფულიც გადაყოლა...

სიყვარულის სონეტი

სამოთხის კარებს გამიღებენ ძალიან მალე,
 თუკი სულისთვის ხორცს ვაწამებ დღეცისმარადი,
 ქურდი არა ვარ, მაგრამ, კარგო, მაგ ციურ თვალებს
 ღმერთის სახლიდან კიდევ ერთხელ მოვიპარავდი.

ღვინო და სევდა გავიხადე ახლა მეგობრად,
 ცხოვრება მიდის, არ ინდობა კაცი კარამდი,
 უფალმაც ჩემთვის მოიცალა, როგორც ეტყობა,
 მაგრამ ამ ღამით მე შენ ღიმილს მოვიპარავდი.

ბოლოს და ბოლოს დაიღალა სული ყვედრებით,
 გაცვეთილია კოსტუმები სამასკარადო,
 თუკი ერთ დღესაც გაიმეტებს ჩემთვის ღმერთები,
 მაშინ, ძვირფასო, მაგ შენს გულსაც მოვიპარავდი...

არ მაპატიე და დამსაჯე, ვით შარლატანი,
 მაღლობელი ვარ, რომ შენს გულში ვპოვე საკანი...

მოთხილეობის სრული

პატიოსნება უსასობის გახდა ნიშანი
და გულწრფელობაც სასაცილოდ მოჩანს უცილოდ,
ღმერთის სასჯელი უმკაცრესი ჩვენზე ის არის,
რომ ცვედანების ვირეშმაკულ სიფათს უცქიროთ...

ბოლავს გოლგოლთა-ტანჯულ სულთა ნაესაყუდარი, აქ დიადემა ბრივებისათვის ჩამოარიგეს, არარას ნიშნავს, თუ მდუშარედ არის უფალი, ჯერ არაფერი არ შეშლია არსთა გამრიგეს...

თუმცა ცხოვრებამ უკვალავი გზებით გვატარა,
წილი არ გვიდევს ამ სატანურ დარღუბალაში,
ბევრი ბალოამის დამტევია გული პატარა,
მაგრამ უფალს სურს, რომ ხანჯალი ეგოს ქარქაშში...

ბეწვებე ჰერიტაჟის მოთმინება ჩვენი და სხვისიც,
ერთხელაც იქნება გველი პერანგს ვერ გამოიცვლის...

ଅନେକଟଙ୍ଗର ଏହି ପାଦମୁଦ୍ରା ଲାଗୁ କରି ଏହି ପାଦମୁଦ୍ରା
କାହିଁକି କାହିଁକି କାହିଁକି କାହିଁକି କାହିଁକି କାହିଁକି କାହିଁକି

ალექსანდრე ლორია

ნადრევი გაზაფხული

ვერაფრით ვერ გარკვეულიყო, რა ხდებოდა მის გარშემო, თუმცა, სიმართლე რომ ითქვას, მაინცა და მაინც, არ ცდილა ამას. ერთს კი ნათლად გრძნობდა — ყველაფერი აღრინდელივით ჩვეულებრივი და ყოველდღიური არ იყო. ხედავდა — დედა წუხდა, მამა შფოთავდა, მამიდაც კი აფორიაქდა. მაგრამ ეს მას სრულებითაც არ აფიქრებდა და არც აღიზიანებდა. სრულიად დამშვიდებულს, უკირდა: რა მოხდა ისეთი, ამდენი ფიქრისა და განსჭის საგანი რომ გახდაო.

— თაგს მოვიკლავ! — შემოესმა ერთხელ, მამას რომ ეუბნებოდა დედა. მართალია, მათი საუბარი არ გაუგონია, მაგრამ გრძნობდა, დედა მის გამო ამბობდა ამას. სერიოზულად არც მიუღია ეს. როცა გაცხარებულია, დედა ყოველთვის იძახის ასე, მაგრამ სინამდგილეში ერთხელ არ უცდია ამის გაკეთება. რაა აქ თავის მოსაკლავი?

— გაგონილა, ნეკისოდენა გოგო ამიდენა ბიჭს მეგობრობდეს? თავის ტოლი რომ იყოს, სულაც არ გამიკვირდებოდა, მაგრამ... — ერთხელ მამიდაც ჩაითრია საოჯახო საიდუმლოებაში და მასაც გადასდო თავისი უსიამოვნო განწყობილება. მთელი საღამო ვერ მოერია ნერვებს — უამურად იყო. მეგიც ქვეცნობიერად აპყვა მას — აღარც წიგნები გახსენებია, არც ტელევიზორი, არც გაკვეთილები. საყარელ თოჯინასაც არ გაკარებია, რომლის გამოც ხშირად დაუცინიათ მისთვის, რაღა დროს შენი თოჯინებიაო.

მაინც, რა არის აქ განსაკუთ-

რებული? ნათიას ძმა ხომ ნათიაზე შვიდი წლით უფროსია, მაგრამ სულ ერთად დაღიან, ამხანაგიც ბევრი ჰყავთ საერთო, არასოდეს არ ჩხუბობენ. ჩვენი ტატა მესამე კლასშია და სულ მისი მერვეკლასელი ბიძაშვილის ამხანაგებთან არის. ხან ერთთან ნახავ, ხან მეორესთან... ელაბარაკება, ედავება, ეჩხებება... ხანდახან ფულსაც ესესხება. ამის წინ ერთმა დიდმა ბიჭმა თავისი ფუნთუშა გაუნაწილა... იმდენი უფროსი ამხანაგი ჰყავს! რაა მერე?

ვერ მიმხვდარიყო, მშობლებს ასე რა აწუხებდათ, და ეს გაურკვევლობა ტანხავდა. რაც მთავარია, მას პირში არავინ არაფერს არ ეუბნება, არავინ არ ტუქსავს, არავინ არაფერს არ უკრძალავს, არ საყვედურობს, არ არიგებენ, არ ასწავლიან, არაფერს ითხოვენ მისგან, და მთელი არსებით გრძნობს, რომ ყველა რაღაცგარად უკმაყოფილოა მისით, შეფიქრიანებული, დაფაციცებული, რის გამოც საგონებელში არიან ჩავარდნილი.

ეს ყოველივე ლოტოს კოჭებივით უწესრიგოდ რიალებდა მის გონებაში და მოვლენების გაწონასწორებულად გააზრების საშუალებას არ აძლევდა, მაგრამ ერთს სრულიად გარკვევით ხედავდა — მისი მშობლები მეტად უჩვეულო ურთიერთმიმართებაში რომ იყვნენ მასთან.

ბავშვს ალოო არ ღალატობდა — იქ მართლაც ჩუმი ქარიშხალი მძვინვარებდა. დედა, კარგა ხანია უკვე ძილგატებილი, მთლად კარგავდა მოთმინებას. თვითონ ვერაფერს აკეთებდა და ქმრის

უმოქმედებას გონიერიდან გადაჰყავდა.

— რა უნდა ვქნა? — სიგარეტს სიგარეტზე აბოლებდაპ ნირწამხდარი კაცი და ათასჯერ ეკითხებოდა თავსა თუ ცოლს, როგორ მოვიქცეო, — რომ ვნახო, რა ვუთხრო იმ ბიჭს? არ მკითხავს, რა ჩავიდინე ასეთიო?

ორივემ კარგად იცოდა, მართლაც, ისეთი არაფერი მომხდარი. პირიქით, მადლობის მეტი რა ეთქმის იმ ვაჟს. — კარგა მაგრა უთაქ იმ ავარებს. სამუდამოდ დაამახსოვრდებათ. განსაკუთრებით იმ ჩახლენწილს, იმას, წინ რომ გადაუდგა მეგის — ამ სიფრიფანა, საცოდავ გოგონას და თვალები დაუბრიალა:

— აბა, ჩამოყაჭე!

ბავშვმა უსიტყვოდ ჩამოიხსნა ზურგიდან საწიგნე, გახსნა პატარა ჭიბაკი, მიხერიკ-მოხერიკა და რამდენიმე თეთრი ხელის კანკალით ჩაუყარა ბიჭს მუჭში. — მეტი არ გაქვს? ეგაბ სულ?

მეგის გული უფართხალებდა. ირგვლივ მასზე 3-4 წლით უფროსი ოთხი ბიჭი შემორკალოდა და ასე, დღისით-მზისით, ზედ სკოლის ჭიშკართან აყაჩალებდა. იქეთ-აქედან მიმოდიოდნენ მასწავლებლები, მოსწავლები, მშობლები, მაგრამ მეგისათვის არავის მიუქცევია ყურადღება.

— იცოდე, არავისთან წამოგცდეს, თორემ ხომ იცი!.. თმებს დაგაგლევ!.. — თვალებს უბრიალებდა ახალგამოჩეკილი აბრაგი.

— არა. — ასლუკუნდა მეგი, მაგრამ ტირილს ვერ ბედავდა. შიშის ქარს აეტანა, ხმა წასვლოდა. ძლიერ მოახტონდათანხმებოდა.

ბიჭმა ჩავგლო თმაში ხელი და უკან გადაუწია თავი.

— ხელისათვის ცოტა მეტი წამოიღე, გესმის? — შეანჭლრია, უნდოდა კიდევ უფრო მეტად მოექანა თმები,

მაგრამ მოულოდნელად ვიღაცის ძლიერი ხელი წევდა მაჯაში და გოგონა გააშვებინა.

— რა გინდა ამ ბავშვისაგან? — მათ წინ მაღალი, გამხდარი, მაგრამ ათლეტური აღნაგობის ბიჭი იდგა. იგი მათზე საგრძნობლად უფროსი იყო და მაღლიდანაც დაპყურებდა ყველას. სპორტული სვიტერი ეცვა, თმა მოკლე ჰქონდა შეკრეჭილი, მოკაუჭებული ცხვირითა და ქორის თვალებით ისე სასტიკი ჩანდა, შიშს გრიდა პატარებს; რომლებიც შორიდან იცნობდნენ მას.

შეცდნენ. იცოდნენ მისი მძიმე ხასიათი. არ ეგულებოდათ სკოლაში ბიჭი, მისთვის ოდესმე რამე გაებერდნ. ყველასათვის ცნობილი იყო, როგორც ნერვიული და შთოთიანი კალათბურთელი. მსაჭებიც კი ერიდებოდნენ მასთან შეხლა-შემოხლას, თუმცა ყველა უყვარდა და პატივს სცემდნენ. ბიჭების იდიალი იყო, ბაძავდნენ, ცდილობდნენ მასსავით ეთამაშათ, მისი მანერები გადაეღოთ, ზოგი მიხვრა-მოხვრითაც ემსგავსებოდა.

ბიჭებმა რომ არაფერი უპასუხეს, გოგონას მიუბრუნდა:

— რა უნდათ ამათ შენგან?

მაგრამ იმანაც რომ ვერ ამოიღო ხმა, ისევ ბიჭებს მიუხედა:

— ჰა, რას ერჩით-მეთქი, ვის ვეუბნები? — ხმას აუწია და ეს უკან მუქარას ნიშნავდა.

ბიჭები აილეწნენ. ის თითქოს მიხვდა, რაშიც იყო საქმე, მეგის შეხედა:

— რას გაძლავდნენ? — მერე კალა უგერგილოდ აბუზულ ბიჭს შეავლო თვალი: — რა გაქვს მუჭაში? ჰო, გაშალე!.. გაშალე, თორემ მოვიდა! — თავისი ტორი დაანახვა; ის კი ვერ ბედავდა მუჭის გახსნას, არ იცოდა, რა ექნა. ერთადერთი ხსნა გაქცევაში იყო და სცადა კიდეც, მაგრამ მისთვის

წარმოუდგენელი რეაქციით ისე სწრაფად სწოდა კეფაში მარწუხებივით თითები, რომ თავი ვერ გაანძრია. უთქმელად გაშალა მუჭი და ვერცხისფერი თეთრი ხურდა დაანახვა, მაგრამ არ იცოდა, შემდეგ რა ექნა, იდგა ასე ხელგაწვდილი.

— ამა, ფული წაგლიჯეთ, არა? რა, ყაჩაღები ხართ?

— არა, ჩვენ ისე, რა... — ლულლულებდა კეფაში ხელჩაჭიდებული ყმაწვილი, თვითონ მოგვცა... ჰქითხე, თუ გინდა.

— მა, თმაში რაღას ექაჩებოდით? თქვენ თქვენს ტოლებს აჭამეთ. — გამოართვა ხურდა და ერთი ისეთი წაუთაჭა თავში, საზრისი დააკარგვინა — გაუგებრად დაიწყო ბორიალი, თანაც გამწარებით ისრესდა ყურს. არც სხვებს დაჰკლებია — ყველას ერთი-ორი ლაზათიანი უთავაზა. მხოლოდ ერთი დაუქრა — გაქცევით უშევლა თავს.

დიდ ბიჭს გაეღიმა, უცქერდა, როგორ თაგვებივით მიმოიფანტნენ ბიჭუნები და როგორ შეერივნენ ხალხს. ანგარიშმიუცემლად ჩაუყარა გოგონას ფული ღიად დარჩენილ ჭიბაკში და ღიმილით შეათვალიერა. ის გამშრალი შემოჰყურებდა. კარგად ვერ გარკვეულიყო, რა მოხდა, და არც ის იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ისიც ვერ მოიაზრა, მადლობა მაინც ეთქვა მისი მხსნელისათვის. ის კი იდგა და მოჰყურული თვალებით შემოჰყურებდა საცოდავად აბუზულს.

— კარგი, დამშვიდდი, — თითქოს დიდი არაფერი მომხდარიყოს, — უთხრა მას და თავზე გადაუსვა ხელი.

მეგის მოულოდნელად გული აუჩუყდა, ტირილი კინაღამ დაიწყო. თავს ძლივს იჭერდა, ტუჩები უთროთოდა, დიდრონი შავ-შავი თვალებით შეჲ ყურებდა აწოწილ ბიჭს და სუნთქვა

ეკვროდა. ვერ მოეხერხებინა, ნაბიჭი გადაედგა. ვაუი თითქოს მიუხვდა:

— ნუ გეშინია, აწი ვერაფერს დაგიშავებენ.

— ეგენი ისეთები არიან, რომ... — ხმის კანკალით ძლივს ამოღერლა პატარამ და ცხვირსახოცი მოქებნა ჩანთაში.

— შენ იცნობ მაგათ?

— ჰო. — თითქოს გულს ამოაყოლა მეგიმ.

— საიდან?

— ჩვენი სკოლელები არიან, მაგრამ სხვა უბრიდან. სხვებსაც აცლიან ფულებს. თუ არ მისცემ, გზაზე დაგხვდებიან და გცემენ.

— შენთვის სხვა დროსაც წაურთმევიათ?

— ყოველთვის. როცა კი დამინახავენ, მართმევენ. თუ არა მაქვს, თმებზე მექაჩებიან.

ბიჭს ალმური მოედო. შეეტყო, რაღაცად ჩააფიქრა. ცოტა ხანს დუღდა. მერე ნაძალადევად გაუღიმა გოგონას გასამნევებლად:

— მე მოუღებ მაგას ბოლოს. — ისე შეათვალიერა, თითქოს სინჯავსო, ერთი ვნახო, რა სულიერია ეს საცოდავიო. დაყვავებით დაუმატა: — კარგი, შენ მშვიდად იძინე. ხმასაც ვერ გაგცემენ. თუ არადა, მითხარი და მე ვიცი მაგათი... ახლა ნუ გეშინია, გაგვები ცოტაზე.

ორივენი ერთად გაუყვნენ გზას. ახმახი ბიჭი დიდ-დიდი ნაბიჭებით მიაბოტებდა, მეგი წელამდე ძლივს სწვდებოდა და ხტომა-ხტომით მისდევდა. შიშით აცეცებდა თვალებს, საღმე არ ჩასაფრებულიყვნენ ის ავარა ბიჭები. მაშინ მოითქვა სული, თავის სადარბაზოს რომ მიაღწია. შეჩერდა, პირველ საფეხურზე შეხტა და თანამგზავრს გასძახა:

— აი, მოვედი. მე აქ ვცხოვრობ.

— ჰო-ო? — გაფანტულად მოუხედა უკან ყმაშვილმა, თითქოს არც კი ასხოვდა, გოგონა რომ მოსდევდა კვალდაგვალ, — ძალიან კარგი. ახლოს ყოფილხარ სკოლასთან. მე კიდევ შორს ვცხოვობ... აბა, კარგად იყავი.

გოგონამ პასუხად თავი დაუქნია, მაგრამ არ დაძრულა, არ აუყვა სადარბაზოს კიბეებს. ბიჭი კი უდარდელად მიტრიალდა და თავისი გზა განაგრძო. მეგი იდგა და თვალს არ აშორებდა. ის დინგად, დიდრონი ნაბიჯებით მიალაჭებდა, გრძელ ხელებს ისე იქნევდა, თითქოს ნავში ნიჩებს უსვამენო.

მეგის ძალიან უნდოდა, ერთი, უკან მოეხედა ბიჭს, დაძახებაც დააპირა, ხელს დაგუქნევო, მაგრამ რატომღაც შერცხვა. რაღაც გაურკვეველი და უაზრო სირცხვილის გრძნობა შეეპარა და უნებურად აილეწი. ბიჭი ამ ხანში იმდენად შორს წასულიყო, სულ პატარა ჩანდა, მისი თოჯინა კიკისოდენა — ცირკის კლოუნი, წითური თმები რომ აქვს და კარტოფილივით გაბუშტული ცხვირი.

გაეცინა.

სახლში მხოლოდ დედა იყო და მაშინვე მოუყვა, რაც თავს გადახდა.

ქალი გადაირია. მამა რომ მოვიდა, ის მთლიად გაშმაგდა. ორივემ დაასკვნა, საჭიროა ყოველივე ეს სკოლას ეცნობოსო, მაგრამ მერე გადაიფიქრეს — ახლა ძევლი დრო აღარ არის, აშვებულია ქვეყანა. ატყდება დავიდარაბა და იმ ბიჭებმა შეიძლება ხვალ უარესი გვიყონა.

— მაგრამ ასე ხომ სულ წახლის ახალგაზრდები? — ბრძანა მამამ, მაგრამ მაშინვე გადაშვილი, ყველამ თავის შვილს მოუაროსო, და დამშვიდდა. ერთზე ორივენი უცილობლად შეთანხმდნენ: ენახათ ის ბიჭი და მადლობა მოეხსენებინათ მეგის გამოსარჩლე-

ბისათვის. მაგრამ ეს განუხორციელებელ გადაშვეტილებად დარჩა.

შემოდგომის პირს წამოშვებულმა ნაადრევმა წვიმებმა სკოლის მიმდებარე ქუჩები და ეზოები დააცარიელა. შემთხვევით შეხვედრები, შინ წასვლის წინ მეგობრებთან საათობით დგომა გზაჯვარედინებთან ტროტუარზე და გაუთავებელი მასლაათი, გვუფ-გვუფად ქუჩა-ქუჩა უდარდელი ხეტიილი შეწყდა. მეგის მას მერე ერთხელაც არ დაუნახავს ფიცხო. მისი ნამდვილი სახელიც არ იცოდა. როგორც ბევრი მისი ტოლა, ისიც ამ ზედმეტი სახელით იცნობდა მას — მთელი სკოლის ბიჭების ავან-ჩავანს, განთქმულ კალათბურთელსა და ყველასაგან აღიარებულ ლიდერს, რომელსაც დიდი თუ პატარა კარგად იცნობს და აფასებს.

ერთხელ, კარგა ხნის შემდეგ, შემთხვევით გადაშვილ სკოლის გვერდით ქუჩაში მოფარებულ ადგილის, სადაც სწავლასარიდებული ბიჭები ხშირად იყრიდნენ თავს და გაუთავებლად ლაზრანდარობდნენ. ამხანაგებში იდგა და ვილაცასა თუ რაღაცას ელოდებოდა.

მეგი გახარებული შედგა და დაუფარვად მიაჩერდა, მაგრამ იგი ვერც კი ამჩნევდა მას.

— სიგარეტი არ გაქვს? — ხან ერთს მიუბრუნდებოდა და ხან მეორეს, მაგრამ ყველასაგან უარს იღებდა. ბოლოს, ამგვარად გაშტილებული, უკმარიბის გრძნობამორეული, სახლის შვერილზე ჩამოჭდა.

მეგის ძალიან უნდოდა შეენიშნა იმას, მაგრამ თითქოს ჯიბრზე, მისკენ არც კი გამოუხედავს. კარგა ხანს იდგა სახეზე შერჩენილი უხერხეული ლიმილით, და რომ ვერავინ შეამჩნა და არვინ მიაქცია ყურადღება, ბოლოს და ბოლოს, დაძმარებული გამოტრიალდა და შინისაკენ გასწია. თანაც იმიტომაც

აჩქარდა, შენიშნა, მათკენ თანაკლასელი გოგონა რომ მოღიოდა. სწრაფად გაეცალა იქაურობას და მიიმაღა.

რამდენიმე დღის შემდეგ, როცა, როგორც იქნა, შეწყდა გულის გამაწვრილებელი წვიმები, სპეციალურად მოძებნა ფიცხო. იგი სასაუზმესთან იდგა დიდი შესვენების დროს მასავით წოწოლა თანაკლასელთან და რაღაცას გაცხარებით უსაბუთებდა. მეგიმ ერთხანს უყურა, უყურა და ვერცერთმა რომ ვერ შენიშნა, გაბედულება მოიკრიბა და ფიცხოს ცხვირწინ აეტუზა. იმან შეწყვიტა ლაპარაკი და გოგონას შემოხედა. გაკვირვებით დააცქერდა მორცხვად მომღიმარ ბავშვს. ვერ მიმხვდარიყო, რა უნდოდა მას მისგან.

— აჲა, — უთხრა მეგიმ და სიგარეტის გაუხსნელი კოლოფი გაუწოდა.

ბიჭი უცებ ვერ გაერკვა, რაში იყო საქმე. დაფანტული მზერით მისხერებოდა, ვიდრე იმან არ უთხრა, საჩუქრად მოგიტანეო.

— მე მომიტანე?! — გაუგებრობას ვერ ფარივდა და თვალს არ აშორებდა გოგონას შეწუხებულ სახეს. მეგი თავს უხერხულად გრძნობდა, ასე რომ იდგა ხელგაწვდილი სიგარეტის კოლოფით.

— აიღე, — მორცხვად უთხრა, — შენ მოგიტანე. დაგავიწყდა, რომ მიშველი?

— აა, ეს შენა ხარ? — ახლა გაახსენდა ყმაწვილს ის ამბავი. მთელი სახით გაუღიმა და „ძღვენი“ სიამოვნებით ჩამოართვა, — კარგი გოგო ხარ, მაგრამ რატომ დაიხარჯე?

— არასოდეს არა გაქვს და ვითიქე, გაუხარდება-მეთქი.

— მართალი ხარ, — გაეღიმა იმას და კოლოფი შეათვალიერა ხელში, — ოჲ, ეს ხომ საკმაოდ ძვირია. ვინ იცის,

რამდენი საუზმის ფულად დაგიჭდა.

— სულაც არა.

— გმაღლობთ... ძალიან დიდი მაღლობა. გავიხარებ ბიჭებს.

მეგის გაუზმიანდა სახე. სისხლი მჩქეფარედ მოაწვა ღაწვებს და ააფერადა. აღარ იცოდა, რა ეთქვა. არადა, გრძნობდა, რაღაცგვარად მას უნდა შენიარჩუნებინა ეს ურთიერთობა, თუ სურდა, არ შეწყვეტილიყო იგი, მაგრამ ვერაფრის თქმა რომ ვერ მოახერხა, დამანაშავესავით გაეღიმა და ჩქარი ნაბიჯებით გაეცალა იქაურობას. ბიჭებმა უნებურად გააყოლეს თვალი, ვიდრე ის კიბეზე ბავშვების დიდ ნაკადში არ ჩაიმალა.

— ვინ არის ეს ბავშვი? — იკითხა გაოცებულმა ამხანაგმა და, როგორც კატა ძეხვის ნაჭერს, ისე წაეპოტინა სიგარეტის კოლოფს, თან იქეთ-აქეთ აცეცებდა თვალებს, ვინმე უფროსთაგანი ხომ არ გვხდავს.

— არ ვიცი. ერთი უბადრუკი გოგოა, ფული შეუწერიათ პატარა ბიჭებს და ვუშველე, — ისე თქვა ფიცხომ, ამისთვის რაიმე განსაკუთრებული მნიშვნელობა არ მიუცია.

— ისე, შენ რომ იცოდე, ეს გოგო თავის დროს მაგარი ვინმე დადგება! — უთხრა მეგობარმა ერთგვარი შეფარული ღიმილით და წასასვლელად გაემზადა. ფიცხომ ახლა მოისაზრა, ერთი კარგად დაკვირვებოდა ამ გოგოს, მაგრამ იგი უკვე აღარ ჩანდა.

რამდენიმე დღე ანგარიშგაუწევლად დაექებდა მასთან შეხვედრას, მაგრამ რისთვის და რატომ, ვერ იტყოდა. რატომღაც მეგობრის ნათქვამი ისე აეგვიატა, თავიდან ვერ იშორებდა. ერთხელ მაინც ბეჭითად შეეთვალიერებინა იგი, ენახა, რა ბავშვია ეს გოგონა, რას წარმოადგენს, როგორია, რანაირი. რატომღაც მის მიმართ

რაღაცგვარი სიბრალული გაუჩნდა. ვინ იცის, როგორ ცდილობდა მადლიერებით გამოეხატა მისთვის გაწეული დახმარება, მან კი ეს ჩვეულებრივად მიიღო, ვითომც აქ არაფერი. ალბათ გულიც კი დასწყვიტა ამგვარი გულგრილობით. რა საწყლად გამოიყურება, რა გაუტედავია, რაღაცგვარი დაჩარული და უმწეო.

უმცროსკლასელთა ფლიგელი
 განმარტოებით დგას ეზოში და მეგი რომ ენახა, სპეციალურად უნდა გადასულიყო იქ ან ჭიშკართან დალოდებოდა, საიდანაც ყველა გადი-გამოდის — ბავშვები, მასწავლებლები და მშობლები. საღარბაზო შესასვლელი მხოლოდ საპატიო სტუმრებისთვისაა. იშვიათად თუ გამოიძურტებიან იქიდან მოსწავლეები, თუ მიეცათ შემთხვევა და კარი როგორდაც ღია დაუხვდათ. რატომდაც თავისი თავის რცხვენოდა. მით უმეტეს, არავითარი სურვილი არ ჰქონდა, ვინმეს შეეტყო რამე.

შემთხვევა არა და არ ეძლეოდა. ისინი უმეტესად ჯგროდ გამოდიოდნენ სკოლიდან თავიანთ თანაკლასელებთან ერთად, ხანაც წერთანაზე რჩებოდა, და ძალაუნებურად ეს საქმე განუსაზღვრელი დაიდო.

შეხვედრა მაინც მოეწყო: დილით სკოლისაკენ მიმავალს წამოეწია. მისი ჩანთა იცნო, თორემ უკნიდან ასე ჩაცმულს ვერ შეიცნობდა — მოკლე კაბის ნაცვლად ჭინსის შარგალი ეცვა, სპორტული კურტაკი. მიუხედავად იმისა, რომ ციონდა და უინუღლავდა, თავზე არაფერი ეხურა, მოკლედ შეკრეჭილი ჩალისფერი თმები უკან „წკაპუნებით“ შეეკრა და წელგა-მართული, ლაღად მიაბიჯებდა. ერთხანს ფეხდაფეხ მიჰყავა. მოწონდა მისი მოშვებული, დაუძაბავი, თითქოს რაღაც უზრუნველად სიარული, თანაზომიერი რწევით მიმოვრა, ფიცხოში ეს

რატომდაც სიმსუბუქისა თუ უდარდელობის გრძნობას აღძრავდა და თავდაჯერებულს ხდიდა. საგსებით განთავისუფლდა უხერხულობის ტვირთისაგან და გოგონას „დილა შვიდობისაო“, შეაგება, როცა იმან უკანმოუხდავად იგრძნო ვიღაცის მოახლოება და ერთბაშად შემოტრიალდა.

მეგის სალამზე პასუხი არ მიუცია — გულიანად გაუღიმა და გაწითლდა.

ფიცხოს არ დასჭიროვებია სიტყვების ქებნა. ჩვეულებრივ, როგორც დიდი ხნის ნაცნობს, შინაურულად გაუბა საუბარი. ათასი რამე ჰკითხა, ზოგიც თავისი უთხრა, რაღაცით დააინტერესა, რაღაცით დაინტერესდა.

დიდი ბიჭის მეგობრულმა ტონმა მეგი გაათამამა, მაგრამ მაინც ბოჭავდა ის, რომ ფიცხო მასზე საგრძნობლად უფროსი იყო — საგსებით სხვა ადამიანი, სულ სხვა სამყაროდან. ამიტომ მხოლოდ კითხვებზე იძლეოდა პასუხებს. ერთადერთი, რაც გაძედა და ჰკითხა — რატომ გეძახიან ფიცხოსო.

ბიჭს გაეღიმა.

— არც კი მახსოვს, როდის და ვინ შემარქვა. ყველა ასე მეძახის. სახლშიაც კი. გურამიონ, არავინ მახსენებს. მეც მივეჩვიყ. ალბათ იმიტომ მეძახიან ასე, ფიცხი რომ ვარ. რა ვქნა, უსამართლობას ვერ ვიტან. ვერც უსინდისობას ვითმენ... ჰოდა, ხშირად მიწევს კამათი და შეხლა-შემოხლა.

ის განაგრძობდა თავის დახასიათებას და მეგიც გულდასმით უსმენდა, თუმცა გულისყურის მოთოვა უჭირდა. ამჩნევდა, ესენი რომ ასე ერთად მოდიოდნენ შინაურულად მასლაათმასლათით, როგორ შემოაჩერ-დებოდნენ ხოლმე გზად მომავალი გაოცებული თანატოლები. გული სიამაყით ევსებოდა. ხუმრობაა, სკოლაში ყველაზე ცნობილი

ალექსანდრე ლორია

და სახელიანი ბიჭი, ისიც ამდენით უფროსი, და მეგობარივით მოგყვებოდეს და გესაუბრებოდეს?

მისთვის ეს დღე, მიუხედავად მუჟამული ტაროსისა, მზიანი იყო. მთელი დღე ხალისიანად დაფუს-ფუსებდა. დედამაც კი შენიშვნა ეს და ღიმილით უთხრა, რა ნიავმა დაგიბერა ნეტავო.

ასეთი შემთხვევითი შეხვედრები ჩვეულებრივად გადაიქცა, მაგრამ მერე ზამთარმა შეიტანა თავისი კორექტივები. საახალწლო არდადეგებზე ხომ სულ დაეკარგნენ ერთმანეთს.

სამწუხაროდ, სწავლის დაწყებისთანავე, ყველაფერი ერთბაშად უცნაურად აყირავდა და აირია, როცა ერთხელ მამა, ცოტა არ იყოს, სერიოზულად შეფიქრიანებული, დედას ჩაეძია:

— შენ ჩუმ-ჩუმად თამბაქოს წევას ხომ არ მიჰყავ ხელი, ქალბატონორი?

ქალმა გაოცებითა და, ცოტა არ იყოს, მწყრალად გამოხედა. უსიტყვოდ დატუქსა თითქოს — ვთომ ეს უაზრო შეკითხვა რა ხუმრობა უნდა იყოსო.

— რა ვიცი. მეჩვენება, რომ სიგარეტის ბლოკებს ხანდახან აკლდება ხოლმე კოლოფები.

— უჰ, რას არ იტყვი! — გაწყრა დიასახლისი, — ვის უნდა შენი სიგარეტები? ჩვენთან შენს მეტი არავინ ეწევა. ნატო რომ მოდის, ხომ იცი, იმას შენი სიგარეტები არ მოწონს, მუდამ თავისი აქვს. რაღაც გეშლება, ბატონი.

მამას არაფერი უთქვამს, მაგრამ გაოცებით კი აიჩეხა მხრები.

მეგი არ შერხეულა. დივანზე იჯდა წიგნით ხელში. გააცია. აილეწა. სიმწრით გადაყლაბა ყელს მომდგარი ნერწყვი. ეგონა, ფილტვებმა სუნთქვა შეწყვიტესო.

უკანასკნელად რომ მიუტანა

ფიცხოს სიგარეტები, ბიჭმა თავდაპირველად უარი უთხრა:

— აღარ ვეწევი. ნაკრების მწვრთნელმა მითხრა, ნაკრებში არ აგიყვან, მაგას თუ არ მოშლიო... მაგრამ... — მცირე ხნით ჩაფიქრდა, — კარგი, გამოგართმევ ერთხელაც და შენგან სახსოვრად შევინახავ. თილისმად მექნება, რომ მეტი აღარ მოვწიოო.

მეგი სიხარულით ცას ეწია. იმდენად ის კი არ უხაროდა, ბიჭმა სიგარეტს გაანება თავიო, რამდენადაც მის ნაჩუქირ უბრალო კოლოფს ამგვარი პატივი რომ ერგო.

ამ შემთხვევიდან ორიოდე კვირაც არ გასულა, დამრიგებელმა დარეკა სახლში.

დედა გულგახეთქილი დაბრუნდა სკოლიდან.

— რა უნდა დამართოდა? — მრავალუცნობიან განტოლების ამოხსნას ლამბდა, — თითქოს მეცადინეობს, არსად არ დადის, სულ წიგნი უჭირავს ხელში.

ფიქრითა ამ კორიანტელში უცებ ერთი სურათი წამოეჭრა თვალშინ — მეგი ამ ბოლო დროს სულ წერს რაღაცას და მალაგს. რას წერს ან რატომ მიალაგს? თავის დროს ამისათვის ყურადღება არ მიიქცევია, მაგრამ ახლა რატომდაც უსიამოგნოდ შეძრა ამ გახსენებამ. გადაჩხრიკა მისი უჭრები და პატარა, ლურჯყდიანი რვეული აღმოაჩინა. სულმოუთქმელად დაიწყო კითხვა. ჩვეულებრივი, ბალური, მიამიტური დღიური იყო. არაფერი საეჭვო, გარდა საერთო სევდიანი განწყობილებისა: „დღეს წვიმს... არ მიყვარს წვიმა...“ „ყველას გაუხარდა თოვლის მოსვლა, ჩემს გარდა...“ „ნელი გამებუტა, სიმართლე რომ ვუთხარი...“ „სულ არ მომეტონა ეს სპექტაკლი, რას აქებენ?“ „მიყვარს გაზაფხული, მეც

გული მიხალისძება“... „რატომ ეძახიან გურამს ფიცხოს? რა სულელური სახელია, სულ არ შეჰვერის“... „მინდოდა კალათბურთის საწვრთნელ დარბაზში შევსულიყავი, მაგრამ არ შემიშვეს, გარეშე პირები არ დაიშვებიანო“... „გინაღამ გული გამისკდა, მამამ სიგარეტებზე რომ დაიწყო ლაპარაკი...“ — და მაშინვე შეწყვიტა კითხვა. ეს რას უნდა ნიშნავდეს? — გული კინაღამ ამოუფრინდა საგულედან, — რამდენჯერმე წაიკითხა ეს ადგილი, მთელი რვეული გადაიკითხა, გულდაგულ გადაჩერიკა, მაგრამ ამის მეტი საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინა — აღწერილი იყო, თუ რა მძიმე განცდა დაეუფლა მას ამ დღეს... მაგრამ რა მოხდა ასეთი? რატომ გაუსკდა გული, მამამისმა სიგარეტების ამბავი რომ მოიკითხა? იქნება... არა, არა, არა!... — სული შეხეუთა უეცრად, — ამას, რომ მოქმლან, ვერ დავიჭერებ!.. მეგი და სიგარეტი? ჩემი მეგი?.. და სიგარეტი?!

თავგზა აებნა. მთელი დღე აზრებს ვერ იკრებდა, მაგრამ არავისათვის არაფერი გაუმხელია. მეორე დღეს, მეგი სკოლიდან რომ დაბრუნდა, გრძნობამორეულმა ჩაიხუტა, მაგრად მიიქრა მკერდზე და დიდხანს კოცნა და კოცნა. გული აუჩუყდა და ბავშვიც ააცრემლა.

— ჩემო მეგუნია, ჩემო ფისუნია!.. შენ ხომ ჩემი ჭკვიანი გოგო ხარ, ჩემი სიცოცხლე, ჩემი იმედი? — თვალებს უკოცნიდა დარეტიანებულ და თავგზააბნეულ გოგონას, რომელსაც ვერაფრით ვერ გაეგო, რა მოხდა ასეთი, დედა ასე რამ შეაწრიალა.

— ხომ ყველაფერს მეტყვი ყოველთვის? ხომ არასოდეს არაფერს დამიმალავ? — განაგრძობდა ქალი ტუჩების ნერვიული თრთოლვით, —

იცოდე, მე და შენ ყველაზე დიდი მეგობრები ვართ ქვეყნად. მართალია, შენ ჯერ პატარა ხარ, მაგრამ არც ისეთი, ავსა და კარგს ვერ არჩევდე. უნდა მითხრა, გამანდო ყველაფერი... რა ხდება შენს თავს? მასწავლებელმა მითხრა, ძალიან ჩამორჩა, ძელებურად აღარ მეცადინეობსო. კი არაფერს აშავებს, მაგრამ ისე ზის გაკვეთილზე, თითქოს რაც იქ ხდება, მას არ ეხებოდესო. მეც გატყობ, რომ შეიცვალე. გული საგულეს აღარ მაქვს.

მეგი გაკვირვებული უსმერდა დედას და ვერაფერს მიმხვდარიყო, რა ცვლილებებზე იყო ლაპარაკი. მართლაც, არის მის ცხოვრებაში ისეთი პერიოდი, როცა უფრო ცუდად გამოსდის სწავლა, მაგრამ დროებით, ხან ხომ კარგად გამოსდის? ასეა, საერთოდ, ხან გიხარია, ხან გაწუხებს არაც, ხანაც ხასიათზე არა ხარ, ხანაც დაღლილი ხარ... რაა აქ შესაშფოთებელი?

მოაგონდა — მეორე კლასშიც ჰქონდა ასეთი შემთხვევა: დაიბარა მასწავლებელმა დედა და უთხრა, თქვენმა შვილმა საგრძნობლად მოუკლო სწავლასო. იყო სახლში მაშინ ამაზე ლაპარაკი და ამით დამთავრდა ყველაფერი. სხვებს არაფრით ჩამორჩენილა, მაგრამ რატომღაც მაინცა და მაინც მისგან ითხოვენ ყველაზე მეტს. რა მოხდა ახლა ასეთი? თავისი ამგვარი მდგომარეობა სრულებითაც არ აღელვებდა, მშვიდად გრძნობლა თავს, მაგრამ დედის მოულოდნელმა შეკითხვამ აუტკიცა ლოყები:

— ერთი ეს მითხარი: კარგად შეგნიშნე, მამაშენმა იმ სიგარეტებზე რომ ქითხა არაც ამის წინ, რატომღაც ისე შეშფოთდი, რომ...

მეგიმ დედას არ დააცალა, ყელზე შემოეხვია და გაიტრუნა.

წამებად დაუჭდა სიმართლის თქმა.

ალექსანდრე ლორია

და დედის გულში ვეშაპივით
შემოვარდა სრულიად გაუაზრებელი
ახალი სადარდებელი. ისე აირია და
დაიბნა, ვერაფერი ვერ თქვა:

და მეგი თავის თავს მიანდო,
ჩამოეხსნა და სცადა, როგორმე
მოეაზრებინა, წესიერად გარკვეულყოყ,
რა ხდებოდა, ბოლოს და ბოლოს.

გადაწყდა, მეგის ახლო
მეგობრებისათვის ეკითხა რამე, მაგრამ
მაშინვე უკუაგდო ეს მოსაზრება.
მოერიდა ამ გაუგებრობის გახმაურებას.
თვითონ დაიწყო საქმის გამორკვევა ისე,
რომ არც ქმრისათვის და არც ახლობელ-
მეგობრებისათვის არაფერი უთქვამს.

არამდენიმე დღის მალულად დევნა
უშედეგოდ დასრულდა. ხელმოსაჭიდი
არაფერი მომხდარი. დიდი ფიქრის
შემდეგ გადაწყვიტა, როგორმე თვალი
მაინც მოეკრა იმ ბიჭისათვის, მეგი რომ
სიგარეტებით ამარაგებდა. ახლა ინანა,
თავის დროს რომ არ ნახეს, როცა
გადაწყვიტეს, მაღლობა ეთქვათ
მისთვის.

შვილს არაფერს ეუბნებოდა. ასე
ეგონა, დუმილით მიაფუჩეჩებდა ამ
საქმეს და ამით დამთავრდებოდა ყვე-
ლაფერი, მაგრამ ეჭვის ჭია გამუდმებით
ღრღნიდა და ვერ ისვენებდა.

ამ შფოთვაში გაზაფხულმაც
მოატანა. მალულმა თვალთვალმა
თავისი გაიტანა. — როგორც იქნა,
საკუთარი თვალით დაინახა, სკოლიდან
ერთად როგორ მოდიოდნენ მისი მეგი
და ის უცხო ბიჭი. ღმერთო,
რამისიმაღლე ბიჭი! მეგი წელამდე ძლივს
სწოდებოდა. ის ხომ დასრულებული
ყმაწვილია და მეგისთან რა უნდა
ჰქონდეს საერთო? ნეტავ, რაზე
ლაპარაკობენ ასე საქმიანად, რა აქვთ
სალაპარაკო?

იმ დღეს დედის გულს არ
მოუსვენია. კბილებით იჭერდა სათქმელს

შვილთან თუ ქმართან... თუმცა რითი
დაეწყო და რა ეთქვა? მთვარეულივით
იჯდა სამზარეულოში თავის ფიქრებთან
განმარტოვებული.

არა, მაინც, რა ბედი დაურჩა!

თვითონ ვერაფერს მიაღწია
ცხოვრებაში. ლამაზი, ტანკენარა გოგო
იყო, კარგად სწავლობდა, უზადიდ
იცმევდა, უცხო ენებს ფლობდა
ბაგშვილიდან, ფორტეპანოზე უკრავდა,
კარგად მღეროდა. ვინ იცის, სკოლის
დამთავრებისთანავე, თვრამეტი წლის
ქალიშვილი ბონდოს რომ არ მოეტაცა,
რა წარმატებები ელოდა, მაგრამ... ჰო,
ახლა რა გასაკითხია, მართლა მოიტაცა
თუ მოატაცებინა თავი, მთავარი ისაა,
რამ სამუდამოდ ჩარჩა ოჯახში.
მართალია, არაფერი არ აკლდა: სახლი,
კარჩ, მანქანა, მოსახლეობურე, დღეობა-
ნათლობები, თეატრი, კინო... მაგრამ
თავისი გზა მაინც ვერ გაიგნო. რაღაცას
კიდევ ფიქრობდა, მაგრამ მთლად
აიშალა მისი გეგმები, როცა მეგი გაჩნდა
— ლამაზი, სრულყოფილი, მომხიბლავი
პატარა ქალბატონი. შინ თუ გარეთ
ყველას რჩებოდა თვალი თვალხატულა
კოპტია გოგონაზე. ერთზე წყდებოდა
გული: მისი თვალების მოცისფრო ფერი
რომ არ გამოჰყა შვილს. მამამისივით
შავ-შავი ნაკვერჩელები დაურჩა. სხვა
რომ აღარ გაუჩნდათ, მთელი
გულისყური მასზე გადაიტანეს.
არაფერს აკლებდნენ, ყველა კაპრიზს
უსრულებდნენ, და თითქოს ასეთ
ყოფაში ერთი ანჩხლი და ჭირვეული
ვინმე უნდა დამდგარიყო, მაგრამ
პირიქით კი მოხდა — საშინელი
მორცხვი, გაუბედავი, რაღაც საცოდავი,
საოცრად მოშიში და მოკრძალებული...

რას არ ეცადა ენერგიული დედა,
რომ რაღაც ტალანტი გაეღვიძებინა
მასში, მაგრამ არაფერი გამოსდიოდა.
მუსიკა ვერ დასძლია — მეორე კლასიდან

გამოიყვანეს; ცეკვის შასწავლებელი გიუდებოდა, მომიყვანეთ ეს ბავშვი, ნამდვილი მოცეკვავის ტანი აქვსო, მაგრამ მეგი ვერაფრით დაიყოლიეს — რამდენიმე დღეს იარა საცეკვაო ქლასში და არავითარი წარმატებისათვის არ მიუღწევია, დაანება თავი; არც სიმღერა გამოსდიოდა, ლექსებს კარგად კითხულობდა, მაგრამ რომ მოგექლა, სხვასთან ხმას ვერ ამოაღებინებდი. სპორტისათვის ძალიან ნაზი გამოდგა — ეცალნენ მხატვრული ტანგარჯიშისათვის მიეყო ხელი, და არც აქ გაამართლა — ხასიათი არ აღმოაჩნდა შესაფერისი — სპორტული.

დედა გიუდებოდა. სწავლითაც რომ არ გამოირჩეოდა? ისე რა, ჩვეულებრივ — როგორც ბევრი სხვა, ისე ისიც — ზოგ საგანს კარგად სწავლობდა, რომელიც ეადვილებოდა, ზოგს — არა. უბრალოდ, ეჭავრებოდა. ერთი, რაც აინტერესებს, წიგნებია. ტელევიზორის მიმართაც გულგრილია — შემთვევიდან შემთხვევამდე უყურებს. მეორეც — სამზარეულოა. თავიდან ვერ მოიცილებ, როცა რამეს აკეთებ, განსაკუთრებით ნამცხვარს თუ აცხობ. ჭამა მაინც უყვარდეს!.. თვითონაც შეუძლია ზოგი რამ, მაგრამ ვის რაში ჭირდება მაგისი მზარეულობა?

სახლის საქმეც ძალიან ეხერხება. ერთი უნდა ნახო, რა ხალისით ალაგებს ოთახებს — მტვერს გაწმენდს, იატაკს დააპრიალებს, მაგრამ ფეხს არ დაგაკარებინებს მერე. დიდი ქალივით ტრიალებს თვაზე ხილაბანდწაკრული. სხვისი გაკეთებული არაფერი მოსწონს. დედის დალაგებულ საწოლებსაც კი თვითონ თუ არ შეავლო ხელი და თავის გემოზე არ მიასწორ-მოასწორა, ვერ მოისვენებს. თავის ნივთებს ვის ჩივის, სხვას არავის აპატიებს უადგილო ადგილას დადოს სადმე რამე. თავის

ნებაზე უნდა გააკეთოს ყველაფერი, თავისი გემოვნებით. ნამდვილი პატარი მეოჯახე ქალია... მაგრამ რა? ეს უნდა იყოს მისი ცხოვრება? იმისთვის იღვწის დედა, ოჯახში გამოკეტოს მთელი ცხოვრება ქალიშვილი და მეტი არაფერი?

ერთადერთი შორეული იმედიღა ასულდგმულებს მას, თორემ მამა ხომ სულაც არ ფიქრობს ასეთ რამებზე. — მეგის ახლავე ეტყობა, ბრწყინვალე ქალი დაღება. კიდევ კარგი, აღნაგობა დედის დაურჩა და მამასავით მკგრივი და ჩაფსკვნილი არ გამოვიდა. ლერწამიყვით გოგოა. გაიზრდება — მისი სილამაზით გაიტანს ლელოს. მაგან ჭერ კიდევ არ იცის თავისი ფასი...

და ახლა უკვე მის კარგ ბედიბალზე ფიქრობდა. უეჭველად „პრინცი“ იქნება მისი რჩეული — ლამაზი, მდიდარი, გონიერი, მშვენიერი, რჩეულთა შორის რჩეული....

უცებ თავბრუ დაეხვა ამის გაფიქრებაზე.

— ვინ?.. ვინ?.. ის ახმახი კალაობურთელი?..

მაგრამ რა დროს ამაზე ფიქრია, მეორეც — სად ეს და სად ის? ერთ უბრალო ბიჭია. არაფრით გამორჩეული ოჯახიშვილი.

— არა, არა! — წამოიყვირა და წამოვარდა სკამიდან. მალე მოეგო გონს. კიდევ კარგი, სახლში არავინ იყო. მეგი მამიდას ჰყავდა წაყვანილი რომელიღაც გასტროლიორის კონცერტზე.

ამ დღიდან გაუთავებელი საოჯახო დებატები დაიწყო. ცხადია, ყველაფერი მეგის ზურგს უკან ხდებოდა, მაგრამ იყო კარგად ამჩნევდა, საიდუმლო მსჯელობათა საგანს თვითონ რომ წარმოადგენდა. ზოგ რამეს გუმანით ხვდებოდა, ზოგს ისმენდა მალულად თუ აშკარად და მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. რამდენჯერმე აღშფოთდა

ალექსანდრე ლორია

კიდეც, მაგრამ ყოველთვის იჭერდა თავს ხოლმე.

— რატომ არ ფიქრობ, რა უნდა ვწაროდ? — გაცოფებული შეაფრინდა ერთხელ დედა ქმარს, — მე რომ შემომყურებ ყველაფერზე, ყველაფერზე მე რომ უნდა ვიფიქრო... შენ არ გინდა შეიწუხო თავი?

ბონდო გაღიზიანებული სცემდა ბოლთას, ქოჩორაშლილი და აღრენილი, სუფთად გაპარსულ სახეს ისრესდა ნერგიულად.

მამიდა, ჯერ ახალგაზრდა, მაგრამ ხანდაზმულის შესახედაობის გაუთხოვარი ქალი სავარძელში იჯდა და სიგარეტს აბოლებდა ცალთვალმოჭუტული, ბოლს რომ არ შეეწუხებინა. ცდილობდა როგორმე დაემშვიდებინა რძალი, მოვიფიქრებთ რამეს, ნუ გადაირიო.

— რა უნდა მოვიფიქრო, ნატო, რა? ბავშვი თერთმეტი წლის ძლიერებისა და ასეთი ამბები გაგონილა?

— მაინც, რაა ასეთი უსაშველო? — თავისას არ იშლიდა მამიდა, — რაც შენ მომიყევი, იმაში არათერია საგანგაშო. სულ გადაირიე, მგონი. ჯერ ისედაც რა იყავი, და მთლად დაილიე. კისერზე ძარღვები დაგაწდა. სული რომ შეგიბეროს კაცმა, გაფრინდები. დამშვიდილი ცოტა, დაწყნარდი.

კარგა ხნის შემდეგ მართლაც ყველანი დამშვიდნენ. თითქოს დავიწყებას მიეცა უსიამოვნო ამბავი, მაგრამ ერთხელ, მარტის პირველ რიცხვებში, ღრუბლნარევ მზიან დღეს მეგი რომ ნაადრევი გაზაფხულის კვარაკვინჩხების პაწაწინა მუშტისოდენა კონით სახევაბადრული დაბრუნდა სკოლიდან და დედას თითქოს მიახარა, ფიცხო შემხვდა და იმან მიყიდა ეს იებიო, ქალი გონებიდან გადავიდა. არაფერი უთქვამს, მაგრამ გული

კინალამ წაუვიდა. თავი შეიკავა საღამომდე, მაგრამ მერე ვეღარ მოითმინა და ნატოს დაურეკა, როცა მეგი მეზობელ გოგონასთან გავიდა რაცად საქმეზე.

— ამ გოგოს რა ჭირს, არ ვიცი, პირდაპირ, — გულს ასკდებოდა იგი, — ლენია ნამდვილად, სულელი... მე ასეთ დღეში ვარ, და ის კიდევ მოვიდა და მეუბნება: ერთად მოვდიოდით და ჩვენს კუთხეში რომ კაცი ყვავილებს ყიდის, ფიცხომ ეს იები მისგან იყიდაო. თანაც ძლიერ შეუგროვებია ხურდა ფული და იმ კაცმაც ცოტა დაუკლოო. გესმის, ქალო? მომახარა რა!.. შტერია ნამდვილად, სულელი!

ნატოს გაეცინა:

— გოგო, არ ესმის ბაგშვს ეგ იმგვარად, შენ რომ გებულობ... მისთვის ეს ჩვეულებრივი ამბავია. ვინ იცის, თავი მოაქვს კიდეც, მთელ სკოლაში განთქმული ბიჭი რომ მას ეამხანაგება.

— ჰოდა, მაქედან იწყება ყველაფერი...

— რა ყველაფერი, გაჩერდი ერთი! დედა მდუმარედ იტანდა ყველაფერს. იქამდე არ ამოუღია ხმა, ვიდრე მეგიმ მთლად დამჭერარი ყვავილები კი არ გადაყარა, ფანჯრის რათაზე გაშლილ ქალალდზე გაფინა ჰერბარიუმის გამოსაყვანად. მაშინ კი იფეთქა. იმწამსვე იხმო თავისთან მული.

ქალებმა იფიქრეს და მამისათვის არც კი უკითხავთ, გადაწყვიტეს, მომავალი სასწავლო წლიდან მეგი სხვა სკოლაში გადაეყვანათ. ის ბიჭი დაამთავრებს სწორედ სკოლას და ამით მორჩება ყველაფერი.

ასეც მოხდა.

მთელი ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი ისე გავიდა, ოჯახური იდილია არ დარღვეულა. ყველაფერი მოწესრიგდა. მართალია, მეგის არ

უნდოდა სკოლისა და მეგობრების გამოცვლა, მაგრამ იცოდა, მას რომ არავინ არ ეკითხება ამას, და მორჩილად დუმდა, თუ მის პასიურ პროტესტს არ მივიღებთ მხედველობაში ერთ-ორჯერ რომ გამოხატა ბუზღუნით. კარგად ვერ გარკვეულიყო, რითი ჭობდა ეს სკოლა იმას, სადაც ადრე სწავლობდა. დედა მთელი მონდომებით უსაბუთებდა თითქმის ყოველ დღე, რომ ეს სასწავლებელი სულ სხვაა, უნივერსიტეტის ბაზაზეა, მაღალ კლასებში დიფერენცირებული სწავლება ექნებათ, პედაგოგები სულ დოცენტები და კანდიდატები არიან. ხომ ნახე, მამამ ძლივს ჩააწყო საქმე, მანდ მოეწყვეროვორმე.

დედის კალთას ჩაფრენილი მეგი უბრძოლველად დაჲყვა მშობლების ნებას და ამგვარად, სხვა სკოლაში ამოჲყო თავი. უფრო შორს უნდა ევლო, მაგრამ ყოველ დილით მამას მიყავდა თავისი მანქანით. მას თუ არ ეცალა — დედა მშვენიერი მძღოლი იყო. უკან კი სამარშრუტო ტაქსით ბრუნდებოდა. კი იყო ამგვარი რამ გასაწვალებელი, მაგრამ ეს სულაც არ აწუხებდა. ყველაზე ძნელი ახალი ამხანაგების შეგუება იყო. ძელ სკოლაშიც მისი სხვებთან ურთიერთობის არე ისედაც შეზღუდული იყო, ბევრი მეგობარი და თანამოაზრე არ ჰყოლია არასაღისეული, მაგრამ აქ მთლად განკერძოვდა, განსაკუთრებით პირველ ხანებში.

დასევდიანდა, სულ უბრად იყო, მოღუნებული, უხალისი. ხანდახან თუ დაურეკავდა ძველ ამხანაგებს, ამბავს იკითხავდა და ეს იყო და ეს. იშვიათად ხვდებოდა მათ — შემთხვევა თუ მოიტანდა, თორემ წინასწარგანზრახულად არავის ნახულობდა. თანდათან ამასაც მოეშვა და ახალ წრეში დაიწყო ტრიალი. ნელ-ნელა

უბრუნდებოდა ძველებური ცხოვრების ნირი.

ფიცხო ხშირად აგონდებოდა, თუმცა განზრახულად სრულებითაც არ ფიქრობდა ამას. ანაზდად რაღაც დეტალი გაუყელვებდა თვალწინ და მალევე უჩინარდებოდა. ეს მოგონებებიც მალე შეუკეთებელი ცეცხლივით მინავლდა. აზრადაც არ მოსვლია, შესაძლებელი თუ იყო, სპეციალურად ენახა იგი. ამას გონებაშიც ვერ უშვებდა, თუმცა შემთხვევით შეხვედრაზე არაერთხელ უფიქრია.

საერთოდ, მძიმეა გარემოს შეცვლა. ზოგჯერ გამანადგურებლადაც კი მოქმედებს ადამიანზე, მით უმეტეს, ბავშვზე. ბავშვს ვერაფერი შეუცვლის შეჩვეულ გარემოს. არაფერი შეედრება იმას, როდესაც მოზარდს სკოლა თავის უბანში აქვს, სადაც დიდი თუ პატარა დაბადებიდან იცნობენ ერთმანეთს, სადაც უამრავი თანშეზრდილი მეგობარი და ამხანაგი ჰყავს, სადაც ყოველთვის მზად არიან ხელი გამოიგიწოდონ, დაგეხმარონ, ანგარიში გაგიშიონ, გენდონ, საჭიროების შემთხვევაში დაგიცვან როგორც ახლობელი და თავისკაცი. სულ სხვაა, როცა სკოლა შენი უბნელი ნაცნობი ბავშვებითაა სავსე, როცა მათი მშობლებიც კი კარგად გიცნობენ. ყოველივე ამას მოკლებულს, ცხადია, მეგისაც დაეწყო თავისებური სიმძიმილი, გაუცნობიერებული შინაგანი წუხილის ანარეკლი, რომელიც, ვინ იცის, რა კვალს დააჩენს, ბოლოს და ბოლოს, მის სულს, რაში გამოვლინდება, მაგრამ ამჟამად გარებნულად თითქოს ყველაფერი თავის ადგილზე დგას.

ღრმა თავისი გაიტანა და ქარიშხალიც ჩადგა.

გაზაფხულმაც მოატანა. მარტის პირველსავე რიცხვებიდან თბილი,

ღრუბელნარევი მზიანი დღეები დადგა. ხალხმა ფანჯრების გამოლება დაიწყო. მოსწავლეები ჭგუფ-ჭგუფად გამოდიოდნენ სასკოლო შენობიდან და ხალისით მიეშურებოდნენ შინისაკენ, მაგრამ არა ძველებურად აჩქარებით, არამედ ნელ-ნელა, საუბარ-საუბრით, ფეხთრევითა და ზლაზვნით, თითქოს ერთმანეთი არ ეთმობოდეთ.

მეგი მაინც სხვა იყო — თავდაჭერილი, უთქმელი, დამორცხვებული, მოწყენილი. მაინცა და მაინც, ვერ გაითქვითა ამხანაგებში, მაგრამ გამზიანებამ ისიც გამოახალისა ცოტათი. უკანასკნელი ზარის დარეკვისთანავე, მანამდელივით უკანმოუხედავად აღარ გარბოდა შინისაკენ.

ახლაც უნებლიერ მოითრია ფეხი. თანასკლასელები რაღაცაზე დაობდნენ და ისიც დაინტერესდა. ფანჯარასთან

იდგნენ შეჯგუფებულნი და ერთმანეთს არ აცლიდნენ ლაპარაკს. უნებლიერ ფანჯრისაკენ გაექცა მზერა. აქედან სკოლის მთავარი გასასვლელი ხელისგულივით მოჩანდა. უცებ შეიმართა, სულ გამოეთიშა აქაურობას, არაფერი არ ესმოდა, რას ლაპარაკობდნენ თანატოლები.

ქვემოთ, სკოლის კიბესთან ჭუჩაში, ჭიანჭველებივით ირეოდნენ შენობიდან გამოსული ბავშვები, ხმაურობდნენ, შეუჩერებლად მოძრაობდნენ, ფუსფუსებდნენ.

მაშინვე შენიშნა ნაცნობი სახე — ახმახი ბიჭი გაუნძრევლად იდგა მოშორებით და თვალების ვიღაცას დაექებდა. ხელში უგერგილოდ ეჭირა ნააღრევი გაზაფხულის კვარაკვინჩხების პაწაწა მუშტისოდენა კონა.



გენდ პოპულარიზაცია-ლაცაბიძე

ქადაგის ფიქრები

პატარა ვიყავი, ერთობ პატარა, ჩემმა პატრონმა რომ გამაჩუქა. ისე მეფეებოდნენ და მანებივრებდნენ, სულ გადამავიწყდა დედა, ფეხებში ვატმასნებოდი ყველას, ველაქუცებოდი; თამაში მიყვარდა, ფეხსაცმელსაც გადავმალავდი ხშირად და დატუქსვაც არ ამცილდებოდა ამისთვის.

ბავშვები მიყვარდა ძალიან. მათთან ყოფნა ზეიმი იყო ჩემთვის. ვიცინოდით, ვანცობდით, დავრბოდით ერთად. ახალი პატრონის სახლში განსაკუთრებით ერთი თვალმახარა გოგონა მიყვარდა. იმასაც ძალიან ვუყვარდი. მინდოორში რომ გაიქცეოდა იგი, ისე გაეშლებოდა კაბა, გეგონებოდა, გაფრენას აპირებსო. შეშინებული გამოვედეგნებოდი, კაბის კალთას პირს ჩავავლებდი და ასე ვლამობდი გოგონას დაჭრას. ზოგჯერ ვახერხებდი კიდეც, შევაჩერებდი და ვხარობდი, ჩემი კოპრი მეგობარი ჩემთან რომ იყო. იგი კი ცდილობდა, როგორმე დაეხსნა ჩემს ბასრ კბილებში მოქცეული მისი კაბა. მაგრამ ამაოდ... ჩემი გმირული თავდადება კაბის გახევით მთავრდებოდა, რისთვისაც ორივე ვისჯებოდით: მე დამამწყვდევნენ, გოგონას კი ჩემთან თამაშს უკრძალავდნენ, მაგრამ გოგონას ტირილი და ჩემი წკმუტუნით გამოხატული მონანიება უფროსებს გულს მოულბობდა მალე და ჩვენც ერთად ვიყავით ისევ. ასე გადიოდა დრო და ჩვენც ვავიზარდენით.... მე, თეთრი, ქათქათა ბეჭვით შევიმოსე, ჩემი თვალხატულა პაჭია მეგობარი კი — მშვენიერი ქალიშვილი დადგა. მალე იგი ქალაქში გადავიდა სასწავლებლად და უკვე იშვიათდ ვხვდებოდით ერთმანეთს. გონიერსა და ჰკვიანს მეძახდნენ, რადგანაც შინაურისა და გარეშეს გარჩევა კარგად შემეძლო. ყნოსვით ვგრძნობდი, ვინ მოყვარე იყო ოჯახის და ვინ — მტერი. ორივეს საკადრისად ვხვდებოდი: მტერს — მტრულად, მოყვარეს — მოყვრულად.

ასე, ავად თუ კარგად, გადიოდა ჩემი ძალური წუთისოფელი, ის დაწყევლილი ომი რომ არა, მართლა რა მიჰირდა?! აბა რა დამავიწყებს იმ წლების სიღუნძირეს. ადამიანებს ყველაფერი აკლდათ: სითბო, საჭმელ-სასმელი, მაგრამ მე შიმშილი მაინც არ მიგრძნია. ოჯახის მამა იტყოდა: ძალით თავის სარჩოს იმსახურებს, უკეთს დარაჯს, ისიც ასე ერთგულს, აბა, სად ვნახავთო. პურს რომ იყიდა, ნიშანს მოგვცემდა; მეც ვერავინ მჭობდა მისი მანქანის საყიდის გამოცნბაში. გავიგონებდი თუ არა, მაშინვე ყეფას ავტეხდი, გამოდით, მამა მოვიდაო, ჩემებური ძალური ენით ვახარებდი ხოლმე ყმაწვილებს. ყველამ იცოდა, რომ ამგვარი მხიარული ყეფით მხოლოდ ოჯახის უფროსს გვხვდებოდი. ბაგშვებიც მაშინვე ატეხდნენ ყიუინას: — მამა მოსულა, მამაო! მეც სიხარულით გავრბოდი პატრონთან შესახვედრად. ვიცოდ, ჩემი კუთვნილი პური თვითონ უნდა წამომედო.

ჩემი კეთილი პატრონიც თავზე გადამისგამდა ხელს და მეტყოდა, აი, კინტო, ესეც შენო! მეც დავავლებდი პირს ჩემს ულუფას და შინისაკენ გამოვრბოდი.

ყველაზე მწარე დღე მაშინ გამითენდა, როცა ჩემი პატრონიც ომის გზას

მერი კოპალიანი-ლაცაბიძე

გაუყენეს სხვებივით. მის მოლოდინში ვიყავი სულ, მესიზმრებოდა მისი სიკეთით საგსე თვალები... დიდი დრო არ გასულა, რომ მისი გმირულად დაღუპვის ამბავიც მოვიდა და ჩემი ცხოვრების ჩარხი უკულმა შეტრიალდა. მალე მთელი ოჯახი გადასახლდა ქალაქში მე კი ახალი პატრონის ხელში აღმოგჩნდი. ცხოვრება კი თანდათან უარესდებოდა და ჩემთვის ველარავინ იცლიდა უკვე. ჩვენი სახლის ახალმა ბინადრებმა, თავად მშიერებმა და გულჩახვეულებმა, ერთ საშინელ დღეს ჭიშკარი გამიღეს და მიბრძანეს, წალი, აქედან დაგვეკარგეო! აღარ ვიცოდი, რა მექნა. მშიერ-მწყურვალიც კი არ მოვცილებივარ ჭიშკარს და ძელ ნეტარ დროზე გულამოსკვილი ყვმული.

ახალმა პატრონმა, ეტყობა, ველარ გაუძლო ჩემს საცოდაობას, ყელზე თოკი შემაბა და შორს, ძალიან შორს რომელილაც სხვა ქალაქში მიმიყვანა და უპატრონოდ დამაგდო იქ. ბევრი ვეცადე, მაგრამ უკან დასაბრუნებელი გზა ველარ გავიგენი. შშობიარობის დროც მიახლოვდებოდა და იძულებული ვიყავი, თავშესაფარი მექებნა საღმე. მეც ერთი ლამაზი სახლის სარდაფუში ჩავიპარე და ბინაც იქ დავიდე. შვილები გავაჩინე, მაგრამ რა?! შიმშილისაგან დაოსებულმა იმათი გამოკვება ველარ შევქელი, ამდენმა დარღმა ძუძუ გამიშრო... ერთი ლეკვილა შემჩრია მხოლოდ. ორი დღის წინ პატარა ბიჭები შეჩერდნენ ჩვენთან, შიშმა ამიტანა, ერთადერთი შვილი არ წამართვან, არ გამილახონ-თქო. მტკივანი ფეხი მაღლა ავწიე, ვიფიქრე, იქნებ გული ავუყუჩო ბავშვებს და შვილი გადავარჩინო.

ჩემმა ონმა გასჭრა, ბავშვებმა ყურადღებით დამიწყეს ცქერა. ერთმა ჩემი გასაჭირიც კი შენიშნა და წამოიძახა: — დახე, დახე, ფეხი სტკივებია ამ საცოდავსო, მაგრამ მაინც მოსწყინდათ ბოლოს ჩემი ცქერა, ხელი ჩაიქნიეს და დაღვრემილები გამეცალნენ.

ვინ იცის, რამდენი ჩემნაირი დაწანწალებს დღეს ჭუჩაში... ეეხ!.. რატომ არ ახსოვს ადამიანს ჩვენი ერთგულება? ისე გამოთქმაც კი აქვთ ასეთი, „ძაღლივით ერთგულიაო“.

ჭუჩაში გდებისაგან ჩემს თეთრ ქათიბს ჭუჭყისფერი დაედო, თვალები ნაღველმა დამინისლა... წინა თათებზე ჩამოვდებ ხოლმე თავს და გამვლელ-გამომვლელს ველაციცები, იქნებ პატრონი გამომიჩნდეს...

ხშირად შეჩერდებიან ჩემს ახლოს იდამიანები და საუბარს გააბამენ ხოლმე, ხან მთისას ჰყებიან და ხან-ბარისას... რამდენჯერ გამიგონია, მავანმა მავანს ტყავი გააძროო. აი, ჩვენ, ძალლები, კი ერთმანეთის ტყავს არ ვერჩით, ეს ჩვენი რჯულის წმიდათაწმიდა კანონია. ადამიანებმაც შეგვნიშნეს და აკი ამიტომაც ამბობენ, „ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს“.

ერთმანეთის ერთგულებაც კარგად ვიცით ძაღლებმა. თუ საღმე მტერი გამოჩნდა, ყველანი გამოვენთებით, ერთმანეთში რომც ვჩხუბობდეთ, მაშინაც კი ვზავდებით და მტერს შევებმებით. ვიცით, რომ ძალა ერთობაშია. ჩვენი ერთობა მგლებს კი აშინებს და ერთად თავშეყრილებს რომ დაგვინახავენ, კუდამოძუებულნი გარბიან.

ვზივარ და ათას რამეზე ვფიქრობ ჩემებურად. ძაღლური სინდისითა და სიმართლით... ვოცნებობ სითბოსა და სიყვარულზე, კეთილ პატრონზე...

ხანდახან ასეც ხდება ხოლმე: შეჩერდება რომელიმე მადლიანი მანდილოსანი, სიბრალულით შემომხედავს, ქაღალდში გახვეულ საუზმეს შემომთავაზებს; მაშინ

უნდა ნახოთ ჩემი სიხარული! თვალებგაბრწყინებული შეკურებ ხელებსა და თვალებში. ვფიქრობ, იქნებ სახლშიც წამიყვანისო. მაგრამ ვაი, რომ ჯერჯერობით ბედი არ მიღიმის; ლუკმას მომიგდებენ და გამეცლებიან. რა იციან, რა მწარეა ეს ლუკმა ჩემთვის!.. აბა, ერთი წამიყვანონ და ჩემი ერთგულებაც ნახონ მერე! ალალი ლუკმა ყელზე იაღარ დამადგება. ვაი, რა ძნელია უპატრონობა!.. აკი ადამიანებს ასეთი გამოთქმაც აქვთ: „უპატრონონ ძალლივით აგდიაო“. სწორედ ჩემნაირებზეა ნათქვამი!..

ჰოდა, დავწანწალებ მეც ასე ენაგადმოგდებული, მშეირ-მწყურვალი და არ მცილდება მწარე ფიქრები: „რა ბედი ელის ჩემს ერთას? როდემდე უნდა ვეგდო ასე უპატრონონდ? ნეტა როდის დამერქმევა ისევ სახლის დარაჯი? ადამიანებო, რატომ, რისთვის მომაშინაურეთ?!.



შემოსის ფორმის ჰავიტის მინისტრის
შინგა კლება ხელი და განვითარებული აქ-
ტუ როგორც განვითარების სამინისტროს მინისტრის მეთროპოლი

უძილო ლამა

ახლა დეკემბრის შავი ღამეა,
შავმა ღრუბელმა მთვარე დაჩრდილა.
მე თბილ საბანში გახვეულივარ,
შენ კი სად წევხარ, ძმაო არჩილა!

კუნაპეტ ღამეს ვხედავ ფანჯრებში,
იყოს სიბნელე, არ ვნატრობ მნათობს
და მეჩვენება — ამ ბნელ ღამეში
ნაჯაფარ მკერდზე გაწვიმს და გათოვს.

გიყვარდა შრომით ცეცხლის გაჩენა,
წელში მართავდი წაქცეულ საქმეს
დიდი ცოდვაა — შენი მარჯვენა
ასე უდროოდ მიწაში დალპეს!

ცხადში თუ დარღმა გული დალახვრა,
სიზმარში შენთან ყოფნა მალაღებს;
ხან უპიროში ვთიბავთ ბალას და
ხან გორმულაში ვიჭერთ კალმახებს.

ფიქრით სოფელში დაგდივარ, ვხვნეში,
ვირ გავეჩეცი დარღებს ვერსაით
და გაიელვებს უწერის ტყეში
შენი თვალები ცეცხლის მკვესავი.

ახლა დეკემბრის ცივი ღამეა,
შავმა ღრუბელმა მთვარე დაჩრდილა.
მე თბილ საბანში გახვეული ვარ,
შენ კი სად წევხარ ძმაო არჩილა!

მიუყვები ღელისპირს,
დამშრიალებს ურთხმელი,
რაღაც სევდა შემიპყრობს,
ენით გამოუთქმელი.

აქ კალმახებს ვიჭერდი
თმაქოჩორა ყმაწვილი,
მაშინდელი ფიჭვები
დგანან ცამდე აწვდილი.

ოცდაათჯერ მას შემდეგ
ხეს ფოთლები დაცვივდა.
გული ამბობს — აქ შესდექ,
თავი ფიქრობს — რად გინდა!

და გაფრენილ ბავშვობას
აქედან ვაკვირდები;
მაშინ რად არ მხიბლავდა
კამკამი ამ ზეირთების?
დედამიწის მშვენება —
ფოთლები და ჩიტები?

მაშინ რად არ მატკბობდა
ჩხრიალი ამ წყაროთა?
ჩემი ყმაწვილეჭაცობა
რატომ არ მიხაროდა?

მიუყვები ღელისპირს,
დამშრიალებს ურთმელი,
რაღაც სევდა შემიპყრობა,
ენით გამოუთქმელი.

* * *

მე ვეღარ ვამჩნევ ტყის და ცის ფერებს,
მძიმე დარდებით გული მაქვს სავსე;
სიღარიბე და ჩემი სიბერე
ბანდიტებივთ მომაღვენ კარზე.

ეს ძმაკაცებიც ისე კვდებიან,
თითქოს სახლები დაცარიელდნენ.
ეს რა ლანდები ილანდებიან
ჩემი სიცოცხლის დასალიერზე?

მოქლა საწუთროს გზებზე ჩანჩალმა,
ჩემს ურემს ვხედავ ჩაფლულს ჭაობში.
ბავშვობა დიღმა ომმა დაჩაგრა,
სიბერეს ახრჩობს ქვეყნის ჭაოსი.

თვალს არ ახარებს ოფლგაღაღვრილი
და ვაჟკაცური მკლავი და მკერდი
ყოველ ნაბიჯზე მხვდება თაღლითი,
კეთილშობილი — ათასში ერთი!

შრომას გაურბის ხალხი თაგხედი,
უანგი ედება ხეს და შალაშინს,
თუ როგორ გვიყვარს ჩვენ ერთმანეთი,
ეს კარგად მოჩანს ქართულ ბაზარში.

ვეღარა ვლალობთ შრომის ბარაქით,
ჩვენს გულებს ბოლმა ედება ცეცხლად
და მოდებია როგორც ტალახი
აწმყოს ტყუილი და წარსულს კვნესა.

საქმეში არ ჩანს გონების შუქი,
ვებრძვით ბუნებას — ქვეყნის მშვენებას
და ძველ სასახლეს დაანგრევ თუკი,
უნდა შეგეძლოს ახლის შენება!

ეს ქმარაცხებიც ისე კვდებიან,
თითქოს სახლები დაცარიელდნენ,
ეს რა ლანდები ილანდებიან
ჩემი სიცოცხლის დასალიერზე?

პერიკაპები

ერთად ხნავდნენ, ერთად სხლავდნენ, ერთად ჭრიდნენ ხე-ტყეს
გულითადი მეგობრები პავლია და პეტრე.

მათ ცხოვრებას აქ არ აღვწერ, არც ბავშვობას, სიყრმეს,
ორმოცდაათ წლის რომ გახდნენ, მე იქიდან ვიწყებ.
შეაღებდა პეტრე პაპა პავლეს სახლის კარებს,
— მაგ ბუხართან ვინ მიგაბა, გამო ახლა გარეთ!

შინ დაკლული ღორი მიდევს, მწვადებს შევწვავ მალე,
ჩემთან რომ არ წამოხვიდე, მეწყინება პავლე!
პავლე ეტყვის — რატომ ცდები, რად სეირობ ნეტავ?

ნუთუ ისე გენატრები, უჩემოდ მწვადს ვერ ჭამ!
რას მიმათრევ იმ შენს სახლში, გათრობს ერთი ჭიქა,
შემეჯიბრე ღვინის სმაში, გაგაცალო სიქა!

ეს მომენტი სხვა მომენტით იცვლებოდა მალე;
მეორე დღეს პეტრეს კარებს უკაკუნებს პავლე:
წამო ჩემთან, სტუმარი მყავს, ხვანჭეარათი შევთვრეთ,
ახლა შენ რომ უარი თქვა, ხმას არ გაგცემ, პეტრე!
თბილ ბუხართან სუფრას უსხდნენ, ჭუკჭუკობდნენ ტკბილად,
კითხულობდნენ-ნეტავ ახლა ბინდია თუ დილა?

ფანჯრებს იქეთ ჩანდა ლურჯად ხშირ ნაძვნარის ზოლი,
ნაძვებს ციდან ბლუჯა-ბლუჯა ეყრებოდა თოვლი.

და მღეროდნენ რაღაც ეშჩით, მთლად უკბილო პირით,
 იფიქრებდი — ილბათ ყელში გაჩხერიათ სტვირი.

ჰგავდნენ დაკორძებულ მუხებს, გადაბელილს წალდით,
 მე მეგონა არ აწუხებთ მათ არაფრის დარდი.

* * *

თვალი მოვკარ ხალხის წრიალს პაპა პეტრეს სახლთან.

თურმე წნევამ აუწია, ძალზე ცუდად გახდა.

ძმაკაცს უთხრა — იმ ქვეყნას მივდივარო მალე,

შენაც თუ არ წამოხვედი, მეწყინება პავლე!

ახრიალდა ივადმყოფი, დაუმდიმდა სუნთქვა.

— მე შენ მარტო არ გაგიშვებ! — პავლემ პეტრეს უთხრა.

მეორე დღეს პავლე იწვა ცხელი ოფლით სველი,

ექიმმა თქვა — ციროზი აქვს, ჩაიქნია ხელი.

და უცვლიდნენ წარამარა ბალიშებს და ზეწრებს,

სიკვდილის წინ ბუტბუტებდა — მეც მოვდივარ პეტრე!

* * *

მოდიოდა ცივი თოში ხის ტოტების ხლეჩით

და ჩაფლული სამ მეტრ თოვლში შვლები ნახეს ტყეში.

და სოფელმა, გალურსულმა იმ თოვლიან ხევში,

ორი კუბო ტყიან მთაზე აიტანა ხენეშით.

მიწას თხრიდნენ, ირგვლივ თოვლი ვეშაპივით იწვა,

ერთმანეთში აიზილა თოვლ-ჭყაპი და მიწა.

და თქვა ხალხმა — აქ დამთავრდა ცხოვრების გზა გრძელი,

საწყლებს დასასრული გზისა პერნათ მართლა ძნელი!

წლეულს კიდევ გადაგხედე მე პაპების სახლ-კარს,

მარანს, ღვინოს, სახლის კედლებს სულ სხვა ფერი დაჰკრავს.

დაღუმებულ აიგანზე დიდხანს ვიდექ მარტო


და კიდია, როგორც ჩრდილი, კედელს პავლეს პალტო.

კვლავ სიმღერა ისმის მთაში, ღვინოს ისევ სვამენ,

ისევ წვება ხეობაში გალურსული ღამე.

თოვლი ტყეებს ისევ პენტავს, ისევ ჭრიან ხე-ტყეს,

თბილ ბუხართან აღარ სხედან პავლია და პეტრე.



ՃԵՐԱԺ ՇՄԱՐՏՎԱՐԱԺ

„ՃԵՇՎՑՈ՞“
Բանահարո



გურამ ფუტკარაძე

„ბეჭუმი“
სანახატი

პრიზიკა, აუგლიცისტიკა

ამირან ხაბაზი



ქარვაში ჩატყვევებული ენეალები თამაზ ჭილაძის პოეზია

შემები თამაზ და ოთარ ჭილაძეები ქართული შეერლობის უთვალსაჩინოესი წარმომადგენლები არიან, რომლებითაც სამართლიანად ამაყობს ქართული ლიტერატურა.

ამას წინათ ჩემი მეგობრის ერთი სურათი ვნახე: დგანან ორი შავქოჩირა ბიჭები თამაზ და ოთარ ჭილაძეები, სრულიად ახალგაზრდები, ლამაზები. ფოტოსურათი ახალგაზრდა შეერალთა ერთ-ერთ შეკრებაზეა გადაღებული... რამდენი ბათუმელიც თბილისში ჩავა, იმდენ მოკითხვას აბარებენ შშობლიურ ქალაქთან და ნაცნობ-მეგობრებთან. ამაყობენ აჭარაში მიმდინარე კულტურული ძრებით, თვალ-ყურს ადევნებენ აქაურ ლიტერატურულ პროცესს... აფხაზეთში თავისი ბუდე რომ მოეშალა ქართველს, ბატონშა თამაზ ჭილაძემ ახალგაზრდა შეერალთა ბიჭვინთის სემინარი ქობულეთში გადმოიტანა და ყოველ წელს მისი ხელმძღვანელობით ჩვენთან იმართება ეს მეტად საინტერესო ლიტერატურული ფორუმი. აგვისტოს ქობულეთის ერთ-ერთი ლამაზი სურათია: ზის ბატონი თამაზი მაგნოლიის ხის ჩრდილში (პოეზიაშიც უყვარს ეს ხე!). მისი ანტიკური პროფესიის იქით მოჩანს უსაზღვროდ ლურჯი ცა, ლურჯი ზღვა და... ჰყვავის მაგნოლია!

* * *

მრავალფეროვანია თამაზ ჭილაძის შემოქმედება — პროზა, დრამატურგია, პოეზია. ამ წერილში, რომელსაც მისი ლექსის ერთი ლამაზი სახე, „ქარვაში ჩატყვევებული ენძელები“ დაგარქვი, თამაზ ჭილაძის პოეზიაზე მინდა ვესაუბრო მკითხველს.

თამაზ ჭილაძე ულამაზესი ფერების, იდუმალი პოეტური დეტალების, უჩინარი გრძნობების მესაიდუმლე პოეტია. მის პოეზიაში იმდენი ოქრო-ვერცხლი, ლალი და ქარვა, აბრეშუმი, სარკეები და მდიდარი ჭაღებია, რომ როგორც ერთი იტყოდა: არც ერთ შაჲს არ დაესიზრება მსგავსი სიმდიდრე. და ეს სიმდიდრე მოტანილი და დაყრილ-დახვავებული კი არაა, არამედ უფაქიზესი ოქრომშედლის ხელითა და ფილინგრანული ტექნიკითაა შესრულებული პოეტური სურათები. თითქოს ქება ვთქვი აქ პოეტისა, მაგრამ უმთავრესი მაინც სათქმელი დამრჩა: ეს ოქროს ცვარათი მოზარნიშებული სურათები ადამიანის სულთან არიან დაკავშირებული. წყრიალებენ, ლიცლიცებენ და იდუმალ ხმას გაშოსცემენ:

რეკავენ ზარები,
თუ იაღონები,
გალობით აღნობენ
ცის კაბადონებს.
ან სხვაგან:

ჩუ!

ზედაზენზე სუნთქმავს ვარსკლავი,
ვით პატარი მოსული ქალი,
ქალი კი არა — დამცროთხალი ჩიტი...

თამაზ ჭილაძე პოეზიას ხედავს იქ, სადაც სხვები მარტო საგნების გარჩევას ახერხებენ:

და სემაფორი,
როგორც მწიფე ასკილის ტოტი,
ანთია გზასთა...
გუგუნებს ქარი და გუბეები
მთვარეს პურივით ინაწილებენ...

ერთ-ერთი იმათაგანი ვარ, რომლებიც ფიქრობენ, რომ სახეების გარეშე შესრულებული პოეზია, ატომური ბომბის ჩამოვარდნის შემდეგ დარჩენილ სიროსიმასა და ნაგასაყს ჰგავს. თუმცა აქაც შეიძლება პოეზიის დანახვა, მაგრამ თამაზ ჭილაძის პოეზიას ბროჭულის ყვავილის ცეცხლი აღგას. აქ: „მდინარეები, როგორც ბალახში ჩაგარდნილი ცისარტყელებია“, „წვიმას ჰგავენ ბამბუკები, ტყეში დააბაკუნებენ“, „ვიღაცა შესწვდა წასვლისას ფოთოლს და მაგნოლიის ქანაბს ტოტი“, „მინდვრები ჭრელი ვეფხებივით აწყდებოდნენ თბილის“, „ჩემი თვალები გვანან ბუდებს, სადაც ჩიტები აღარ ბუდობენ“, „კალიასავით ხტება მარიხი და მთებს ეცემა წითელ მუხლებით“...

მატარებლების გაცილება-დაჭვედრის არაერთი ლექსია პოეზიაში, მაგრამ თამაზ ჭილაძე აქაც ორიგინალურია:

მატარებლები მიღიან ნელა...
ბაქანზე რჩება ჭორფლიანი,
მაღალი გოგო
და ნამძინარევ მგზავრების ღიმილს
აგროვებს, როგორც
ცარიელ ბოთლებს...

ყოფილხართ სტუდენტი თბილისში? გიმგზავრიათ 11 ნომერი ტრამვაით, ბეჭრი დამეთანხმებით, მაგრამ თამაზ ჭილაძესავით მაინც ვერ აღიქვამდით ამ მგზავრობას:
ისე გაწვიმდა... წვიმა ბიჭივით
ჩამოეკიდა ტრამვაის ვაგონს...
მიეკრა ფანჯრებს და ფერდაგარგულ
დიდი თვალებით შემოიხედა.

დახატვასამაზ ჭილაძე გრძელი სიტყვის მოკლედ თქმის დიდოსტატია. ამ სურათების უკუნძულებელი ზოგიერთი პოეტი რამდესიც სტროფს მოანდომებდა, მაგრამ შედევი შეიძლება ისე ეფექტური არ ყოფილიყო, როგორც ამ ლექსშია:

გრანიტის მიღმა,
გრანიტის იქით,
რაინდების ნილბით
და სამრეკლოს ჭიქით,

ჩანს ჭალაქის ლანდი...

ბატონი თამაზი მონუმენტური პიროვნებაა. მინახავს, ზის იგი ჩაფიქრებული და იმზირება თავის სულში, რომ დაგინახოს... შენ! ამ დროს მისი სახის (უაღრესად არის ტოკრა თიულის) ყველა შტრიხი ემსახურება მხოლოდ ერთ მიზანს: დაგარწმუნოს თავის არსობიდან მომდინარე აზრის სიწრფელეში, სიკეთეში. ის ხელებით არ ლაპარაკობს, არ ნერვიულობს. მიზანს აღწევს მისი ბუბუნა, სამრეკლოსავით ნაწყვეტ-ნაწყვეტ მომდინარე ხმა... და ეს თვისება ეტყობა მის პოზიციასაც... მან განიცადა ეს ხილვა, ბევრი იფიქრა... და უნდა ამ გზაზე გაგიყოლიოს!..

ჩენდა სასიხარულოდ თამაზ ჭილაძის პოეზიაში გაიღლვებს ჩვენი ბათუმი, გონიოს ციხე და კათოლიკური ეკლესია, ჩვენი შუვენიერი ზღვისპირეთი, უფაქიზესი თვალით დანახული და პოეტურ მონასმებში გარდასახული, ისეთი ოსტატობით, რომ კედელზე ჩამოსაკიდად გამზადებულ პატია გობელენებს მოჰვავან...

ამ წერილის სათაურიც, თამაზ ჭილაძის პოეზიიდანაა. ლექსი დიდი არ არის და მთლიანად მინდა მოვიტან:

ეს ის ღამეა, როცა სიზმარში
 თუ ძილღვიძლში შეიცნობ ისევ
 ყრმობის სიხარულს და მის წინაშე,
 უცებ გაქრება დროცა და სიგრცე.
 და შენი სული, ქარვის ნატეხში
 ჩატყვავებული ენძელას ღერი,
 გალაღებული სურვილის თქეშით,
 შიშველ ტყვების წყვდიადში მღერის.

ასეთი სტროფების ხილვისას კრიტიკისი ენად არ უნდა გაიკრიფოს, რადგანაც პოეტი ორიოდ მონასმით ისეთ შთამბეჭდავ სურათს ხატავს, მრავალი ტყვაობა ნამდვილად დიდი ცოდვაა. ერთი სიტყვით, აქ მაღალი პოეტური სრულყოფილება!

მიყვარს, როცა პოეტი ლექსის დასაწერად არ ჯდება ერთხელ და სამუდამოდ არჩეული მეტა-საზომით. ლექსის ფორმა სათქმელმა უნდა მოიტანოს. ზოგი ლექსი ხმამაღლალი ქებაა და ზოგი ჩურჩული. და განა შეიძლება ერთი და იგივე სალექსო ფორმით ითქვას სხვადასხვა განწყობილება!...

თამაზ ჭილაძის პოეზია უაღრესად საინტერესოა ვერსიფიკაციული ძიებებითაც, აქ იმდენი ხერხია გამოყენებული მკითხველის გულის დასაბურობად, რომ აღარც კი იცი რომელზე ილაპარაკო.

ამ წერილში მიზნად დავისახე თამაზ ჭილაძის პოეზიაზე ვისაუბრო მხოლოდ, აგრძელ, ეტყობა, ვერ მოვახერხე ეს და ვაღიარებ: ამ ლექსების დამწერი პოეტი კცილებლად დრამატურგიც უნდა იყოს! (ერთი წუთით დაფუშვათ, რომ არ ვიცი ეს). აქ ისეთი მხატვრული ქსოვილი ჩურჩულებს, იმდენი ძვირფასი თვლებია დახარჯული, ისეთი თეატრალური დეტალები ფიგურირებენ, ისეთი შთამბეჭდავი, მეტყველი ნიღბები გიმზერება... ამით იმის თქმა მინდა, რომ თამაზ ჭილაძის პოეზია დრამატურგიისაკენ მიდის!

დიახ, ჩვენდა საბედნიეროდ თამაზ ჭილაძე უნიჭიერესი დრამატურგია, რომლის პიესებიც ასულდებულებენ თანამედროვე ქართულ თეატრს. მე მხოლოდ ერთს

ვიტყოდი. ამ გემოგნების, ამ ფერწერული სულის დრამატურგისათვის ძნელი იქნება ალბათ სპექტაკლის მხატვრული გათვორმების მოწონება...

მალე მოვა აგვისტოც და განმეორდება ნაცრობი სურათი: ზის ბატონი თამაზი მაგნოლიის ხის ქვეშ, ზღვაც ლურჯია, ცაც ლურჯი; ჰაერი მაგნოლიის სურნელით ავსილა... და მე, ზღვისპირელი პოეტი, მისი ლექსით ვეუბნები ბატონ თამაზს:

ზღვა ჰერცი ძილგამქრთალს
და ნაპირზე ვეძებ შენს სითბოს,
ზღვა ჰერცი დამალულ თრთოლვას და კანკალს,
ზღვას ჩემზე მეტად უყვარხარ თითქოს...

ბატონი თამაზ!

ნამდვილად უყვარხართ ზღვას, თქვენს აჭარას, ბათუმს და გვერა რომ ისევ მოვა აგვისტოს თვე.



ოსიპო გვარიშვილი

მხატვრული თარგმანის ზოგიერთი საკითხისათვის

(მემედ-ბეგ აბაშიძის თარგმანების შესახებ)

ეპოქა, ესა თუ ის საუკუნე როგორც ვულკანი ისე ამოხეთქს ხოლმე და თითქოს თავისი წიაღისეული საუნჯიდან ქვეყანას მისცემს დიდ აღამიანებს, აღამიანებს, რომლებსაც განგების მიერ ნაბოძები ჰქონდათ მრავალმხრივი ნიჭი, რათა შემდგომ ხალხისა და ერის სამსახურში დამშვრალიყვნენ.

მეოცე საუკუნის დასაწყისში საქართველოს მოევლინა გამოჩენილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, თავდადებული მამულიშვილი მემედ-ბეგ აბაშიძე.

მკითხველის ყურადღებას მემედ-ბეგის პოლიტიკურ მოღვაწეობაზე აღარ შევაჩერებ, მაგრამ ერთს კი ვიტყოდი, თუ არა მემედ-ბეგ აბაშიძე, დღეს აჭარა საქართველოს შემადგენელი ნაწილი არ იქნებოდა. იმ პერიოდში, როდესაც აჭარის ბედი წყდებოდა, მისი ტერიტორიის ხელთ ჩაგდებას ლამობდნენ თურქები, ინგლისელები თუ სხვა ჯურის დამპყრობლები. მემედ-ბეგ აბაშიძემ, 1919 წლის 31 აგვისტოს სამუსლიმანო საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის თავმჯდომარემ, ყრილობაზე ასეთი ჩეზოლუცია მიიღო, რომელშიაც პირდაპირ ნათქვამია შემდეგი: „ჩვენი მხარე ყოველთვის წარმოადგენდა საქართველოს დედა-სამშობლოს განუყოფელ ნაწილს... დღეის შემდეგ და სამუღამოდ ბათუმი და ბათუმის ოლქი, დაე, შეუერთდნენ თავის ბუნებრივ სამშობლოს — საქართველოს რესპუბლიკას“.

მემედ-ბეგ აბაშიძე თავისებური ხედვის პოეტი, რაც მთავარია, ბრწყინვალე მთარგმნელი და მწერალია, ის თავისუფლად ფლობდა არაბულ, ფარსულ, თურქულ და აზერბაიჯანულ ენებს. ის იმდენად არსებითად იღიქვამდა სხვადასხვა ენაზე მეტყველ და სხვადასხვა მიმართულების მწერლების მხატვრულ ნაწარმოებების სულიერ სამყაროს, შინაგან განცდებს, რომ თარგმანი მისი პირადი ხელწერის გავლენის ქვეშ არ ხდება და თითქოს თარგმანები სხვადასხვა მწერლების მიერ არის შესრულებული.

ისლამის გავრცელების შემდეგ აღმოსავლეთის ქვეყნებში არაბული ენა მშობლიური ენის შემდეგ ხალხთა შორის ურთიერთობის ენად გადაიქცა და ლიტერატურაში თავისი აღვილი დაიჭირა. ძველთაგანვე თავისი ჰარმონიულობით ცნობილი და პოეტური ტრადიციების მქონე ფარსულ ენას მეტოქე გამოუჩნდა.

ამგვარად, აღმოსავლეთში XI-XII საუკუნეებში არსებული ენა იყო რელიგიისა და მეცნიერებისა, ხოლო ფარსული ენა სასახლის, პოეზიის ენად ითვლებოდა.

აღსანიშნავია, რომ რუმის სელჩუკების ქვეყანაში ამ გარემოებამ შეაფერხა თურქულ ენაზე ლიტერატურული ნაწარმოებების შექმნა და მხოლოდ 1330 წელს დაიწერა თურქულ ენაზე მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, ხოლო კლასიკური ნაწარმოებების შექმნა XV საუკუნიდან დაიწყო (ხამდი ჩელები, ახმედ ფაშა, მიჭრი ხათუნი და სხვა).

როგორც ცნობილია, მემედ-ბეგ აბაშიძე კარგად ფლობდა არაბულ, ფარსულ,

თურქულ და აზერბაიჯანულ ენებს. მათი შესწავლა მეტად რთულ და ძნელ პროცესს წარმოადგენდა, ვინაიდან ისინი სხვადასხვა ენათა ჭგუფებს ეკუთვნოდნენ გარდა თურქულისა და აზერბაიჯანული ენების სიახლოვისა.

მეტად მისამართობის რომ უფრო მისაწვდომი იყოს ზემონათქვამი, საილუსტრაციოდ მოვიყვან ამ ენების ოღნაგობისა და კლასიფიკაციის მაგალითს.

არაბული ენა მიეკუთვნება სემიტურ-ქაშიტური ენების ოჯახების სემიტურ შტოს.

ირანული ენა (ფარსი) წარმოადგენს გენეტიკურად მონათესავე ჭგუფს, რომელიც მიეკუთვნებიან ინდორევროპული ოჯახების ენების ინდოირანულ შტოს.

რაც შეეხება თურქულსა და აზერბაიჯანულ ენებს, ისინი მიეკუთვნებიან თურქული ენების ოჯახების სამხრეთ-დასავლეთის შტოს და წარმოიშვნენ ცენტრალური აზიის ოგუზთა ტომების ენების შერწყმით. მიუხედავად იმისა, რომ ეს ორი ენა თავისი წყობით, ლექსიკით, ახლოს არიან ერთმანეთთან, ერთის ან მეორის ცალკე ცოდნა არ არის საკმარისი ლიტერატურული მოღვაწეობისათვის. მით უმეტეს, რომ თანამედროვე თურქულმა ენამ 1923 წლის ათათურქის ენის რეფორმის შემდეგ კოლოსალური ცვლილება განიცადა. მასში ფარსული, არაბული და სსვა უცხო სიტყვების ნაცვლად შემოვიდა თურქული სიტყვების ფუქეებიდან ნაწარმოები სულ ახალი სიტყვები. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ის, რომ მემედ-ბეგ აბაშიძე თარგმნის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს თარგმანის ენას, ისევე როგორც ავტორი მის მიერ ორიგინალური ნაწარმოების შექმნისას, მთარგმნელი როგორც ავტორი ისეთივე მანერით ექცებს სიტყვებს. ამიტომაც სწორედ მის მიერ შესრულებული თარგმანი ითვლება შემოქმედებს პროდუქტად, ვინაიდან დაცულია ფორმისა და შინაარსის ერთიანობა, რომელშიაც კარგად აღიქმება ენის დამოკიდებულება გამოსახულ საგანთან.

მემედ-ბეგ — მთარგმნელი მაქსიმალურად აღწევს შეარჩიოს ისეთი სიტყვები, ისეთი ლექსიკური ერთეულები, რომელიც სრულიად შეესაბამებიან სურათს, გამოხატულებას, რაც ამ ლექსიკით არის გაცოცხლებული.

მთარგმნელი მიგნებულად სარგებლობს მწერლის მიერ გამოყენებული სინონიმებით, სიტყვების გამეორებით, რომლებიც უფრო მეტად წარმოაჩენენ ექსპრესიულობის მეთოდს, რაც იწვევს ემოციის გაძლიერებას.

უპირველესად მთარგმნელი აღლვებს აღქმა და ჩანაფიქრი რომლებიც შერწყმულია მეორე ენის არსში, შემდგომ მას აღემცვება სურვილი გაიზიაროს, მონაწილე გახდეს, დაიმუხტოს სხვა შემოქმედებითი მუხტით, ხოლო შემდგომ თავისი თანაშემოქმედებით გამოხატოს თანაგანცდა ავტორისა. მემედ-ბეგის მიერ შესრულებულ თარგმანებში გამოხატულია თანაგანცდის ერთ-ერთი უმაღლესი სწორედა ამ დროს მკითხველის მიერ ხდება ახალი შემოქმედის, მწერლის აღმოჩენა. ამიტომაც მწერალი ახალ ლიტერატურაში ისე შედის, როგორც თავისიანი და ამ ენაზე ყველა აღიქვამს მას შთლიანი გააზრებული და მხატვრული სისასრულით.

მემედ-ბეგისათვის როგორც მწერლისათვის თარგმანისა და ორიგინალის მხატვრული მხარეების უშუალო შესწავლის საგანს შეადგენს სიტყვა. მას მიაჩინა, რომ უცხოენოვანი სიტყვის თარგმანი აუცილებელია, თუ მას მნიშვნელობა ენიჭება ფრაზაში. ამიტომ თარგმანის პროცესში ის მაქსიმალურ ყურადღებას მიაქცევს როგორც სიტყვის მნიშვნელობას, ისე იმ კონტექსტისაც, სადაც მისი მნიშვნელობის

ჩემი ზაფრანი ხდება. ეს განსაკუთრებით შეინიშნება მაშინ, როდესაც სიტყვა გამოყენებულია მისი გადატანითი მნიშვნელობით, რომლის საფუძველზე ყალიბდება განსაზღვრული ასოციაცია. თარგმანისას მწერალი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სასატრანსფერო ენას, რომელიც სტილისტურ საშუალებად გვევლინება და შეიგამოციურობას ქმნის.

მემედ-ბეგი ითვალისწინებს, რომ ფრაზეოლოგია შემოქმედებაში, როგორც მხატვრულობის აღმნუსხველი საშუალება, ისე გვევლინება. თავისი შედგენილობითა და თვისებით ფრაზეოლოგია მრავალმხრივია, სწორედ ამიტომაც მრავალმხრივია მისი სტილისტური მნიშვნელობა, რომლის საშუალებით მწერალი აღწევს როგორც მხატვრულობას, ისე წარმოსახულსა და კოლორიტის ბუნებრიობას.

მემედ-ბეგ აბაშიძის მიერ თარგმნილ ნაწარმოებებში ფრაზეოლოგიზმების თარგმნის ანალიზმა მიგვიყვანა იმ დამსკვნამდე, რომ მთარგმნელი არა მატო კრიტიკოსი და მხატვარია, ამასთან განსწავლული ფილოლოგიც არის, მან კარგად იცის მშობლიური ენის თავისებურებანი და ამავე დროს კარგად ფლობს იმ ენის სტრუქტურასა და აღნაგობასაც, რომელსაც ეკუთვნის ეს ნაწარმოები, ამიტომ არის, რომ სწორედ გაღმოსცემს ნაწარმოების ავტორის სტილისტურ ნიუანსებსა და ეროვნულ სპეციფიკას.

როგორც ცნობილია „ვეფხისტყაოსნის“ თარგმნა მსოფლიოს სხვადასხვა ენებზე შესრულებულია მხოლოდ ცნობილი პოეტებისა და ამ უანრის მაღალი ოსტატების მიერ.

მემედ-ბეგ აბაშიძის ჯერ როგორც პოეტის, ხოლო შემდგომ როგორც მთარგმნელის ღირსების დასახასიათებლად ისიც კმარა, რომ მან აზერბაიჯანულ ენაზე თარგმნა ქართული პოეტური სიტყვის შედევრი უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“. ამის დამადასტურებლად საგმარისია მაგალითითისათვის მოვიყვანოთ ერთი დოკუმენტი. მწერლის საოჯახო არქივში არსებობს 1936 წლის 16 ივნისით დათარიღებული აზერბაიჯანის მეცნიერებათა აკადემიის ენისა და ლიტერატურის ინსტიტუტისა და მწერალს შორის ხელმოსაწერი ხელშეკრულების ტექსტი, ამ უკანასკნელის მიერ აზერბაიჯანულ ენაზე ნათარგმნი „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტის დროულად წარდგენის თაობაზე.

მინაწერი: შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მემედ აბაშიძისეული თურქული თარგმანი (უნდა იყოს აზერბაიჯანულ ენაზე თარგმანი — ო. გ.) დღემდე დაკარგულად ითვლება:²

საჭიროდ მიმაჩნია განსაკუთრებულად აღინიშნოს, რომ მწერლის თარგმანების ყველა ხელნაწერი მის საოჯახო არქივში არ ინახება. მიზეზი ამისა შემდეგში მდგომარეობს: საქართველოში საბჭოთა ტირანის დამყარებისთანავე მემედ-ბეგი, როგორც პირველი ქართული დემოკრატიული მთავრობის მომხრე და უშუალო შემოქმედი ქარველმა კომუნისტებმა „შეიძლეს“, ახლად შექმნილ „მწყემსთა, ბატრაკთა, მოახლეთა, მორბედთა, ლაქიათა“ მთავრობისათვის, რომელმაც საქართველოში ორასი ათასი მაღალგვაროვანი პიროვნება მოსპო, მემედ-ბეგი, როგორც თავადური წარმოშობის, თანაც ბრწყინვალე თავდათა წარმომადგენელი, კუთხის მამა და მოსარჩევე ყოვლად მიუღებელი იყო მისი ფიზიკური არსებობაც კი.

ამიტომაც ჯერ კიდევ 1923 წლის 9 ივნისის აჭარის საგანგებო კომისიის დადგენილებით (რუსულად იკითხება „ჩეკა“ — ო. გ.) „ანტისაბჭოური

აგიტაციისათვის“ მემედ-ბეგ აბაშიძეს მიესაჭა ამიერკავკასიიდან გასახლება.

მისმა დევნამ კულმინაციურ წერტილს მიაღწია 1937 წელს. მაშინ უკვე 60 წელს გადაცილებული ქართველი ერის მოამაგე, მხცოვანი პოეტი, მწერალი აღმოსავლური ოთხი ენებიდან შესანიშნავი მთარგმნელი კვლავ იგივე „ჩეკას“ მიერ 1937 წლის 17 სექტემბერს ბრალდებით „სამშობლოს ღალატი“, „სახელმწიფოს წინააღმდეგ კონტრევოლუციური მოქმედება“ დახვრეტილი იქნა.

37 წლის ტრაგედია დაგეგმილი იყო პირადად სტალინისა და მისი კლანის მიერ და ითვალისწინებდა რეპრესირებულის ოჯახის წევრების დაპატიმრებასაც, ხოლო შემდგომ მათი ქონების კონფისკაციას, რის დროსაც მიჰქონდათ ყველაფერი: სახლი, ბინა, ავეგი, ჭურჭელი, ტანსაცმელი, აკვანიც კი.

დაპატიმრების პროცედურას თან ახლდა ყოვლად არააღმიანური, სასირცხოც კი — ბინისა და ადამიანების ჩხრეკა. ჩხრეკის დროს ჩეკისტებს მოწონებული ან მათთვის საჭირო ნივთი დაუკითხავად მიჰქონდათ, რაც შეეხება ფოტოგრაფიულ სურათებს, ხელნაწერ მასალის, წერილებს, ნაბეჭდ მასალის, ყოველგვარ ნაწერს, მიჰქონდათ შემდგომ საპროვოკაციოდ ბრალდების წასაცენებლად, აგრეთვე შემდგომში სურათზე აღბეჭდილების დასაპატიმრებლად.

მემედ-ბეგ აბაშიძის დაპატიმრების შემდეგ დაპატიმრებ მისი შვილები, ქონება მთლიანად ჩამორთმეულია და მემედ-ბეგის ასაკვანი მეუღლე და რძალი ძუძუმწოვარი ყრმით პირდაპირ ქუჩაში გამოყარეს.

დღეს თუ ამ დიდი პოლიტიკური მოღვაწის, პოეტის, მწერლისა და მთარგმნელის შემოქმედებითი ნამოღვაწირი არ შემოგვრჩა, ეს იმდროინდელი კაციჭამიების ბრალია და მათ მიერ შეგნებულად განაღებურებული.

მემედ-ბეგის ფარსული ენის ცოდნას ადასტურებს შემდეგი დოკუმენტი: 1935 წლის 23 ივნისს, ერთი მხრივ, საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობისა და მეორეს მხრივ მემედ-ბეგ აბაშიძის მიერ დადებულია ხელშეკრულება, რომლის თანახმად მემედ-ბეგს, 1938 წლამდე უნდა ეთარგმნა ომარ ხაიმის რუბაიები და ლექსები ოთხი ათას სტრიქონამდე. არ დააცალეს დიდი სპარი პოეტის ქართულ ენაზე ამეტყველება...

მართალია, ხელნაწერები „ჩეკამ“ გაანადგურა, მაგრამ ქართველმა საზოგადოებამ, დიდი ადამიანების, მათ შორის მემედ-ბეგ აბაშიძის ლიტერატურული მემკვიდრეობა 1937 წლამდე გამოქვეყნებით გადაარჩინა. მაგალითად, „სიტყვა ნაღიმზე თბილისში 1916 წლის 4 მარტს“ — ხელნაწერი არ არის, მაგრამ დაბეჭდილია უურნალში „თეატრი და ცხოვრება“ ამავე წლის 10 მარტს №11-ში. ისმალურიდან თარგმანი თურქი მწერლის ნამიკ ქემალის პიესისა „სამშობლო“, მისივე დრამა „გიულ-ნიკალი“, აბდულა-ბუჭთის „დაი“, ომერ ჰილმი ეფენდის „ვეკუფთა მცნებანი“, გუზადე საბრის „მუნევერი“, რომელთა ხელნაწერები განაღებურებულია, ხოლო ისინი სხვაოსახვა დროს გამოქვეყნებულია უურნალებში „საქართველო“ — 1916 წელს №№ 41, 42, 45, 47, 49. „სახალხო ფურცელი“ — 1916 წ. №№ 96, 99, 101, 103 „ტრიბუნა“ — 1922 წ. №№ 128, 131, 140, 145, 150, 151, 155 და სხვა.

ჯერ კიდევ მემედ-ბეგის დაპატიმრებისას ახლობლების გაღმოცემით და სარწმუნო წყაროებით ფართოდ იყო ცნობილი, რომ მემედ-ბეგი ლიტერატურულ მოღვაწეობას ახალგაზრდობიდანვე ეწეოდა და იქიდან მოყოლებული მას გამოუქვეყნებელი დიდალი პოეტური, პროზაული ნაწარმოებები და თარგმანები

ჰქონდა, ასე რომ, საქართველოში რომ აღიარებული მწერალი იყო უკვე 20-იან წლებში, ამის დამადასტურებლად ისიც კმარა, რომ აჭარის მწერალთა კავშირის პირველ თავმჯდომარედ იყო არჩეული და აჭარის მწერლებს მეთაურობდა.

უზრადღება უნდა მიეჩეს შეძლევა გარემოებას. მემედ-ბეგ აბაშიძის თურქული ენიდან თარგმნილ დაბეჭდილ ნაწარმოებებს ყველას ავტორის ხელმოწერა ახლავს: „ნათარგმნი ოსმალურიდან მემედ-ბეგ აბაშიძისა“.

საფულისხმოა, რომ სულთნის თურქეთში სახელმწიფო ენად ითვლებოდა ოსმალური ენა, ხოლო 1923 წლიდან ათათურქის მიერ რესპუბლიკური წყობის დამყარების შეძლევა, ენის რეფორმის შედეგად ოსმალურმა ენამ, ანუ ახალი სიტყვების შექსებითა და უცხო სიტყვების განდევნით განიცადა ცვლილება, რის შედეგადაც „ოსმალურის“ ნაცვლად „თურქული ენა“ დამკვიდრდა.

ამიტომაც მემედ-ბეგიც, რომელიც კარგად ფლობდა ჯერ ოსმალურს, ხოლო შეძლევა თურქულს, შესაბამის წარწერას უკეთებს თარგმანებს.

მემედ-ბეგ აბაშიძის თარგმანებს შორის საკმაო ადგილი უჭირავს თურქეთის გამოჩენილ მწერალთა ნაწარმოებებს. მე მხოლოდ ორ მათგანზე შევაჩერებ მკითხველის უზრადღებას: ნამიკ ქემალზე და გუზიდე საბრაზე.

თურქეთის, კლასიკოსი მწერალი ნამიკ ქემალი დაიბადა 1840 წლის 21 დეკემბერს, ქალაქ თექირდაღში. ბაბუამისი აბდულ ლატიფ ფაშას ჯერ ყარსში, შეძლევ ბულგარეთის ქალაქ სოფიაში მაღალი თანამდებობები ეჭირა და მასთან მყოფი მომავალი მწერალი კერძო მასწავლებლების შემწეობით განათლებას ეუფლებოდა. 1863 წელს სტამბოლში მთარგმნელობითი პალატის მოხელის თანამდებობა ეჭირა. „ახალი ოსმალების“ ორგანიზაციაში გაერთიანებულ ზია ფაშასთან ერთად დევნილებს პარიზში მოუხდათ გადახვეწა. თურქეთის სულთნის აბდულ-აზიზის გადადგომამ საშუალება მისცა 1876 წელს სტამბულში დაბრუნებულიყო და თანზიმათის პერიოდის პოეტთა შორის ლიტერატურაში მოწინავე ადგილი დაეჭირა. თავის ლექსებში ის უძლეროდა სამშობლოს, ხალხს, თავისუფლების იდეალებს. თავის წერილებში, პიესებში სოციალური პრობლემების მწვავე გადაუჭრელი საკითხების წინა პლანზე ფართოდ გაშუქებასთან ერთად მათი მოგვარების პერსპექტივებსაც ქადაგებდა. ნამიკ ქემალის ლექსების სრული კრებული 1933 წელს დაიბეჭდა. დიდი პოპულარობა მოიპოვა პიესებმა: „სამშობლო“, „საცოდავი ბავშვი“, „გულ-ნიპონი“ და სხვა. რომანებმა: „გამოღვიძება“, „ჯეზნი“, ისტორიულ-ბიოგრაფიულმა ნაწარმოებებმა: „ოსმალეთის ისტორია“, „ფატი-სულთან-მემედი“, „იაკუბ-სულთან-სელიმი“ და სხვა. გამოცემული აქვს წერილების სერიები, რომლებშიც 400 წერილი შედის და გაშუქებულია სოციალური საკითხები.

სულითა და ხორცით პატრიოტს, სამშობლოს თავდადებულ მამულიშვილს, ხალხის კეთილდღეობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლს, ერის ამაგდარს მემედ-ბეგ აბაშიძეს, როგორც პოეტს, მწერალსა და ლიტერატურის მოღვაწეს ყოველთვის იზიდავდა იმ იდეების ამსახველი ლიტერატურული ნაწარმოების თარგმნა.

სწორედ ამიტომ იირჩია სათარგმნელად მწერალმა ნამიკ ქემალის პატრიოტული დრამა „სამშობლო“.

სამშობლოსათვის თავდადება, სიყვარული, მოვალეობა ერის, ხალხის წინაშე ერთიანად გადაჭიდობილია ურთიერთში და ნაწარმოების მთავარ თემას წარმოადგენს.

მთარგმნელი აქ იცავს მისთვის აუცილებელ ზომიერებას, სტილს, თხრობის

მანერას, მაგრამ მას წმინდა ქართული მჭიდრობულებით, ლექსიკის სიმდიდრით მისთვის ჩვეული მხატვრული ოსტატობით კიდევ უფრო ამდიდრებს ნაწარმოების სიუჟეტს და ნაწარმოები შედარებით უფრო მაღალ საფეხურზე აპყავს.

მეტად მნიშვნელოვანია სოციალური და პოლიტიკური ასპექტის გათვალისწინებით ნამიჯ ქემალის მეორე დრამა „გიულ-ნიკალი“.

სრულიად კანონზომიერია ამ მწერლის მიერ მთელი დამაჯერებლობითა და რეალობით წარმოსახვა სულთნის რეჟიმისას არსებული, ერთი მხრივ, კარისკაცა მაამებლობის, შეუბრალებლობის, მოტყუებისა და ფარსის, ხოლო მეორე მხრივ სისასტიკის, მრუშობის, ძალადობისა. ვინაიდან მან ჯერ კიდევ ყრმობისას განიცადა სულთნის რეჟიმისაგან დევნა.

ფაშის სასახლის მსახურის თავადის ქალის ისმეთ-ხანუმის გამზრდელის გიულ-ნიკალის სახით მწერალმა გამოხატა ავკაციობისა და შურის, ღალატის წინააღმდევ თავისი დამოკიდებულება, ჩაგრულთა უმწეო მდგომარეობის მიმართ ხმის ამაღლება „ესენი გველებსა გვანან... ვისაც კი გაეკარებიან, სულს მოუშეამავენ“, არიგებს, აფრთხილებს გიულ-ნიკალი თავის აღსაზრდელს, ისმეთ-ხანუმს. იდეა, რომელიც იმარჯვებს — ეს აღამიანის სიყვარულია.

მთარგმნელს თხრობისას გამოყენებული აქვს ქართული ენისათვის დამახასიათებელი წყობის მაღალმხატვრულობის გამომხატველი მეთოდები და თავისებურებანი.

მეტედ-ბეგის მიერ ნაწარმოების სათარგმნელად შერჩევას განსაკუთრებული თავისებურება ახასიათებს. მთარგმნელს იზიდავს თემები და სიუჟეტები, რომელთა იდეა თვით მეტედ-ბეგის ბობოქარ სულშია ჩასახული.

მეორე საუკუნის რომანისტებიდან სტილითა და თავისებური ხედვით გამოირჩევა მწერალი ქალი გიულზიდე საბრი.

ის 1886 წელს სტამბულში დაიბადა. ფრიად განათლებული ქალის გიუზიდე ჰანიმის მეუღლე სტამბულის პირველი ნოტარიუსი ახმედ საბრი აიგიუნი გახლდათ, რომლის სალონის კარები ღია იყო იმდროინდელი შემოქმედი ინტელიგენციისათვის.

მწერალს 1940 წლამდე უკვე მრავალი ლიტერატურული ნაწარმოები ჰქონდა გამოქვეყნებული, მათ შორის რომანი „გარდაცვლილი ქალის დღიურები“. შემდგომ დაიბეჭდა მისი გაგრძელება რომანი „ნედრეთი“, „ღამის საიდუმლოება“. თურქულ ლიტერატურაში გიუზიდე საბრის მნიშვნელოვანი ნაწარმოებად თვლიან მოთხრობას „მუნევრი“. მწერალი გარდაიცვალა 1946 წელს ქალაქ გირესუნში.

გუზიდე-საბრის რომანები მკითხველზე ფსიქოლოგიური და ემოციური გავლენით გამოირჩევიან. სწორედ მთარგმნელსაც ამ მიმართულებით ვრცელი მოთხრობა „მუნევრი“ ამოურჩევია. მოთხრობის იდეა — ზებუნებრივი სიყვარულია.

მსოფლიო ლიტერატურაში არსებობს მაგალითები კლასიკური სიყვარულისა, სიყვარულისა, რომელიც განგების მიერ ადამიანზე მინიჭებულ თვისებას — სიცოცხლეს იმდენად აჭარბებს, რომ მზად არის სიყვარულისათვის სიცოცხლე დათმოს.

ასეთ გმირებს შეიძლება მივაკუთნოთ აღმოსავლეთის ლიტერატურაში — ფარხადი და შირინი, ტახირი და ზუხრა, ლეილა და მექნუნი, ასლი და ქერემი, დასავლეთში — რომეო და ჯულიეტა, ტრისტანი და იზოლდა და ბოლოს ჩვენში, რუსთაველის თინათინი და ავთანდილი, ტარიელი და ნესტანი.

რა თქმა უნდა, მწერალი ქალის გუზიდე საბრის ეს მცირე ფორმისა და მცირე

სიუჟეტის მქონე ნაწარმოების შედარება ზემოთმოყვანილ ნაწარმოებებთან იქნებ მიუღებელია, მაგრამ სიყვარული სიყვარულია, ვინაიდან დიდი და პატარა სიყვარული არ არსებობს.

მიზანმიმართულად მიმაჩნია მკითხველის ყურადღება შევაჩერო ამ მოთხოვანველის სიუჟეტზე, რომელიც ასე ვთარდება: თხრობა მიმდინარეობს ავტორის მიერ, რომელსაც მთავარი გმირი 20 წლის გოგონა მუნევერი თავის ხვაშიადს გაანდობს. ერთ ოჯახში იზრდებოდნენ მუნევერი და მისი ნათესავი შეფიქი, პირველი 9 წლისა იყო, ხოლო მეორე — 14-ისა, როდესაც შეფიქი სასწავლებელში მიაბარეს, ამ ხნის განმავლობაში მათ შორის სიყვარულმა დაისადგურა და იმძლავრა. ყმაშვილს შემქმედ, განუკურნებელი სენი შეეყარა, რაც ყმაშვილმა აღარ გაუმხილა სატრუნის მისი შემდგომი კეთილდღეობის დაცვის მიზნით, შეფიქი მზად იყო მიზეზად თავის მხრივ მოღალატეობა მოეგონებინა, რამაც მუნევერზე დამღუპველი გავლენა მოახდინა. ავადმყოფობაში შეფიქი იმსხვერპლა, სინამდვილე რომ გაიგო, მუნევერი დარღისა და სევდისაგან თვითონაც დაავადდება და გარდაიცვლება.

მემედ-ბეგ აბაშიძემ, როგორც მწერალმა და მთარგმნელმა, უდიდესი ღვაწლი მიუზღო ქართველ მკითხველს, ქართულ ლიტერატურას. თავისი თარგმანებით საშუალება მისცა მათ გაცნობოდა სხვა ერების მოწინავე მწერლებსა და პოეტებს.

მწერლის მიერ „მუნევერის“ თარგმნა შემთხვევითი არ არის. ეს მოთხოვანი, რომელიც ჩემი აზრით, ნოველათა კატეგორიას მიეკუთვნება, მოგაგონებს სტელან ცვაიგის ფსიქოლოგიურ ნოველებს.

თარგმანში მთელი ფსიქოლოგიური დატვირთვით ერთმანეთს მიჰყვება განვითარებული მოვლენებით გამოშვეული მოქმედ პირთა სულიერი გვემის გამოხატვის თავისებური მანერა, განსხათა ერთიანობა, ემოცია და განცდა. წმინდათაწმინდა სიყვარულის გრძნობა, ძლიერი და განმწმენედლია. „ჩვენი სიყვარულის განელება მხოლოდ სიკვდილს შეუძლიან“ — ამბობს შეფიქი. ისინი მართლაც სიკვდილმა დააშორა ერთმანეთს.

ამ ნაწარმოებში კიდევ ერთხელ დასტურდება, რომ მთარგმნელი ღრმად ფულობს ქართულ ლიტერატურულ ენას, საჭიროებისას ხმარობს ლიტერატურულ ხერხებსა და ნიუანსებს. თხრობის ტონი შესაბამისად დამაჯერებელი, შთამაგონებელი და პარმონიულია.

პირდაპირ და გულახდილად უნდა ითქვას: იმდროისათვის საქართველოში ქნელად და ცოტანი თუ ფლობდნენ ასე ღრმად ქართულ წმინდა ლიტერატურულ ენას, როგორც მემედ-ბეგ აბაშიძე, ხოლო აჭარაში ამ ხხრივ ვერავინ გაუტოლდება მას.

დიდია მემედ-ბეგ აბაშიძის ღვაწლი ქართულ მწერლობაში, მაგრამ უფრო მეტი იქნებოდა, სტალინურ რეჟიმს სიცოცხლე რომ არ მოესწრაფებინა ჯერ კიდევ სამწერლო შემოქმედების ფართოდ გაშლისათვის შესაბამის ასაქში მყოფი მოღვაწისათვის და არ გაენადგურებინა მისი მრავალი წლის განმავლობაში შექმნილი ლიტერატურული საუნჯე.

ა გამოქვეყნებული უწოდების მიხედვით ერთხელ დასტურდება, რომ მთარგმნების სიუჟეტების ქრისტიანული ასკეტიზის ძალაშენისტური უცნობელობების ბრძოლა და ცხოვრების მიმედება იყენება. რომელიც შეიცვალ ასკეტიზის კატეგორია, ამავ შეიცვალ ასკეტიზის კატეგორია — მაგრა ასკეტიზის კატეგორია ერთხელ დასტურდება.

მაღალ ბალაშ

“თორნიკე ერისთავის” მხატვრულ-სახეობრივი სისტემა

(თორნიკე ერისთავი და არსებ კათალიკოსი)

აკაკის პატრიოტულ თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის გამორჩეული ადგილი უჭირავს პოემას „თორნიკე ერისთავი“. მისი მთავარი გმირი ერთ-ერთ სრულყოფილი, მაღალმხატვრული, იმავე დროს, რთული ფსიქოლოგიური სხეულის გადასცემულ ეპიკურ სახეთა შორის. ამ მხატვრული ტიპის გარშემო არაერთ საინტერესო მოსაზრება გამოთქმულა, ეს, ბუნებრივია, მიანიშნებს ნაწარმოების უდიდეს მნიშვნელობასა და პრობლემატურობაზე. კამათი, რა თქმა უნდა, შემძევშიც გაგრძელდება.

ამ წერილში მიზნად დავისახე, რამდენიმე ახლებური გაგება შევთავაზო მკითხველს პოემის მთავარი გმირის, თორნიკე ერისთავის, აგრეთვე, არსებ კათალიკოსის მხატვრული სახისა და ნაწარმოების რამდენიმე მნიშვნელოვანი დეტალის გააზრებაში.

თორნიკე ერისთავმა განასრულა რა საერო საქმე, მოხუცებულობის უმს, განუდგა წუთისოფელს. ქვეყნის სამსახურზე აიღო ხელი და მიღებული ტრადიციის მიხედვით, სიცოცხლის ბოლო წლები ათონის მონასტერში, ცოდვათა მონანიგბასა და სულის განწმენდაში უნდა გაეტარებინა. როდესაც წვეულებაზე მეფე მოიკითხავს: „რა არის, რომ დღეს ჩემ გვერდით დიდ თორნიკეს ვერ ვხედავო?“, უპასუხებენ, რომ არათერი დაშავებია. „მაგრამ ქვეყნის სამსახურზე დღეიდან — კი ხელს იღებო“. მეცის ბრძანებისამებრ თორნიკე წარსდგება დარბაზობაზე, სადაც საკუთარი პოზიციის გამო თავის მართლება უწევს. საზოგადოების წინააღმდეგობის მიუხედავად თორნიკე არ ცვლის თავის აზრს. მიაჩინა, რომ ის გზა უფრო უდიდესია, წმინდაა, რომელზედაც თვითონ აპირებს შედგომას. ეს იმდენად ნათელია მისთვის, ისეთი ჰეშმარიტებაა, რომ უკვირს მტკიცების აუცილებლობა. ავტორი ხაზს უსვამს:

„უკვირს, რომ ამ სამსჯავროში

უმიზეზოდ ის ჩავარდა“.

უმიზეზოდ, რადგან იცის, რომ „რჯული გონებისანი“ არის წმინდა და მაღალი, ვიდრე „რჯული ასოთაგანი“ (პავლე მოციქული). ამას გამოკვეთს კიდეც დარბაზობის წინაშე: „მართალი ვარ იმაში,

რაზედაც ბრალს მდებთ თქვენაო!

დაბლა ეს გული მიმოწმებს

და მაღლა-ღმერთი ზენაო!

თქვენ რომ გშორდებით, მით ვკარგავ

ხორციელ ნეტარებასო...

.....

მაგრამ მივყვები საგანსა

ამ უფრო უდიდესსაო“ (ხაზგასმა ჩემია-მ.ბ.)

მალხჩი ბალაძე

როგორც ვხედავთ, თორნიკეს ღრმად აქვს გაცნობიერებული, რომ მატერიალური ბედნიერება, ნეტირება წარმავალია, მაცდურია და მისი დაკარგვა არაფრად ღირს იმ „უდიდეს საგანთან“ შედარებით, რასაც სულის გზა ეწოდება.

ერისთავს სურს განმარტოება, როგორც სენეკა იტყოდა: „ჭვრეტითი ცხოვრება“: ამიტომაც მოშორებით მიდის, რომ მნახველი არავინ ჰყავდეს, რადგან:

„გადავყვები სოფლის ზრახვის,

იქ კი არვინ მეყოლება

შემაცდენი, უცხო მხარეს,

დღე ყოველ და ყოველ წამსა

ცრემლებს დავღვრი მე მდუღარეს“ (ზაზგასმა ჩემია — მ. ბ.).

— ამბობს თორნიკე.

აშკარაა ერისთავის პოზიცია: სოფელი ვნებით, „ზრახვებით არის სავსე და მასზე გადაყოლა ხორციელ ნეტირებაში დანთქმა და „ვინც ამაოების ქაოსს აჰყვება, უმაღლეს ჭეშმარიტებას დაკარგის“. „

მტკიცეა თორნიკეს აზრი და იგი საბოლოო ფორმას ორბელიძესთან და ჯოზიკთან საუბრის დროს მიიღებს:

„ძმაო, ნუ მირჩევ ტყვილამ:

ვერ ავასრულებ თქვენს თხოვნას,

გულმკვდარი ვამბობ ვარსაო!

აშ ვეღარ გაფცვლი ფარ-ხმალზე

ქრისტეს ხატსა და ჯვარსაო!

აღთქმას ნუ გამატეხინებთ,

ნუ მაქნევინებთ აესაო!“

ერთადერთი, ვისაც შეეძლო თორნიკეზე ზეგავლენა მოეხდინა და გადაეთქმევინებინა გადაწყვეტილება, იყო კათალიკოსი. საეკლესიო კანონითაც მის პქონდა აღთქმისაგან გათავისუფლების ნება.

„ეკლესიისაგან შექრული,

თვით ვერ ავიხსნი თაქსაო;

და მღვდელმთავარი თუ ამხსნის,

იქნება მისი ნებაო!“

ნაწარმოებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს თორნიკესა და არსენ კათალიკოსის საუბარს. მას ეძღვნება მეორე კარის მთელი მეოთხე თავი. იგი ნაწარმოების სიმბიმის ცენტრია, ისე, როგორც მწყემსი ქალისა და განდეგილის დიალოგი (ილიას „განდეგილი“). ორივე შემთხვევაში იხსნება მთელი მსოფლმხედველობა, ფილოსოფიური თვალსაზრისი, ნაწარმოებთა ძირითადი იღეური არსი.

ამიტომაცა, რომ პოემის ამ ადგილის შესახებ არაერთი აზრი გამოთქმულა, შეფასებებიც სხვადასხვაგვარი იყო. საკითხის ნათლად წარმოსახენად გავეცნოთ რამდენიმე მათგანს:

ა. გაჩეჩილაძე წერს: „პოემაში ერთმანეთს უპირისპირდება საშუალო საუკუნეების ქრისტიანული ასკეტიზმის მორალი, განდეგილობა და სამშობლოსათვის ბრძოლა და ცხოვრებაში მოქმედების იდეა... ეს მოსაზრებები, რომლებიც შეიცავს ასკეტიზმის კრიტიკას, თვით პოეტის მოსაზრებებია... მაგრამ იგი (თორნიკე ერისთავი — მ. ბ.) სრულად არა ჰყავს „განდეგილში“ გამოსახულ

ქრისტიან ბერს. იგი ქრისტიანულ მორალს — „არა კაც კლა“ — თამამად ათავსებს ადამიანის სისხლით შეღებილ ხმალთან (ხაზგასმა ჩემია — მ. ბ.).

ნ. ალანია აღნიშნავს, „აქ ერთმანეთს უპირისისპირდება ქრისტიანული ასკეტიზმის მორალი, განდევილობა და სამშობლოსათვის ბრძოლის იდეა... თორნიკეს მოსაზრებებს პოემაში აკავი წერეთელი უპირისისპირებს მეორე სასულიერო პირის, არსენ კათალიკოსის საღ მსჯელობას. არსენის პირით თვითონ პოეტი ლაპარაკობს... კათალიკოსის დასაბუთებულმა და გონიერმა სიტყვებმა თორნიკე ერისთავს შეაცვლევინა თავდაპირველი გადაწყვეტილება „... (ხაზგასმა ყველგან ჩემია — მ. ბ.).

შეტად საინტერესო აზრს ივითარებს ს. დადიანი. აღნიშნავს, რომ თორნიკეს შეეძლო საწინააღმდეგო არგუმენტებით დაპირისპირებოდა კათალიკოსს, მაგრამ კრიტიკოსი სიღრმეში აღარ მიდის.

საინტერესოა ამ საკითხზე ბოლოდროინდელი წერილები (ზ. კიკნაძე, გ. გაჩეჩილაძე, უურნ. „კრიტიკა“ №6, 1990 წ. ჭ. სახლთუხციშვილი, „ნობათი“, №3-4, 1995 წელი). პირველი ორი წერილის აზრი ძირითადად ლიტერატურათმცოდნეობაში გაბატონებულ შეხედულებებს მიჰყვება. ე. გ. გამართლებულია კათალიკოსისა და მწყემსი ქალის პოზიცია. მესამე წერილში კი პირიქით, კრიტიკოსი თორნიკესა და განდევილის პოზიციის უფრო სიღრმისეულ ანალიზს იძლევა და გარკვეულწილად ამართლებს კიდეც მათ.

აღრეული თაობის კრიტიკოსთა შეხედულებებშიც, როგორც ვნახეთ, ანალოგიური მდგომარეობაა. პირველ ორ შემთხვევაში გამართლებულია კათალიკოსი, რომლის მსჯელობასაც ნ. ალანია „საღ მსჯელობას“ „უწოდებს. ა. გაჩეჩილაძე კი არსენის მიერ თორნიკეს გადარწმუნებას პროგრესული შეხედულებების გამარჯვებად თვლის. ორივე შემთხვევაში მიჩქმალულია ის წინააღმდეგობა, რომელიც ახლდა ამ კამათს და რომელსაც მოკრძალებულად შენიშნავს ს. დადიანი.

ახლა მივუბრუნდეთ უშუალოდ თორნიკესა და არსენ კათალიკოსის საუბარს.

კრძალვით შესულ ბერს „კათალიკოსმა შეხედა მაშინ ლმობიერებით და გაიცინა“.

„რისთვის შეკრძალვი? მომიახლოვდი,

დამიჯევე გვერდით, ვით შეგობარი.

დღეს ისევე მსურს შენთან განვაგრძო,

ადრე რომ გვქონდა ის საუბარი...“

თუმცა მალე გამოჩნდება, რომ ეს ლმობიერება ერთგვარი პოზია არსენისათვის. დაფარული კი იქვე შულავნდება:

„შენზედ არა სჭრის სხვისი სურვილი,

არცა ვედრება და არც მუქარა,

მაგრამ შენ თავად რა გადასწყვიტე?

ასრულებ ქვეყნის წადილს

თუ არა?“

(ხაზგასმა ჩემია — მ. ბ.).

აქ კათალიკოსმა ქვეშეცნეულად გასცა საკუთარი თავი. აშკარად ჩანს, რომ ჯიუტობას არ უწონებს იგი თორნიკეს და შეკითხვას ფაქტიურად, მოთხოვნის, ზემოქმედების, დაწოლის ფუნქცია აკისრია.

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ არსენი, როგორც უმაღლესი სასულიერო პირი, კი არ ინტერესდება თორნიკეს გადაწყვეტილების სულიერი მიზეზებით, არამედ საერო, რაინდულ მოვალეობის უსგამს ხაზს („ასრულებ ქვეყნის წადილს თუ არა?“). პრობლემისადმი ამ კუთხით მიღვიმა გასაკვირი არ იყო საერო პირთაგან. ასეთი სამსჯავრო თორნიკეს აჩაერთხელ ჰქონდა გავლილი. რაინდული მოვალეობის შეხსენება არ სჭირდებოდა ერისთავს, რადგან ის შესანიშნავი რაინდი და გმირი იყო, ქვეყნის ვალი აღსრულებული ჰქონდა, რასაც აჩაერთხელ აღნიშნავდა საერო პირებთან ურთიერთობის დროს. ახლა, რადგან სასულიერო პირთან იყო და საუბარი ისევ ქველი, მისთვის უკვე ცნობილი ფორმით დაიწყო კათალიკოსმა, თორნიკეს თვითონ მოუხდა მსჯელობის გადაყვანა სულიერ ასპექტში. „მსჯავრდადებული“ ასე იწყებს თავის მართლებას:

„— არ შემიძლია, ყოვლად-სამღვდელოვ!

ვერ ვუღალატებ მაღალ მცნებასა
და ვერ უარყოფა მსოფლიო კრების
დაკანონებულს სურვილს, ნებასა!..“

და იქვე აღნიშნავს, არ შეიძლება აღთქმის გატეხა და აღარ შეშვენის ბერს ხელმეორედ სისხლის ღვრა. ეს, ბუნებრივია, კათალიკოსს უნდა სცოდნოდა.

თორნიკე ერთხელ არჩეული გზის ერთგული რჩება. იგი შეუვალია, იმდენად ძლიერია მასში რწმენა სულიერი გზის სიღიადისა და ჰეშმარიტებისა, კათალიკოსს შეახსენებს, რომ მთაწმინდიდან არ უნდოდა მას ფეხის გადადგმა. „შვილ დღეს მირჩევდნენ წმინდა მამები და ვერ შესცვალეს ჩემი გულისთქმა... სანამ ბრძანებით, როგორც მორჩილი, არ გამაგზავნეს სასახლის კარზედ.“

(ხაზგასმა ჩემია — მ. ბ.)

ვერც სასახლის მძიმე მდგომარეობამ იმოქმედა თორნიკეზე:

„იქ დედოფალი დარბაისლებით
ვნახე სულ ერთად შეწუხებული...
ტახტს ასველებდა დედოფლისაგან
ჩამონათხევი ცრემლისა ღვარი.
... მიბრძანეს მეფის მოციქულობა
არ გამივიდა მათთან უარი“

(ხაზგასმა ჩემია — მ. ბ.)

როგორც ვხედავთ, თორნიკე ორივე შემთხვევაში ბრძანებას ემორჩილება, მას აიძულებენ იკისროს მოციქულობა, მრწამსი კი არსად არ შეუცვლია.

კათალიკოსი ეუბნება თორნიკეს, რომ შეც მაქვს ბრძანების უფლება და ამავე დროს უფროს-უმცროსობის მოვალეობას შეახსენებს:

„კეთილი! — ბრძანა კათალიკოსმა:

რაც ადრევე სთქვი, იმ აზრზევე ხარ!
მაშ, ვით უმცროსმა, უფროსის ნება
რომ შეასრულო, ამაზე მზა ხარ?
ვით კათალიკოსს, შენი ბრძანების,
შენც კარგად იცი, ხელთა მაქვს ნება;
მაგრამ მე მაინც მსურს შეგაგონო,
რომ შემცდარია შენი გონება?“

ე.ი. საერო პირთა მსგავსად, არც სულიერი მოძღვარი გამორიცხავს

ძალდატანებას, მაგრამ ირჩევს უკეთესს — შეგონებისა და დარწმუნების შეთოღს. ახლა ვნახოთ, თუ როგორ არწმუნებს კათალიკოსი თორნიკეს.

ზემოთ აღინიშნა, რომ თორნიკე შორს აპირებდა წისვლას, რათა სულიერი პრაქტიკის გზაზე ხელისშემსრულებლი არ ჰყოლოდა ახლობლებისა და ნათესავების სახით. „განდეგილში“ მწყემსი ქალი ეკითხება მეუდაბნოეს: „განა ქვეყნადა შენ არავინ გყავს ან ძმა, ანუ და, ან ნათესავი?.. არ გაგონდება არც მამა, დედა?... პასუხი ასეთი იყო: „ყველაზე უფრო სული ტკბილია, იგი ტყვე არის წუთისოფლისა და ეგ ყოველი მის ბორკილია“.

დავაკვირდეთ, როგორ იწყებს განდეგილი პასუხს: „რა გითხრა, შვილო... განდეგილისათვის ჭეშმარიტებაა, აქსიომაა სულისათვის ზრუნვის აუცილებლობა. იგი ამას უყურებს, როგორც ადამიანის ცხოვრების მიზანს. ამიტომაც იგრძნობა, რომ ის უხერხულობაში ვარდება, არ იცის, საიდან დაიწყოს, როგორ აუხსნას ყოველივე ეს მწყემს ქალს, ადამიანს, რომელიც მხოლოდ მიწიერი მოთხოვნილების განზომილებიდან ხედავს სამყაროს. ჭეშმარიტ პასუხს აძლევს განდეგილი. წმინდა წერილების მიხედვით, სული ითვლება წუთისოფლის ტყვედ, სხეული ტაძრად სულისა, სული კი ღვთის ტაძრად. ის რასაც მწყემსი ქალი ჩამოთვლის: ნაღველი, დარღი, ჯვრი, დედა, მამა და ა.შ. — ეს ყველაფერი ამქვეყნიურია. მაცხოვარი ბრძანებს“: ნუ გგონიათ, თითქოს მოვედი. რათა მშვიდობა მომეტანა ამ ქვეყნად; მშვიდობის მოსატანად კი არ მოვედი, არამედ მახვილისა. ვინაიდან მოვედი, რათ გავყარო ვაუი მამამისს, ქალი დედამისს და რაბალი დედამთილს მისსა. და კაც მტრებად უუქეციონ მისი სახლეულნი. ვისაც მამა ან დედა ჩემზე მეტად უყვარს, არ არის ჩემი ღირსი“: (მათე 10.34-37). ბუნებრივია, აქ ხაზი ესმება სულის უპირატესობასა და მარადიულობას. თორემ ერთ-ერთი მცნება სწორედ მშობლის სიყვარულია. ე.ი. მიკაჭეული არ უნდა იყოს მათზე ადამიანი უპირატესად ოთის სიყვარულისა, რადგან წმინდა წერილების მიხედვით, სისხლით ნათესაობა, სქესი და ა.შ. უფაქიზესი სუბსტანციის, სულის უხეში გამოვლინების, საბოლოო ემანაციის—მატერიის (სხეულის) თვისებებით. მატერია წარმავალი, დროებითაა ამიტომ ეს თვისებებიც დროებითია და რჩება მატერიასთან. დროებითაა ამიტომ ეს თვისებებიც დროებითია და რჩება მატერიასთან. დროებითაა უპირატესად სულისა უგუნურებაა მხოლოდ.

„რამეთუ არათუ ქონებაი რაისაი მავნებს, არამედ სიყვარული ნაქონებისა მის მიმართ და შემსჭუალვაი მისდა გონებისაი, ვითარმედ უპატიოსნეს ყოვლისა მონაგებისა გუამნი ჩუენნი არიან“.

(მ. ბარამიძე, ზოსიმეს „სწავლა“ გვ. 6, ბათუმი 1999 წელი).

ეს ნათელია განდეგილისათვის. მაგრამ არა მწყემსი ქალისათვის. ეს გათავისებული აქვს თორნიკეს, ხოლო ნაკლებად იმათ, ვისთანაც უხდება მას კაბათ.

თუ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ კათალიკოსი, ისევე როგორც მწყემსი ქალი, უარყოფს განდეგილობას და თორნიკეს ამქვეყნიური ცხოვრებისაფრ მოუწოდებს, მის მშვენიერებაზე მიუთითებს:

„ნუთუ შენ მართლა რამე გგონია

ცარიელ სიტყვით ღვთისა დიდება? მარტოსობრ იმედ მძლიურავა, თუ

განა ღვაწლია ხორციელისგან

ამა სოფლისა კრძალვა, რიდება?

და ეს ქვეყნა მშვენებით საესე,

შემოქმედების გამომხატველი

ნუთუ მიტომ გვაქვს მონიშებული,
 რომ ჩვენის ნებით ავიღოთ ხელი?“
 მწყემსი ქალი: „...ღმერთს რაში უნდა
 ამ ყინულებში ყოფნა კაცისა?“
 ... ვფიქრობდი, ნეტა მაშ რისთვის მორთო
 ეს ლამაზად წუთის-სოფელი?
 განა მისთვის, რომ ადამიანში
 ჟეზენის და აიღოს ხელი?“

სწორად ჟენიშნავს მ. გაჩეჩილაძე: „თორნიკე ერისთავისადმი არსენ
 კათალიკოსის მიმართვის ტექსტი შინაარსობრივად ძალიან ახლოს მწყემს ქალსა
 და განდეგილს შორის გამართული დიალოგის ტექსტთან, და შეიძლება ითქვას,
 თითქმის მისი პერიფრაზია“. როგორც ვხედავთ, ერთგვარ მოთხოვნებს იყენებენ
 მწყემსი ქალი და კათალიკოსი: 1. განდეგილობა „ცარიელი სიტყვით ღვთისა
 დიდება“, „ყინულებში ყოფნა კაცისა“ ვერარას არგებს სულს: 2. ეს ქვეყანა
 შვენიერია, ღმერთისავე ბოძებული და მისი უარყოფა არ შეიძლება.

დასკვნა ერთია: ქვეყნის სამსახურისაგან კაცმა არ უნდა აიღოს ხელი.

ამ კითხვების გარშემო შეიძლება ითქვას შემდეგი:

პირველი — განდეგილობა, განმარტოება თუ რატომ სჭირდებოდათ, თორნიკე
 აშბობს ამის შესახებ. (აღნიშნა წერილის შესავალში).

მეორე — განდეგილები რომ სილამაზეს შვენივრად აღიქვამდნენ და
 განიცდიდნენ, ამის შესახებ აღნიშნულია ლიტერატურათმცოდნებიაში.
 განსაკუთრებით ბოლოდროინდელ წერილებში „განდეგილის“ შესახებ, ამიტომ,
 სიტყვას აღარ გავაგრძელებთ.

მესამე — ქვეყნის სამსახურისაგან კაცმა არ უნდა აიღოს ხელიო. თუ შეიძლება
 ითქვას, რომ განდეგილი და თორნიკე (და საერთოდ განდეგილები) იღებენ ხელს ამ
 ქვეყნიურ სამსახურზე?

„განდეგილის“ შესავალში ილია აღნიშნავს „ღვთისათვის ქვეყნიდან განდეგილ
 ქმთა“ უდიდეს ღვაწლს. „სამაცდურო სოფელს“ განშორებული მამების ქებათა-
 ქება ისმოდა და „იმათის ღვაწლით იმ ტაძრის მაღლი მითულთა შორის ყველგან
 განთქმულა“. ასე მაღალ შეფასებას აძლევს ილია მათ მოღვაწეობას.

განდეგილიც განსაცდელის უამს ლოცულობს, (ზრუნავს) ქვეყნის
 გადარჩენისათვის. გაიგონებს რა ადამიანის ხმას, იმწუთშივე მიირჩეს საშველად.
 ცეცხლს დაუნთებს და ა.შ.

ახლა დავუბრუნდეთ თორნიკეს.

პოემიდან ნათელია, რომ საერთო სამსახურის დატოვება, ვალმოხდილისგანაც
 კი, აღქმული იქნა როგორც სამშობლოსა და მის კეთილდღეობაზე ზრუნვისაგან
 საერთოდ მოწყვეტა. თორნიკეს ამიტომაც შეხვდა საზოგადოებისაგან დიდი
 წინააღმდეგობა და იგი იძულებული გახდა განემარტა, რომ განდეგილობაც არის
 ზრუნვა ქვეყნის კეთილდღეობისათვის: „ცრემლებს დავღვრი მე მდუღარეს“ და
 შევსთხოვ ღმერთს, რომ „წყალობა არ მოაკლოს ჩვენს პატარა საქართველოს“.
 კათალიკოსს კი ეუბნება, თუ მაინცა და მაინც აუცილებელია, გავყვები ჯარს, ოღონდ
 „მექმნება მე ხელში ჯვარი“.

როგორც ვხედავთ, განდეგილიცა და თორნიკეც ზრუნავენ ქვეყნისათვის. ოღონდ
 მათი ზრუნვა სულიერი სფეროთი განისაზღვრება. იგი არ არის მატერიალური,

ფიზიკური მოქმედება, არც ჩვეულებრივი თვალისათვის ადვილად შესამჩნევი და მისახვედრი. მათი ზრუნვა და შრომა ტრანსცენტულია, ასტრალურ-მენტალური საზომით განისაზღვრება და ამიტომაც ვერ უგებენ, მოთხოვენ მათგან საერთო სამსახურში დარჩენას, რადგან მოქმედების ხილვადი ფორმა არის გასაგები მარტო იმათვის, ვისი მზერაც მხოლოდ ხილვადსა და მატერიალურზეა მიჯაჭვული.

როგორც ვხედავთ, თორნიკე (და განდეგილიც) არ უარყოფს ამქვეყნიურ სამსახურს. ოღონდ მისი საქმიანობა სეკუ კატეგორიულებაში გადადის. ეს საქმიანობა რომ სრულყოფილი იყოს, საჭიროა საკუთარი თავის სრულყოფა. გაწმინდანება. გაწმინდანებისათვის კი პრაქტიკული მუშაობა, მუშაობის შედეგიანობისა და წარმატებისათვის-ვნებიანი სოფლის დატოვება (დროებით მაინც).

ამდენად, კათალიკოსისათვის თორნიკეს პოზიცია არ უნდა ყოფილიყო უცხო, განსხვავებით საერთო პირთაგან. მეტიც. კათალიკოსი თავისი მსჯელობით წინააღმდეგობაში ვარდება, როცა ამბობს:

„ვინცა იწუნებს თაგმოყვარებით
ამ მიუწვდომელ დიდსა ქმნილებას
და უარსა ჰყოფს კანონიერსა
ბუნების ყოველგვარ მოთხოვნილებას,
ის უარსა ჰყოფს თვით შემოქმედსა
საბრალო არის ის და შემცდარი“.

განდეგომა პატივმოყვარული თვითმიზანი კი არ არის, არამედ, პირიქით, თავმოყვარეობის, ამპარტევნობის და უამრავი უარყოფითი თვისების დაძლევისათვის სჭირდება ადამიანს. (ჩემი აზრით, პატივმოყვარეობის გამო მამა სერგი — (ლ. ტოლსტოის „მამა სერგი“) განუდგა სოფელს, რის გამოც დიდი ხნის განმავლობაში მარცხს განიცდიდა. ვიდრე არ დაიმდაბლა თავი, მანამდე ვერ ამაღლდა, ვერ იგრძნო ღვთაებრივი სიყვარული და სიხარული მისმა სულმა). არც ყოველგვარ ადამიანურს უარყოფნენ განდეგილები, უბრალოდ, უმორჩილებდნენ ზომიერების გრძნობას.

„საბრალო არის ის და შემცდარი“ — ამბობს არსენი. არა თუ შემცდარი, თორნიკე ჭეშმარიტების მაძიებელი პიროვნებაა. იგი სრულყოფილებას ესწრაფვის.

აქვე მოკლედ შევნიშნავთ, რომ ამსოფლიურ ვნებათა გამოცდის დაძლევა უჭირდათ იმათ, ვინც დიდი ხნის განმავლობაში პრაქტიკულად შრომობდნენ ამ კუთხით (განდეგილი, მამა სერგი და სხვა მრავალი მაგალითი არსებობს ლიტერატურაში), რადგან განდეგილებსაც უჭირდათ, მითუმეტეს გაუჭირდებოდა ამსოფლად დარჩენილ თორნიკეს. ამას ხომ თვითონ ამბობს, როგორც ზემოთ დავინახეთ. კათალიკოსი კი ეუბნებოდა, აქაც შეიძლება მაგის მიღწევათ. ფაქტიურად კათალიკოსი ხელ-ფეხს უბორკავდა თორნიკეს და სწრაფად სიარულში წარმატების მიღწევას უსაბუთებდა.

მწყემსი ქალი უმტკიცებს განდეგილს, რომ ეს ქვეყანა ღამაზია, ღმერთის მიერა მორთული, სიცოცხლით სავსეა და ა.შ. მოკლედ შეახსენებს იმას, რაც განდეგილისაგან უკვე განცდილი და უარყოფილია. კათალიკოსიც უმტკიცებს თორნიკეს, დარჩეს საერთო სამსახურში, რომ იქაც შეიძლება იმის მიღწევა, რასაც განდგომით ფიქრობს. ბუნებრივად ჩნდება კითხვა: განა თორნიკეზ მოხუცებულობამდე ამ გზით არ იარა? იარა და ვერ მიაღწია იმას, რისი სურვილი ეხლა აქვს. (პირიქით, ცოდვილს უწოდებს თავის თავს). შესაძლებელი რომ ყოფილიყო, ეცოდინებოდა და მიღწეულიც ექნებოდა. ფაქტიურად კათალიკოსიც

უმტკიცებს იმას, რაც განცდილი და უარყოფილია თორნიკეს მიერ.

საქმაოდ წინააღმდეგობრივია არსენ კათალიკოსის მსჯელობა. ამიტომაც შენიშვნავს ს. დადიანი: „შეეძლო თუ არა თვითონ ბერს, ასეთი არგუმენტებით ესარგებლა რელიგიური კამათის დროს?“ თითოეულ დეტალზე შეიძლება ფართოდ მსჯელობა, მაგრამ ერთს აღვნიშვნავთ კიდევ მოკლედ:

სუსტი არგუმენტების „გვირგვინი“ იყო შემდეგი სიტყვები:

„ნუთუ შენ მართლა რამე გვონია

ცარიელი სიტყვით ღვთისა დიდება?

... თვინიერ საქმის

სიტყვითი ლოცვა, უწყით მკვდარ არსო“.

პირველი, ლოცვა რომ ცარიელი სიტყვა არ არის, ამის შესახებ ზევით იყო საუბარი.

კათალიკოსს უფლის სიტყვების შეხსენებით შეცდომაში შეჰყავს თორნიკე. აქ საკითხი ეხება ლოცვას და საქმეს და არა ყოველგვარ საქმეს, ე. ი. რასაც ლოცვით ითხოვ, ის უნდა აკეთო, ისაქმო, თორებ „ცარიელი სიტყვა“ გამოვა სწორედ. რას ვითხოვთ ლოცვაში? ვითხოვთ, რომ გვეპატიოს და ვაპატიოთ ცოდვები სხვებს; შევიყვაროთ მოყვასი, მტერიც კი: არ მოგვლათ კაცი; უკეთურთაც და მოკეთესაც სიკეთე მივაგოთ და ა. შ. ე. ი. თორნიკეც ისწრაფოდა, რომ სიტყვის და საქმის ერთიანობისათვის მიეღწია. კათალიკოსი მიიჩნევს, რომ განდგომა ცარიელი სიტყვა იქნება და არა საქმე. მაგრამ როგორი საქმისაკენ მოუწოდებს არსენი? მოუწოდებს ისეთი საქმისაკენ, რომლითაც ვერ მოხერხდებოდა ლოცვის სიტყვათა საქმეში განხორციელება.

მოკლედ, არსენ კათალიკოსი სიტყვის და საქმის ერთიანობისაკენ მოუწოდებს თორნიკეს და ისეთ დარიგებებს აძლევს, სწორედ რომ სიტყვისა და საქმის გაბლუჩის გამოიწვევს.

ლიტერატურათმცოდნეობაში გამატონებულია აზრი, რომ „თორნიკე ერისთავი“ არის პატრიოტულ თემაზე შექმნილი ნაწარმოები. პოემა ოთხი კარისაგან შედგება. აქედან ნახევარი ეთმობა თორნიკეს „ჭიდლის“ საზოგადოებასთან, რომელიც მოითხოვს პიროვნებისაგან არა განდგომას, არამედ მის რიგებში ყოფნას, არ აძლევს პიროვნებას ინდივიდუალურ თავისუფლებას.

ამ პირობების შესახებ ძალიან საინტერესო დასკვნას აკეთებს მ. გავაშელი. როდესაც მსჯელობს მინდიასა (ვ. ფშაველას „გველი მჭამელი“) და საზოგადოების ურთიერთობის შესახებ: „მინდიას“ გამეცნიერება, პირველ ყოვლისა, სინამდვილისადმი ყოფითი დამკიცებულების გადაღლახვას, მის დაძლევას ნიშნავს. ეს ცვლილება პიროვნების ქვევაში, მის მოქმედებაში, მის საქმეში მულავნდება და სწორედ ეს იწვევს პროტესტს სხვა ადამიანებში, მუხტავს სოციალურ გარემოს, რადგან პიროვნების მოქმედება ტრადიციული სოციალური ყოფის კოროზიას იწვევს, ბრბოს სწორედ პიროვნების საქმე, მისი მოქმედება არ აძლევს ხელს, რადგან იგი ქვეცნობიერად გრძნობს საკუთარი ყოფის მიმართ პიროვნების ქცევის უპირატესობას... პიროვნების ზნეობრივი პოზიცია თრგუნავს; რაც არ უნდა პრიმიტიული იყოს საზოგადოება, ზნეობის ლირებულების შეფასების ცნობიერი (შეგნებული) თუ ქვეცნობიერი უნარი მას მაინც აქვს. სწორედ ეს უნარია წონასწორობას რომ უკარგავს მინდიას ოპტენტებს და ისინი უკანასკნელ და

უმაღლეს არგუმენტს — ღმერთს მიმართავენ.

საზოგადოების სოციალური, ყოფითი არგუმენტაცია ვერ ამარცხებს თორნიკეს, რადგან ზენობრივი უპირატესობა აშკარად მის მხარესაა, ამიტომაც კათალიკოსს „მიანდეს“ ამ უპირატესობის გაბათილება და ისიც უმაღლესი ზენობის, ღვთაებრიობის პოზიციიდან ცდილობს თორნიკეს დარწმუნებას. მაგრამ, რადგან კათალიკოსის ღვთაებრიობა ამ შემთხვევაში სოციუმის პოზიციასთანაა შეზავებული, იგი მაინც სუსტად წარმოჩნდება.

საზოგადოება თორნიკეს არ აძლევს მოქმედების, სულიერ სფეროში წინსვლის საშუალებას.

მართებულიად შენიშნავდა ს. დადიანი: „აკაკიმ ალძრა საკითხი პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობისა, „თორნიკე ერისთავში“. წინააღმდეგ შემთხვევაში მართლაც, გაუგებარი იქნებოდა პიროვნებისა და საზოგადოების ურთიერთობაზე ნაწარმოების ნახევრის მიძღვნა. ეს პრობლემა უდაოდ მსჭვალავს პოემას.

ბევრი კამათი და წინააღმდეგობა შეხვდა თორნიკეს და რადგან არ ანებებდნენ, ასეთი პასუხი გასცა ბოლოს ერისკაცებს:

„და მღვდელთმთავარი თუ ამხსნის, იქნება მისი ნებაო,

მაშინ ეს თქვენი სურვილი ჩემი გამოყენების და მისი მიზანი და ჩემი მიზანი ჩემს გულშიც აიგზნებაო“.

მ. გაჩეჩილაძე აღნიშნავს, რომ „თორნიკე უარს არ ამბობს, ოღონდ კათალიკოსმა ახსნასო“ (ბუნებრივია, საწყის ეტაპზე თორნიკე ვერ იქნებოდა თავისუფალი მიწიერ ზრავთაგან). კრიტიკოსი ეყრდნობა თორნიკეს სიტყვებს: „კათალიკოსი თუ ამხსნის, იქნება მისი ნებაო“. მაშინ გამოდის, რომ თორნიკე სიამოვნებით უნდა შეხვედროდა კათალიკოსისაგან“ „ახსნის პროცესს“. მაგრამ, როგორც დავინახეთ, იგი აქაც „ჭიუტობს“. მორჩილად, მოკრძალებულად — ქვემოდან შებასუხების მეთოდით იგი ცდილობს, დაიცვას თავისი პოზიცია. ე.ი. თორნიკეს არ უნდა „ახსნა“. მისი გადაწყვეტილება მყარი და მტკიცეა! საზოგადოება გამოუვალ მდგომარეობაში აგდებს თორნიკეს და რადგან ვერ გაჭრა მათთან სულიერი პოზიციების დაცვით, ზემოთ მოყვანილი მისი პასუხი („კათალიკოსი თუ ამხსნის...“) თავდახსნის საშუალებაა. ილბათ, იმის იმედით, რომ სასულიერო პირი გაიგებდა სულიერ მოთხოვნებს.

მიუხედავად იმისა, რომ ნაწარმოების ნახევარი ეთმობა თორნიკეს გადაწყვეტილების საკითხს, ვერც საერო და ვერც სასულიერო პირებთან შეხვედრისას ჩვენ ვერ ვხედავთ მისი აზრის შეცვლას. კათალიკოსი ეუბნება, არ გიბრძანება, არც უფროს-უმცროსობის მოვალეობას გახვევ თავზე, უბრალოდ, მინდა დაგარწმუნოთ, მაგრამ ჩანს, რომ ერისთავი უფრო ემორჩილება არსენს, თორემ მის „დამარწმუნებელ“ „სად მსჯელობას“ (როგორც ზოგიერთი კრიტიკოსი შენიშვნავს) ურწმუნობა შეიძლება დაებადა მხოლოდ.

თორნიკე ზნემაღალი და მორჩილი რაინდია. ათონის მთაზედაც შეგონებას კი არა, ბრძანებას დამორჩილდა. შემდეგ სასახლის კარზედაც ბრძანება აღასრულა და მოციქულობა იკისრა. მესამედ კი — არსენის, როგორც უფროსის, ზეწოლის, ფაქტიურად დავალებას მიჰყვა.

მათი დიალოგის ბოლოს ასე წერია: „და მეორე დღეს თორნიკე-სარდალმა კიდევ შეჰყარა საომრად ჭარი“. ჩვენ ვხედავთ მხოლოდ გარეგან ცვლილებას, ანაფორის

ნაცვლად რკინის პერანგს, ჭვრის ნაცვლად — ხმალს. არსად არცერთი სიტყვა არ არის ნათქვამი სულიერ ცვალებადობაზე. იგი უცვლელი დარჩა. თორნიკე მონანიგბის გზაზე შემდგარი გმირია, ჰეშმარიტების მაძიებელი პიროვნებაა, რომელიც აიძულა საზოგადოებამ, კვლავ ჩაბმულიყო „სოფლიური ვნების“ მორევში.

არსენ კათალიკოსი პოემაში სუსტი სახეა. იგი ისეთივე პოზიციებიდან უდგება თორნიკეს, იმავე მოთხოვნებს უყენებს მას, რასაც საერთო პირნი.

არსენი მხოლოდ გარეგნული ფორმით განსხვავდება მათგან და არა არსობრივად, რაც სასულიერო პირის მხატვრულ სახეს საკმაოდ სუსტად წარმოაჩენს.



ისტორია

ოთარ გოგოლიშვილი



აზარა გოგოლიშვილი 1922-1924 წლებში

1999 წლის №4 (აპრილი) „ლიტერატურულ აჭარაში“ გამოვაჩვეუნე წერილი „ანტისაბჭოთა მოძრაობა აჭარაში 1921-1922 წლებში“. წერილში აღწერილია 1922 წელს ბათუმში მოქმედი ანტისაბჭოთა დაწყუფების „განთავისუფლების კავშირის“ ლიკვიდაცია. ეს კავშირი მჭიდროდ იყო დაკავშირებული თბილისში მოქმედ ანტისაბჭოთა ორგანიზაციებთან, ამიტომ წინამდებარე წერილი, რომელიც ეძღვნება ანტისაბჭოთა მოძრაობას 1922-1924 წლებში, მინდა დავიწყო სწორედ „განთავისუფლების კავშირის“ ლიკვიდაციის შემდეგ განვითარებული მოვლენებით.

„განთავისუფლების კავშირის“ ბათუმის ჯგუფის ლიკვიდაციას თბილისში შეშფოთება მოჰყვა. ამასთან დაკავშირებით ნიკოლოზ ბახტაძე აცნობებდა გიორგი ლომიძეს: „ბათუმში დახვრიტეს ჩვენი ორგანიზაციის (ორგანიზაციაში იგულისხმებოდა სწორედ განთავისუფლების კავშირი — ი. ბ.) წევრები, რამდენიმე მათგანმა მოახერხა თურქეთში გაქცევა, ხოლო 4 კაცი კი ამჟამად გურიაშია. გურიაში შესაძლებელია მოხდეს დიდი არეულობა და ჩვენ ამისათვის მზად უნდა ვიყოთ“.

1922 წლის 24 მარტს ოზურგეთში თავი მოიყარა ხალხის დიდმა ნაწილმა და გამართა მიტინგი. მიტინგზე გაისმოდა ანტისაბჭოთა მოწოდებები. ამ მიტინგზე სიტყვით გამოვიდა სერგო ჩხაიძე, რომელმაც ხალხს აუწყა, რომ ბათუმში ჩამოვიდა ფრანგული გემი და ჩამოიყვანა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების წარმომადგენლებიო. მან აღნიშნა, ბათუმში უკვე აღსდგა კანონიერი ხელისუფლება და სულ მაღლე ეს ხელისუფლება მთელ საქართველოში დამყარდებაო. სერგო ჩხაიძის ამ გამოსხლას დიდი ოვაციები და ტაშის ცემა მოჰყვა. მიტინგი დამთავრებული არ იყო, როდესაც ჩეკისტებმა დაიწყეს მისი დარბევა. დაიწყო ნამდვილი ხელჩართული ბრძოლა. ხალხის დასაშინებლად იხმარეს იარაღი. ჩეკისტებმა მოინდომეს ს. ჩხაიძის დაპატიმრება, მაგრამ ის გაუსხლა მათ ხელიდან და ტყეში მიიმალა. ჩეკისტები ნიკოლოზ კილაძის ხელმძღვანელობით დაედევნენ მას, მაგრამ ვერ შესძლეს მისი შებყრობა. სერგო ჩხაიძე სოფელ ლიხაურში გადავიდა და იქ იმალებოდა. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ლიხაურში ამ დროს მოქმედებდა ანტისაბჭოური ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ს. სალუქვაძე, რ. გორდელაძე, ი. ჭანტურიშვილი, ა. გოგოლიშვილი, პ. ხომერიკი და სხვები. სწორედ ამ ჯგუფთან გააბა კავშირი ს. ჩხაიძემ და ის 1922 წლის 17 მაისს, სოფელ ლიხაურში, ხიტილაურის სასაფლაოზე, სადაც იღუმალ იკრიბებოდნენ ჯგუფის წევრები, მორიგი შეკრების დროს მათ ალყა შემოარტყა მილიციამ, მაგრამ შეკრებილებმა ცეცხლი გახსნეს. დიდი ხნის ორმხრივი ბრძოლების შემდეგ ჯგუფის წევრებმა შეძლეს სიბნელეში გაუჩინარება. მხოლოდ ორი მათგანი რ. გორდელაძე და ს. სალუქვაძე იქნა მოკლული. ამასთან დაკავშირებით ოზურგეთის ჩეკას უფროსი ატყობინებდა

საქართველოს შინსახკომს იმის თაობაზე, რომ ლიხაურში ოღმოჩენილი იქნა კიდევ ერთი მენშევიკური ჯგუფი. ამ ჯგუფთან მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა დამყარებული ბანდიტ სერგო ჩხაიძეს. ეს ის ჩხაიძეა, რომელიც ეკუთვნოდა სულ ახლახანს ბათუმში ლიკვიდირებულ ანტისაბჭოურ ორგანიზაციას „განთავისუფლების კავშირს“. მან შეძლო მიმალვა. მისი შეპყრობა ვერ მოხერხდა. ის და კიდევ რამდენიმე კაცი აჭარაში გადავიდნენ და ჩვენი მონაცემებით იმაღლებიან ქობულეთში“. 1922 წლის 13 ივნისს ჩეკას ანგარიშიდან ვებულობთ, რომ ჩაქვში შეტაკებისას მოუკლავთ „ბანდიტი“ სერგო ჩხაიძე და დაუჭრიათ ასევე „ბანდიტი“ გივი კაკაბაძე.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 1922 წლის შემოდგომაზე ოზურგეთის მაზრაში დიდი სახელი ჰქონდათ გავარდნილი „დამყომის“ (დამოუკიდებლობის კომიტეტი) გურიის ორგანიზაციის წევრებს სერგო მათითაიშვილს, დავით სურგულაძეს, არტემ სიორიძეს და ჩეკას მიერ დიდი ხნით ძებნილ გიორგი ბარამიძეს. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1922 წლის ოქტომბერში დიდი შეტაკება მოხდა ნაგომართან ჩეკასა და მეამბოხებს შორის. შეტაკებისას, დავით სურგულაძემ რამდენიმე ჩეკისტი სიცოცხლეს გამოასალმა, ასევე „თავგამოდებით“ იბრძოდნენ არტემ სიორიძე და გიორგი ბარამიძე. ბრძოლაში დავით სურგულაძე ხელში დაიჭრა. ის, სიორიძე და ბარამიძე გადავიდნენ ჩოხატაურში და ტყეში იმაღლებოდნენ. შემდეგში ის არის ცნობილი, რომ ეს პიროვნებები აქტიურად იბრძოდნენ 1924 წლის აგვისტოს გურიის აჯანყებაში. დ. სურგულაძე, ს. მათითაიშვილი თურქეთში გადავიდნენ, ხოლო ა. სიორიძე 1925 წლის 21 ნოემბერს შეტაკებისას მოუკლავთ, მ. ბარამიძე კი 1925 წელს შეუბყრიათ და 1926 წელს დაუხვრეტიათ.

1922 წლის 24 ივნისს აჭარისტანის ცაქს დაეგზავნა საიდუმლო შეტყობინება. იმის თაობაზე, რომ ქედის რაიონის სოფლების: მახუნცეთის, დოლოგნის, ცხმორისისა და მერიისის მიმდებარე ტყეებში იმაღლებიან საბჭოთა ხელისუფლების მოწინააღმდეგები. ამ შხრივ საყურადღებოა სოფ. ცხმორისის საქმე. 1922 წლის 4 ივლისს მოკლეს აქტივისტი ხასან ღოღობერიძე მკვლელობა დაბრალდა მემედ ტაკიძესა და იბრაგიმ მიქელაძეს. ეს ორი პიროვნება პირწავარდნილი ანტისაბჭოელები იყვნენ. ისინი ძირითადად ანაღგურებდნენ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლებს. ჩეკას შეტყობინებიდან ვებულობთ, რომ ტაკიძესა და მიქელაძეს „ბანდიტური“ ჯგუფი მოქმედებს ძალზე აგრესიულად. არ ინდობს არავის. ამასთან მათ მჭიდრო კავშირი აქვთ დამყარებული ხულოში მოქმედ „ყაჩაღ“ ხასან ირემაძის ჯგუფთან. 1922 წლის 17 ივლისს, ქედაში, მილიციამ მიიღო შეტყობინება, რომ „ბანდიტები“ მიქელაძე, ტაკიძე, შაინიძე, ბერიძე, დავითაძე და სხვები სოფ. ახოში იყოფებიან ერთ-ერთი მოსახლის სახლში. მილიცია სწრაფად გაეშურა დანიშნულების ადგილს, მაგრამ მისი მოძრაობა არც მიქელაძის ჯგუფს გამორჩენია მხედველობიდან. როცა მილიციელები მივიდნენ დანიშნულების ადგილს და ალყა შემოარტყეს სახლს, იქ არავინ დახვდათ, თუმცა სახლის პატრონი წაიყვანეს მილიციაში და როგორც შემდგომი საქმიდან ხდება ცნობილი, უკან არც კი დაუხრუნებიათ. მიქელაძემ მოასწრო მიმალვა. მილიციამ გადაწყვიტა ციხე შიგნიდან გაეტეხა და ამ მიზნით მან ამ ჯგუფში შეძლო მისი კაცის, ე. მახარაძის შეგზავნა. ეს უკანასკნელი კი საიდუმლოდ აცნობებდა მილიციას ჯგუფის მოძრაობას. 1922 წლის 28 ივლისს სოფ. ზვარესთან მილიციამ მოინდომა მემედ ტაკიძის შეპყრობა. ატყდა ორმხრივი ბრძოლა. ბოლოს ტაკიძეს ტყვიები გაუთავდა. მან

მოინდომა გაცლოდა იქაურობას და ტყის სიღრმეში შესულიყო, მაგრამ მილიციელები მას კვალში დაედევნენ და ბოლოს რაკი დარწმუნდნენ, რომ მის ცოცხლად შეძყრობას ვერ შეძლებდნენ, მოკლეს. ტაკიძის სიკვდილმა ძალის გააბოროოტა ჯგუფის წევრები. იბრაგიმ მიქელაშემ ეჭვი აიღო, რომ ტაკიძე მოკლე დასმენით მისი ჯგუფიდან, მაგრამ კონკრეტულად ვერ შეძლო რომელიმესთვის ხელის დადება, ხოლო ის პიროვნება, რომელიც მილიციაში ამენდა მათ, სრულიად შემთხვევით გახდა ცნობილი მიქელაძისათვის. მახარაძე, რომელიც მილიციასთან თანამშრომლობდა და შეგზავნილი იყო მიქელაძის ჯგუფში, ქედაში ზუსტად ჰაშინ დაინახა მიქელაძის ჯგუფის წევრ ენვერ ბერიძის ძმამ, როდესაც ეს უკანასკნელი გამოვიდა მილიციის შენობიდან. ეს ამბავი მან თავის ძმას შეატყობინა. უკვე ცნობილი გახდა თუ ვინ თანამშრომლობდა მილიციასთან. და, აი 1922 წლის 6 აგვისტოს, მიქელაძემ სოფ. ზვარესთან ახლომდებარე ტყეში, სადაც მილიციელებმა მოკლეს მემედ ტაკიძე, ვითომდა მოსალაპარაკებლად მიიწვია მახარაძე. საუბრის შემდეგ მახარაძეს გარს შემოერტყნენ ჯგუფის დანარჩენი წევრები. მახარაძე იძულებული გახდა ეთქვა ყველაფერი. რაკიღა უკვე ყველაფერი ნათელი იყო, ჯგუფის წევრებმა ის იარაღით დაცხრილეს. მახარაძის მკვლელობის შესახებ აჭარის შინსახუმს აცნობებდნენ, რომ ბანდიტებმა მოკლეს „ჩვენი კაცი“ და რომ ამ ჯგუფის მოქმედება გაიდაის ყოველივე ზღვარს და აუცილებელია მათი დაუყოვნებლივ ლიკვიდაცია, რადგან ცნობილი გახდა, რომ მიქელაძე აპირებს თურქეთში გადასვლას. აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს იმის შესახებაც, რომ მიქელაძესა და მის ჯგუფს მოსახლეობაშიც ჰყავდათ მხარდამჭერნი, რომლებიც მათ აცნობებდნენ შნიშვნელოვან ამბებს. ერთ-ერთი მათგანი იყო აბდულ სურმანიძე, რომელიც მიქელაძეს ხშირად აცნობებდა სხვადასხვა ამბებს.

1922 წლის 18 სექტემბერს სოფ. ვარჯინისთან მილიციამ ალყაში მოაქცია მიქელაძის ჯგუფი. გაიმართა ნამდვილი ომი. საკმაო იყო მსხვერპლი ორივე მხრიდან. ბოლოს ეს ორთაბრძოლა იმით დამთავრდა, რომ მოკლული იქნენ თვით მიქელაძე, დავთაბე, ბერიძე, თურმანიძე, ხოლო გაქცევა და მიმაღვა შეძლო ხუსეინ ნინიძე და სხვებმა.

1923 წლის დასაწყისისათვის აჭარაში მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიერო იყო. ამაზე თვით პარტიული ორგანიზაციები აღშფოთებით საუბრობდნენ. იწვევდნენ კრებებს, სადაც წინასწარ მომზადებული ხალხი მოითხოვდა ჩაექოლოთ „ხალხის მტრები“, მაგრამ ვითარება მაინც საგანგაშო იყო.

1923 წლის 29 იანვარს მდინარე ჩოლოეზე გაძარცვეს მატარებელი, მოკლე ორი პარტიული მუშაკი და წილებს ფული. იმავე წლის 10 თებერვალს ხელვაჩაურში მოკლეს პარტიული მუშაკი და მძიმედ დაჭრეს მისი მეუღლე. 1923 წლის 4 მარტს ბათუმში გორიოდოკის რაიონში მუსტაფა მანოლლიმ სიცოცხლეს გამოასალმა რამდენიმე მილიციელი. 18 მარტს თაქს დაესხნენ ფუხარი ხალხის კომიტეტს, წაიღის იარაღები და 1550000 მანეთი. ამ ფაქტთან დაკავშირებით 1923 წლის 21 მარტს გაიმართა აჭარის შშრომელთა ყრილობა, სადაც „ხალხმა“ დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა ხალხის მტრებს და საერთაშორისო იმპერიალიზმის აგენტებს“.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრება აჭარაში ძალზედ რთულ პირობებში მიმდინარეობდა. 1922-23 წლებში ეს სირთულები ისე გაძლიერდა, რომ აქ საჭირო გახდა ბოლშევიკების მხრიდან სხვადასხვა სახის ღონისძიებების გატარება. უპირველეს ყოვლისა აღსანიშნავია, რომ ამ ღორ

რბილისში შექმნილმა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა“ გააქტიურა აჭარაში მისი საქმიანობა. „დამკომის“ წევრები ხშირად ჩამოდიოდნენ ბათუმში და საიდუმლოდ ამზადებდნენ აქ ანტისაბჭოურ აჯანყებას. სწორედ ამ დროისათვის აჭარაში დაიწყეს ბეგების შევიწროვება. პარტიის აჭარის კომიტეტმა მიიღო საიდუმლო დადგენილება, სადაც ერთ-ერთი უმთავრესი მუხლი იყო „ბეგების დაუყოვნებლივი გასახლება“. ეს გასახლება დააჩქარა მიწის რეფორმამაც. ბეგებს მიწები მასიურად ჩამოართვეს. ამან გამოიწვია ბეგების ოღონოთება. თავიდანვე რომ აეცილებინათ გართულებები, საჭირო შექმნა ბეგების მასიური დაპატიმრება და გაძევება ოლქიდან. ჩეკამ სასწრაფოდ შეადგინა იმ ბეგების სია, რომლებიც აჭარაში ცხოვრობდნენ. ბეგები დაყვეს თოხ ნაწილად. პირველი, ყველაზე უფრო აგრესიული ჯგუფი უნდა გაესახლებინათ ამიერკავკასიის ფარგლებიდან, მეორე ჯგუფი კი მხოლოდ აჭარიდან. მესამე ჯგუფი კი უნდა დარჩენილიყო აჭარაში მილიციის მკაცრი ზედამხედველობის ქვეშ, მეოთხე ჯგუფში კი დროებით უნდა განთავისუფლებულიყო, სწორედ ამ დროს თბილისიდან ბათუმში ჩამოვიდა „დამკომის“ წევრი ივანე შარაშიძე. მან ბეგების ერთ ნაწილს, კერძოდ ნური აბაშიძეს, ყადირ აბაშიძისა და დედე ბეჟანიძეს გადასცა „დამკომის“ წერილი, სადაც „დამკომი“ მათ თხოვდა. საჭიროების შემთხვევაში მოეხდინა აჭარის მოსახლეობის აჯანყება. იქვე ბეგებს თხოვდნენ, რომ მათ ჰქონდათ კავშირი გურიაში მოქმედ „დამკომის“ წევრებთან, განსაკუთრებით კი მათითა იშვილთან. კარგი იქნებოდა თუ ისინი მოახერხებდნენ და ერთმანეთთან შეთანხმებულად მოახდენდნენ დათქმულ დროს ერთდროულ გამოსვლას გურიაში და აჭარაში. თანაც ბეგების ერთი ნაწილი ჩამოული იყო ანტისაბჭოურ საქმიანობაში. ზოგიერთ მათგანს მჭიდრო კავშირი ჰქონდა დამყარებული „დამკომის“ ბათუმის წარმომადგენელ გენერალ ფურცელაქესთან და „დამკომის“ წევრ მგალობლიშვილთან. 1923 წლის 24 იანვარს ჩეკამ ბათუმში ერთ-ერთი მოქალაქის, კერძოდ გიორგი ჩაგანავას ბინაში შეიძყრო ივანე შარაშიძე. მოაწყვეს ჩაგანავას (გიორგი ჩაგანავა იყო „დამკომის“ ბათუმის ორგანიზაციის აქტიური წევრი). ის ეკუთვნოდა სოციალ-დემოკრატების პარტიას. ახლო ურთიერთობა ჰქონდა ნოე ჟორდანიასთან. გიორგი ჩაგანავა იცნობდა მემედ ბეგ აბაშიძეს. სწორედ ჩაგანავას დამსახურებაა აჭარაში აქტიური ანტისაბჭოური საქმიანობის გაჩაღება. ის დახვრიტეს 1923 წლის 24 იანვარის (სამოქალაქო ბინის ჩხრეკა, სადაც იპოვეს წერილი, რომლის ადრესატი იყო „დამკომი“. წერილში საუბარი იყო იმაზე, რომ დაეჩქარებინათ წარმომადგენლის გაგზავნა თურქეთში, იქედან დროულად იარაღის შემოსატანად და რაც მთავარია, ივანე შარაშიძეს უპოვეს წერილი, გაგზავნილი გურიის ანტისაბჭოური ორგანიზაციის ერთ-ერთ გამოქერილი მეთაურის სერგო მათითა იშვილის სახელზე. აი, ეს წერილიც: „ძვირფასო პატრიოტო. უკვე მესამე წელია, რაც ჩვენი ქვეყანა იტანჯება უღმერთო ურჯულოების მიერ. ნადგურდება ყველათერი ფასეული და წმინდა. ხალხის ტანჯვა-ვაებას ბოლო არ უჩანს. უკანონო დაბატიმრებებმა და დახვრეტებმა ცხოვრება აუტანელი და სახიფათო გახდა. აიგვი ხალხის მოთმენის ფიალი. მათ ბრძოლა გამოუცხადეს ველურ დამპყრობლებს. გული სიხარულით ამევსო, როდესაც გავიგე, რომ მთელი გურია ფეხზე დადგა და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა ჯალათებს. იცოდეთ, აჭარის მოსახლეობა თქვენს გვერდითაა. საჭიროების შემთხვევაში თქვენ შემოგიერთდებათ და ერთიანი ძალით მოვსპობთ დამპყრობლებს. ხალხი აქ (ე.ი. აჭარაში — ო. გ.) იმედის თვალით შემოგცერის თქვენ. ჩვენმა ხალხმა მტრებს ჩვენი მხარის

დაპყრიბისთანავე დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა. პატრიოტების დიდი ნაწილი ტყეში იმაღლება. ვერც დაპატიმრებები და ვერც დახვრეტები ვერ შეაშინებს ჩვენი ხალხის სწრაფვას დამოუკიდებლობისაკენ. ჩემთან იყო „წითური“ და გადმომცა შენი წერილი. მოკითხვისათვის მადლობას შემოგწირავ. იცოდე, რომ ჩვენ მზად ვართ დანიშნულ დროს დავიწყოთ გამოსვლა. ჩიტმა ყველაფერი იცის. იყავით მხნედ და მედგრად. შენი აჭარელი“. როგორც გამოვარკვიე, წითური უნდა იყოს ივანე შარაშიძე, რადგან მას სახეზე წითელი ფერი დაპყრავდა. ჩიტი კი „დამკომის“ ბათუმის ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი მგალობლიშვილი უნდა ყოფილიყო. აი, რაც შეეხება აჭარელს, ამის დადგენა კი ვერ მოვახერხეთ. არ არის გამორიცხული, რომ ეს აჭარელი უნდა იყოს ერთ-ერთი ბეგთაგანი, რომელიც აქტიურად იყო ჩაბმული „დამკომის“ საქმიანობაში. ასევე ვფიქრობთ, რომ ეს აჭარელი უნდა ყოფილიყო მემედ ბეგ აბაშიძე, რადგანაც გურიაში ყოფნისას მე შევხვდი სერგო მათითაშვილის ნათესავს ნოდარ კალანდაძეს, რომელმაც აღნიშნა, რომ გურიის ანტისაბჭოთა ორგანიზაციებს მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდათ აჭარასთან და განსაკუთრებით ძველი მეჭლისის თავმჯდომარესთან მემედ ბეგ აბაშიძესთან. მანვე ისიც თქვა, რომ ჩემი ნათესავი სერგო მათითაშვილი იცნობდა მემედ ბეგ აბაშიძესო. ეს, რა თქმა უნდა, მხოლოდ ზეპირი ცნობა არის და ამის დამატებით დოკუმენტი დოკუმენტი არ არსებობს, თუმცა გამორიცხული არ არის, რომ ეს წერილი მემედ აბაშიძეს ეკუთვნოდეს.

ივანე შარაშიძე დახვრიტეს 1923 წლის მაისში, ხოლო 1923 წლის ივნის-ივლისში კი დაიწყეს ბეგების მასიური გისახლება აჭარიდან. სულ დააპატიმრეს და გაასახლეს 28 ბეგი, თანაც მიუთითეს მათი ორიენტაცია.

როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საბჭოთა ხელისუფლება ძნელად იკიდებდა ფეხს აჭარაში. კომუნისტი უხეში ხელმძღვანელები ხალხს სძულდა, ხოლო ჩეკასა და მილიციის თვითნებობას საზღვარი არ ჰქონდა. ყველაფერმა ამან 1923 წელს აჭარაში კინაღამ მასიური აჭანყება გამოიწვია. ხულოში ისე დაიძაბა სიტუაცია, რომ იქ გაიგზავნა 150 წითელარმიელი რამდენიმე ტყვიამფრქვევით. ასევე მძიმე მდგომარეობა შეიქმნა 1923 წლის ნოემბერში ქობულეთში. აქაც საჭირო გახდა საგანგებო ზომების მიღება. დაიწყეს მასიური დაპატიმრებები და დახვრეტები.

1924 წელს ადგილი ჰქონდა ამბოხების მოწყობის მცდელობას, მაგრამ ჩეკა როგორც ჩანს „თავიდანვე საქმის ყურში იყო და გაორმაგებული ენერგიით ძირშივე კვეთდა ყოველივე ანტისაბჭოურს“. 1924 წლის ივნისში იყო მცდელობა ბათუმში მიტინგის გამართვისა, მაგრამ ჩეკამ და მილიციამ წინასწარ დააპატიმრა რამდენიმე აქტიური წევრი და ციხეში უკრა თავი, ხოლო სხვებს არ მიცა საშუალება მიტინგის ჩატარებისა. 1924 წლის 18 ივნისს დააპატიმრეს სამოცი კაცი, როგორც „აჭარაში დესტრაბილიზაციის შეტანის მცდელობის“ ორგანიზატორები, ამას მოპყვა მასობრივი დაპატიმრებები. იქერდნენ ყველას. ვისაც კი რაიმე „წამოცდა საბჭოთა ხელისუფლების“ წინააღმდეგ. ამიტაც იყო რომ 1924 წლის აჭანყებას ბათუმში არ მისცემია ფართო გასაქანი.

მეგვარად, აჭარაში (ისე, როგორც სხვაგან) საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა ძნელად. აჭარის მოსახლეობისათვის უცხო აღმოჩნდა გარედან ნაძალადევად შემოტანილი ეს ხელისუფლება, ამიტომაც ხალხმა მას ბრძოლა გამოუცხადა. ეს ბრძოლა იყო დიდი ნაბიჭი დაკარგული დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, მაგრამ მიუხედავად ხალხის თავდადებისა, მედგარი წინააღმდეგობისა, ის განწირული

აღმოჩნდა. ხელისუფლება ცეცხლითა და მახვილით ახშობდა ყველაფერს. არ ინდობდა არავის. და ასე ძალისა და იარაღის მეშვეობით მოახერხა საბჭოთა ხელისუფლებამ დამკვიდრება. თუმცა მიუღებელი აღმოჩნდა იგი ხალხისათვის. მათ გულში კიაფობდა თავისუფლების ნაპერშეკალი, იმედით შეცეკროდნენ მომავალს, ოცნებობდნენ დაკარგული თავისუფლების დაბრუნებისათვის, რადგანაც სჯეროდა, რომ ეს დღეც დადგებოდა მალე.

გამოყენებული წყაროები:

- 1) საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14. 1922 წელი, საქმეები 150, 155, 156, 158, 160, 170, 175, 176, 177, 180, 185, 186, 187, 190.
- 2) საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14. 1923 წელი, საქმები 526, 605, 608, 642, 807, 870, 875, 876, 879.
- 3) საქართველოს პრეზიდენტის არქივი, ფ. 14. 1924 წელი, საქმეები 48, 50, 58, 62, 66, 67, 73, 78, 85, 89, 96, 98, 100, 122, 134, 262.



ირინე ვარშალომიძე

გონიო-აფსაროსი ნემიზემათიკური მასალების მიხედვით

ამინდი 1995-97 წლებში გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ პროფესორ დ. ხახუტაშვილის ხელმძღვანელობით სოფ. გონიოში მუშაობისას გამოავლინა მრავალფეროვანი ნუმიზმატიკური ძეგლები, რომელთა საერთო რაოდენობა 109 ცალს აღწევს. აქედან ერთი — ელინისტური, 95 — რომიული (14 ვერცხლი, 81 სპილენძი), 2 — ბიზანტიური (სპილენძი), 3 — ეპრობული (ვერცხლი) და 8 თურქული (ვერცხლი) მონეტა.

შეცვლებით განვიხილოთ მონეტების აღნიშნულ ტერიტორიაზე მოხვედრის მიზეზები, გზები, დაფუკავშიროთ წერილობით წყაროებსა და აღვადგინოთ ფულადი მიმოქცევის სურათი და ხასიათი ცალკეული პერიოდების მიხედვით.

ელინისტური ხანის მონეტა მოჭრილია ანტიკუნა გონიას (ძვ. წ. 277-239 წლ). სახელით მაკედონიაში [64 გვ. 154; №673; ტაბ. 46].

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გონიოს ციხეში აღნიშნული მონეტის გამოვლენა. საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილია მაკედონიაში მოჭრილი უფრო ადრეული ხანის (ძვ. წ. IV ს) მონეტები მხოლოდ ვანში [11 გვ. 119-52]. რა თქმა უნდა, ამ ერთადერთი მონეტის საფუძველზე ძნელია კატეგორიული ხასიათის დასკვნების გაკეთება, მაგრამ არც მისი უგულებელყოფა შეიძლება.

სტეფანე ბიზანტიელის ცნობით, ძვ. წ. II საუკუნის შემცირებულ გეოგრაფიულ გეოგრაფიაში“ მოგვითხრობს ქალაქ და კუნძულ აფსირიტეს შესახებ [30; გვ. 277], რაც სამეცნიერო ლიტერატურაში გაიგივებულია დღევანდელ გონიოსთან [22, გვ. 6]. გარდა ამისა, აფსაროსის ციხისა და მის მახლობელ მიდამოებში მოპოვებულია ელინისტური ხანის მასალები (ამფორები, ლუთერიები), რომლის შესწავლის შედეგად ჩანს, რომ სინქრონულ პერიოდში გონიო-აფსაროს ურთიერთობა ჰქონდა სამხრეთ შავიზღვისპირეთის საქალაქო ცენტრებთან [36; გვ. 87-94].

ამდენად, ელინისტურ ხანაში აღნიშნულ ტერიტორიაზე არსებობდა დასახლებული პუნქტი და ძვ. წ. III ს. მონეტის აღმოჩენა გაოცებას არ უნდა იწვევდეს [16, გვ. 129].

რეზაული მონაბეჭი

ცნობილია, რომ კოლხეთის სამეფო ძვ. წ. II საუკუნის ბოლოს თუ I საუკუნის დასაწყისში მითრიდატე VI პონტოელის სახელმწიფოს შემადგენლობაში [11, გვ. 119; 47, გვ. 150; 48 გვ. 119-130] შევიდა. 63 წლის ნერონმა გააუქმა პონტოს სამეფო და თავის სამფლობელოდ აქცია. კოლხეთი გალატიის პროვინციის შემადგენლობაში მოექცა. 72 წლიდან დომიციანეს მმართველობამდე იგი შედიოდა „კაპადოკიურ კომპლექსში“, ხოლო ამის შემდეგ ცალკე ჩამოყალიბებულ კაპადოკიის

პროგინციის ნაწილად გვევლინება [24, გვ. 538].

გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ახ. წ. I საუკუნის ბოლოდან აღმოსავლეთ შავიზლვისაბირეთის რომაული ციხესიმაგრეები შეადგენდა ერთიან თავდაცვითი სისტემის ხაზს-თავისებურ „პონტოს ლიმეს“, სადაც მნიშვნელოვან პუნქტს აფსაროსის ციხე წარმოადგენდა [54, გვ. 76].

აფსაროსში რომ რომაული გარნიზონი იდგა, ამას წერილობით წყაროებთან და სხვა არქეოლოგიურ მასალებთან ერთად ადასტურებს რომაული მონეტების აღმოჩენების სიხშირე (95 ერთეული).¹

ყველაზე ადრეული რომაული მონეტა მოჭრილია 43/44 წლებში და მიეკუთვნება იუდეის მეფე აგრიპა I ჰეროდეს (37-44 წწ.). [65; გვ. 382; №9548; ტაბ. 354; №11]. ანალოგიური და საერთოდ იუდეის მონეტები საქართველოში ჯერ არ აღმოჩენილა (სურ. 1).



(სურ. 1)

გონიოში მოპოვებული რომაული მონეტების ადრეულ ჯგუფს შეადგენს ქ. ანტიოქიის (სირია) სპილენძის მონეტები (13 ცალი: მათგან 3 მიეკუთვნება რომის იმპერატორ ნერონს (54-68 წწ.) [72; გვ. 230 ტაბ. 56555]; 2—დომიციანეს (81-96 წწ.). [75; გვ. 230; ტაბ. 5659]; 8 — ზოგადად 1 საუკუნის მეორე ნახევრით თარიღდება); (სურ. 2. ა. ბ.).



(სურ. 2. ა. ბ.)

ისინი ერთტიპიურია, შუბლზე გამოსახულია იმპერატორის პროფილი, ხოლო ზურგზე აბრევიატურა SC (სენატის დადგენილება) [41; გვ. 63]. რომაულ მონეტებზე SC პირველად ჩნდება რესპუბლიკური წყობის (სულას) დროს, როცა სამონეტო ემისიას აკონტროლებდა სენატი. სულას შემდეგ SC კალავ გვხდება ოქტავიანეს მიერ გალიაში მოჭრილ მონეტებზე (გვ. წ. 41-39 წწ.) [41, გვ. 63]. ადრეული იმპერიის დროს იგი რჩება მნიშვნელოვან ელემენტად სპილენძის მონეტებზე, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ იმპერატორი იყენებდა სენატის დადგენილებას, როგორც კონსტიტუციურ უფლებას სამონეტო საქმის ახლებური რეგულირებისათვის. [70, გვ. 14].

1. მონეტები სინესტის გამო ცუდადაა დაცული. მოხერხდა 40 რომაული ხანის მონეტის ატრიბუცია.

აღნიშნული ტიპის მონეტები ავგუსტუსის დროიდან იჭრებოდა ქ. ანტიოქიაში [41, გვ. 63]. ცნობილია, რომ ანტიოქია ძვ. წ. 64 წელს შევიდა რომის იმპერიის შემაღენლობაში თავისუფალი ქალაქის სტატუსით. სარგებლობდა რა ნომინალური ავტონომიით, ანტიოქია მონეტებზე ათავსებდა წარწერას: AVTIXIOSEL MUTROPONOLIS მაგრამ მაღალ რომის იმპერიის მიმართ თავისი დამკიდებულების საჩვენებლად ცვლის SC -თი [59, გვ. 156].

როგორც ჩანს, ანტიოქიაში მოჭრილი მონეტები აფსაროსში მიმოიქცეოდა | საუკუნის ბოლოსა და || საუკუნის დასაწყისში.¹

| საუკუნის მონეტების აღმოჩენა გონიოში კანონზომიერად გვეჩვენება, რადგან ამ პერიოდში ციხე აფსარი იხსენიებს პლინიუსი [22; გვ. 5]. სინქრონული ხანის ანტიოქიაში მოჭრილი სპილენძის მონეტა (1 ცალი) საქართველოში ცნობილია მხოლოდ სოხუმიდან [60, გვ. 357]. ამ მხრივ გონიოს აღმოჩენა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

ქრონოლოგიურად მომდევნო ხანისაა კაპადოკიის ქ. კესარიაში მოჭრილი ვერცხლისა და სპილენძის მონეტები, რომლებიც 9 ერთეულითაა წარმოდგენილი: ტრაიანე (98-117 წწ.) — 1 ცალი. სპილენძი [71, გვ. 67 №201, ტაბ. 59, შეად. 17 გვ. 104, ტაბ. 41.1] (სურ. 3); ადრიანე (117-138 წწ.) — 5 ცალი (2—სპილენძი, 3—ვერცხლი); [71, გვ. 77 №265, გვ. 78 № 280; შეად. 6, გვ. 26-44, 1-5 გვ. 55-79; №414-714; ტაბ. 8-15], (სურ. 3-ბ, 4-ა); ანტონიუს პიუსი (138-161 წწ.) — 1 ვერცხლი [71 გვ. 81 №292; შეად. 6, გვ. 79, №717, ტაბ. 15] (სურ. 4-ბ); სეპტიმიუს სევერუსი (193-211 წწ.) — 1 (ვერცხლი) [71. გვ. 96 №389; შეად. 6, გვ. 155, ტაბ. 34, №278-280]; გორდიანე III (238-244 წწ.) — 1 ცალი ვერცხლი [71, გვ. 129 №601. ტაბ. 98] (სურ. 5).



(სურ. 3)

ქ. კესარია ტიბერიუსის (14-37 წწ.) დროიდან გადაიქცა დიდ საიმპერიო ზარაფხანად აღმოსავლეთ საზღვარზე მდებარე რომის დომინიონებისათვის რომელიც უშვებდა როგორც ვერცხლის, ისე სპილენძის მონეტებს [71, გვ. 8]. რომაული დომინიონების უკიდურეს აღმოსავლეთში მდებარეობით, საომარი ხაზიდან დაცულ მანძილზე, კესარია გამორჩეულად ხელსაყრელი იყო სამხედრო ზარაფხანისათვის. ამ ანგარიშით და უჟერესობით პლიტიკური მიზნებითაც, რომის იმპერატორმა ტრაიანემ, ჩანს, მოიფიქრა მცირე აზიის სამონეტო ცენტრის გადატანა დასავლეთის პროვინციებიდან კესარიაში, რომელიც გამოიყენა იმ მონეტების მოსაჭრელად, რომლებიც განკუთვნილი იყო აღმოსავლეთ პროვინციებში.

1. აღნიშნული მონეტები არც ერთხელ არ აღმოჩენილა || - საუკუნის დასაწყისის კესარიულ მონეტებთან ერთად; მაშინ როცა, ამ უკანასკნელთან ერთად ხშირად ჩნდება | საუკუნის სხვა მონეტები. ამის გამო, ვფიქრობთ, რომ ანტიოქიის მონეტები მიმოიქცეოდა კესარიული მონეტების შემოსვლამდე.

ცირკულაციისათვის [70 გვ. 14].

კოლხეთი ა. წ. II-III სს. რომის პროვინცია კაპადოკიის შემაღენლობაში შედიოდა. შესაბამისად აღმოსავლეთ შავიზლვისპირეთის ციხე-სიმაგრეებში მდგომი რომაული გარნიზონი ექვემდებარებოდა კაპადოკიის სამხედრო სარდლობას [56, გვ. 365].

პოლიტიკური კონიუქტურიდან გამომდინარე კოლხეთის სამონეტო ცირკულაციაში, განსაკუთრებით ადრიანეს მიერ ლაზიკის სამეფოს ოფიციალური ცნობის შემდეგ გაბატონებული ადგილი ეყავა კესარიულ მონეტებს, რომელთა აღმოჩენის ტოპოგრაფია საქართველოში ფართოა. ცნობილია კესარიული მონეტების რამდენიმე განძი: ღურზულის (გერზეული) [54]; ნაბაკევის [62, გვ. 58]; ეკის [6, გვ. 5-6]; გარდა ამისა კესარიული მონეტები ნაპოვნია ციხისძირში [17, გვ. 104]; ურექში, სუფსაში [5, გვ. 18]; ნოქალაქევში [2, გვ. 273]; ვანში [11, გვ. 127]; სეფიეთში [25, გვ. 105]; წებელტაში [61, გვ. 211, 43, 44]; სოხუმში [6, გვ. 280-429]; ბიჭვინთაში [7, გვ. 280].

ქრონოლოგიური ჩარჩო საქართველოში აღმოჩენილი კესარიული მონეტებისა არის პირველი საუკუნის ბოლო და III საუკუნის დასაწყისი [46, გვ. 25]. მაგრამ ისინი მიმოიქცეოდნენ მოგვიანო პერიოდშიც. აფხაზოსში II-III სს პირველი ნახევრის კესარიული მონეტები, ჩვენი დაკვირვებით მიმოიქცეოდა III საუკუნის ბოლომდე.¹

კესარიული მონეტები საქართველოში საღზვაო გზით შემოდიოდა ქ. ტრაპეზუნტიდან, რომელიც დიდ როლს თამაშობდა რომის იმპერიის აღმოსავლეთ პოლიტიკაში. აქედან ისინი მიდიოდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქებში და შემდეგ ვრცელდებოდა ქვეყნის სიღრმეში [გვ. 35].

გონიოს ნუმიზმატიკურ მასალაში გვაქვს შვიდი დენარი: ვესპასიანე (69-79 წწ.) 1 ცალი. მოჭრილია ეფესოში [73, გვ. 230, ტაბ. 569] (სურ. 6) ფაუსტინა (141 წწ.) – 1 – რომში [68, გვ. 723, 136, ტაბ. 4. №3], ანტონიუს პიუსი (138-141 წწ.) – 2 – რომში [68, გვ. 95, №657, ტაბ. 146; გვ. 95. №657, ტაბ. 14, 6 შვად. 6, გვ. 79, 717; ტაბ. 15; გვ. 168, №4. ტაბ. 23] (სურ. 6 ბ.) სეპტიმიუს სევერიუსი (193-211 წწ.) – 3 (1 აღმოსავლეთის ზარაფხანაში, [69, გვ. 90. №340, ტაბ. 15, № 11. შეად. 6, გვ. 85, ტაბ. 18. №789], 2 – რომში (69, გვ. 31, №68, ტაბ. 7, №6; 69, გვ. 99, №397; შეად. 6, გვ. 7 98, ტაბ. 21, №866). აღნიშნული დენარები აფხაზოსის ციხეში მიმოიქცეოდა კესარიულ მონეტებთან ერთად III საუკუნის ბოლომდე.² ისინი, როგორც ფიქრობენ, საქართველოში ვრცელდებოდა მცირე აზიის ქალაქებიდან (46, გვ. 35).



(სურ. 4)

1. ადრიანესა და გორდიანე III კესარიული მონეტები აღმოჩნდა ერთად.

2. რომაული დენარები კესარიულ მონეტებთან და ავრელიანეს თესალონიკაში მოჭრილ მონეტებთან ერთად გამოვლინდა.

გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედი არქეოლოგიური ექსპედიციის მუშაობისას აღმოჩენილ ნუმიზმატიკურ ძეგლებს შორის განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ქ. ტრაპეზუნტის მონეტები.

სამონეტო ემისია ტრაპეზუნტიმა ძვ. წ. IV საუკუნეში დაიწყო, მაგრამ იგი ეპიზოდურ ხასიათს ატარებდა. თავისუფალი ქალაქის სტატუსის მიღების (63 წ.) შემდგომ პერიოდში რომის იმპერატორ ტრაიანეს დროიდან, ხანგრძლივი ინტერვალის შემდეგ იწყებს საქალაქო მონეტების მოჭრას [7, გვ. 377].

აღნიშნული მონეტები გონიოში წარმოდგენილია 3 ერთეულით: კომოდუსი (18=192 წწ) [63, გვ. 149; ტ. XI, №19; შეად. 7 გვ. 287, ტაბ. 67]. სეპტიმიუს სევერიუსისა (193-211 წწ) [63, გვ. 150, ტაბ. XV, №20] შეად. 7, გვ. 296, №19-20, ტაბ. 69) და ტრანკულინას (238-244 წწ). [63, გვ. 156, №53, შეად. 7, გვ. 315, ტაბ. 79, №127] საფასეებით.



(სურ. 5)

აღსანიშნავია, რომ სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში დიდხანს იყო გაბატონებული მოსაზრება, რომ ტრაპეზუნტის მონეტები ლოკალურ საფასეებს წარმოადგენდა. ეს დებულება უარყო ბიჭვინთა-ლიძავის და სოხუმის ტერიტორიაზე ქ. ტრაპეზუნტის სპილენძის მონეტების აღმოჩენის ფაქტებმა, რაც ქალაქის გარეთ ამ ძეგლების მიმოქცევის დადასტურებას წარმოადგენდა [7, გვ. 329]. გაოცებას იწვევდა ის ფაქტი, რომ ტრაპეზუნტიდან გეოგრაფიულად ახლო მდებარე აჭარის ტერიტორიაზე აღნიშნული მონეტები არ ჩანდა. ციხისძირის არქეოლოგიური შესწავლის დროს ისინი არ აღმოჩენილა, რაც ახსნილია იმით, რომ აქ რომაულთა საყრდენი პუნქტის გაჩენა III საუკუნის ბოლოსა და IV საუკუნის დასაწყისიათვის ივარაუდება [17, გვ. 100]. როგორც კი გაითხარა გონიოს სინქრონული კულტურული ფენები გამოჩენდა ისინი, მაგრამ მცირე რაოდენობით [14, გვ. 23]. ტრაპეზუნტი თავისი გეოგრაფიული მდებარეობის წყალობით, ასრულებდა უდიდეს როლს ამიერკავკასიის ქალაქებში მდგომი რომაული მხედრიონის მომარაგების საქმეში. ზოგიერთი მკლევარი ტრაპეზუნტს რომაელთა ძირითად ბაზადაც კი მიიჩნევს შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე. ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, რომ ტრაპეზუნტი გვევლინება მონეტების ძირითად მიმწოდებლად შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქებისათვის [7, გვ. 352].

გონიოს მონეტებს შორის გვაქვს გორდიანე III სახელით ქ. სინოპში მოჭრილი სპილენძის საფასე. სინოპური მონეტები აღრეანტიკურ და ელინისტურ პერიოდში დიდი რაოდენობით შემოდიოდა და მიმოქცეოდა კოლხეთის ტერიტორიაზე [44; 458 10; 19; 18; 12; 48]. მაგრამ რომაულ ხანში ისინი თითქმის არ გვხდება. ცნობილია, მხოლოდ გეტას სახელით 207 წელს სინოპში მოჭრილი მონეტა ბიჭვინტიდან [10, გვ. 147]. სხვა არქეოლოგიური მასალების (ამფორები, ლუთერიები) მიხედვით ჩანს, რომ ინტენსიური სავაჭრო-ეკონომიკური

ურთიერთობა იქვს აფსაროსს სინოპესთან [39, გვ. 49-51]. აღნიშნული მონეტა აფსაროსის ციხეში, ალბათ, მცირეაზიულ მონეტებს ან სინოპურ კერამიკულ ტარას შემოჰყვა.

საინტერესოა, აფსაროსის ციხეში ავრელიანეს (270-275 წ.წ.) სახელით ქ. თესალონიკაში მოჭრილი მონეტების აღმოჩენა (სურ. 6 ბ) ანალოგიური მონეტები გვაქვს მხოლოდ ბიჭვინტაში [7, გვ. 375]. გ. ღუნდუს აზრით, მათი რიცხვი იმდენად მცირეა, რომ რაიმე გარკვეული დასკვნის გაკეთება ყოვლად შეუძლებელია.



(სურ. 6)

ამრიგად, რომაული ხანა წარმოდგენილია I-III სს-ის მონეტებით. ნუმიზმატიკური, არქეოლოგიური და ისტორიული წყაროების მიხედვით | საუკუნის მეორე ნახევრიდან აფსაროსის ციხეში რომაული გარნიზონის დგომა ეჭვს არ იშვევს. ცხადია, ამ პერიოდის სირიული და იუდეური მონეტები რომაელ ჯარისკაცებს უნდა შემოეტანათ. ზოგიერთი მკვლევარი ვესპასიანეს დროს კოლხეთის ზოგისპირა პუნქტებში (აფსარი, ფაზისი) XII ლეგიონ Fulminat -ის („ელვისებურის“) დგომას ვარაუდობს [49, გვ. 193-94]. ნერონის დროს აღნიშნული ლეგიონის დგომას ანტიოქიაში შესაძლებლად მიიჩევენ [56, გვ. 402]. 66 წელს დაიწყო იუდეველთა აჯანყება რომაელთა ბატონობის წინააღმდეგ. აჯანყებულებმა გაანადგურეს რომაული გარნიზონი, მოიგერიეს სირიის ნაცვლის შემოტევა,¹ მაგრამ მათი წინააღმდეგობის მიუხედავად, რომაელთა ჯარმა ტიტუს ფლავიისუსის სარდლობით 70 წელს მიწასთან გაასწორა იერუსალიმის ტაძარი, ხოლო 73 წელს დაეცა უკანასკნელი საყრდენი ქ. მასადა [56, გვ. 478]. იერუსალიმის აღებაში სხვებთან ერთად მონაწილეობდა XII და XV ლეგიონები. ომის დამთავრების შემდეგ XII ლეგიონი გადაიყვანეს ჯერ კაპადოკიაში, ხოლო შემდეგ მელიტენაში; XV ლეგიონი კი სატალკაში [32, გვ. 91; 56, გვ. 476; 53, გვ. 70]. ამდენად | საუკუნის 70-იანი წლების დასაწყისში მცირე აზიის აღმოსავლეთ საზღვაოზე იყო მოთავსებული იუდეიდან გადმოყვანილი ორი ლეგიონი. ასეთ შემთხვევაში კანონზომიერად გვეჩვენება XII ან XV ლეგიონების ჯალკეული შენაერთების შეყვანა | საუკუნის ბოლოს აფსაროსის ციხეში; მაშინ აქ იუდეური და სირიული მონეტების გამოვლენა ლოგიკურ ახსნას პოლობს.

რაც შეეხება II-III სს-ის მონეტების სიჭარბეს აფსაროსში, იგი ბუნებრივია. მ.

1. ცნობილია, რომ ახ. წ. 6 წელს რომის იმპერიამ დაიმორჩილა და სირიის ლეგატს დაუქვემდებარა იუდეის სამეფო.

შპაილელის აზრით, აქ იდგა კლაუდიუსის სახელობის II კოპორტა. მკვლევარის მსჯელობის საფუძველს წარმოადგენს ეგვიპტეში, კერძოდ, ფაიუმში აღმოჩენილი წერილი პაპირუსზე, რომელიც აფსაროსის ვეტერანის მიერ არის დაწერილი. წერილში მოხსენიებული აფსაროსში მდგარი Cohors II Claudiana ავტორის მტკიცებით, II საუკუნის შუა ხანებში კაპადოკიაში განლაგებული რომაული არმიის დამხმარე კოპორტას წარმოადგენდა [34 გვ. 134-140]. მ. შპაილელის მოსაზრება დაადასტურა აღნიშნულ ტერიტორიაზე 1996 წელს დამღიანი კერამიკული ფილის აღმოჩენამ, რომელზედაც შემორჩენილი წარწერა ანალოგიურად იშითრება [26 გვ. 25]. რა თქმა უნდა, არმია იყო უმთავრესი უწყება, სადაც ფინანსები მიეღინებოდა. ფლავიუს არიანე, ადრიანეს ლეგატი კაპადოკიაში (ახ. წ. 131-137 წლ) წერს, რომ აფსაროსში „ხელფასი დავურიგე ჭარისკაცებსა და დავათვალიერება იარაღი, კედელი, თხრილი, ავადმყოფები და ისიც, თუ რა მდგომარეობაში იყო პურის მარაგის დამზადება“ [3 გვ. 35].

გონიო-აფსაროსის მახლობელ ტერიტორიაზე, ხელვაჩაურის რ-ნის სოფ. მახვილაურში ნაპოვნია ადრიანეს (117-138 წლ) სახელით მოჭრილი ვერცხლის მონეტა.¹ 1930 წელს ბათუმის მიდამოებში აღმოჩნდა დომიციანეს (81-96 წლ) სახელით მოჭრილი დენარი [57 გვ. 24, 50 გვ. 74]. როგორც ჩანს, ისინი აფსაროსიდან გავრცელდა.

ამდენად, აფსაროსის, ისევე როგორც აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის სხვ ქალაქების, პოლიტიკური და საგაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა მთავარი გეზი, მიმართულია სამხრეთისაკენ. შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროებსა და მცირე აზიისაკენ, რაც გამოწვეული იყო კოლხეთის გეოგრაფიული მდებარეობით.

პიზარები მონაზეპი

დასავლეთ საქართველოდან რომაელების განდევნის შემდეგ აფსაროსი კარგას სტრატეგიულ ფუნქციას. არქეოლოგიური მასალისა და წერილობითი წყაროების მიხედვით აფსაროსის ციხე IV საუკუნის მეორე ნახევრიდან VI საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით მიტოვებულია. არიანე მარცელინე შავი ზღვის სანაპიროს იღწერისას არაფერს ამბობს აფსაროსზე, ხოლო ფაზისა და დიოსკურიას კი ქალაქებად იხსენიებს [28 გვ. 103]. აფსაროსის ციხე არც V ს. დასაწყისის ძეგლშია მოხსენიებული. აქ დასახელებულია ის გეოგრაფიული პუნქტები, სადაც სამხედრო ნაწილები იდგა [28 გვ. 168]. VI ს. ანონიმი ავტორი აღნიშნულ ადგილს სოფლად მოიხსენიებს [29 გვ. 19].

VI ს. ავტორი პროკოფი კესარიელი წერს: „ეს ქალაქი ძველად მრავალრიცხოვანი ყოფილა, მას გარშემო უგლიდა მრავალი კედელი და შემკული იყო თეატრითა და იპოდრომით და მრავალი სხვაც ჰქონდა, რაც ჩვეულებრივ ქალაქის სიდიდის მომასწავებელია. ამჟამად მათგათ არაფერია დარჩენილი, გარდა შენობათა საძირკვლებისა“ [29 გვ. 94-95], მაგრამ აფსაროსი აქვე მოქმედ ქალაქათა დასახელებული [29 გვ. 96].

აგათია სქოლასტიკოსის [VI ს.) ცნობის თანახმად, სენატორმა ათანასემ გუბაზ მეფის მკვლელები იოანე და რუსტიკე ქალაქ აფსარუნტში გააგზავნა და იქაურ

1. ინახება საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქ. ბათუმის ნ. ბერძნიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში.

სატუსალოში დაამწუცდევინა [30 გვ. 82-83].

იუსტინიანეს ნოველებში (534-565 წწ) ჩამოთვლილია ლაზიკისა და პოლემონების პონტოში შემავალი ქალაქები და ციხე-სიმაგრეები, რომელთა შორისაც ვერ ვხედავთ აფსაროსს [29 გვ. 33]. საინტერესო ცნობაა დაცული სტეფანე ბიზანტიელის ლექსიკონში (528-535 წწ) „არის ევქსინის პონტოზეც ერთი ადგილი, რომელსაც წინათ აფსირტი ერქვა“ [30 გვ. 277].

წერილობით წყაროებში დაცულ ცნობებს ეთანხმება არქეოლოგიური მონაცემებიც. აფსაროსში მოპოვებულ მრავალფეროვან ნივთიერ მასალას შორის არც ერთი ეგზემპლარი არ თარიღდება IV საუკუნის II ნახევრით, V საუკუნითა და VI საუკუნის პირველი ნახევრით [20 გვ. 32]. არ ჩანს ამ პერიოდის ნუმიზმატიკური მასალაც.

აფსაროსის ციხე-ქალაქის გამოცოცხლება VI ს-ის მეორე ნახევრიდან იწყება.

აფსარი, როგორც სამხედრო ბანაკს, იცნობენ უფრო გვიანი ხანის ბიზანტიური წყაროებიც. VIII ს-ის პირველი ნახევრის „პასქალური ქრონიკა“ [31 გვ. 19] და VIII ს-ის მეორე ნახევრის მწერალი ეპიფანე კონსტანტინებოლელი [31 გვ. 15] „აფსარეას ქილაქს“ ახსენებს, აგრეთვე, VIII ს ქართველი მწერალი იოანე საბანისძე [21 გვ. 45].

გონიოში მოპოვებულია VI ს მეორე ნახევრის არქეოლოგიური მასალაც: თიხისა და მინის ჭურჭლები, წყალგაყვანილობის სისტემა და ო.შ. [40 გვ. 124].

გონიოში გამოვლენილ ნუმიზმატიკურ ძეგლებს შორის ყველაზე სუსტად წარმოდგენილია ბიზანტიური პერიოდი; 2 ცალი სპილენძის მონეტით, ორივე მათგანი მოჭრილია ბიზანტიის იმპერატორ იუსტინიან I (527-565 წწ) სახელით, ერთი ანტიოქიაში 527-528 წწ-ში [66 გვ. 138] და მეორე თეობოლისში 538-565 წლებში [66 გვ. 138]. მაშინ, როცა რომაული ხანის 150-ზე მეტი, ¹ ხოლო ოსმალური პერიოდის ათეულზე მეტი მონეტები გვაძეს.

აღმოსავლეთ შავიზლვისპირეთის სხვა ქალაქებში (ციხისძირი, ბიჭვინტა) ბიზანტიური მონეტები მრავლდა [17 გვ. 101; 38 გვ. 305-334]. ამდენად სურათი ნათელია, VI საუკუნის მეორე ნახევრიდან აფსაროსის საქალაქო ცხოვრება გამოცოცხლებული ჩანს, მაგრამ იმ სიძლიერისათვის, რომელსაც იგი განიცდიდა I-III სს-ში, ვერ მიუღწევია.

ბიზანტიური მონეტები საქართველოში, აღრეული ხანიდანვე შემოდის და ვრცელდება. უადრესი მათგანი ჩვენში არყადი კეისრის (395-408 წწ) დროიდან ჩანს, ე.ი. იმ პერიოდიდან, როდესაც აღმოსავლეთ რომის იმპერია გაჩნდა როგორც სახელმწიფო ერთეული [1 გვ. 5] IV-VI საუკუნის დასაწყისის ბიზანტიური მონეტები საქართველოში მრავლდა აღმოჩენილი [1 გვ. 100; 17 გვ. 100-113; 52].

იუსტინიანეს სახელით მოჭრილი მონეტები ნაპოვნია ბათუმის მიდამოებში [58 გვ. 50; 52 გვ. 43]; ნოქალაქევში [2 გვ. 273], ზუგდიდში, ჩხოროწყუში, ოჩხამურში, ფსირცხაში, ჩხალთაში, სოხუმში, ბიჭვინტაში [1 გვ. 216].

თეობოლისში მოჭრილი მონეტის აღმოჩენა გონიოში იმ მხრივაც იმსახურებს ყურადღებას, რომ მანამდე საქართველოში იუსტინიან I-ის სახელით თეობოლისში მოჭრილი ერთადერთი მონეტა იყო ცნობილი ბიჭვინტიდან [37 გვ. 305-334].

VI საუკუნის მონეტების შედარებითი სიმრავლე საქართველოში საერთო საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლასთანაა უთუოდ დაკავშირებული. რომის

1. მათ შორის I-III სს მონეტებისაგან შემდგარი განძიც, რომელიც 1998 წელს აღმოჩნდა გონიოს ციხეში.

იმპერიასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმული სასანელების ირანის ტერიტორიული ექსპანსიის გეზი კავკასიისაკენ იყო მიმართული. მთელი კავკასიის დაბყრობა და ოქედან რომაელთა საბოლოო გაძევება სასანელების საგარეო პოლიტიკის სანუკვარი მიზანი იყო, VI საუკუნის პირველი შესამედიდან ბიზანტია კვლავ ცდილობს თავისი უფლებების განმტკიცებას შავიზლვისპირეთის ქალაქებზე.

ორი მონეტით ძნელია კონკრეტული დასკვნის გამოტანა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ სინქრონული ხანის კულტურული ფენების არსებობას, დავუკავშირებთ მათ წერილობით წყაროებს, შეიძლება ვთქვათ, რომ VI საუკუნის ნახევარში აფხაროსის ციხეში იდგა ბიზანტიური გარნიზონის მცირე კონტიგენტი ხანმოკლე დროით.

ევროპული მონეტები

გონიოს ნუმიზმატიკურ მონაპოვართა შორის გვაქვს 3 ცალი ევროპული მონეტა (ერთის განსაზღვრა არ ხერხდება დაზიანების გამო); ამათაგან ერთი მიეკუთვნება პოლონეთის მეფე სიგიზმუნდ III (1587-1632 წწ); ხოლო მეორე ქ. ვენეციის დედამიწა.

სიგიზმუნდ III ორტა მოჭრილია ბოდგოშის ზარაფხანაში 1624 წელს. ორტები პოლონეთ-ლიტვის სამეფოში პირველად 1608 წელს მოჭრეს გდანსკის ზარაფხანაში. მოთხოვნილება მასზე იმდენად გაიზარდა, რომ 1616 წელს სეიმმა საგანგებოდ დაადგინა მათი მოჭრა ბოდგოშის, კრაკოვისა და ვარშავის ზარაფხანაში. ორტები მალე გასცდა პოლონეთ-ლიტვის სამეფოს საზღვრებს და გავრცელდა ევროპაში [27 გვ. 112].

საქართველოში პოლონური მონეტები განისახია სახით აღმოჩენილია ზესტაფონში, სამგორში (შინდისში), თბილისში, ლანჩხუთში, ცალკეული ერთეულებისსახით კა ახალციხეში (წყორდა, თისელი), ოზურგეთში, წალენჯიხაში ([ჯაგირა], მარტვილში (ნოქიხევი), აბასთუმანში [27 გვ. 111-135] და ქობულეთის მიდამოებში [37 გვ. 69]. სიგიზმუნდის ოთხი ცალი უპასპორტო ირტა დაცულია აჭარის სახელმწიფო მუზეუმშიც [№1264, №1275, №1369].


საქართველოში პოლონური მონეტები შემოდის XVII საუკუნის პირველი ნახევრიდან. ჩვენში ორტებისა და პოლტორაკების გავრცელებას აპირობებდა: პოლონეთთან პოლიტიკური ურთიერთობა ისმალებოთის მზარდი ექსპანსიის წინააღმდეგ ბრძოლაში, შავი ზღვისა და დნეპრის გზით პოლონეთთან აბრეშუმით ვაჭრობა, XVII საუკუნეში კათოლიკე მისიონერების საქმიანობა, გურიისა და სამეგრელოს სამთავროებში დნეპრისა და დონის კაზაკების მიმოსვლა და სხვა [27 გვ. 123-130].

დასავლეთ საქართველო ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლის დროს უკავშირდება კაზაკებს, რომელთა დასახლების რაიონებში XVII ს-ის პირველ ნახევარში პოლონეთ-ლიტვის გაერთიანებული სამეფოს მონეტები იყო ბრუნვაში. კაზაკებისა და დასავლეთ საქართველოს სამთავროების ურთიერთობა, თავის მხრივ, ხელს უწყობდა კაზაკებში გავრცელებული პოლონური ფულის შემოსვლას საქართველოში [27 პოლონეთ].

წინააღმდეგ ეცვარება, პოლონური მონეტა გონიოში შემოიტანეს კაზაკებმა [15 გვ. 48].

ისინი, როგორც ცნობილია „მრავალჯერ დაქსხნენ თავს, ქონება დავლად წაიღეს, მთაოხეს და დაანგრიეს“ ოსმალთა მფლობელობაში მყოფი გონიოს ციხე, ხოლო 1647 წელს კი „მოულოდნელად იაღეს“ [35 გვ. 94].

გონიოში აღმოჩენილი მეორე ეგრობული მონეტა ვენეციისაა, თარიღდება XVII-XVIII სს. [13 გვ. 50] (სურ. 7).



(სურ. 7)

ვენეციის საზოგადოებრივი დროიდან ვენეცია გადაიტაც ევროპის უძლიერეს საზღვაო-სავაჭრო რესპუბლიკად, რომლის ამაღლების საფუძველი გახდა საშუალებელი ვაჭრობა. ვენეციური ხომალდები დაცურავდნენ ხმელთაშუა და შავ ზღვებში და შეძენილი აღმოსავლური საქონელი ევროპის სახელმწიფოებში გააქცინდათ.

1284 წელს ვენეციაში პირველი მოჭრეს ოქროს, 1562 წელს კი ვერცხლის მონეტები [27 გვ. 144]. ისინი სწრაფად გაფრცელდა კორონისა და აღმოსავლეთის ქვეყნებში. XIV საუკუნის მეორე ნახევარში ისინი საქართველოს ვალუტის როლში გვევლინებიან. XV საუკუნის მეორე ნახევარში კონსტანტინოპოლის აღებისა და შავი ზღვის ხელში ჩაგდებით ოსმალებმა გადაჭრეს დასავლეთისა და აღმოსავლეთის დამაკავშირებელი უძველესი სავაჭრო გზები, დაირღვა საქართველოსა და ევროპის სახელმწიფოებს შორის მანამდე არსებული კუნომიკური ურთიერთობაც. ევროპის კაპიტალს ახალი სავაჭრო ბაზების მოსაპოვებლად სხვა მიმართულება მიეცა; რის შედეგადაც საქართველო ევროპას მოწყდა. მიუხედავად სეთი ცვლილებებისა, ვენეციური დუკატები კვლავ შემოდის საქართველოში და ძველებურად მონაწილეობს ქვეყნის ფულად მიმოქცევაში. მიერიდან ისინი ძირითადად ოსმალეთიდან და ირანიდან ვრცელდება [27 გვ. 157].

XV-XVIII სს ოქროსა და ვერცხლის ვენეციური დუკატები, საქართველოში აღმოჩენილია ანანურში (დუშეთის რ-ნი), ქუთაისში, ლეხურის ხეობაში, ირაგაში (თეთრიწყაროს რ-ნი), ოზურგეთში, აფხაზეთის რ-ნი სოფ. ნეიდროვში [27, გვ. 98-112] ერთი უბასპორტო XVII-XVIII სს. ვენეციური დუკატი ინახება აჭარის სახელმწიფო მუზეუმში (საინვენტარო № 1725).

ვენეციური დუკატების გონიოში მიმოქცევა დადასტურებულია წერილობით წყაროებში. ფრანგი ჟ. შარდენი (1672-73 წწ. იმოგზაურა საქართველოში) წერს: ყველა ქრისტიანი, სასულიერო წოდების კაცი, რომელიც გონიოზე გაიღლის ვალდებულია მიცეს გონიოს მმართველს ორასი დუკატი” [33, გვ. 46].

როგორც გხედავთ, გონიოში ყოფილა საბაზო პუნქტი, ამიტომ ევროპული მონეტების აღმოჩენა მოსალოდნელი და კანონზომიერი ჩანს (15. გვ. 7 51).

თურქული მონებები

გონიოს ციხეში თურქული მონეტები მიეკუთვნება აპტედ III (1703-1730 წწ.) — 2 ც, მაჰმუდ II (1808-1839 წწ.) — 1 ც. 2 — XVII, XVIII სს-სა და ერთიც მაჰმუდ V (1909-1918 წ.)¹

საქართველოს და ოსმალეთს შორის არსებული პოლიტიკური სიტუაციის შედეგი იყო ჩვენს ქვეყანაში ასმალური ფულის შემოსვლა და გავრცელება. თურქეთის გაძლიერებამ ამიერკავკასიაში, საქართველოს დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში გამოიწვია ოსმალური ფულის დიდი რაოდენობით დაგროვება; აღნიშნულ ტერიტორიაზე ცნობილია

ოსმალური ფულის ცალკეული ცალების აღმოჩენის 51; ხოლო შერეული განძების 13 შემთხვევა [4]. თურქული მონეტების აღმოჩენა გონიოს ციხეში არავითარ განსაკუთრებულ კომენტარს არ საჭიროებს. 1547 წლიდან 1878 წლამდე იგი წარმოადგენდა ოსმალთა ძირითად ფორპორტს დასავლეთ საქართველოზე შეტევისათვის, ხოლო მაჰმუდ V მონეტა კი შეიძლება I მსოფლიო ომის (1914-1918 წწ.) დროს თურქთა ამიერკავკასიაში თარეშის დროს შემოვიდა.

როგორც ვხედავთ, გონიოს ნუმიზმატიკური მონაპოვარი წარმოადგენს პირველხარისხოვან საისტორიო წყაროს აფსაროსის ქალაქური ცხოვრების გამოსაკვლევად, მისი პოლიტიკურ-ეკონომიკური ორიენტაციის შესასწავლად, გონიოს პოლიტიკური ისტორიის ცალკეული საფეხურების მეტნაკლებად მკაფიოდ წარმოსადგენად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თ. აბრამიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ბიზანტიური მონეტები, თბ. 1965.
2. თ. აბრამიშვილი, ნოქალაქევის ექსპედიციის მიერ 1973-85 წწ. მოპოვებული მონეტები; ნოქალაქევი — არქეოპლისი 1978-1981, თბ. 1987.
3. ფლავიუს არიანე, მოგზაურობა შავი ზღვის გარშემო; თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და რუკა 6. კეჭეყმაძისა, თბ. 1961
4. მ. ანთაძე, საქართველოსა და თურქეთის ურთიერთობა ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით XV-XVIII სს-ებში. თბ. 1980.
5. გ. დუნდუა, საქართველოს სამონეტო განძები, თბ. 1979.
6. გ. დუნდუა, გურიის ნუმიზმატიკური მონაპოვარი, გურია I, თბ. 1997.
7. გ. დუნდუა, სამონეტო მიმოქცევა და საგაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობანი ბიჭინტაში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით ძ. წ. II ახ. წ. IV სს-ები; დიდი პიტიურტი I, თბ. 1975
8. გ. დუნდუა, კიდევ ერთხელ ტრაპეზუნტის მონეტების იკონოგრაფიის შესახებ; დიდი პიტიურტი II, თბ. 1977.
9. გ. დუნდუა, რას მოგვითხრობენ ქველებური მონეტები, თბილისი 1968.
10. გ. დუნდუა, საქართველოში აღმოჩენილი სინოპური მონეტები, მაცნე №1, თბილისი 1971.
11. გ. დუნდუა, გ. ლორთქიფანიძე, მონეტები ვანიდან; ვანიდან III, თბილისი 1977.
12. ი. ვარშალომიძე, სინოპური მონეტა სოფ. განთიადიდან; სისტორიო მაცნე №3, ბათუმი 1996.

1. თურქული მონეტები განსაზღვრა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა ი. ჯალაღონიამ.

13. ი. ვარშალომიძე, ვენეციური ვერცხლის დუკატი გონიიდან, საისტორიო მაცნე №5, ბათუმი 1996.
14. ი. ვარშალომიძე, ქ. ტრაპუზიენტის მონეტები გონიო-აფსაროსიდან; ბსუ ბროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა მესამე სამეცნიერო კონფერენციის მოხსენებათა გეგმა და თეზისები, ბათუმი, 1996.
15. ი. ვარშალომიძე, ევროპული მონეტები გონიიდან, საისტორიო მაცნე №7, ბათუმი 1998.
16. ი. ვარშალომიძე, მაკედონური და იუდეური მონეტები გონიო-აფსაროსიდან, — ლიტერატურული აჭარა №2, ბათუმი 1999 წ.
17. 6. ინაიშვილი, ციხისძირის ახ. წ. I-VI სს არქეოლოგიური ძეგლები, თბ. 1993.
18. ი. იაშვილი, ადრეული სინოპური დრაქმა ფიჭვნარიდან; სდს №16, ბათუმი, 1987.
19. ა. კახიძე, ფიჭვნარის სამართვანზე 1967-68 წწ აღმოჩენილი უცხოური მონეტები, მაცნე (ისტორიის სერია) №3, თბილისი 1974.
20. ე. კახიძე, მ. ხალვაშვილი, გონიო-აფსაროსი წერილობითი წყაროებისა და უახლესი არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით სI-VI სს) კულტურის ისტორიის საკითხები, V თბილისი 1998.
21. ქ. ქველიძე, ადრინდელი ფეოდალური ქართული ლიტერატურა, თბილისი 1935.
22. ი. ლორთქიფანიძე, თ. მიქელაძე, დ. ხახუტაძეშვილი, გონიოს განძი, თბილისი 1980.
23. გ. ლორთქიფანიძე, ბიჭვინთის ნაქალაქარი, თბილისი 1993.
24. გ. მელიქიშვილი, საქართველო ახ. წ. I-III სს-ებში, საქართველოს ისტორიის ნარკოლები I, თბილისი 1970.
25. ს. მაკალათია, სეფიეთში აღმოჩენილი ფულების განდი, სსმ, XII-ი 1944.
26. ალ. ნონეშვილი, რომაულ-ქართული ურთიერთობა — ა. წ. I-სა და II ნახევარში, ქულტურის ისტორიის საკითხები, V, თბილისი 1998.
27. რ. ქებულაძე, ევროპული მონეტების მიმოქცევა საქართველოში XV-XVIII სს-ებში, თბილისი 1971.
28. ს. ყაუხებიშვილი, გეორგიკა (ბიზანტიურ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ), ტ. I თბილისი 1961.
29. ს. ყაუხებიშვილი, გეორგიკა, ტ. II, თბილისი 1934.
30. ს. ყაუხებიშვილი, გეორგიკა, ტ. III, თბილისი 1936.
31. ს. ყაუხებიშვილი, გეორგიკა, ტ. IV, თბილისი 1952.
32. თ. ყაუხებიშვილი, ბერძნ მწერალთა ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. V, თბ. 1983.
33. ქ. შარდენი, მოგზაურობა საქართველოში; ვ. ბარნოვის თარგმანი, თბ. 1935.
34. ე. შაიალელი, კავკასიის საზღვარი, II ს-ის გირნიზნები აფსაროსში, პეტრისა და ფასიშში, სმამ, №1, თბილისი 1985.
35. ევლია ჩელების „მოგზაურობის წიგნი“, თურქულიდან თარგმნა, კომენტარები და გამოკვლევა დაურთო გ. ფუთურიძემ; ნარკვ. I, თბილისი 1973.
36. ლ. ჩხაიძე, გონიო-აფსაროსის ელინისტური ხანის მსალები, სდს №XII, თბილისი 1983.
37. ი. ცინცაძე, მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, თბ. 1965.
38. ი. ცუხეშვილი, ბიჭვინთის ბიზანტიური მონეტები, ლილ. პატრიციუ, II, თბილისი 1977.
39. დ. ხახუტაიშვილი, ა. კახიძე, შ. მამულაძე, ნ. ინაიშვილი, მ. ხალვაშვილი, ს. აფხაზავა, ალ. ნონეშვილი-გონიო-აფსაროსის მუდმივმოქმედა არქეოლოგიური ექსპედიცია — 1996 წ. კაგასიის არქეოლოგია, უახლოესი აღმოჩენები და პერსეპტივები, სამეცნიერო სესიის მოხსენებათა მოკლე შინაარსები, თბ. 1997.
40. დ. ხახუტაიშვილი, ა. კახიძე, შ. მამულაძე, გ. კახიძე, მ. ხალვაშვილი — გონიო-აფსაროსი — „ლიტერატურული აჭარა“ №2, ბათუმი 1999 წ.
41. Абрамзов М. Монеты как средство пропаганды официальной политики Римской

- империи. М., 1995.
42. Воронов Ю. Н., Юшин В. А Новые памятники цебельдинской культуры в Абхазии, СА, №1; М., 1995.
43. Воронов Ю. Н., Юшин В.А. Ранний горизонт (II-IV вв.н.э) в могильниках цебельдинской культуры (Абхазия). СА, 2, 1979, стр. 1979.
44. Голенько К., Кобулетский клад серебряных монет середины IV в до н. э.; САХХV, М., 1957.
45. Голенько К., Клад Синопских и колхидских монет из Кобулеты (1948 г.), ВДИ № 1, М. 1961.
46. Голенько К., Денежное обращение Колхида в римское время. Л.-1964.
47. Дундуа Г., Лорткипанидзе Г., Денежное обращение центральной Колхида в VI-I сс. Тб. 1983.
48. Дундуа Г., Нумизматика античной Грузии, Тб., 1987.
49. Ельцинский Л., Северочерноморские заметки, ВДИ № 1, 1, М. 1950.
50. Зограф А., Находки античных монет на Кавказе; ТОНГЭ, М. 1950.
51. Иващенко М., Герзеульский клад монет Кассарии Каппадокийский; ИГАИМК, вып. 10; М. 1931.
52. Кроноткин К., Клад Византийских монет на территории СССР; САН, М. 1962.
53. Кудряев О., Провинция Каппадокия в системе Римской политики (17-72 гг); ВДИ №1; М. 1950.
54. Леквинадзе В., Понтоинский лемес; ВДИ № 2; М. 1969.
55. Максимова М, Античные города юго-восточного Причерноморья, М-Л. 1956.
56. Момиен Т, История Рима, Т], М.-Л. 1949.
57. Пахомов Е, Клады Азербайджана и других республик и краев Кавказа, вып. 1. Баку, 1944.
58. Пахомов Е, Клады Азербайджана и других республик и краев Кавказа, вып. +. Баку, 1926.
59. Ранович А, Восточные провинции римской империи в +-++ вв., М. 1949.
60. Трапиш М., Труды ++, Сухуми, 1969.
61. Трапиш М., Труды +++, Тб. 1969.
62. Шамба С., Монетные обращения на территории Абхазии | в. до н. э. XIII в. н. э. Тб. 1987.
63. W. Waddington., E. Babelon; Th/Reinach; Recueil General des Monnaies Gregues d'asie Mineure; Paris, 1925.
64. Robert Gobl - Antike Numismatik, Battenberg, 1978.
65. Grose S. M. Catalogue of the M.-C. lean Collection of gerek Coins, vol. III. Cambridge, 1929.
66. Dumbarton Oaks Catalogues Byzantine coins, in the Dumbaptonoaks Collecionadinth Whittempo Ple Collection. Wachington, 1966.
67. Mattinyly H, Coins of the Roman Empire in the British Muzeum, III, London, 1923.
68. Mattinyly H, Coins of the Roman Empire in the British Muzeum, IV, London, 1968.
69. Mattinyly H, Coins of the Roman Empire in the British Muzeum, V, London, 1951.
70. Roman Coins, Museum of Anatolian civilizations, Ankara, 1993.
71. Sudenham E., The coinage of Caesarea of Cappadocia, London, 1993.
72. Spink; Numismatic Circular, With catalogue of coins, medals, banknotes anch bookshonsape by Spink anclson Itd; №5, London, 1986.
73. Spink; Numismatic Circular; № 6, London, 1985.

განათლება

ცაცი გუგუნავა

განათლება უაირველას ყოვლისა

ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურმა ცვლილებებმა მოამზადეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსის განახლების აუცილებლობა. განათლების თვისებრივ ცვლილებებს იურიდიული საფუძველი შეუქმნა საქართველოს კანონმა „განათლების შესახებ“. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკრობის რეგიონთა ასამბლეაში გაწევრიანებამ ფართო პერსპექტივები დასახა ეგრობულ საგანმანათლებლო სივრცესთან ურთიერთობისათვის.

აქედან გამომდინარე აჭარაში არსებული აღმშენებლობისა და უმნიშვნელოვანესი პოზიტიური ძერების გათვალისწინებით, განათლების სამინისტრომ სპეციალური პროგრამა შეიმუშავა ავტონომიურ რესპუბლიკაში განათლების განვითარების უზრუნველსაყოფად, განსაზღვრა საგანმანათლებლო პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულებები.

90-იან წლებში ქვეყანაში მიმდინარე როტული კატაკლიზმების პერიოდში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შენარჩუნებული მშვიდობისა და სტაბილიზაციის საფუძველზე, დარგში არსებული სიკანონმდებლო ნორმატიული გაკუუმის პირობებში, განათლების სფეროს მუშაკთა საქმიანობა ორიენტირებული იყო შემდეგი ძირითადი მიმართულებებით: სასწავლო აღმზრდელობითი პროცესის უწყვეტი ციკლის შენარჩუნება, საგანმანათლებლო ტრადიციების გადარჩენა და გაუმჯობესება; სასწავლო და საშემსრულებლო დისკიპლინის განმტკიცების გზით საგანმანათლებლო საქმიანობის შემდგომი სრულყოფა; დარგის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დაცვა და შემდგომი განმტკიცება; პედაგოგიური კადრების შენარჩუნება, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისათვის ზრუნვა, პედაგოგიური პროფესიისადმი პატივისცემის გარეშოს ჩამოყალიბება; სწავლების მოტივაციისათვის საჭირო პირობების მომზადება, მისი მიღებისათვის ინტერესის გაძლიერების მიზნით წახალისების სხვადასხვა ფორმის დამკვიდრება და სხვა.

ავტონომიური რესპუბლიკის განათლების დარგის ხელმძღვანელმა მუშაკებმა, პედაგოგებმა შეძლეს იმ ურთულეს პირობებში მაღალი მოქალაქეობრივი და ეროვნული შეგნებით სკოლის, როგორც აღზრდისა და განათლების საფუძვლის, გადარჩენა და განმტკიცება.

განათლების სამინისტრო, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების დახმარებით, ქვეყნისათვის ურთულეს პერიოდში ყველა ღონეს ხმარობდა საგანმანათლებლო ტრადიციების შენარჩუნებისათვის. დიდი მნიშვნელობა ჰქონდა აჭარის უზენაეს საბჭოსთან განათლების აღმოჩინების საბჭოს საქმიანობას, რომელსაც ბატონი ასლან აბაშიძე ხელმძღვანელობს. მისი ინიციატივით წლების განმავლობაში სკოლის მოსწავლეებს უფასოდ გადაეცემოდათ სასკოლო სახელმძღვანელოები, ტრადიციად იქცა საახალწლო საჩუქრების გადაცემა განათლების სფეროს მუშაკებსა და მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის, სოციალური დაცვის ონისძიებების განხორციელება და სხვა. ასეთი დამოკიდებულება

განათლებისადმი თანდათან ძლევდა 90-იანი წლების დასაწყისში გაჩენილ სასკოლო აბათიას. ამხევებდა პედაგოგებს, იმედიანად მდგარიყვნენ თავიანთ სამუშაო უბანზე. ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა პედაგოგების შემობრუნება სკოლისაკენ. ამ ურთულეს პერიოდს ერთხვევა აჭარაში საგანმანათლებლო დაწესებულებათა შექმნებლობის ახალი ეტაპი. ბოლო პერიოდში აჭარაში აიგო და ექსპლუატაციაში შევიდა 27 სასკოლო ობიექტი. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია შუახევის რაიონის გამგეობისა და განათლების განყოფილების საქმიანობა, სადაც ამავე პერიოდში 17 სასკოლო ობიექტი აშენდა. საგულისხმოა ბათუმის მერიის დამოკიდებულება განათლების პრობლემებისადმი. ამ სფეროს არც სხვა რაიონის გამგებლები აკლებენ ყურადღებას.

სწავლებაში კვლავ აღორძინდა და შემდგომი განვითარება პოვა ამღწრდელობითი მუშაობის ტრადიციულმა ფორმებმა. სწავლის მოტივაციისათვის საჭირო საფუძვლისა და ინტერესის გაძლიერებას ემსახურება სწავლაში განსაკუთრებულად გამორჩეული მოსწავლებისათვის მემედ აბაშიძის სახელობის სტიპენდიის დაწესება. სტიპენდიამ მატერიალურთან ერთად უდიდესი მორალური ღირებულება შეიძინა. ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესმა სასწავლო დაწესებულებებმა აღიარეს სტიპენდიანტთა უბირატესობა და ბოლო ორი წელი ისინი დიდი შეღავათიანი პირობებით სარგებლობენ მისაღები გამოცდების დროს. ამავე მიზნით ყოველწლიურად ეწყობა საშუალო სკოლის ფრიადოსან კურსდამთავრებულებთან შეხვედრები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარესთან, ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურთან ბატონ ასლან აბაშიძესთან.

განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მასწავლებელთა ატესტაცია. იგი ავტონომიური რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების 5842 პედაგოგმა გაიარა, რომლის შედეგად უმაღლესი კატეგორია 909 მასწავლებელმა (15,5%) მიიღო, პირველი კატეგორია — 2868 პედაგოგმა (49,1), მეორე კატეგორია — 1577 (27%), მესამე კატეგორია კი — 468 (8%) მასწავლებელმა.

ამჟამად მოქმედ პედაგოგთა საატესატაციო დებულების ხარვეზების მიუხედავად, ატესტაციამ ხელი შეუწყო მასწავლებელთა აკადემიური ცოდნისა და მეთოდური დახმარებების ამაღლებასა და შესაბამისად, მათ ეკონომიკურ სტიმულირებას.

პედაგოგთა შრომის აღიარებას, პედაგოგიური კოლექტივების მაღალნაყოფიერი საქმიანობის დაფასებას ემსახურება განათლების სამინისტროს მიერ ორგანიზებული კონკურსები „წლის საუკეთესო მასწავლებელი“, „წლის საუკეთესო სასწავლო დაწესებულება“ და ა.შ.

მუშავდება მოსწავლეთა ცოდნის შემოწმების ახალი ტექნოლოგია — ტესტური მეთოდი. 22 მასს VI–IX კლასებში. პირველად ჩატარდა ტესტური გამოცდა.

ბოლო წლებში აჭარის განათლების სფეროში მრავალი სიახლე დაინიჭება, რაც დღეისათვის ჩვეულებრივ ნორმად და სასკოლო ცხოვრების წესად იქცა. სიახლეებს პროპაგანდას უწევს განათლების სამინისტროს გაზეთი „ლამბარი“. ბათუმში მოქმედებს პროფილური გიმნაზია, ეროვნებათაშორისი ლიცეუმი, ინგლისურენოვანი ლიცეუმი, ანდრია პირველწოდებულის სახელობის გიმნაზია და სემინარია, ასევე სულოს რაიონში გიმნაზია და სემინარია.

ავტონომიური რესპუბლიკის სკოლებში პედაგოგთა კადრების პრობლემის

გადაწყვეტის საქმეში პრაქტიკულ მონაწილეობას ღებულობენ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი (პროფ. ნ. ვერაძე) და ბათუმის უმაღლესი პედაგოგიური კოლეჯი (მეცნ. კანდ. თ. ჭანტურიშვილი).

მიუხედავად აღნიშნულისა, ქვეყანაში შექმნილმა პოლიტიკურმა, სოციალურმა და ეკონომიკურმა რეალობამ მძიმე კვალი დააჩნია ავტონომიური რესპუბლიკის საგანმანათლებლო სისტემას. 90-იანი წლების დასაწყისში განათლების სხვადასხვა სფეროში გამოიკვეთა ორასასურველი ტენდენციები. საგრძნობლად დაცა სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესის ხარისხი. ცოდნის შეძენის მოტივაციის უქონლობამ გამოიწვია მოსწავლეთა ნიჭილისტური დამოკიდებულება სწავლისაღმი. შრომის დაბალი ანაზღაურების გამო 1991-1994 წლებში ადგილი ჰქონდა გამოცდილი კადრების გასვლას სკოლიდან. კადრების დეფიციტის შეესება მთის რაიონების სკოლებში მოხდა საშუალო განათლების მქონე პედაგოგთა ხარჯზე, რამაც, ბუნებრივია, ნევატიურად იმოქმედა სწავლების ხარისხზე. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების დახმარებით, სათანადო ხელშეკრულების საფუძველზე, საშუალო განათლების მქონე პედაგოგები გასაუბრების გზით ჩაირიცხენ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტებზე. პედაგოგთა დენადობის მიუხედავად, სკოლა არ დარჩენილა მასწავლებლის გარეშე.

ცენტრალური ბიუჯეტიდან დაფინანსების შემცირების გამო 85 ერთეულიდან 44 ერთეულამდე შემცირდა სკოლამდელი დაწესებულებების რაოდენობა.

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სასწავლო პროცესის არასრულყოფილებას იწვევდა ისიც, რომ არ იყო დადგენილი საგანმანათლებლო სტანდარტი, სწავლება არ იყო უზრუნველყოფილი სახელმძღვანელოებით, მეთოდური და სხვა ლიტერატურით. იხლა ეს მდგომარეობა უმჯობესდება. გასაუმჯობესებელია საგანმანათლებლო დაწესებულებათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შექმნილმა ეკონომიკურმა მდგომარეობამ უარყოფითი გაფლენა იქნია საინტერნატო დაწესებულებების ფუნქციონირებაზე.

ასეთ რთულ ვითარებაში საქართველოში დაიწყო განათლების რეფორმა. რეფორმის პირველ ეტაპზე განხორციელდა მასწავლებელთა საათობრივი დატვირთვის ნორმატივების მოწესრიგება, მეორე ეტაპზე ჩატარდა პედაგოგთა ატესტაცია. რეფორმის შემდგომი ეტაპი უნდა გახდეს სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხის ამაღლება, განათლების ხარისხის დიაგნოსტიკის მექანიზმის სრულყოფა, განათლების მართვის დემოკრატიზაცია, განათლების სისტემის სტრუქტურული გარდაქმნა, საგანმანათლებლო ქსელის სრულყოფა რეფორმის მოთხოვნათა შესაბამისად (ელემენტარული, საბაზო, საშუალო, გიმნაზია, ლიცეუმი, კოლეჯი და ა. შ.), ცალკეული საგნების გაღრმავებული სწავლების სტიმულირება, პროფესიული სპეციალის გაფართოება, იხალი სასწავლო დისციპლინების შეტანა სასწავლო გეგმებში, საგანმანათლებლო მომსახურების ბაზრის მოთხოვნათა საფუძველზე სკოლის პორტონტარულ აგებულებაზე გადასვლა, რაც გულისხმობს სკოლის ელემენტარული, ძირითადი და მესამე საცემულოს დამოუკიდებელი სასწავლო დაწესებულების სახით გამოყოფას, სხვა ნოდაციური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის ექსპერტიზისა და დიაგნოსტირების მოდელის შემუშავებას.

განათლების რეფორმის უმთავრესი მოთხოვნაა უნიფიცირებული,

ცენტრალიზებული და ოფიციალური სისტემიდან განათლების თვისებრივად განსხვავებულ, დემოკრატიულ სისტემაზე გადასვლა, მართვის საზოგადოებრივ-სახელმწიფო ბრივი მექანიზმების ამოქმედება, მონოგარიანტული სკოლის ნაცვლად გარიანტული სკოლის დამკვიდრება.

განათლების სისტემა უწყვეტი განათლების პრინციპს ეფუძნება და მოიცავს საფეხურებს, საფეხურების შიგნით ეტაპებს:

1. სკოლამდელი აღზრდის საფეხური.
2. საბაზო განათლების საფეხური
- 3) ელემენტარული (დაწყებითი) განათლების ეტაპი
- 4) ძირითადი განათლების ეტაპი.
5. საშუალო განათლების საფეხური
- 6) ზოგადი საშუალო და საშუალო პროფილური განათლების სახე.
- 7) დაწყებითი პროფესიული განათლებისა და პროფესიულ-ტექნიკური მომზადების სახე.
- 8) საშუალო სპეციალური განათლების სახე.
9. უმაღლესი განათლების საფეხური.
10. უმაღლესის შემდგომი განათლების საფეხური.

საბაზო განათლების საფეხურზე რეფორმა ითვალისწინებს სწავლების პროცესის განხორციელებას ელემენტარულ სკოლაში (I-VI კლასი), დაწყებით სკოლაში (I-IV კლასი) და ძირითად სკოლაში 9 კლასის ჩათვლით.

მაშასადამე, ძალაში რჩება დაწყებითი (4-წლიანი) განათლება და შემოდის პრაქტიკაში ელემენტარული (1-VI) სკოლა, რაც სასკოლო განათლების საგაღდებულო საფეხურია და იძლევა ფართო პროფილის დაწყებით განათლებას.

საშუალო განათლების საფეხურზე სწავლების პროცესი განხორციელდება ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლებში და შემდეგი ტიპის სასწავლებლებში: გიმნაზია, ლიცეუმი, პროფესიული სასწავლებლები, საშუალო სპეციალური სასწავლებლები (კოლეჯი).

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში საბაზო განათლების სასწავლებელთა არსებული ქსელი აკმაყოფილებს მოსახლეობის მოთხოვნებს დაწყებითი და არასრული საშუალო განათლების მისაღებად. აჭარაში დაწყებითი სკოლა არის 157, არასრული საშუალო სკოლა კი 78, სულ 235.

რეფორმის შესაბამისად საბაზო განათლების ქსელში გარკვეული სტრუქტურული ცვლილებები განხორციელდება. რეფორმის დამთავრების შემდეგ საბაზო განათლების სასკოლო დაწყებულებები 235 ერთეულიდან 280 ერთეულამდე გაიზრდება. მათ შორის დაწყებითი სკოლა იქნება 144, ელემენტარული 20, ძირითადი (არასრული საშუალო) სკოლა 106.

შინაარსისა და სტრუქტურული აგებულების მიხედვით რეფორმა საშუალო განათლების მესამე საფეხურზე გვთავაზობს სიახლებს. ამ საფეხურზე სწავლება განხორციელდება სხვადასხვა სახის სასწავლებელში. დღეისათვის აჭარაში მუშაობს 165 საშუალო სკოლა, ორი სკოლა — ინტერნატი, სამი — გიმნაზია, მათ შორის ორი არის საქართველოს საპატრიარქოს, რომელსაც მეთოდურ მომსახურებას აჭარის განათლების სამინისტრო უწევს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან შეთანხმებული გაანგარიშებით საშუალო მესამე საფეხურის სასწავლებლების რაოდენობა 117

ერთეულით განისაზღვრება. მათ შორის საშუალო სკოლა 35, გიმნაზია 12, ლიცეუმი 7, კოლეჯი 1, სკოლა-ინტერნატი 2.

მესამე საფეხურის სასწავლებელთა ამ რაოდენობას დაემატება საქართველოს საპატირიარქოს 2 გიმნაზია (ბათუმი, ხულო) და აჭარაში არსებული პროფესიული და საშუალო სპეციალური განათლების ქსელი.

საშუალო განათლების ქსელის წარმოდგენილი მონაცემები არ არის სრული და საბოლოო, მოსალოდნელია მასში ცალკეული ცვლილებები დროის რეალიების გათვალისწინებით. აღსანიშნავია, რომ განათლების სამინისტროზე დაქვემდებარებული სკოლების საერთო რაოდენობა თითქმის სტაბილური რჩება, რეფორმის განხორციელების შემდეგ 401 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ნაცვლად იქნება 398 სასკოლო დაწესებულება.

გაანგარიშებით, ამ ეტაპზე მთის რაიონებში (ხულო, შუახევი, ქედა) სრულიად საქმარისია თითო გიმნაზია, რაიონულ ცენტრებში. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდას ნება ეძლევა განაგრძოს სასწავლებელში უმაღლეს სასწავლებელში და კონკურსგარეშე ჩაირიცხოს არჩეულ სპეციალობაზე.

ლიცეუმის დამთავრების შემდეგ ნება დეს კურსდამთავრებულს სწავლა განაგრძოს ნებისმიერ სასწავლებელში. ლიცეუმის გამოსაშვები გამოცდები ერთდროულად უთანაბრდება უმაღლეს სასწავლებელში შესაბამისი პროფესიის სპეციალობაზე მისაღებ გამოცდებს, რის შედეგადაც ლიცეუმდამთავრებულებს შეუძლიათ ჩაირიცხონ არჩეულ უმაღლეს სასწავლებელში დაშვებული კონტიგენტის ფარგლებში უგამოცდოდ.

აღრეული ასაკიდან სამხედრო ხელოვნებისადმი მოზარდთა ინტერესის გაღვივებისა და მათი მხედრული უნარ-ჩვევებით აღზრდის მიზნით რეფორმის განხორციელების გზაზე ავტონომიურ რესპუბლიკაში სრულიად ახალი ტიპის ბავშვთა სპეციალური სამხედრო სასწავლებელი ჩამოყალიბდება. აღნიშნული სკოლა მოუმზადებს ღირსეულ კადრებს თავდაცვის, სახელმწიფო უმიშროებისა და შინაგან საქმეთა ორგანოების სპეციალურ უმაღლეს სასწავლებლებს. ეს იქნება დახურული ტიპის, ინტერნატული რეჟიმის სასწავლებელი გამორჩეული სიმბოლიკური, ინდივიდუალური სასწავლო გეგმებითა და პროგრამებით. საამისოდ გამოყენებული იქნება ბათუმის №2 სკოლა-ინტერნატის ბაზა. შემუშავებულია ამ სასწავლებლის ძირითადი მონახაზები. ახლო მომავალში შეიქმნება ფიზიკური ნაკლის მქონე (ყრუ-მუნჯ) ბავშვთა სპეციალური სკოლა.

განათლების ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად მიჩნეულია მოსწავლე-ახალგაზრდობის მომზადება კომპიუტერული ცოდნით. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით გადადგმულია. ბათუმში მიმდინარე სასწავლო წლიდან შეიქმნა ინფორმატიკულ-კომპიუტერული რესპუბლიკური სასწავლო ცენტრი. ცენტრი კეთილმოწყობილია და აღჭურვილია საჭირო კომპიუტერულ-ტექნიკური საშუალებებით, რაც სორისის ფონდთან ურთიერთობით არის მიღწეული. უახლოეს მომავალში გაიხსნება ცენტრის ფილიალები რაიონებში, კომპიუტერული კლასებით აღიჭურვება ბათუმის საგანმანათლებლო დაწესებულებები.

მუშავდება პროგრამა დამატებითი საგანმანათლებლო კომპონენტის შესაქმნელად. დღემდე საფუძვლიანად არ არის შესწავლილი საქართველოს ძირძელი კუთხის, აჭარის ისტორია, რასაც მოსწავლე-ახალგაზრდობა ნაკლებად იცნობს. აღნიშნულ ხარვეზს შეავსებს აჭარის ისტორიის ოთხტომეული, რომლის

დამუშავება დასასრულს უახლოვდება. მისი გამოცემის შემდეგ ავტონომიური რესპუბლიკის სკოლებში სათანადო ადგილს დაიკავებს საგანი „აჭარის ისტორია“. ამის უფლებასა და საშუალებას მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმა იძლევა.

საქართველოს განათლების სამინისტროსთან შეთანხმებით აჭარის განათლების სისტემის სასწავლებლებში შემოღებულია სპეციურის და ფაკულტატური მეცანიერება „აბუსერიქ ტბელის ცხოვრებისა და მოღვაწეობის“ და „მემედ აბაშიძის საგანმანათლებლო მოღვაწეობის“ შესახებ. საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემულ პედაგოგიკის ისტორიის კურსში მემედ აბაშიძის საგანმანათლებლო მოღვაწეობამ უკვე ჰქონვა ასახვა.

ექსპერიმენტის სახით დაწყებით სკოლაში შემოვიდეთ „რიტორიკა“, რომელიც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს სწორი მეტყველების განვითარებას, დამუშავების პროცესშია პროგრამა „ადამიანთა შორის ურთიერთობის ხელოვნების“ შესწავლისათვის სკოლებში. მისი დამკვიდრება კომუნიკაციელურს გახდის ჩვენს მომავალ საზოგადოებას. ამ და სხვა საკითხებს მიეძღვნა ამ დღეებში პროფილურ გიმნაზიაში განათლების სამინისტროს გამსვლელი კოლეგიის სხდომა.

სპორტული მიღრეკილების მქონე ბაგშვთა შორის მუშაობის გაუმჯობესების, მათი შესაძლებლობების სრულყოფილი განვითარების უზრუნველსაყოფად ბათუმში შეიქმნება სპეციალური სასწავლო დაწესებულება (ლიცეუმი). საამისო პირობები გააჩნია ბათუმის №27 საშუალო სკოლას. ჩამოყალიბების პროცესშია აღმოსავლების ორთაბრძოლების (კარატეს) სპორტული სკოლა.

ბათუმში დღეისათვის არსებული 24 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლისა და №1 სკოლა-ინტერნატის ბაზაზე ჩამოყალიბდება ორი ელემენტარული, სამი ძირითადი, 12 ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლა, სამი გიმნაზია, სამი ლიცეუმი, ერთი სამხედრო პროფილის ბაგშვთა სკოლა-ინტერნატი, მახინჯაურის ყოფილი საბაგშვო სახლის ბაზაზე — ყრუ-მუნჯ ბაგშვთა სპეციალური სკოლა-ინტერნატი.

ეროვნული განათლების განვითარებას საფუძვლად უდევს არაქართული სკოლების სასწავლო პროცესის კვლევა-ანალიზი.

ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე გადახედვას საჭიროებს არაქართულენოვან სკოლებში ქართული ენა-ლიტერატურისა და საქართველოს ისტორიის სწავლების მდგრმარეობა, რაღაც ამ საგნების შესწავლას ამ სკოლებში გაცილებით ნაკლები საათები ეთმობა, ვიდრე მათვის მშობლიური ენის შესწავლას. ამისი დაბალანსება აჭარის სკოლებში მოხდება ფაკულტატური მეცანიერებისათვის განკუთვნილი საათების ხარჯზე.

საქართველოს მიღებამ ევროსაბჭოში და აჭარის გაწევრიანებამ ევროპის რეგიონთა ასამბლეაში ევროპული ენების შესწავლისადმი ახლებური მიღომის აუცილებლობა წარმოშვა. ამიტომ სკოლებში ევროპული ენების შესწავლა ფართო სპექტრით იქნება წარმოდგენილი. დღემდე დანერგილ ტრადიციულ უცხო ენებთან ერთად შეისწავლება იტალიური, ესპანური, ბერძნული, თურქული და სხვა ენები. შესაბამისად დაინერგება სიახლეები, რომელთა მიზანია სამიქალაქო განათლების სკოლუოთა, პანევროპული იდეების ინტეგრაცია თანამედროვე სააღმზრდელო.

ეროვნული ისტორიანის უფლებების ფართოდ გაგრცელება, ეკოლოგიური განათლებულებების სკოლებში ქართული ენა-ლიტერატურისა დათლების სფერო ევროპული განათლების სივრცისთვის რედგვინ ამ საგნების შესწავლა

ევროპული განათლების ინტეგრაციის მიზნით დაინერგება მოსწავლეთა გაცვლა ეკროპის რეგიონთა სასწავლებლებში, ერაში შემავალ რეგიონთა სასწავლებლებთან ავტონომიური რესპუბლიკის განათლების სისტემის დაწესებულებების პირდაპირი კავშირის დამყარება, განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გაგზავნა ერას წევრ რეგიონებში სასწავლებლად.

არსებულმა პირობებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა პროფესიული განათლების სისტემაზე. კავშირურთიერთობების გაწყვეტაში სასწავლებლებსა და საბაზო საწარმოებს შორის პროფესიული სასწავლებლებისაგან რაღიკალური ცვლილებების გატარება მოითხოვა. პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ბაზაზე ჩამოყალიბდა თანამედროვე ტიპის სასწავლებლები მრავალფეროვანი სკეციალობებით.

მოსწავლე-ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის ბათუმში გაიხსნა პროფესიული ორიენტაციის ცენტრი, რომელიც ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების საჭირო მოდელის პრაქტიკულ რეალიზაციას.

ბავშვთა უფლებების დაცვის ცენტრი, რომელიც ახლახან განათლების სამინისტროსთან ჩამოყალიბდა, მიზნად ისახავს საზოგადოების სხვადასხვა სფეროში ბავშვის უფლებების რეალიზაციის ხელშეწყობას და ამ უფლებებისადმი პატივისცემის განმტკიცებას.

საშუალო სპეციალური და პროფესიული განათლების მოდელში მოისაზრება ბათუმის ინდუსტრიულ-პედაგოგიური კოლეგი, ბათუმის უმაღლესი პედაგოგიური კოლეგი და ბათუმის სახელმწიფო მრავალდარგობრივი კოლეგი, რომლებშიც ასეულობით ახალგაზრდა ეუფლება თანამედროვე პროგრამების შესაბამის განათლებას.

ამჟამად ავტონომიური რესპუბლიკის საგანმანათლებლო სისტემა ორიენტირებულია აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსის განახლებაზე, ბავშვთა უფლების დაცვასა და მისი გარანტიების მექანიზმის სრულყოფაზე. აღმზრდის მიზნობრივი კომპლექსური პროგრამა პრობაკიას გადის პედაგოგიურ ინოვაციათა ცენტრში.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ყველა პირობა არსებობს სკოლის სინამდვილეში სიახლეთა დანერგვისათვის, საგანმანათლებლო რეფორმის ეტაპობრივად განხორციელებისათვის. რეფორმის სუბიექტი-განათლების სფერო თანადათან იცვლის შინაარსს, საერთო ძალის სხვადასხვა უკველი ახალი სასწავლო წელი ახალ დატვირთვასა და დანიშნულებას იძენს.

ასე ეყრება საფუძველი ქვეყნის ხვალინდელ დღეს, მესამე ათასწლეულის მოქალაქეთა განათლებას, პროფესიონალიზმს, ეროვნულ ცნობიერებას.



ციური ყურშუბაშვილი

სკოლაში საინიციო გრაფიკის სწავლების ზოგიერთი პერიოდი ასახვი

მხაზველობითი გეომეტრიისა და საინიცინრო გრაფიკის ქართული სკოლა 75 წლისაა. მისი ფუძემდებელია პროფესორი გიორგი ნიკოლაძე. ეს სკოლა ყოველთვის მჭიდრო კავშირში იყო რესპუბლიკის სკოლებთან და თავის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებად სკოლაში ხაზვის სწავლების მეთოდიკის პრობლემების კვლევას მიიჩნევდა. ამის დასტურია პირველი ქართული საკოლო სახელმძღვანელო ხაზვაში, რომელიც თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ გამოვიდა და მრავალი წელი ემსახურა მოსწავლეთა შორის გრაფიკული წიგნიერების გავრცელების საქმეს.

საინიცინრო გრაფიკის ზოგადი კურსი ზოგადსაგანმანათლებლო ხასიათისაა მისი მიზანია მოსწავლეს მისცემს სამგანზომილებიანი სივრცის სიბრტყეზე ასახვის გრაფიკული და რამდენადმე დასრულებული ცოდნა. გარდა ამისა, ხაზვა ექმარქბა მოზარდს მათემატიკის (უპირატესად გეომეტრიის), ფიზიკის, ქიმიის, ინფორმატიკის, ტექნიკური შრომის, გეოგრაფიის, ბიოლოგიის ორმად შესწავლაში ჩამოთვლილი ყველა ეს სასწავლო დისციპლინები, გარკვეული აზრით, დაკავშირებულია ხაზვასთან. ყველა გრაფიკული გამოსახულება, ნახატის, სქემის, დიაგრამის, ფუნქციური გრაფიკის, გეგმისა თუ რუკის სახით ხაზვაში ნასწავლი წესების დაცვით სრულდება. ხაზვა ზრდის და ავითარებს თვალზომას, სიზუსტისა და სიმეტრიის გრძნობას.

სასკოლო გეომეტრიიდან მოსწავლისათვის ცნობილი ხდება ბრტყელი და არაბრტყელი (სივრცითი) ფიგურების მრავალი თვისება, რომელთა შესწავლა, თავის დროზე, ადამიანის პრაქტიკული საქმიანობის მოთხოვნებმა განაპირობა. გეომეტრიის განვითარების პროცესში გამოიწვია მისი, როგორც ერთიანი მეცნიერების, დიფერენცირება და ცალკე განშტოების ჩამოყალიბება ამოცანების შინაარსისა და მათი კვლევის მეთოდების მიხედვით.

გეომეტრიის სასკოლო კურსის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მოზარდში მეხსიერებითი და წარმოსახვითი წარმოდგენების განვითარება. მოქმედების მიზნის წინასწარი წარმოდგენა წარმოსახვის, ანუ ფანტაზიის გარეშე შეუძლებელია; სინამდვილის გარდაქმნა, ახლის შექმნა „ბუნების გაადამიანება“ წარმოუდგენელია ამ ახლის, სასურველი შედეგის წინასწარი წარმოდგენის გარეშე სინამდვილის პრაქტიკაში გარდასაქმნელად საჭიროა მისი წინასწარი აზრობრივი გარდაქმნა. ადამიანში ამგვარი შემოქმედებითი უნარი სკოლის ასაკში ყალიბდება და ამ საქმეში უპირველესი როლი საერთოდ, მათემატიკას და კერძოდ, გეომეტრიის აქვთ დაკისრებული, მაგრამ მარტო გეომეტრიას ამის გაკეთება დამოუკიდებლივ არ შეუძლია და მრავალწლიანი პრაქტიკის დასტურით სასურველი შედეგების მიღება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა გეომეტრიის სწავლებას ზურგს უმარჯობ ხაზვის პრაქტიკულების მყარი სისტემა. მოზარდი არ ენდობა არაფერს, რაც აშენ


და თვალსაჩინო არ არის მისთვის. ეს პრობლემაა და მისი გადაწყვეტა შეიძლება გეომეტრიის აბსტრაქტული და ხაზების თვალსაჩინო მაგალითების სინთეზირების სამედიდო გზით.

მეტყველების გარეშე ლოგიკური აზროვნების აღმოცენება და განვითარება შეუძლებელია. მეტყველება კონკრეტული ადამიანის მოქმედებაა, რომელიც კონკრეტულ სიტუაციაში ენის გამოყენებით ხორციელდება. აქ საყურადღებოა ის გარემოება, რომ რა ფუნქციური დანიშნულებაც აქვს წერით მეტყველებას ადამიანთა შორის აზრთა გაზიარებაში გარკვეული აზრით, იმავე ფუნქციური დანიშნულებით სარგებლობს ნახაზიც. ამგვარი მტკიცება ეყრდნობა იმას, რომ ხაზები და მისი კონკრეტული პროდუქტი — ნახაზი, შესაძლოა განხილულ იქნეს როგორც ფორმალური ენა, რომელიც შეიცავს სიმბოლოების ერთობლიობას, ანუ ენის ანბანს, ამ სიმბოლოებისაგან კონსტრუქციების შედგენის სისტემას, ანუ ენის სინტაქსს, ამ კონსტრუქციების ახსნის სისტემას, ანუ ენის სემანტიკას. ხაზები ყოველი გრამატიკული ფუნქცია განხილულია ერთადერთი ნიშნით და ყოველი ნიშანი ასრულებს ერთადერთ ფუნქციას. ხაზების მეცნიერული სიუჟეტი სავსებით შეესაბამება პრობლემურ-ორიენტირებული ალგორითმული ენების ლოგიკურ წყობას. ამით მტკიცდება გრაფიკული სამუშაოების კომპიუტერიზაციის რეალური შესაძლებლობები და შესაბამისად, ხაზებისა და ინფორმატიკის კავშირურთიერობათა ფართო პერსპექტივები მომავლის სკოლაში.

ხაზების ზოგადი კურსის გავლის შემდეგ, მოსწავლეს უნდა გააჩნდეს გარკვეული და რამდენადმე დასრულებული ცოდნა გრაფიკული მეთოდების თეორიასა და პრაქტიკაში. სახელდობრ, მას უნდა შეეძლოს შარტივი საგნების ნახაზების შედგენა, როგორც მონუს ეპიურის, ასევე აქსონმეტრიის (იზომეტრია და ფრონტალური დიმეტრია) გამოყენებით. ამასთან, იგი საფუძვლიანად უნდა ერკვეოდეს ნახაზების გაფორმების ძირითად სტანდარტულ პირობითობებში და შეეძლოს ამ პირობითობების დაცვა ნახაზების შედგენაში.



თეატრალური ცერვრების ისტორიიდან



გულითაძი დავითი, გულწერია სიმამა
პირველი საგასტროლო სკექტაქლის 120 წლისთავის გამო

შობლიურ კერაზე დაბრუნებული სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს მოსახლეობის ეროვნულ გამოფხიზლება-გათვითცნობიერებაში დიდი ორლი შეასრულა ქართულმა თეატრმა. მართალია, მისი მოღვაწეობა ძირითადად ბათუმით შემოიფარგლა და ქართული სიტყვის მაღლი ვერ მოპოვინა ვრცელი რეგიონის ყველა კუთხეს, განსაკუთრებით სამხრეთის რაიონებს, მაგრამ რაც გააკეთა, მაინც იყო მნიშვნელოვანი წელი ეროვნული ცნობიერებისა თუ სულისკვეთების აღორძინებაში. ამ მხრივ დამახასიათებელია ცნობილი ჰაიდარ აბაშიძის აღსარება, რომელიც გაღმოცემულია 1915 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში „როდის გავიგე მე, რომ ქართველი ვა!“
ჰ. აბაშიძე წერდა:

„მეოთხე წელზე გადავედი... ბათომის საქალაქო სასწავლებელში. აქ სხვა სურათი გადამეშალა... რუსი მასწავლებლები და მოსწავლები ჩვენ, მაპარაინებს გვეძახდნენ „ტუროქს“, ქართველები - „თათრებს“. გვევონა „თურქი“ რუსული სახელწოდება იყო „თათრის“. აი, სწორედ ამიტომ არ გვეუცხოებოდა, რუსები ჩვენ — თათრებს „თურქებს“ რომ გვეძახდნენ... მამაჩემმა 1905 წელს გამაგზავნა საზღვარგარეთ ოსმალური ენის შესასწავლად. ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ოსმალეთში გურჯი მიწოდეს. ჩავიდიქოდი. ეს რა ამბავია: ხან „თათარი“ ვარ, ხან „თათარხანი“, ხან „თურქი“ და ხან კი „გურჯი“.

ოსმალეთიდან დაგრუნდი 1908 წელს. ისევ შევედი ბათომის საქალაქო სასწავლებელში... აქ გავიცანი ერთი ახალგაზრდა ქართველი — ქრისტიანი ბ-ნი კეჭეყმაძე. ჩვენ ხშირად ერთად ვიყავით. ერთ დღეს ამ ჩემმა კარგმა ნაცნობმა ბ-ნია კეჭეყმაძემ მითხრა:

— „წამოდი ქართულ თეატრში, „ღალატს“ თამაშობენ, საუცხოო პატრიოტული პიესააო“.

„მე ვუთხარი:

— თქვენ თეატრში რა მინდა, ამაღამ თურქული წარმოდგენაა და იქ წავალ-თქო. ბ-ნი კეჭეყმაძე ბეჭრს მეხვეწა, როგორც იქნა, დამითანხმა და წავედოთ. „ღალატშა“ ძალზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ქართველ მეგობარს, რომლის რჩევით წარმოდგენაზე წავედი, წარმოდგენის დამთავრებისას გაფავრებულმა მივმართე:

„ეს იყო თქვენი კარგი წარმოდგენა, რომ რვა საათიდან დაწყებული თორმებ საათამდის ჩვენ, „თათრებს“, უგინებელი არაფერი დაგვიტოვე-თქო?“

ბ-ნმა კეჭეყმაძემ ღიმილით მიპასუხა:

— „ვინ იყვნენ ისინი, რომ იტანჯებოდნენ?“

— „თქვენ — ქართველები!“ — მივუგე.

— „მტანჯველები?“

— „ჩვენ — თათრები“, — ვუპასუხე და შემდეგ დავუმატე გაჭავრებულმა: „რა გიშავთ! შურიც კარგად იძიეთ, საკმაოდ გვათრიეთ და კარგადაც გვაგინეთ-თქო“.

მან ღიმილს მოუმატა და შეუდგა საჭმის ვითარების ასსნას. მე... ყურადღებას არ ვაქცევდი ან როგორ შემეძლო მიმექცია ყურადღება, როდესაც ბავშვობიდანვე, საზოგადოებაში და სასწავლებელში ჩამდახოდნენ: „გათათრებული“, „თათარხანი“, „თათარი“, „თურქი“ და ვინ იცის, კიდევ რა? ჩემში ძვირფასმა მეგობარმა შემატყო, რომ ის ჩემთან ვერას გახდებოდა... და მეორე დილით... მომიტანა ქართული წიგნები, სხვათა შორის, ჩვენი დაუღალავი მუშაკი ბ-ნ ზ. ჭიჭინიძის ნაწარმოებიც და მითხრა:

— „მოდი დავჭდეთ და ამ წიგნებს გადავხედოთ. მეც დავეთახმე და დავიწყეთ კითხა. წასვლისას კი დამიტოვა ის წიგნები. რამდენიმე დღის შემდეგ დავუწყე ქებნა ჩემს მეგობარს, ვინახულე და ვუთხარი:

— „მითხარი, როდის ითამაშებენ ქართულ თეატრში „დალატს“, უსათუოდ კიდევ უნდა წაგიდე“. მაშინ მან ტკბილად გაიცინა და მითხრა:

— „მოდი ჭკუაზე?“²

ნათლად ჩანს თეატრისა და კარგად შერჩეული ოპერტუარის დიდი მნიშვნელობა აღილობრივი მოსახლეობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდაში. ამას კიდეც ითვალისწინებდნენ ბათუმის ოლქში საგასტროლოდ მომავალი ჩვენი თეატრალები, რომლებიც პატრიოტული პიესებით ცდილობდნენ ქართველ მაპმა-ლიანებში მინავლული ეროვნული ცეცხლის გაღვივებას. ამიტომაც აქ სისტემა-ტურად დგამდნენ ქართველი და უცხოელი ავტორების ისტორიულ-პერიკული ხასიათის ისეთ პიესებს, როგორიც იყო დავ. ერისთავის „სამშობლო“, ვას. სუმბათაშვილის „დალატი“, კოტე მესხის „ბაგრატ IV“, „კონსტანტინე ბატონიშვილი“, ავტ. ცაგარელის „ქართვლის დედა“ და სხვ. პაიდარ აბაშიძის აღნიშნული სიტყვები კიდევ ერთი შეკვრმეტყველი დადასტურებაა, რომ ყოველ ასეთ დადგმას ყოველთვის ახლდა უაღრესად ეფექტური შედეგი.

ამის გამო ქართველი საზოგადოება ფხიზლად ადევნებდა თვალს ბათუმის ოლქის სათეატრო ცხოვრებას, კერძოდ, აქ დადგმული პიესების შინაარსს. უურნ. „თეატრი და ცხოვრება“ მძაფრად აკრიტიკებდა ვინმე ა. მამულოვის (20-იანი წლებიდან ჰოლივუდშიც მოღვაწეობდა) სცენისმოყვარეთა დასს სწორედ ოპერტუარის გამო. „ბათუმი, რომელიც უნდა შეიქმნეს მთელი ქართველი მუსლიმიანების კულტურული აღორძინების ხელმძღვანელი, — წერდა იგი, — ვაჭარმა და სპეციულიანტმა თავის სამოქმედო ბაზად გაიხადა. მთელი თვეების განმავლობაში, როდესაც ჭერ კიდევ არ იყო დაბრუნებული ქართველობა, ვიღაც მამულოვმა „ძველი სცენისმოყვარეს“ იარღიყით მართა წარმოდგენები. ვერც ერთ წარმოვდგენაზე ვერ მიიღებდით იოტის ოდენა კმაყოფილებას“.³

თეატრალურ ცხოვრებას ბათუმის ოლქში, თუ არ ჩავთლით პროკოპი კესარისეულ VI საუკუნის ცნობას გონია-აფსაროსში „ჰიპოდრომთან ერთად თეატრის არსებობის“ შესახებ, საფუძველი ჩაეყარა მშობლიურ კერაზე ამ მხარის დაბრუნებისთვის. ბათუმის პოლიცმეისტერის დურმიშხან უურულის ოჯახში, სადაც იკრიბებოდა „ქართველი საზოგადოება“, შესანიშნავი დიასახლისის ქეთევანის ინიციატივით, შეიქმნა სცენისმოყვარეთა წრე.⁴ რამდენადაც მაშინ ქალაქში „არაფერი გასართობი არ იყო“, წრემ დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო მისია იკისრა და 1879 წ. 8(20) ივლისს⁵ პირველ წარმოდგენად დადგა ზ. ანტონოვის

„განა ბიძიამ ცოლი შეირთო?“. გაზ. „დროების“ ცნობით, მას „ესწრებოდნენ ბათუმის წარჩინებული პირი. ერთხმად ისმოდა დიდი მადლობა და თანაგრძნობა... ახალ ქვეყანაში, ახალ ქართველებთან, პირველ ქართულ წარმოდგენას სკოლის გახსნის მიზნით საკმარისი შთაბეჭდილება მოუხდენია“. ამის გამო „ბევრისგან ისმოდა თხოვნა, რომ... ხშირად იყოს წარმოდგენაო“. ბათუმს მაშინ რამდენადმე ვარგისი სათეატრო დარბაზი არ ჰქონდა. ამიტომ დასმა წარმოდგენა გამართა „ერთ შენობაში“, რომელშიც „ასიოდე მაყურებელი თუ დაეტეოდა?“.

ამ ფაქტს დაემთხვა იმხანად ახლად აღდგენილი ქართული თეატრის გასტროლები ბათუმში 1879 წლის ივლისში. ქეთევან უურულის სცენისმოყვარეთა დასს უკვე იმდენად გაელვივებინა ინტერესი თეატრალური სანახაობებისადმი, რომ ადგილობრივი საზოგადოება აღტაცებით შეხვდა ქართულ თეატრს. იგი მაშინ დასაყლეთ საქართველოში მართავდა წარმოდგენებს და ფოთილან გემით (რკინიგზა ჯერ კიდევ არ იყო) ჩამოვიდა ბათუმს.

ეს პირველი სტუმრობა მოგვიანებით დიდი ოსტატობით აღწერა ავქსენტი ააგარელმა. რამდენადაც ეს მოგონება შედარებით ნაკლებადაა ცნობილი, ვრცლად დავიმოწმებთ მას. აი, ისიც:

ნავსაღაღურში „აუარებელი ხალხი დაგვხვდა საზოგადოება და კერძოდ, ჩვენი მომლოდინენი... ჩამოვტით ზღვის პირას ერთ სასტუმროში („როსია“ — ავტ.), დამოუნის პირდაპირ... მალე მისვლისთანავე ჩვენთან მოიყარა თავი ქართველმა საზოგადოებამ. ესენი ბრძანდებოდნენ რამდენიმე ქართველი ოჯახობა, სხვა და სხვა სამსახურის მოხელენი და ქართველი აფიცირობა. იმ უამად ბათუმში რამდენიმე ქართველიც ვაჭრობდა. ქართველ ოჯახებს მაშინ ბათუმში მეთაურობდა პატივცემული დურმიშხან უურულის ოჯახი... ბათუმში ეს პატიოსანი ოჯახი აღმოგვიჩნდა მუქქთა სასტუმროდ: სადილ-ვახში ამ ოჯახში ჩვენთვის ყოველთვის მზად იყო, და რაც შეეხებოდა ჩვენი სცენის „საჭიროებას, დარბაისელი ქეთევან უურულისა (დურმიშხანის მეუღლე — ავტ.) არაფერს არ ჰზოგავდა დასახმარებლად. ჩვენი საქმე გაჩარჩული იყო: წარმოდგენისთვის ზალაც მოვაწყვეთ, ბილუთებს იტაცებდნენ, ქართველი საზოგადოების გარდა, უცხოელებიც, მეტადრე ქართველი მაპმადიანებიც ბევრი დადიოდა“.

აგჭ. ცაგარელი შემდეგ განაგრძობს: „მაშინდელი ჩვენი დროს გატარება ბათუმში სწორედ დაუვიწყარია. ქართველი აფიცირობა ყოველ დღე კავალკადს გვიმართავდა. გამოგვიგზავნილნენ საუკეთესო ცხენებს, შევსხდებოდით ქალი და კაცი და გავსწევდით თამარის ციხისკენ და „გორიდოკში“, სადაც ყოველთვის მშვენიერი საუზმე გველოდა...“

გავიცანით აგრეთვე და დაგუახლოვდით ქართველ ბეგებს, რომელთაც ძალიან ნდინდით და სიამაყით მოგვითხრობდნენ თავის შთამომავლობის და მამა-პაპის... ხუწონდით და სიამაყით მოგვითხრობდნენ თავის შთამომავლობის და მამა-პაპის... აშგავს. ხშირად მიგვიწვევდნენ ყავაზედ... მოგვისხდებოდნენ გვერდით და დაგვიწყებდნენ ჩვენი ქვეყნის ბედ-ილბალზეც ლაპარაკს: გამოგვითხავდნენ ჩვენი ცხოვრების ავ-კარგს, სწავლა-მეცნიერების გავრცელებას საქართველოში, ეკონომიკურს მდგომარეობას, პოლიტიკურ განწყობას და სხვ. ლაპარაკობდნენ ძეველის ქართულის ენით დინჯად, კილო კი გურული ჰქონდათ, ლაპარაკი - ზრდილობიანი და თვეზანი...“

ღამე კიდევ თავისებური დროს ტარება გვქონდა. ჩავსხდებოდით რამდენიმე ნავში ჩვენი დასი მთლად და რამდენიმე თავმოყრილი ყმაწვილი კაცი, ერთ ნავში ჩვენი ჩვენი დასი მთლად და რამდენიმე თავმოყრილი ყმაწვილი კაცი,

ხორავით და სასმელებით ააგსებდნენ და გავიდოდით ზღვაში 2-3 ვერსის მანძილზე ლხინით, ქეიფით და სიმღერებით. სწორედ აუწერელია ეს სიამოვნება ამ კაშკაშა მთვარიან ღამეში... ოჯახური დროს გატარებასაც არ ვიყავით მოკლებულნი... ბატონ დურმიშნან ჟურულის ოჯახი ხომ იყო და იყო ჩვენთვის მუქთი სასტუმრო, არც სხვა ოჯახებმა დაგვტოვეს უყურადღებოდ. ამ ოჯახებში პირველი ადგილი ეჭირა დიდად პატივცემულ პოლკოვნიკ ბერსის ოჯახს". იგი „იყო ქალაქის უფროსი, ცოლად ჰყავდა სიმშვენიერით განთქმული... ტურფა ფატი, გურული ერისთავის ასული. ბ-ნ ბერსი საზოგადოდ დიდის ყურადღებით იყო ჩვენთან, როგორც ადმინისტრაციის წარმომადგენელი. ყოველ ჩვენ თხოვნას ამ მხრივ დაუყოვნებლივ შეასრულებდა ხოლმე. ეს პატიოსანი სახლობა ყველა ჩვენს წარმოდგენას ესწრებოდა და ორჯერ დიდი ნადიმიც გადაგვიხადეს"...

დადგა თეატრის დასის უკან გამგზავრების დღეც. „ერთ დილას ჩავიბარგეთ და გამოვედით ნაგთ-სადგურზეც. გამომცილებელი აუარებელი გვევანდა. შემდეგ ჩვეულებრივი გამოთხვებისა, ჩავსხედით ნავებში და გაგეშვით გემისაკენ, რომელიც ნაპირიდან ორასი საუენის მანძილზედ იდგა ზღვაში (ნავმისადგომს აშენებდნენ, რის გამოც გემები რეიდზე დგებოდნენ — ავტ.). უკან მოგვდევდნენ რამდენიმე ნაგი ჩვენის ძეირფასის მასპინძლებით უივილ-ხივილით და მაღალი სიცილ-ხარხარით. ვის უშველებელ შამფურზედ აგებული შემწვარი ბატკანი და სუკი ეჭირა ბაირალივით, ვის დიდი დოქები (კოკები) დვინითა, ვის ტაბლაკი სხვადასხვა საუზმით და უცხოელი სასმელით. ამ ამბით მიველით გემის კიბესთან... დაიწყო ხელმეორედ გამოთხვება და გზის დალოცვა და საზოგადო სადღეგრძელოები. ამ გაცილების მოთავენი იყვნენ განსაკუთრებით ქართველი აფარობა: სოლომონ აბდუშელი, თ. თ. ვაჩაძეები, კორინთელი და სხვები. ერთი თხუთმეტი წუთი გამზერდით გემის ძირში და სადღეგრძელოებით და სიმღერებით ვიჭერეთ გული. ბოლოს მოგვცეს ნიშანი და... დიოძრა გემი. პატიო აივსო მაღალის ხმაურობითა, „ვაშას“ ძახილით, ქუდების და ხელსახოცების ჰაერში ტრიალით ვწორდებით ერთმანეთს ჩვენ და ჩვენი ტკბილი მასპინძლები. დიდს მანძილზე მოგვდევდნენ უკან ჩვენი გამცილებლები".⁸

ეს ვრცელი ამონარიდი მრავალმხრივ საინტერესოა. ცნობილია, რომ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს შემოერთებისთანავე ქართველმა საზოგადოებამ ილიას მეთაურობით შეიმუშავა რეგიონის იღორძინების ვრცელი კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის განხორციელებაშიც ანლადშექმნილ ქართულ სათეატრო დასს საპატიო ადგილს აკისრებდა. 1879 წელს ზაფხულში მისი ჩამოსვლაც ამის დადასტურება იყო. ბათუმის ქართველ საზოგადოებას ლირსეულად შეუფასებია ეს ფაქტი. ამითაც უნდა აიხსნას არა მარტო „აუარებელი ხალხის დახვედრა ნავსადგურში; შემდეგ, „სამსახურის მოხელეთა და ქართველი აფიცირობის“ დიდი ყურადღება და გულისხმიერება (ყველა სპეციალზე „ბილეთების დატაცება“, ბანკეტები და სხვ.),⁹ არამედ, რაც მთავარია, „მეტადრე ქართველი მაპმადიანების“ დიდი ინტერესი. აკი ავქ. ცაგარელიც წერს, წარმოდგენებზე მათგან „ბევრი დადიოდა“, და „ძალიან მოვსწონდით“. აშენაა, უცხოელთა ხანგრძლივი ბატონობის მიუხედავად, მკვიდრმა მოსახლეობამ არა თუ დაივიწყა „თავისი წარსული“, არამედ მას „სიამაყით მოუთხრობდა“. კიდევ მეტი, ქართველი მაპმადიანები (ავტორი ასახელებს მათ, „ხიმშიაშვილი, თავდეირიძე თუ აბაშიძე“ — ა. ს.) ქართული თეატრის მსახიობებს, აღმოსავლური ჩვეულებისამებრ, „ხშირად იწვევდნენ“

თავისთან ყავაზე, „მიუსხდებოდნენ გვერდით“ და ესაუბრებოდნენ „ქვეყნის ბედიღბალზედ“. ყველაფერი აინტერესებდათ: საქართველოს „ცხოვრების ავ-კარგი“, „სწავლა-მეცნიერების გავრცელება“, „ეკონომიკური მდგომარეობა“ და „პოლიტიკური განწყობა“ (ეს მჭევრმეტყველი დადასტურება იყო 1877 წელს გამოქვეყნებულ ილიასეულ სტატიაში „ოსმალოს საქართველოში“ გაცხადებული დიდი ეროვნული ოპტიმიზმისა). ცხადია, ამიტომაც ავქ. ცაგარელი აღფრთვონებით წერდა: ბათუმში გვქონდა „ყველგან გულითადი დახვედრა, ყველგან გულწრფელი სიმპატია. თეატრი მუდამ სავსე და აღტაცებული სიამოვნება საზოგადოებისა“.¹⁰

თეატრის ეს პირველი სტუმრობა იყო უდავოდ ლირსშესანიშნავი, რაღაც საფუძველი დაუდო უწყვეტ თეატრალურ ცხოვრებას და პროფესიული დასების გასტროლებს ბათუმში. თითქმის ყოველ წელს აქ ჩამოდიოდა ქუთაისის დრამატული დასი ლადო მესხიშვილის ხელმძღვანელობით. მის რეპერტუარში უცვლელად იყო და მაყურებელს არაერთხელ უჩვენდა დავით ერისთავის „სამშობლო“, ალ. ყაზბეგის „კონსტანტინე ბატონიშვილი“, შექსპირის „ოტელო“, მონტის „გაიუს გრახუსი“, გუცგოვის „ურიელ აკასტა“ და სხვ. როლებს ასრულებდნენ სცენის სახელოვნი ოსტატები: ლადო მესხიშვილი, ნინო ჩხეიძე, ალექსანდრე იმედაშვილი, ტასო აბაშიძე და სხვ.

შეირი სტუმარი იყო თბილისის დრამატული თეატრიც, რომელსაც ყოველთვის ჩამოჰქონდა პიესები ისტორიულ თემებზე. 1904 წლის იანვრის გასტროლებისას მან წარმოადგინა ა. სუმბათაშვილის „ლალატიი“, რომელიც მოიწონა მაყურებელმა. პრესაც მაღალ შეფასებას აძლევდა მსახიობთა ოსტატობას, რამდენადც „მწყობრად ჩაატარეს მთელი პიესა“ და „საზოგადოება დიდად კმაყოფილი დარჩა“. როლები მაღალი ოსტატობით შეასრულეს ეფემია მესხმა (ზეინაბი), ვალერიან გუნიამ (ოთარ-ბეგი), კოტე ყიფიანმა (ანანია) და სხვ., ხოლო „მესხიშვილი ნამდვილი სულეიმან-ხანი იყო, დინჯი და აუჩქარებელი, ეჭვიანი, გონიერი, გულქვა, ძლევამოსილი და მტარვალი“.¹¹

ამასთან, ქართული თეატრის პირველი სტუმრობა ბათუმში იმითაც დარჩა მნიშვნელოვანი, რომ დააჩქარა ქეთევან უურულის სცენისმოყვარეთა წრის მუდმივმოქმედ დასად გარდაქმნა. მისი წევრები იყვნენ ლევან შევდლიშვილი (მამა ვახტანგ შევდლიშვილისა, შემდეგ მოსკოვის სამხატვრო თეატრის რეჟისორისა), კ. ბეთანელი, ი. განდელაჭი და სხვ. 1882 წლიდან ამ დასთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა დავით კლდიაშვილსაც, რომელიც ჩოგჩერ სცენაზეც გამოდიოდა (სამხედრო სამსახურს ბათუმში იხდიდა). თავადაც იგონებდა, ერთხელ გიორგი ერისთავის „გაყრაში“ „ჩემი ჩიქორთული ქართულია“ გაბრიელის როლი შევასრულეო.¹²

შენიშვნები

1. ქართველმა ლიტერატურისმცოდნებმა (პროფ. ვ. ზამბახიძე), აღნიშნული სტატია, თავისი მნიშვნელობით, შეაღარეს იაკობ გოგებაშვილის უკვდავ ქმნილებას „იავნანაძ რა ჰქმნა“. სხვათა შორის, მას შესანიშნავი ლექსი უძღვნი ფრ. ხალვაშმა (მისი, ქართული შეგნების მთესველი. უურ. „საქართველოს ქალი“, № 8, 1978).

2. ვ. აბაშიძე, წერილები, ბათ., 1960, გვ. 48-50.

3. უურნ. „თეატრი და ცხოვრება“, № 4, 1920.

4. დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, გვ. 22.
5. გ. ბუხნიკაშვილი, ბათუმის თეატრი, თბ., 1979, გვ. 6.
6. გვ. „დროება“, № 144, 1879.
7. დ. კლდიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 23.
8. ივ. ცაგარელი, კომედიები, ი. გრიშაშვილის ჩედაქციით, წინათქმით, შენიშვნებით
და ლექსიკონით, თბ., 1936, გვ. 389-392.

ივ. ცაგარელის სიტყვით, თეატრის აღმინისტრატორს აფიშები არ წამოუტავა.
იმედოვნებდა, მას ბათუმში დაბეჭდივდა, მაგრამ აქ ჯერ კიდევ არ იყო სტამბა. მიტობ
დაუმზადებიათ ხელნაწერი აფიშები და ზურგზე დაუკრავთ წყლის დატარებით
გაყიდველებისათვის. ისინიც თურქები ქალაქის ქუჩებში გაჰკიდონენ „დაზებირებულ
სიტყვებს: დღეს თრიათში ქართული თრიათრიაა. თამაშობენ: საფაროვი, გამუნაა,
ყიფაანი და სხვ.“: ამის გამო მსახიობ ქალებს ხშირად „ჩხუტი“ მოსდომდათ და მეთულუჩხე
ბიჭებს აქეზებდნენ: „წინათ გამუნია ან საფაროვი სოჭვით და აი, შენ გასამრჩელო ერთი
აბაზიო“ (იქვე, გვ. 387).

9. ივ. ცაგარელიც აღასტურებს: „ბათუმში სამი წარმოდგენა გავმართეთ: სამივერ
თეატრი სამსე იყო ხალხით. საჩუქრები ბევრი მოსდომდათ ჩვენს არტისტ ქალებს“ (იქვე,
გვ. 387).
10. იქვე, გვ. 391.
11. გვ. „ცნობის ფურცელი“, № 2389, 1904.
12. დ. კლდიაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 22.



წარიღები

ირაკლი ბარამიძე



დიმიტრი ბაქრაძის გათუმაში ჩანაწერები

დიმიტრი ბაქრაძეს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს უძველესი ისტორიის შესწავლის, საერთოდ, ჩვენში ისტორიული მეცნიერების განვითარების საქმეში. ძნელად მოიძებნება ადამიანი, რომელსაც თავისი ცხოვრების მანძილზე იმდენი რამის გაკეთება მოესწროს, რამდენც დიმიტრი ბაქრაძემ შეძლო. მისი დამსახურების უბრალო ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანდა. ვიტუვით მხოლოდ იმას,

რომ 1890 წელს, როცა დიდი მეცნიერი 64 წლის ასაკში უდროოდ მიიცვალა, ქართველმა საზოგადოებრიობამ მადლიერების ნიშნად მის საფლაგზე მიტანილი გვირგვინები ასეთი წარწერებით შეამჭი: „ჭეშმარიტს ქართველს, საქართველოს ისტორიისა და არქეოლოგიის მამას“ (გორი), „მამა-მთავარს ჩვენი ისტორიის“ (ტფილისი), „პირველს ისტორიკოსს საქართველოსას“ (ალ. ხახანაშვილი), „საფლავი შენისთანა კაცისა სალოცავია მამულისა“ (ილია) და სხვა („ივერია“, 1890, №34, გვ. 2). მაშინ ბათუმის ქართველები უბრალო, მაგრამ მრავლისმეტყველი ფრჩით გამოიმშვიდობნენ სახელგანთქმულ მეცნიერს: „ჩვენს თანამემამულეს“... ეს იყ დიდი მოღვაწისადმი სიყვარულისა და პატივისცემის თავისებური გამოხატულება და ალიარება-დაფასება იმ ღვაწლისა, რაც მას ბათუმისა და მთლიანად აჭარის წინაშე მიუძღვიდა: ალბათ ცოტამ თუ იცის, რომ დიმიტრი ბაქრაძემ თავისი ცხოვრების ერთი მონაკვეთი ბათუმში გაატარა, ბოლო ათწლეული კი თითქმის მთლიანად ბათუმის ოლქის საადგილმამულო პრობლემების გარკვევა-მოგვარების შეალია. ჩვენ დიმიტრი ბაქრაძის სწორედ ამ პერიოდის ე.წ. დღიურს გადაგიშვით მცირეოდენი კომენტარებით.

1998 წლის თებერვალში თბილისის ცენტრალური ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილების დაბაზში სადისერტაციო თემაზე მუშაობისას ჩემი ყურადღება მიიქცია 1879 წლის კავკასიის კალენდარზე (გამოღიბდა თბილისში 1846-1917 წლებში, რუსულ ენაზე) სატიტულო ფურცლის წინა გვერდზე და მე-12, 14, 16, 20, 24, 30-31-ე გვერდების არშიებზე, შესაბამისი თვისა და რიცხვის გასწვრივ უბრალო წამახვილებული ფანჯრით შესრულებულმა მინაწერებმა, რომელთა დიდი ნაწილი თავისი მიკროსკოპული ზომების გამო ძნელად თუ იკითხებოდა. ჩანაწერებისადმი ინახება კავკასიის გამიორმაგდა, როცა ჩემთვის იქვე აღმოვაჩინე, რომ კალიგრაფია ძალიან მიაგავდა დიმიტრი ბაქრაძისას (მანამდე უკვე ვიცნობდი დიმიტრი ბაქრაძის გამოუქვეყნებელ ხელნაწერებს, რომლებიც ინახება კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში). ტექსტის ამოკითხვის შემდეგ გავარკვიე, რომ მინაწერები მართლაც მას ეკუთვნოდა და შესრულებული იყო 1879-1880 წლებში. დავადგინე ისიც, რომ ალიშტნული წიგნი დ. ბაქრაძეს უშუალოდ გამომცემლისაგან მიუღია საჩუქრად.

სანამ ამ მინაწერების შინაარსს გავეცნობოდეთ, ორიოდე სიტუვით შევხებით

დიმიტრი ბაქრაძის ბათუმში ცხოვრება-მოღვაწეობის მიზეზს: 1878 წელს ბათუმისა და ყარსის ოლქების შეერთების შემდეგ რუსეთის იმპერიის ხელისუფლების წინაშე მწვავედ დაისცა ამ რეგიონებში მიწისმფლობელობის ფორმების დაფენისა და ადგილობრივი მკვიდრი მოსახლეობის მიწათსარგებლობის უფლების გარკვევის საკითხი. აღნიშნული პრობლემის მოგვარების მიზნით 1879 წლის 1 მარტს შეიქმნა ბათუმისა და ყარსის დროებითი საადგილმამულო კომისიები. ბათუმის კომისიის ხელმძღვანელობა მთავრობის განკარგულებით დაევალა იმ დროისათვის უკვე სახელმოხვეჭილ მეცნიერს დიმიტრი ბაქრაძეს, რომლის დანიშვნაც, გარდა მისი დიდი ავტორიატეტისა, როგორც ჩანს, ნაწილობრივ იმანაც განაპირობა, რომ ხუთიოდე წლით ადრე სწორედ მას ჰქონდა შესაძლებლობა ემოგზაურა ამ მხარეში, ახლოს გაცნობოდა აჭარის აწმყოსა და წარსულს. კომისია 6 თვით შეიქმნა, მაგრამ სამუშაოს სიჭარბის გამო მისი საქმიანობა უფრო გახანგრძლივდა. 1880 წლის ბოლოს კი, ავადმყოფობის გამო, დიმიტრი ბაქრაძე იძულებული შეიქმნა თბილისში დაბრუნებულიყო (ავალიანი ა. მიწისმფლობელობის ფორმები აჭარაში, ბათუმი, 1960, გვ. 20).

„დღიური“ მწირ, მაგრამ საინტერესო ცნობებს გვაწვდის აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით. ვგებულობთ, რომ საადგილმამულო კომისია ბათუმში 6 მარტს ჩასულა, ხოლო უკვე 11 მარტიდან შედგომია სამუშაოს. 16-17 მარტს კომისიას მოუხდენია ბათუმის ერთ-ერთი უცელაზე დიდი უბნის. — აზიზიეს შემოვლა და დაუწყისა ამ უბნიდან საადგილმამულო აქტების ამოღება. 20 მარტიდან კი დაუწყისათ აქტების მიღება ნურიეს უბნიდანაც. ეს იყო დროებითი საადგილმამულო კომისიის პირდაპირი მოვალეობა. აქტების შესწავლის გზით მას უნდა განესაზღვრა ოლქში მიწით სარგებლობის ხასიათი, დაედგინა მცხოვრებთა მფლობელობაში არსებული მიწების უკიდურესი ზომები, რომელთა საფუძველზეც უნდა გაეკეთებინა შესაბამისი დასკვნები. 1879-1880 წლებში კომისიაში, როგორც ოსმალურის კარგი მცოდნე, მთარგმნელად მუშაობდა ხუსეინ ბეგ აბაშიძე (ავალიანი გვ. 10). „დღიურიდან“ ვგებულობთ, რომ მას დიდი დახმარება აღმოუჩენია კომისიისათვის (გვ. 12). 10 აპრილს კომისია მეჯლისში (ადგილობრივი სასამართლო ორგანო) გადასულა (გვ. 14), როგორც ჩანს იქ არსებული მიწისმფლობელობის შესახებ ინფორმაციის მოპოვების მიზნით. საადგილმამულო კომისიას ხშირად უხდებოდა საბუთში აღნიშნული ნაკვეთების ადგილზე შესწავლა და გამიჯვნა. ალბათ, ასეთი ნაკვეთების რაოდენობაზე უნდა მიუთითებდეს სატიტულო ფურცლის წინა გვერდზე უთარილო მინაწერი: აზიზიე — 285 ნაკვეთი, ახმედ-ფაშა (ახმედიე — ბათუმის უბანი — ი.ბ.) — 369, მუფტი მეგალე (მუფტიე — უბანი ბათუმში — ი.ბ.) — 118. ნურიეს უბანთან რიცხვი არ იყითხება.

ბათუმთან ურთიერთობა დიმიტრი ბაქრაძეს, როგორც ჩანს, ოლქის ტერიტორიულ-ადმინისტრაციული სისტემის გაცნობით დაუწყია. საინტერესოა, რომ წიგნის პირველივე გვერდზე ჩაუნიშნია ბათუმის ოლქის ადმინისტრაციული დაყოფის სქემა, შესაბამისი რაიონული თუ საუბნო ცენტრების მითითებით.


დ. ბაქრაძის აღნიშნულ მინაწერებში დიდი ადგილი უჭირავს ინფორმაციას არსებული ამინდის შესახებ. ამავე დროს, შიგადაშიგ, ჩართულია რამდენიმე საინტერესო ცნობაც. მაგალითად, 19 მარტისათვის (1979 წ.) ბათუმში დიდი მთავრის მოსვლის ელოდნენ, მაგრამ ეტყობა უამინდობის გამო ვიზიტი არ შემდგარა. 20 მარტს კი, დილით, დიდი მთავარი ფოთიდან თბილისში დაბრუნებულა (გვ.

12). 22 ივლისს მიხეილ ნიკოლოზის ქ მაინც ჩასულა ბათუმში, სადაც 26 ივლისამდე დარჩენილა, მაგრამ ვერ მოუხერხებია კიხისძირის ნახვა ძლიერი თავსხმა წვიმის გამო. ისე ადიდებულა მდინარეები, რომ ბათუმის პრისტავი კინაღამ დალუბულა ერთ პატარა მდინარეზე ფადასვლისას (გვ. 20).

„დღიურში“ ასახვა ჰქოვა იმპერატორის (ალექსანდრე II) სიცოცხლის ხელყოფის მცდელობის ფაქტმაც (გვ. 14).

მინაწერებიდან ვგებულობთ, თუ რა თანხა გამოეყოფოდა ბათუმის საადგილმამულო კომისიას კვებითი უზრუნველყოფისათვის. 25 ივლისის თარიღის ქვეშ აღნიშნულია, რომ შვიდი დღის ფული სადილისათვის წინასწარ აუღიათ $15+15=30$ ანუ 2 მან. და 10 კაპ. (გვ. 20). ეს, ეტყობა, ორი კაცის ანგარიშია.

ამით ამოიწურება, ძირითადად, დიმიტრი ბაქრაძის ამ ე. წ. ბათუმური დღიურიდან მიღებული ინფორმაცია. ჩანაწერები ავტორს პერიოდულად უწარმოებია. საბოლოოდ კი „დღიურში“ ცნობების შეტანისათვის თავი 1880 წლის 17 იანვარს დაუნებებია. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ჩანაწერებს არ ჰქონია სისტემატური ხასიათი (აგვისტო, ოქტომბერ-ნოემბერი საერთოდ გამოტოვებულია), იგი მაინც გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ბათუმის ცხოვრების ზოგიერთ ასპექტზე, დიმიტრი ბაქრაძისა და საერთოდ, საადგილმამულო კომისიის საქმიანობაზე და ავსებს ამ საკითხზე არსებულ ინფორმაციას.



დუსუნ ნიშარამი

თარსულის გაკვეთილება

ესპანეთის მეფეს ბასკონიაში არ ჰქონდა მიწათსარგებლობისა და რაიმეს შენებლობის უფლება, არც ჯარისა და ფლოტის შენახვისა. იდგილობრივი ხელისუფალი არ იყვნენ დამოკიდებული ცენტრალურზე და თავისუფლად აწესრიგებდნენ თავის საქმეებს. ესპანეთის ყოველი ახალი მეფე, ვიღრე ტახტზე ავიდოდა, ვალდებული იყო ბასკონიას სწვევდა და იქაური კანონების დაცვა ფიცით დაემტკიცებინა. თუ ამას არ იშამდა, მაშინ ბასკები უარს აცხადებდნენ გადასახადების გადახდაშე (შ. ძიგური, მოგზაურობა ბასკეთში, თბ., 1977, გვ. 42).

სხვა წყაროების მიხედვით, ისე როგორც რიგ ქვეყნებში, ბასკებშიც არსებობდა ხის კულტი, გაღმერთებულ ხესთან წყვეტდნენ სახელმწიფო მნიშვნელობის საკითხებს, იხდიდნენ წყვეტებებს, დღესასწაულებს. ბასკების მთავარ ქალაქ გენრიკაში, ასეთ წმინდა მუხის ხესთან ბასკების წინაშე ფიცს დებდა ესპანეთის ყოველი ახალი მეფე და მათ თვითშმართველობას აღიარებდა.

ას, ასეთი დამოკიდებულება სუფევდა ესპანეთში ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის, უფრო მეტი, კოლონიასთან. და მაინც, ეს არ ქმნიდა გაუგებრობებს, არც მეფეები თაკილობდნენ ბასკების უფლებების აღიარებას, დათმობებს.

ჩვენი მხარე საქართველოს ნაწილია, იგი კოლონია არა. ამრიგად, განსხვავებულ პირობებს, დამატებით უფლებებს არ მოითხოვს. ავტონომიის სტატუსით მიკუთვნებული და კონსტიტუციური უფლებებიც საქმარისია, რომ არ იზღუდებოდეს, იკვეცებოდეს და არ მახინჯდებოდეს. ასე რომ, ე. წ. პრივილეგიების წინა პლანზე დაყენებას კი არ ვითხოვთ, არამედ ისტორიული და გეოგრაფიული თავისებურებებიდან გამომდინარე პოლიტიკური პროგრამის განხორციელებას. ყოველივე ეს ცივილიზაციულ საზოგადოებაში მიუღებელი არაა, არ მოსდევს ოფიციალურ პირთა, მითუმეტეს, არამკითხეთა „კომენტარები“, „ვარაუდები“ და „დასკვნები“.

აჭარის ისტორიული მისია გამოკვეთილად ჩანს სამცხე-საათაბაგოს მიმართებაშიც. სხვათა შორის, პავლე ინგოროვა მიტაცებული ჩვენი ოლქების შესაძლო შემოერთებაში მთავარ როლს სწორედ აჭარას აკისრებდა. ეს კი დიდ მეცნიერს ისტორიულმა რეალობამ 1925 წელს ათქმევინა.

აჭარა ღიათგანვე სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დაწინაურებული ნაწილი — „ქვეყანა“ იყო. სამეურნეო ყოფით, ცხოვრებით, კილოვანით, გზებით, საქმიანობით, ინტერესებით, ლექსიკით, ტოპონიმებით, ტერიტორიული მდებარეობით, ანთროპოლოგიური და სხვა მონაცემებით, ერთ სხეულად ჩამოსხმული. ამას აკად. შ. აბდუშელიშვილი, ღოცენტი ა. ახვლედაინი და სხვები ანთროპოლოგიური მონაცემებით ადასტურებენ. საინტერესოა ცნობილი ემიგრანტი მეცნიერის ვიქტორ ნოზაძის შედარება და მესხეთ-აჭარის ერთიანობის ხაზგასმა. — მესხეთისათვის

ბათუმი ისეთივე როლს... ასრულებს, როგორც პეტერბურგი და კიევი რუსეთისათვის. დიახ, სწორედ აქედან შემოდიოდა ძველთაგანვე საქარავნე აბრეშუმის გზები და ზღვისპირეთში ტრაპიზონ-აფხაზეთისაკენ იყოფოდა. ამანც განაპირობა ახალი — ქრისტიანული რელიგიის გამარცველებელთა შემოსვლა საქართველოში აჭარიდან, საიდანაც მეზობელ სამცხეში გადავიდნენ, იქედან კი სხვაგან. სამცხე-აჭარის ერთიანობის გამო მეფე ვახტანგ გორგასალმა ჩვენი მხარე ბიზანტიელებს არ დაუტოვა, ისევ ძველ საზღვრებში მოაქცია, რასაც ძლევამოსილი ლაშქრობით მიაღწია. ძველი მატიანების მიხედვით, სამცხე და აჭარა საქართველოს VI საერისთაოს შეადგენდნენ, რომელიც ჩვენს ერამდეც ზღვამდე აღწევდა.

ისიც ცნობილია, რომ სახელოვანი ატუსერისმები აჭარის გარდა, შავშეთს, არტანუქსა და სამცხის ნაწილსაც განაგებდნენ, ისე, როგორც ხიმშიაშვილები. ამათი წარმომადგენლები უფრო დაწინაურდნენ და მთელ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ჩაუდგნენ სათავეში. აქ საქართველოს ერთიანობისათვის ასევე იღვწიოდნენ სანჯაყ-ბეგ აბაშიძეები.

ბარემ ისიც გავიხსენოთ, რომ 1459 წელს სამცხე-საათაბაგოს გამგებელი ყვარყვარე ათაბაგი ევროპელებთან სამხედრო კავშირის შექმნასა და ოსმალების წინააღმდეგ გალაშქრებაში მთავარ როლი სწორედ ბათუმს, აჭარას აკუთვნებდა.

ფაქტები იმისა, რომ სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ყოველთვის ერთიანი იყო, მრავალია. ამითა განპირობებული ის, რომ აჭარლებს კოლხ მესხებაღ მიიჩნევდნენ. ივანე ჯავახიშვილი აჭარას ყოველთვის სამცხე-საათაბაგოს ანუ მესხეთის ნაწილად თვლიდა. ასე იყო ჩვენს ერამდეც. მიხეილ ჯავახიშვილი ასე წერდა: „თქვენ აჭარლებო — მესხებო“ და მეორე რუსთაველის დაბადების უწინასწარმეტყველებდა.

უნდა ითქვას, რომ ურთიერთობა სამცხესა და აჭარას შორის ისე მჭიდრო იყო, რომ არსიანის ქედიც კი, რომელიც ზამთრობით დიდთოვლობის გამო გაუვალ ხდებოდა, დაბრკოლებას არ წარმოადგენდა. უ. შარდენისა არ იყოს, აქ იყენებდნენ მრგვალ თხილამურებს, რომლებიც ძველი დროიდანაა დადასტურებული და აქედან გავრცელებულია.

ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში ნათლად გამოიკვეთა მესხების სწრაფა აჭარასთან გაერთიანებისა. ეს სურდა ათაბაგთა ბოლო წარმომადგენელს სერვე ათაბაგსაც, მაგრამ ვ. ნოზაძისა არ იყოს, მენშვიკ-დემოკრატთა ანტიეროვნულმა პოლიტიკამ, ეს პატრიოტი რენეგატიდ აქცია. მაშინ მესხეთში საგანგებო დავალებები ასრულებდნენ ჰაიდარ აბაშიძე, თოფან შერვაშიძე, ხუსეინ ფუტკარაძე, ბოლქვაძეები და მემედ აბაშიძის „სამუსლიმიანო საქართველოს გამანთავისუფლებელი კომიტეტის“ სხვა წარმომადგენლები.

სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებამ აჭარა-მესხეთის გაერთიანება არ ისურვა, მათ გზას დაადგნენ ნაციონალ-უკლონისტები და ხელისუფლებაში მოსული ბოლშევიკებიც. ამიტომ იყო, რომ უგულუბელყვეს აჭარელთა ნაწილის უ ჩასახლება, რაც მნიშვნელოვნად გააძლიერებდა ქართულ საქმეს, არ გვექნებოდა პრობლემები.

უკლონისტებმა და ბოლშევიკებმა მესხეთის გაერთიანება აჭარასთან მაშინ ისურვეს, როცა ე. წ. დამოუკიდებელი ბათუმის შექმნა დააპირეს. ეს იყო 1921 წლის ივნის-ივლისში, ავტონომიის სტატუსის შესამუშავებლად და მისაღებად, აბაშინ თბილისს ეწვია აჭარის ოფიციალური დელეგაცია გამოჩენილი მოღაწეს.

ხასან ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით. დელეგაციაში შედიოდნენ ცნობილი პიროვნებები ხუსეინ ბეჟანიძე, მემედ კონცელიძე და ბექირ აბუსერიძე. ავტონომიის მოწინააღმდეგის სერგო ქავთარაძის წყალობით, ყველაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ წარგზავნილები დათანხმებულიყვნენ ბათუმის შემოგარენის გამოგლევას აჭარის ფარგლებიდან, ე. წ. ახალი პორტო-ფრანკოს შექმნას, რომელიც პირდაპირ თბილისის გამგებლობაში გადავიდოდა. აჭარის დელეგაციამ დამაჯერებლად გააბათილა ეს არგუმენტები და კატეგორიულად უარყო აჭარის ტერიტორიის ხელყოფა. ამის გამო თათბირი უკვე საქართველოს რევფომში გადაიტანეს, თათბირს აჭარის მეჯლისის წევრებიც დაასწრეს. „ხასან ლორთქიფანიძემ დამსწრეთ გააცნო საქართველოს რევოლუციის მიერ შემოთავაზებული ახალი წინადალება აჭარის შემაღვენლობაში ახალციხის მაზრის გაერთიანების თაობაზე, მაგრამ უნდა დავთმოთ ბათუმით“ (ი. ბექირიშვილი, ბრძოლა აჭარის ავტონომიისათვის. ავტონომიის ისტორიული მისია, იხ. მისი „ამას შენზე ამბობენ, აჭარავ“, ბათ., 1995, გვ. 279).

ხასან ლორთქიფანიძემ, მემედ კონცელიძემ, ბექირ აბუსერიძემ და ხუსეინ ბეჟანიძემ, აგრეთვე ბათუმიდან მოწვეულმა სულეიმან კომახიძემ, იუსუფ ქიქავაშ და სხვებმა არ მიიღეს ეს ანტიეროვნული წინადალება“. — ბათუმის გაცვლა ახალციხის მაზრაში ჩვენ არ შეგვიძლია, მოახსენეთ აჭარის მეჯლისს, ამ საკითხის გადაწყვეტა მის კომპეტენციაში შედის. აქ დამსწრე ს. გუბელმა უნდა მიიტანოს ჩვენი აზრი საქართველოს მთავრობაში“ — ასეთი იყო საბოლოო გადაწყვეტილება.

ახალციხის მხარე ისედაც ითხოვს ჩვენთან შემოერთებას, — დასძინა ხ. ლორთქიფანიძემ და დელეგაცია ბათუმში დაბრუნდა. 18 ივნისს გაიმართა აჭარის მეჯლისის გაფართოებული სხდომა, რომელმაც ერთსულოვნად მოიწონა ეს პოზიცია და შესაბამისი გადაწყვეტილებაც მიიღო.

აჭარისათვის ავტონომიის მიკუთვნების გაჭიანურებამ შეაშფოთა საბჭოთა რუსეთი და თურქეთი, ავტონომიის მიმკუთვნებელი სახელმწიფოები. ეს ხომ აფერხებდა 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულების რატიფიკაციას ამ საკითხზე, მათ შორის, ახალი საზღვრების დადგენისა და რიგ სხვა მნიშვნელოვან პრობლემებს. თბილისი იძულებული გახდა აჭარის დელეგაცია მიეწვია. დელეგაციის მეთაურს ხასან ლორთქიფანიძეს მოუსმინა საგანგებოდ მოვლენებულმა სტალინმა. ამას მოჰყვა ის, რომ 9 ივნისის დადგენილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შექმნის თაობაზე ბათუმის გარეშე, უარყოფილი იქნა და მიიღეს 26 ივნისის დეკრეტი, რომელშიც გარკვევით ჩაიწერა: „შეიქმნას აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ცენტრი ბათუმით“.

მართალია მკვლევარი, პუბლიცისტი იოსებ ბექირიშვილი, რომელიც ასკვნის: „ამდენად, აჭარის დელეგაციის, მისი თავგაცის ხ. ლორთქიფანიძის ღვაწლი, დამსახურება ამ საერთაშორისო სადაო საქმის საქართველოს სასარგებლოდ, ასე მშვიდობიანად მოგვარებაში, უდაოდ დიდია და სათანადო უნდა დაფასდეს: მ. აბაშიძის, ხ. ლორთქიფანიძის, ხ. ბეჟანიძის, მ. აბუსერიძის, მ. კონცელიძისა და მათ მომხრეთა ღვაწლი ე. წ. ანტისაბჭოთა ძირგამომთხრელი საქმიანობა მხოლოდ ისღა იყო, რომ არ დაუშვეს მშობლიური მხარის ტერიტორიის ხელყოფა — ბათუმისა და მისი შემოგარენის აჭარიდან გამოყოფა და ცალკე აღმინისტრაციული ერთეულის სახით პირდაპირ საქართველოს მთავრობისადმი დაჭვემდებარება, რაც ქართველ ბოლშევიკთა მიერ ჩადენილ დანაშაულობათა შორის ერთი პირველთაგანი


იქნებოდა და შავ ლაქად შერჩებოდა მთელ ერს.

მაგრამ იმ მოსაზრებით, რომ თითქოს ახალციხის მაზრის ჩვენთან, აფტონომიურ რესპუბლიკაში გაერთიანებით „დიდი აჭარა“ შეიქმნებოდა და ამით მისი ,მოვლაც გართულდებოდა, სწორედაც რომ გამოუსწორებელი ცოდვა ჩაიდინეს. ამით ხო ახალციხელ მესხებშიც განმტკიცდებოდა ქართული სული, აღსდგებოდა დაკარგულ წართმეული ეროვნული მეობა, ისინიც ჩვენთან ერთად ააშენებდნენ მშობლიურ საქართველოს, რაც თავიდან აგვაცილებდა მათ გადასახლებას შუა აზიაში, რომელიც შერჩიამ განახორციელა (იქნება, გვ. 283, 285).

ეს მწარე სიმართლეა და მით უფრო სამწუხაროა, რომ ცწორი დასკვნები მაინც ვერ გამოვიტანეთ. ჭერ ს. ათაბეგოვი შევრაცხეთ მოღალატედ და მესხებს დაგვრიეთ, 1944 წელს კი ეს საქმე სტალინმა და ბერიამ „დააგვირგვინეს“.

ახლა სხვები ამოქმედდნენ, რომლებსაც ასევე არ სურთ ისტორიული სამცხე-მექანიკური გარემონტის გარემონტის მიზანი. ბატონ ედუარდ შევარდნაძეს აკი არა გარემონტის მიზანი უკრადლება ამ საკითხისადმი და ეგრეთწოდებული გარემონტის არც გამოუჩინავს.

ბატონი ასლანი ის სახელმწიფო, ეროვნული მოღვაწეა, რომელიც ასჭერ ზომას და ერთხელ ჭრის. მისი ძალისხმევა ამ საქმეში ნამდვილად იმსახურებს საყოველთა მხარდაჭერას.



606 გობილოებები

პიგლიური ხა-მსანარეები

ბოტანიკის შესწავლის შემდეგ მე და ჩემს მასწავლებელს გაგვიჩნდა აზრი, გვემუშავა და უფრო ღრმად შეგვესწავლა ბიბლიის ფლორა, რომელიც საკმაოდ ვრცელი, მრავალფეროვანი და სინტერესოა.

მრავალი საუკუნე ტკბება აღამიანი მცენარეების სილამაზით და წარმოდგენა არა აქვს მათ დანიშნულებაზე, მოვალეობაზე. ჩემს სტატიაში გაეცნობით ბიბლიური ხე-მცენარეების: კაკლის, მუხის, ლელვის, თუთას, ზეთის ხის, ფინიკის პალმის, წითელი ხის, წიფელას მნიშვნელობას.

ახლა კი თავად მცენარეთა შესახებ.

კაკალი. ჩვენში კაკალს ხეკეთილსა და საჩრდილობელს უწოდებენ. საქართველოში სიმტკიცის, სიუხვის, მარადიულობის სიმბოლოდ იყო მიჩნეული. კაკალში ბლომად არის კაროტინი, C,B ჯგუფის ვიტამინები, ამიტომ გამოიყენება მედიცინაში. 20 ცალი კაკალი აკმაყოფილებს აღამიანის საღლელამისო მოთხოვნილებას ცილებსა და ცხიმებზე. ამიტომ იყო, რომ ქართველი გლეხის კარმიდამში თითო-ოროლა კაკლის ხე აუცილებლად შრალებდა. საქართველოში სალაშქროდ მიმავალ მეომარს ნიგვზის ჩურჩელას ატანდნენ. კოსმონავტთა კვების რაციონში შედის ნიგვზის ჩურჩელა. კაკლის ხე საღვთო წერილში ერთხელაა მოხსენიებული შემდეგ ციტატაში: „ჩავედი ნიგვზნარში, რომ მენახა მწვანე ჭალები, მენახა თუ აყვავდა ვაზი, თუ გაიფურჩენა ბროშეული“. (ქებ. მე-6, მე-11). კაკალის ხე ხარობს პალესტინაში, ლიბანში. იქ ეს ხე აღწევს ისეთ სიღიდეს, რომ მის ქვეშ შეიძლება თავი მოიყაროს 24 კაცმა. ათ საუკუნეზე მეტი ხნისაა კაკლის ხე სოფელ მარტყოფში. ასებობს ლეგენდა, რომ მარტყოფის ბრძოლის შემდეგ ქართველმა მეომრებმა მის ჩრდილში ისამხარეს.

ზეთის ხე. ერთხელ და. ბერძნების ღმერთები პოსეიდონი და ათენა დანიძლავდნენ, ვინ უფრო კარგ სახუქარს მიართმევდა ბერძნებს. ზღვის ღმერთმა პოსეიდონმა თავისი სამკბილა ესროლა ქლდეს და იქიდან წამოვიდა წყარო. ათენამ ჩაარწყო შუბი, რომელიც ხედ გადაიტა. ბერძნებმა გამარჯვება მიანიჭეს ათენას. რა ხე იყო ეს, რომელიც უფრო ძვირფასად ჩათვალეს ღმერთებმა ვიდრე წყარო? ეს იყო ზეთის ხე. ისრაელში ამ ზეთით სცხებდნენ მეფეებსა და მღვდლებს. „ცხებული“ ნიშნავდა გამორჩეულს, რომელიც მოწოდებული იყო განსაკუთრებული მსახურების აღსასრულებლად. იყენებენ ბრტყელი ჭიის ორგანიზმიდან გამოსაღვნად. ჰიბერტონული დაავადებების დროს. რომაელი ისტორიკოსი პლინი წერდა: „შეიძლება ვიცხოვროთ უღვინოდ, მაგრამ არა უზეითუნოდ“ ლეგენდარული გმირი ჰერაკლე მისი მეშვეობით იბრძოდა და ჩაიდინა 12 გმირობა.

მუხა. მუხის მეცნიერული სახელწოდებაა „კუკრკუს“, რაც ლამაზ ხეს ნიშნავს. მუხის ფოთლებს ხატავდნენ სამეფო გერბებზე. საღმრთო მკურნალობის ძალის მიმცემად მიიჩნევა ზღაპრებში. მუხის ქვეშ კრძალავდნენ ადამიანებს. „მოკვდა დებორა, რებეკას ძიძა, და დამარხეს ბეთელს ქვემოთ მუხის ქვეშ. უწოდა ამ აღვილს

ალონ ბაქუთის, (მუხა გლოვისა), როდესაც ხალხი შორს იყო ღმერთისაგან, მუხის ქვეშ მოპერანდათ მსხვერპლი და მართავდნენ წვეულებას კერპთა საპატივცემულოდ. მუხის ტოტებში გაიხლართა დავით მეფისაგან ლტოლვილი აბესალომი. მუხის ტოტების ხმაური და ფოთლების შრიალი ადამიანს ბედისწერას აუწყებდა.

ნაძვი. „როგორც გიგანტური რვაფეხები გროვად ყრიან ტყეში და აძლევენ ტყეს შემზარავ, საზარელ სახეს“ — წერდა ბიოლოგი და ნატურალისტი პროსკურია კოვი. საღვთო წერილში ხშირად ფიჭვთან ერთად არის მოხსენიებული. ბევრმა ჩვენგანმა, ალბათ არ იცის ნაძვის წყალობით გვაქვს ბედნიერება, ვუსმინოთ ვიოლინოს, ფორტეპიანოს. ნაძვისაგან ამზადებდნენ ვიოლინოს სტრადივარიუსი და ამატი. ნაძვის წიწვი 6-ჯერ მდიდარია C ვიტამინით, ვიდრე ფორთოხალი და ლიმონი. გამოიანგარიშეს ერთ წელიწადში მსოფლიოს ყველა ქვეყანაში იმდენ ქაღალდს ამზადებენ ნაძვისაგან, რომ მათგან ერთი, მთლიანი, ჩვეულებრივი სისქის ქაღალდი რომ გაგვეკეთებინა, მასში შეიძლებოდა შეგვეხვია მთელი დედამიწა.

ფინიკის პალმა. საღმრთო წერილში ფინიკის პალმაზე ხშირად გხვდება ინფორმაციები. ძვ. ისტორიკოსები ირწმუნებოდნენ, რომ მკვდარი ზღვის სანაპირო ცნობილი იყო 12 მილის სიგრძის პალმის ხეობით. ხების გამოსახულება გვხდება ძვ. ევროპის მონეტებზე, როგორც იუდეას ემბლემა. პალმის ტოტები გამარჯვების სიმბოლოდ იყო მიჩნეული და უძღვნიდნენ ბრძოლის ველიდან დაბრუნებულ გამარჯვებულებს. იესოს ტრიუმფალური მსვლელობის დროს იერუსალიმში ხალხი მას პალმის რტოებით ესალმებოდა. ქალაქ იერიხონში ისე უხვად იყო პალმები, რომ პალმების ქაღაქი უწოდეს.

ფიჭვი. ეს ამბავი 1535 წ. მოხდა. გემი, რომლის კაპიტანი ვინმე კარტიე იყო, კანადის ნაპირებისაკენ მიცურავდა, მაგრამ ვიდრე ნაპირს მიაღწევდა რამდენიმე კაცი სურავანდით დაიღუპა. ინდიელთაგან შეიტყვეს, რომ ამ სენის უებარი საშუალება ფიჭვის წვენი იყო. ერთ განსაცდელს გადაურჩნენ, მაგრამ მეორე განსაცდელი გზაში ელოდათ. ისინი შტორმში მოექცნენ, მაგრამ გემი ფიჭვისაგან იყო დამზადებული და ისინი გადარჩნენ. ფიჭვი გამოიყენებოდა ტაძრების და ხომალდების მშენებლობაში. 1849 წ. ცნობილი რუსი მოგზაური ლიბანში ყოფნისას წერდა, რომ იქ ძნელია იპოვო სხვა მცენარე ფიჭვის გარდა.

თუთა. ერთ-ერთი ბრძოლის დროს ფილისტიმელთა წინააღმდეგ, დავითმა არ იცოდა, როდის დასხმოდა მტერს. ღმერთმა უთხრა: როცა გაიგონებ ხმას თუთის წვეროებიდან მაშინ წადიო. ფოთლების მოჭრის დროს წვეთავს სითხე. ფოთლები იცრემლება, ამიტომ მიიღო დავითის ერთ-ერთმა ფსალმუნმა სახელწოდება „მტირალა-მდელო“.

წითელი ხე — ვარაუდობენ, რომ ეს იყო სანდალოზის ხე. შემოპერანდათ ოქროსთან და ძეირთას ქვებთან ერთად გემებით. „გააკეთა მეფემ სანდალოზისაგან მოაგირი უფლის სახლისათვის და სამეფო სახლისათვის ებნები და ქნარები მგალობელთათვის... დღემდე აღარავის უნახავს ამდენი სანდალოზის ხე“ (მე-3 მეფ, -12).

ნუშის ნაადრევი ყვავილობა ნაადრევი გაჭალარავების სიმბოლოა. დღეს ღღეობით მუშავდება ინგლისში სურნელოგანი ყვავილების გამო, ევროპის სამხრეთ ქვეყნებში გასატანად. აარონის ნუშის კვერთხი ერთ ღამეში აყვავილდა და ნაყოფიც გამოიღო. იაკობმა სხვა საჩუქრებთან ერთად ნუშიც გაუგზავნა იოსებს.

პაპირუსი. პაპირუსისაგან იყო დამზადებული კალათა, რომელშიც ჩააწვინა

ახალშობილი მოსე დედამისმა. ებრაელებში საზომ ერთეულად იყო მიღებული, „მიმიყვანა იქ და ჰა კაცი, რომლის სახე რვალის სახეს ჰგავდა, სელის თოკი და ლერწმის საზომი ეჭირა ხელში და კარიბჭესთან იდგა“. (იეზეპ X 2,3) საღვთო წერილში სისუსტის, მერყეობის აღსანიშნავად არის გამოყენებული. პაპირუსს საწერად იყენებდნენ. ბიბლიის დიდი ნაწილი პაპირუსზე იყო დაწერილი.

წიფელა. მძლავრი, წელში გამართული ხეა. ნაყოფი წიწიბო საჭმელად გამოიყენება. ხდიან ტექნიკურ ზეთს. ზეთი გამოიყენება გასანათებლად. სხვა მცენარეებთან ერთად წიფელათთა აგებული იერუსალიმის სალოცავი. „დავრგავ უდაბნოში ნაძვს, ურთხელს, მურტსა და ზეთისხილს. ავღმართავ ტრამალზე აღვას ნეკერჩხალთან და ბზასთან ერთად“. (ესაია 41,19).

ლუღვი იყო აყვავების იდეალი. „თითოეულს შეეძლება საკუთარი ვენახის, ვაზის ძირას ჯდომა და საკუთარი ლეღვის ქვეშ განცხრომა“. ხე, რომელზედაც აძრა ზაქე, რათა უკეთესად დაენახა იესო, იყო ლეღვის ნაირსახეობა. აღმოსავლეთში ფასობდა მისი ჩრდილი. დარჩა გამონათქვამი „ჯდომა ლეღვის ქვეშ“. ლეღვის მწიფე ნაყოფისაგან ქართველმა ფარმაცევტებმა მოამზადეს ლეღვანის სქელი ექსტრაქტი. ეს არის არმატული და სასიამოვნო გემოს მუქი ყავისფერი ფაფა.

როგორც ვნახეთ ბიბლიის ფლორა მრავალერთ კანია. ღვთის მიერ შექმნილი დედა-ბუნების საოცარი მწვანე სამოსელი საიხტერესოა შესასწავლადაც.



გ უ ნ ე ბ ა

მისამართი გადახმავი გარემონტი

მისამართი გადახმავი გარემონტი

ფლორა და ფაუნა - ჩვენი სიგდიდრე

აჭარის ავტონომიური ოესპუბლიკა ბუნებრივი ოესურსებით მდიდარი კუთხეა, მაგრამ წარსულში მისმა არასწორმა ექსპლუატაციამ ძლიერ ვანადგურა. აჭარის ტერიტორია შეადგენს 290 ათას ჰექტარს, რომლის უმეტესი ნაწილი მთავარიანია. ცალკეული დასახლებული სოფლები ზღვის დონიდან 1000-1600 მეტრ სიმაღლეზეა განლაგებული, ხოლო ზოგიერთი მშვერვალის სიმაღლე 2800 მეტრამდე აღწევს. აჭარის გეოლოგიურმა წარსულმა; თანამედროვე გეომორფოლოგიურმა პროცესებმა განაპირობა რელიეფის დიდი სირთულე და თავისებურება.

აჭარის ავტონომიური ოესპუბლიკის ტერიტორიაზე, განსაკუთრებით მთის ზონაში, ეროვნის, დაცულის, მეწყერსა და თოვლის ზეავს უმეტესწილად რელიეფის შემცნელი თანამედროვე გეომორფოლოგიური პროცესები იწვევნ.

ასეთ პირობებში ბუნების დაცვასა და მის განვითარებას, გარემოს გაჯანსაღებას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, როგორც ეკოლოგიური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით.

სუბტროპიკულ ზონაში საუცხოოდ ხარობს ჩაი, ციტრუსი, ლელვი, ხურმა, თხილი, ტუნგი, ფეხიხა, ევკალიპტი, ბამბუკები და სხვა. მთიან ზონაში — თამბაქო, ვაში, მაღალხარისხოვანი ხებილი, მარცვლოვანი და პარკოსანი კულტურები, მრავალი სახეობის საკვები კულტურა.

მრავალფეროვანია აჭარის ფაუნაც, აქ გვხვდება გარეული ცხოველები და ფრინველები: კვერნა, მელა, ციყვი, მაჩვი, მგელი, დათვი, ჩხართვი, კოდალა, ქერა, არწივი და სხვა. ზღვის, ტბებსა და მდინარეებში ბინაღრობენ: სტავრიღული, სვია, ზუთხისებრი ტარალანა, ქიშაყი, ზღვის ქარიყლაბია, დელფინი, ორაგული, კალმიხი, წვერა და სხვა.

რეგიონი მდიდარია აგრეთვე სამკურნალო-პროფილაქტიკური და ფართო მოხმარების მინერალური წყლებით, აქ გამოედინება კოკოტაურის, ცხემლვანის, შუბნის, ბოლაურის, დანისპარაულის, ხიხაძირისა და სხვა სამკურნალო წყაროები. საქართველოს ამ მრავალფეროვან კუთხეს კიდევ უფრო ამშენებს და ალამაზებს სახელვანთქმული კურორტები: ქობულეთი, მწვანე კონცხი, მახინჯაური, ბათუმი.

აჭარის მთიანეთისათვის დამახასიათებელი სილამაზით და იშვიათი ბუნებრივი კლიმატით, კერძოდ, ზღვისა და მთის ჰავის ზომიერი შეხამებით გამოიჩინა კურორტი ბეშუმი. იგი ზღვის დონიდან 1800 მეტრზე მდებარეობს და ხულოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო ტიუსი ფარგლებშია მოქცეული.

რეგიონის ამ სიმდიდრესა და სილამაზეს სხვა ბუნებრივ პეიზაჟებთან ერთად ტკიცები ქმნიან.

ხე-ტყის პროდუქციაზე მოთხოვნილების ზრდამ განაპირობა მაღალი ფასები საშინაო და საგარეო ბაზრებზე, ამან კი გამოიწვია აჭარის ტყეების მტაცებლური ექსპლუატაცია. ისეთი ძვირფასი ჯიშების მერქანი, როგორიც არის კაკალი, წაბლი, წინათ დიდი რაოდენობით გაპქონდათ საზღვარგარეთ. 1888 წელს ბათუმის

ნაგებადგურიდან ინგლისში გაიტანეს 81853 ფუთი ბზის მერქანი, ხოლო 1889 წელს — 26406. საფრანგეთში შესაბამისად — 14080 და 62476 ფუთი.

აჭარის ტყეებს 1937-1970 წლებში დიდი ზიანი მიაყენა მცენარეთა სხვადასხვა სახის აგადმყოფობამ და დაავადებებმა. ასე, მაგალითად, ექსკპილა ქერქიჭამიისა და ნაძვის დიდი ლათინჭამიის გავრცელების გამო აჭარის ნაძვნარი ტყის კორომების საქმიანდ დიდი ნაწილი დაზიანდა და გახმა. ყველა ეს არახელსაყრელი პროცესები გადაუდებლად აყენებს ტყეების რაც შეიძლება მოკლე დროში აღდგენის ამოცანას, უკანასკნელი კი ბუნების დაცვის სამსახურებისაგან, მთელი მოსახლეობისაგან, ხელისუფლებისაგან საგანგებო ღონისძიებების გატარებას მოითხოვს, მითუმეტეს, რომ ამჟამად აჭარაში 2500-მდე კომლი ზვავ, მეწყერსაში ზონაში ცხოვრობს.

ტყის მოვლა და დაცვა, ტყეებში სანიტარული ღონისძიებათა განხორციელება, ტყეების გასუფთავება, გამხმარი, დაზიანებულ-დაავადებული ხეების დროულად მოჭრა და გამოტანა, პირუტყვის ძოვების მოწესრიგება და სხვა, აჭარის ტყეების პროდუქტიულობის შემდგომი გადიდების აუცილებელი პირობა.

აჭარის სახელმწიფო და კონპერაციულ ტყეებში უნდა შეწყდეს ხე-ტყის ჭრა, დაიხუროს ადგილობრივ ხე-ტყეზე მომუშავე ქარხნები, მოსახლეობის აზრიც ასეთია და დღევანდელი ცხოვრებაც ამას მოითხოვ.

კოლოგიური წონასწორობის დარღვევას კაცობრიობისათვის თერმობირთვულ იარაღზე მეტი ზიანის მოტანა შეუძლია, ამიტომ დროზე თუ არ ვუშველეთ ბუნებას, არ ჩაიყენეთ ის საწყის სტადიაში, მდგომარეობის გამოსწორება შემდგომში შეუძლებელი იქნება.

ახლა, როცა საზოგადოება და ხელისუფლება გარემოს დაცვას მზრუნველობით ეკიდება, ყველა გადაუჭრელი პრობლემა მშრომელი ხალხის საკეთილდღეოდ წყდება.

ამ სახელმწიფოებრივ საქმეს განსაკურრებულ ყურადღებას უთმობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე — ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ასლან აბაშიძე.

ტყეების აღდგენა, პროდუქტიულობის გადიდება და საერთოდ, ეკოლოგიური სიტუაციის გაუმჯობესება ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით უნდა წარიმართოს ნარგავების გაშენება, ბუნებრივი განახლება.

აჭარის სახელმწიფო და კონპერაციული ტყეები ხასიათდება მცენარეული საფარის დიდი მრავალფეროვნებით. აქ იზრდება დაახლოებით 400 სახის მერქნიანი და ბუჩქნარი ხე-მცენარე, აქედან 26 სახეობა „წითელ წიგნშია“ შეტანილი.

ბუნებრივად გავრცელებულ ხე-მცენარეებიდან აჭარის სუბტრობიკული სარტყელისათვის დამახასიათებელია შემდეგი ჭიშები: მუხა, ძელქვა, წაბლი, რცხილა, იფანი, მურყანი, წიფელი, ლაფანი, ცაცხვი, ნეკერჩხალი, ლელვი, ხურმა, ბზა, დათნა; ბუჩქნარებიდან უნგერის შექრი, ჭყორი, წყავი, მოცვი, ხეშავი, დიდგულა და სხვა.

აჭარის სუბტრობიკული ზონის ბუნებრივ-კლიმატური პირობები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან შემოტანილი სასარგებლო მცენარის აკლიმატიზაციის ფართო შესაძლებლობას იძლევა, მათგან აღსანიშნავია ეგვალიტი, კვიპროსი, კრიპტომერია, თეთრი, აკაცია, ფიჭვი და სხვა.

მთიან ზონაში კარგად ხარობს ნაძვი, სოჭი, წიფელი, ცაცხვი, თელა, წაბლი, თბმელი, ნეკერჩხალი, ვერხვი და სხვა; ქვეტყეში — მოცვი, შექრი, იელი, ჭნავი, ხეშავი და სხვა. 2200 მეტრის ზევით, ალბურ ზონაში ფართოდა გავრცელებული

გუგულის სელი და ტყის სხვა ხავსები, რომლებიც ადასტურებენ ახლო წარსულში აქ ტყების არსებობას.

ტყის საბურველის მიხედვით აჭარა საქართველოს სხვა რაიონებთან შედარებით უფრო მდიდარია, მთლიანი ტერიტორიის 65% ტყებს უკავია მაშინ, როცა მთლიანად საქართველოში ეს მაჩვენებელი 39%-ს აღემატება. მაგრამ რთული რელიეფური პირობების გამო მისი სახილხო მეურნეობრივი დანიშნულება, უფრო ზუსტად, მერქნით სარგებლობა შეზღუდულია.

აჭარის ტყებს დიდი საკურორტო დანიშნულება აქვს, მეცნიერულად და პრაქტიკით დადგენილია, რომ დიდ ეფექტს იძლევა სამუშაოდან თავისუფალ დროს ადამიანის ტყეში დასვენება-გასეირნება, დასვენების დღეებში მუშა-მოსამასეურეთა ტყეში გასეირნება დადგებითად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე, განწყობაზე, საგრძნობლად იზრდება შრომის ნაყოფიერება. ზოგიერთი ავტორის გამოკვლევით რეკრაციული დანიშნულების 1 ჰექტარი ტყე 20-ჯერ მეტ შემოსავალს იძლევა ვიდრე ამ ფართობზე მიღებული მერქნის რეალიზაცია, ამ პრაქტიკას დიდი ხანია მიმართავენ საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნებში.

ამ უკანასკნელ წლებში ხელისუფლების დღენიადაგ ზრუნვის შედეგად, შინიშვნელოვანი სამუშაოები ჩატარდა მშრომელთა დასვენებისათვის. ქ. ბათუმის ცენტრალურ ადგილებში დაინგრა ქოხმახები, გასუფთავდა ტერიტორიები და მათ ადგილზე მოწყო სკვერები, ბაღები და მშრომელთა დასვენების შესანიშნავი კერძები.

მიზანის დაცვა

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მთლიანი ფართობის მხოლოდ ოცდაოთხი პროცენტი მოდის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე, ხოლო დამუშავებული მიწის ფართობები ცხრა პროცენტი. მიწების ასეთი სიმცირის მიუხედავად, ჭროვანი ყურადღება არ ექცევა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვასა და გაუმჯობესებას.

უკანასკნელი ოთხი ათეული წლის განმავლობაში, ადგილი ჰქონდა მიწის სავარგულების ისეთ ტრანსფორმაციას, რომელიც ყოვლად გაუმართლებელია.

მიწის ფონდის ბალანსების დინამიკა გვიჩვენებს, რომ 1945-1989 წლებში დამუშავებული მიწის ფართობები შემცირდა 9723 ჰექტარით (1945 წ. — 33438, 1989 წ. — 23715). სანავი ფართობი — 8520 ჰექტარით (1945 წ. — 17720, 1989 წ. — 9200).

მიწების დაცვისადმი უყურადღებობამ და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების უსისტემო სარგებლობამ ბევრგან მოსპონიადაგური საფარი, წარმოშვა სტიქიური მოვლენები. ეროვნიული მიწები და მათზე მოქმედი პროცესების ინტენსივობა ზუსტად აღრიცხული არ არის. დღემდე არ დამუშავებულა 15 გრადუსამდე დახრილობის ფერდობებზე სათოხნი კულტურების თესვა-მოყვანის აგროტექნიკა, სქემები, რაც ყოველწლიურად ზრდის ნიადაგების ჩამორეცხვას ეროვნიული პროცესების განვითარების საშიშროებას.

პრივატიზაციის განხორციელების პირობებში, ახლა, როცა მიწას პატრონი გაუჩნდა, თქმა არ უნდა, ყველა კატეგორიის მეურნეობებმა, სოფლის მშრომელებმა ხელი უნდა მიჰყონ სოფლის მეურნეობის ისეთი კულტურების წარმოებას, რომელიც განამტკიცებს მათ ეკონომიკას, გაზრდის ფულად შემოსავალს, მაგრამ ეს ყველაფერი

უნდა ხდებოდეს მიწების შენარჩუნების და ნაყოფიერების ზრდის კვალობაზე.

მეცნიერების, სპეციალისტების შესწავლით, დასკვნითა და პრაქტიკოსებთან შეთანხმებით, უნდა გამოინახოს ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც სოფლის მოსახლეობას საშუალებას მისცემს 15 გრადუსზე მეტად დაქანებულ ფერდობებზე სათოხნი კულტურები შეცვალონ ისეთი მრავალწლიანი კულტურებით, რომლებიც გააუმჯობესებს მათ ბიუჯეტს და ამასთან, უზრუნველყოფს ეროვნის, მეწყერების, ღვარცოფებისა და სხვა სტიკიური მოვლენებისაგან მიწების დაცვას.

ვგრონმოიურ რესპუბლიკაში ტერიტორიის ადგილმდებარეობისა და მთელი რიგი პირობების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს შემდეგი სახის ონისისძიებები:

1. ფერდობების ფუქსების გამორჩევის საწინააღმდეგო ნაგებობების მოწყობა;
2. მიწისქვეშა წყლების დამშენებისა და სხვადასხვა კონსტრუქციის დრენაჟის მოწყობა;
3. ზედაპირული წყლების გაყვანა ტერიტორიიდან;
4. ფერდობების გამაგრება მცენარეული საფარით;
5. ფერდობები ზომაზე მეტად არ უნდა გადაიტვიოთ მძიმე კონსტრუქციის შემნე საცხოვრებელი სახლებითა და სხვა ნაგებობებით;
6. მთიანი რელიეფის პირობებში, ბუნების დაცვის სამსახურებთან შეთანხმების გარეშე აკრძალოს გზების მშენებლობა და ფერტებადი ნივთიერებების გამოყენება;
7. კერ კიდევ არაა შექმნილი ფერდობებზე მომუშავე სპეციალური მანქანები. ბარის პირობებისათვის გამოყენებული მანქანები მძიმე ტვირთად აწევს ისედაც დასუსტებულ ფერდობებს;
8. მდინარის კალაპოტის რეგულირება (კალაპოტში მოქცევა);
9. მიწის ზედაპირის, აგრეთვე ნიადაგის ფენაში მყოფი ქვებისაგან ფართობების გაწმენდა და ბალახნარის შეთესვა;
10. ქანობში ფართობის ნიადაგის ზოლებ-მორიგეობითი დამუშავება;
11. სარეველა და უპერსპექტივო ბუჩქნარებისაგან და ჭავნარებისაგან ისეთი ნაკვეთების გაწმენდა-დამუშავება, რომელიც ბუნების დაცვის როლს არ ასრულებს;
12. ფერდობების დატარასება;

13. მთის მდელოს, როგორც ბუნებრივი საკვები საგარეულის სრულყოფით, ყველა იდგილის გზების შეყვანის აღკვეთით, ზედაპირული გასუფთავებით, შესაფერისი თესლის შეტანით, ბალახეული საფარის გაძლიერებით, საძოვართბრუნვით, ნაკვეთ-მორიგეობითი ძოვების დანერგვით, მორწყვით, ორგანული და მინერალური სასუქების შეტანით.

14. უნდა აიკრძალოს 15 გრადუსზე მეტი დაქანების ფართობებზე სათოხნი კულტურების თესვა;

15. მთის პირობებში ტრაქტორებით ნიადაგების ვერტიკალური წესით დამუშავების აკრძალვა;

16. ნიადაგების რწყვის სრულყოფა, ფერდობები ისე უნდა მოიჩრწყას, რომ ეროვნული პროცესები არ განვითარდეს;

17. კარტოგრამებისა და აგროწესების მიხედვით უნდა ხდებოდეს ნიადაგებში მინერალური სასუქების შეტანა;

18. ბუნებრივ საკვებსავარგულების ძირეული და ზედაპირული გაუმჯობესება. ყველა კატეგორიის მეურნეობებს გააჩინათ ზემოთ ჩამოთვლილ ონისისძიებათა

განხორციელების ყველა პირობა.

მიწის სიყვარულსა და მის დაცვაზე ჩვენი დროის გამოჩენილმა მწერალმა კონსტანტინე ლორთქიფანიძემ თქვა: „მიწის სიყვარული სასწორზე არ იმრონება არშინით არ გაიზომება და არც კანონში ჩაეტევა, როგორც კვირტიდან გამოსულ ნაყოფი იმავე კვირტში ვერ ჩაეტევა... საცოდავია ის კაცი, ვისაც მიწა არ უყვარს განა ტყუილად ეძახიან დედამიწას? იგი ზოგისათვის მხოლოდ მტკვრია და ტალახი ზოგისათვის კი ნამდვილი დედაა“.

ამ გრძნობის დაკარგვის ჩვენი მიწები წლების მანძილზე განადგურების პირა მიიყვანა და შედეგებსაც ნათლად ვხედავთ. მდგომარეობის მოკლე დროში გამოსწორებისათვის დასახლებულ და სხვა ონისძებათა განხორციელებით მტკიცედ უნდა დავიცვათ მიწები, გავათვართოთ და გავაძლიეროთ ენერგეტიკულ პროცესების წარმოება.

ზღვის გაჭუჭყიანება

ზღვის წყლების გაჭუჭყიანება ძირითადად ხდება მის სანაპიროზე მდებარე დასახლებული პუნქტების საყოფაცხოვრებო და სამრეწველო ნარჩენებით (ნავთობი და სხვა მაგნე ნივთიერებანი).

ჩატარებული გამოკვლევებით დადასტურებულია ზემოთ აღნიშნული ჩანადენებით. ზღვა ჭუჭყიანდება ნავთობპროდუქტებით, მძიმე მეტალებით (სინდიუმი, ტიკი, კალიუმი), ქლორით და ფოსფოროგანული ნივთიერებებით, რომლებიც დიდ ზიანს აყენებენ შავი ზღვის ფლორასა და ადამიანის ჯანმრთელობას.

წყალსატევებში გამაჭუჭყიანებელი ნივთიერებების ჩაშვება კანონით აკრძალულია.

ზღვაში ჩამდინარე დაბინძურებული წყალი ცუდად ერევა მას, ამიტომ ქარი აბრუნებს უკან — ზღვის სანაპიროზე, რომელიც დიდ ზიანს აყენებს ფაუნასა და სანაპიროს (პლაჟს).

ქ. ბათუმში მოსახლეობის მიერ სამრეწველო ნარჩენებით დიდალი გაჭუჭყიანებული წყალი ჩადის ყოველწლიურად შავ ზღვაში. ზღვაში ჩაედინება მახინჯაურის, მწვანე კონცხის, ჩაქვის, ქობულეთის, მეჯინისწყლის მდინარეებზე მიერთებული ფეკალური და საწარმოო ნახმარი წყლები.

ზღვის წყალს, როგორც აღინიშნა, ყველაზე უფრო აჭუჭყიანებს ნავთობი, ნავთობის გადატანა კი სხვა სახის ტრანსპორტთან ერთად სპეციალური ტანკერებთ წარმოებს. მეცნიერების მიერ გაანგარიშებულია, რომ საკმარისია 15 მილიონი ტონა ნავთობის ჩაშვება, რათა მთლიანად დაიფაროს ატლანტისა და ჩრდილოეთი ყინულოვანი ოკეანეები ნავთობის აფსკით. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ნავთობის 10 გრ-მი 183 ზღვის წყალში დამღუპველად მოქმედებს ქვირითზე.

შავ ზღვაზე და მასში ჩამდინარე მდინარეების სანიტარულ მდგომარეობაზე დიდ უარყოფით გავლენას ახდენს ისეთი გამაჭუჭყიანებელი ობიექტები, როგორიცა ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა, ცენტრალური გადასატვირთავი ნავთობაზა, ბათუმის რკინიგზის კვანძი, საქართველოს საზღვაო სანაოსნო, გემთმშენებელი ქარხანა და სხვა ობიექტები.

ქ. ბათუმის ბარცხანის, ნავთობგადასამუშავებელ და „თამარის“ დასახლებაში არსებული კერძო და კომუნალური საცხოვრებელი სახლებიდან გამოსულ

საკანალიზაციო წყლები ყოველგვარი წინასწარი გაწმენდისა და გაუცნებლობის გარეშე ჩატარება ზღვაში. გარდა ამისა, ქალაქის ზოგიერთ უბნებში სამეურნეო საყოფაცხოვრებო ნახმარი წყლები ჩატარებით სანიაღვრე კოლექტორებზე, რომელებიც ხდება ზღვაში, ნურისა და არდაგანის ტბებში და იწვევენ მათ ქიმიურ და ბაქტერიოლოგიურ გაჭუჭყიანებას.

არ მუშაობს ბათუმის საყოფაცხოვრებო სამეურნეო წყლების ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა, რის გამოც ზღვაში მთლიანად გაუწმენდავი, გაბინძურებული წყალი ჩატარება.

ცენტრალური საკანალიზაციო ქსელის უქონლობის გამო საგრძნობლად ჭუჭყიანდება კურორტ მახიჯაურში, მწვანე კონცხსა და ჩაქვში გამავალი პატარა მდინარეები და სხვა.

ხულოს, შუახევისა და ქედის რაიონებში არ ფუნქციონირებს გამწმენდი ნაგებობანი და საკანალიზაციო წყლები გაწმენდის გარეშე ჩატარება აჭარისწყალში. ავტონომიური რესპუბლიკის ქალაქებში, რაიონულ ცენტრებში, დაბებსა და სოფლებში მოუწესრიგებელია ნაგავსაყრელები, საყოფაცხოვრებო სამეურნეო ნარჩენების გასატანად, უმთავრეს ტერიტორიებად შერჩეულია მდინარეების ნაპირები, სადაც წყლის დონის აწევის დროს ეს ნარჩენები მოირეცხება და ჩადის ზღვაში, ხოლო შემდე ზღვის ტალღების მეშვეობით, მოეფინება მთელ სანაპიროზე. ნაგთობპროდუქტებით გაჭუჭყიანება ანადგურებს შავი ზღვის ფაუნას. ბათუმის მიმდებარე ტერიტორიებზე ზღვის ფრინველებისა და თევზების საგრძნობი შემცირება სწორედ ზემოთ აღნიშნულის შედეგია.

აცმოსფერული ჰაერის დაცვა

საქართველოში წლების განმავლობაში ეკონომიკური განვითარების პროცესი არ იყო სათანადო, ეკოლოგიურად გააზრებული. ეკოლოგიური აზროვნების გარეშე სწრაფვამ, მხოლოდ ინდუსტრიულ-ეკონომიკური მაჩვენებლებისათვის ისეთი ფაქტორების უგულვებელყოფამ, როგორიცაა: ბუნებრივ-გეოგრაფიული, ისტორიული, დემოგრაფიული და მრავალი სხვა თავისებურებანი, დიდი ზიანი მიაყენა ყველა ქვეყანას, მაგრამ რთული რელიეფური პირობების გამო უფრო მეტად საქართველო დაზარალდა..

დიდი მნიშვნელობა აქვს ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების დონის შესაძლო შეცვლის სამეცნიერო-ტექნიკურ პროგნოზებს, რომლებიც შემუშავებულია პერსპექტივისათვის. სხვა ორგანიზაციებთან ერთად, ბუნების დაცვის სამსახურების ვალია მკაცრ კონტროლზე აიყვანონ ატმოსფერული ჰაერის დაცვა და არ დაუშვან მავნე ნივთიერებების ზღვრულ დასაშვებ ნორმის ზევით ჰაერში შერევა.

მრავალი მეთოდია დამუშავებული ატმოსფერული ჰაერის გაჭუჭყიანების თავიდან აცილებისათვის, რომელიც განმტკიცებულია სახელმწიფო აქტებით.

საყურადღებოა, რომ აგტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებულ ყველა კატეგორიის შეურნეობებში, საწარმოებში, ფირმებში, ორგანიზაციებში, ამ ბოლო დროს ნაყოფიერი მუშაობა ტარდება ატმოსფერული ჰაერის სისუფთავის დაცვის საქმეში, კერძოდ, ეწყობა მტვერ და ჭვარტლდამჭერი მოწყობილობები, მონტაჟდება გამწოვი ვენტილაცია, ირგვება სხვადასხვა სახის მცენარეები და სხვა. მიუხედავად ამისა, მაინც ჭუჭყიანდება ატმოსფერული ჰაერი, განსაკუთრებით,

ტრანსპორტით, რომელიც 200-შევე სხვადასხვა სახის მომწამლავ ირებს გამოყოფს. მიზეზი ის არის, რომ აჭარის სატრანსპორტო საშუალებათა მფლობელი ორგანიზაციები, კერძო პირები არ იცავენ სახელმწიფო სტანდარტის მოთხოვნებს. არ გააჩნიათ საღიაგნოსტიკო აპარატები და სხვა. აღნიშნული და რიგი სხვა საავტომობილო ორგანიზაციები და კერძო სტრუქტურა ნაკლებად ზრუნავენ თხევადი გაზის საწვავის გამოყენებაზე გადასვლისათვის.

ავტომობილსახურების სადგურების საქმიანობა არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს, პირად საკუთრებაში მყოფი მანქანების ტექნიკური შეკეთების შემდევ ისინი არ ამოწმებენ ავტომობილის ტოქსიკურობას.

ატმოსფერული ჰაერის გაჭუშყარინების მნიშვნელოვან წყაროებს წარმოადგენს ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებული მცირე სიმძლავრის კუსტარული ტიპის ასფალტ-ბეტონის დანადგარები, მიზანშეწონილია ამ დანადგარების გაუქმება და ერთი თანამედროვე ტიპის უახლოესი ტექნიკით აღჭურვილი ქარხნის აშენება, რომელიც მთლიანად დააკმაყოფილებს მოთხოვნას ასფალტის მასაზე.

ცხოველთა სამყაროს დაცვა

ცხოველთა სამყაროს განსაკუთრებული გაფრთხილება უნდა, რადგან, თუ საღმე ერთხელ ნადირი და ფრინველი ამოწყდა, მისი მომრავლება ძლიერ რთულდება, ზოგჯერ კი შეუძლებელიც ხდება.

შარტო ბუნების დაცვის შესხებ მიღებული კანონები ვერ უშველის გარეული ცხოველების გამრავლებასა და განვითარებას. დაუნდობლად უნდა ვებრძოლოთ ბრაკონიერებს, რომლებიც უმოწყალოდ სპობენ მათ. დიღმა და პატარამ, ყველა უკლებლივ უნდა იზრუნოს ჩვენი სამშობლოს უჭირნობი სილამაზის შენარჩუნებისათვის.

1982 წელს გამოვიდა „საქართველოს წითელი წიგნი“, რომელშიც შეტანილია საქართველოში გავრცელებული უნიკალური და გადაშენების საფრთხის წინაშე მდგარი, მეტად შემცირებული არეალის მქონე 65 სახეობის ცხოველი (გარდა ამისა, აღნიშნულ „წითელ წიგნში“ შეტანილია 161 სახეობის მცენარე და 77 ბუნების ძეგლი).

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფაუნის თორმეტი წარმომადგენელი, როგორიცაა: ფრთაგრძელი ღამურა, მცირე მეღამურა, წავი, ფოცხვერი, თეთრშუბლა, სელაპი, ფსოვი, მთის არწივი, ორბი, შევარდენი, ატლანტიკური ზუთხი, მყივანა გედი — შეტანილია საქართველოს „წითელ წიგნში“.

გადაშენების გზაზე მყოფი გარეული ცხოველების შენარჩუნებისა და გამრავლებისათვის აუცილებელია ეფექტური ორნისძიებების განხორციელება, პირველ რიგში, სხვა ფაქტორებთან ერთად, მოსახლეობის ფართო მასების დაინტერესებით, ხელისშეწყობითა და დახმარებით უნდა გადაწყდეს ეს მნიშვნელოვანი პრობლემა.

ახალი სასოფლო-სამეურნეო საგარეულების პოვისებით არ უნდა შემცირდეს ისეთი ფართობები, სადაც სასარგებლო თვისებების მქონე გარეული ცხოველები ბინადრობენ. თავის ღრმზე კონსტანტინე გამსახურდია მისსავე შესანიშნების შენარჩუნებში „ვაზის ყვავილობა“ აღნიშნავდა: „გაწყდა ნადირი ჩვენს მხარეში,

კომბაინები და ტრაქტორები სადაც გაჩნდებიან, იქ ირემი ვეღარ გაიჭიჭანებს, აფსუს, რამდენი ხარ-ირემი მოგვიყლავს მე და პაპაშენს ცხარმუხაში”.

ერთი სიტყვით, რამდენადაც წინ მიდის ცხოვრება, რამდენადაც დიდდება აღამიანის საარსებო მოთხოვნილება, რამდენადაც იზრდება ბუნების კანონის შეცნობა, იმდენად მეტად ხდება შესაძლებელი ამ კანონების დაუფლება, რაც თავის მხრივ, ააღვილებს ბუნების სიმდიდრეთა აღამიანის სამსახურში ჩაყენების საქმეს – ბუნებაზე აღამიანის ბატონობას.

ავტონომიურ რესპუბლიკაში ნადირ-ფრინველთა დამატებით გამოსაკვებად გარკვეულ ღონისძიებებს ახორციელებენ შესაბამისი სამსახურები, რაც ხელს უწყობს მათ გამრავლება-განვითარებას.

სუვენირულ დამოუკიდებელ საქართველოში, ქართველი ხალხის ინტერესები, მომავალი თაობების წინაშე პასუხისმგებლობის გრძნობა გვიკარნახებს შევინარჩუნოთ მთელი ბუნებრივი სიმდიდრე, გავაჯანსაღოთ, გავაკეთილშობილოთ, გავამრავლოთ მცენარეები, ცხოველები და გადავცეთ იგი მომდევნო თაობებს მათი ბედნიერი მერმისისათვის.

კონკრეტული მიზანები

10 ასეთი მიზანის მიზან – იმპორტ მიმინ .01

11 მიმდევრული მიზანის მიზან – იუველირული იუველ .II

12 მიმდევრული მიზანის მიზან .III

13 ასეთი მიზანის მიზან – ქართული მიმო .IV

14 ასეთი მიზანის მიზან – ქართული მიმო .V

15 ასეთი მიზანის მიზან .VI

16 ასეთი მიზანის მიზან – ქართული მიმო .VII

17 ასეთი მიზანის მიზან – ქართული მიმო .VIII

18 ასეთი მიზანის მიზან .IX



მემკლები მიმდევრული მიზანები

19 ასეთი მიზანის მიზან – ქართული მიმო .X

მიმდევრული მიზანები

20 ასეთი მიზანის მიზან – ქართული მიმო .XI

21 ასეთი მიზანის მიზან – ქართული მიმო .XII

22 ასეთი მიზანის მიზან – ქართული მიმო .XIII

მიმდევრული მიზანები

23 ასეთი მიზანის მიზან – ქართული მიმო .XIV

შინაარსი

ლიტერატურული აჭარა №7

პრეზია. პროზა

1. დავით მჭედლური — ლექსები	3
2. ლადო სეიდიშვილი — ლექსები	7
3. ლეონიძე ბერიძე — სისხლიანი სარდაფები /ნაწევეტი რომანიდან/	13
4. შოთა ზოიძე — ლექსები	26
5. ბადრი თევზაძე — ლექსები	31
6. ზურაბ ფირცხალაშვილი — ლექსები	37
7. ალექსანდრე ლორია — ნაირუები გაზაფხული /მოთხოვბა/	41
8. მერი კოპალიანი-ლაცაბიძე — მოთხოვბა	54
9. ბორის მეტრეველი — ლექსები	57

პრიტკა. უაღლისათკა

10. ამირან ხაბაზი — თამაზ ჭილაძის ჩოგზია	61
11. ოსიკო გვარიშვილი — მხატვრული თარგმანის ზოგიერთი საკითხისათვის	65
12. მალხაზ ბალაძე — თორნიკე ერისთავის მსატვრულ-სახეობრივი სისტემა	72

ისტორია

13. ოთარ გოგოლიშვილი — აჭარა ბობოქაზ 1922-1924 წლებში	82
14. ირინე ვარშალომიძე — გონიო-აფხაროსი ნუმიზატიკური მასალების მიხედვით	88

განათლება

15. ნანი გუგუნავა — განათლება უნირეგლეს უფლისა	101
16. ციური ყურშუბაძე — სკოლაში ხაინუსრო კრაფიკის სწავლების ზოგიერთი ქერძო ასექციი	108

თეატრალური სხოვარების ისტორიულან

17. აბელ სურგულაძე — გულითადი დაწევდო, გულწრფელი სიმპათია	110
---	-----

წერილები

18. ირაკლი ბარამიძე — დიმიტრი ბაქრაძის ბათუმური ჩანაწერები	116
19. დურსუნ ნიუარაძე — წარსულის გამკეთილება	119
20. ნინო გობრონიძე — ბიბლიური ხე-ძრენარევები	123

გუნდება

21. მიხეილ ბერიძე — ჩვენი ფლორა და ფაუნა	126
--	-----

კომპიუტერული უზრუნველყოფა – გენადი კომაზიძე
ოპერატორი – განანა ჩავლეშვილი
კორექტორები – მარინე ბერიძე, ირმა ბერიძე

გადაეცა წარმოებას 10. 07. 99.
სელმოწერილია დასაბეჭდად 28, 07. 99.
ქაღალდის ზომა 60X90 1/8.
ზირობითი ნაბეჭდი თაბახი 17,25.
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 17.
ზირობითი საღებავგატარება 17,75.
შეკვეთის № 167.
ტირაჟი 300.

მინისტრი

დამტკიცებულები აქტი №7

მრჩევა, პრიზ

1. მდინარე მდ. კუშეთა – დაწყება	3
2. მდინარე მდ. კუშეთა – დაწყება	7
3. მდინარე მდ. კუშეთა – დაწყება	12
4. მდინარე მდ. კუშეთა – დაწყება	26
5. მდინარე მდ. კუშეთა – დაწყება	31
6. მდინარე მდ. კუშეთა – დაწყება	37
7. მდინარე მდ. კუშეთა – დაწყება	41
8. მდინარე მდ. კუშეთა – დაწყება	54
9. მდინარე მდ. კუშეთა – დაწყება	57

მრჩევა, კულტურის

10. მარიან ხადში – მამის ჯილდოს მიზნი	61
11. ისავე გვარიშვილი – მასწავლის მინიჭება	*
12. მარიან ხადში – მამის მისამართის მიზნი	66
13. მარიან ხადში – მამის მისამართის მიზნი	71
14. მარიან ხადში – მამის მისამართის მიზნი	77

გვ. 08X00 მისმ მიღების

15. გვ. 08X00 მისმ მიღების მისამართი	80
16. გვ. 08X00 მისმ მიღების მისამართი	82
17. გვ. 08X00 მისმ მიღების მისამართი	88

გვ. 08X00 მისმ მიღების

18. გვ. 08X00 მისმ მიღების მისამართი	90
19. გვ. 08X00 მისმ მიღების მისამართი	100
20. გვ. 08X00 მისმ მიღების მისამართი	106

მინისტრის მიმღების მისამართი

21. მდინარე მდ. კუშეთა – დაწყება	111
----------------------------------	-----

მრჩევა

22. მდინარე მდ. კუშეთა – დაწყება	115
23. მდინარე მდ. კუშეთა – დაწყება	119
24. მდინარე მდ. კუშეთა – დაწყება	123
25. მდინარე მდ. კუშეთა – დაწყება	127
26. მდინარე მდ. კუშეთა – დაწყება	131

შურნალი აიწყო, დაკაბადონდა და დაიბეჭდა სააქციო საზოგადოება "სტამბაში"
დ. თავდადებულის ქ. №16 7-37-31

M	
M	
VIII	— 19 —
N	28.

40 224/1
1960